ადგილი, სადაც კიდევ ერთმანეთს  
შევხვდებით, ქვეყნად ერთია მხოლოდ;  
გადისერება ის სისხლის ზოლად!  
სხვა არ არსებობს ველი შველისა,  
გარდა სასტიკი ბრძოლის ველისა...  
ოჰ, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს,  
მოსაგონებლად შევიკრიბოთ დღეს.  
გახსოვთ? გათავდა მხარეთა შორის  
ნერვიული და შფოთიანი მიწერ-მოწერა.

აღარც ერთ მხარეს მეორესი  
რამე არ სჯერა.  
განაგრძობს კამათს გაზეთები გამწარებული,  
რომ თანაგრძნობა მოიპოვონ  
მღელვარე მასის.  
ბოლოს დროშები აიმართა, დაიწყო ბრძოლა  
ასის, ათასის.  
ამბობს შტანდარტი:  
„არ არის რამე ნიადაგი,  
რომ ჩვენ შევთანხმდეთ.  
არ არის რამე ნიადაგი ჩვენი შეხვედრის,  
ბრძოლის ველს გარდა“.  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს!  
ასეთ დროს  
უნდა აჩქარდე, უნდა აჩქარდე, უნდა დაენიო  
ისე სწრაფად, როგორც შეგიძლია.  
ნამმა დაყოვნება არ იცის...  
ჩქარა, ამხანაგო, თორემ დაგვიანდა.  
წუთის დაკარგვაც კი არის ბოროტება.  
ვინ სთქვა გადადება?  
დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის.  
უნდა დასცე ძირს, გადალუნო, წამოაჩოქო.  
უნდა დასცე ძირს და მხოლოდ მკვდარს გადააბიჯო.  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს!  
გრიგალებს მჭექარე ხმებით  
შევხვდით:  
სიცოცხლე, სიცოცხლე!  
სიცოცხლე გვწყურია...  
გვწყურია ნგრევაც და სიკვდილიც...  
გვსურს აკივლდეს კაცობრიობა  
აუტანელი ტკივილებით...  
დროა! დრო! დროა! დრო! დროა! დრო!  
უშიშრად სიკვდილს ეწირება ხსოვნა მრავალი,  
გამოსავალი, უნდა იქნას გამოსავალი.  
დროა! დრო! დროა! დრო! დროა! დრო!  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს.  
იმუქრება ენერგია,  
რეჟიმი, რკინა, რევოლიუცია.

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს!  
ჩვენ თან წამოგვყვა მშფოთარება და მზეთა დნობა,  
რადგან ვიგრძენით ჩვენ ქარიშხალი.  
ჩვენ თან წამოგვყვა მისი ყინული,  
ჩვენ განვიცადეთ ის ქარიშხალი...  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს,  
მათ მოსაგონრად შევიკრიბოთ დღეს,  
ვინაც ნამდვილად გასწირა თავი,  
ვინც განიცადა წელი, –  
სავსე ისტორიის ამბებით.  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს!..

[1924]

## **უკანასკნელი თანამგზავრი**

გადაქცეული მწარე გრძნობებად  
უკანასკნელი თანამგზავრი მემშვიდობება.  
დავრჩები მარტო, სრულიად მარტო.  
ო, შემოდგომის გვიანო ვარდო,  
მემშვიდობება,  
მემშვიდობება –  
სალამო იგი, აღტაცების და დამშვიდების,  
უკანასკნელი თანამგზავრი ჩემი დიდების.

[1924]

## **დიდება იგი**

ო, შენს გარეშე ვერავის გახდის  
ბედი უკვდავად ცეცხლის მინაში.  
თავს მონინებით ვხრი შენი ტახტის  
დაუჭკნობელი დაფნის წინაშე.  
დიდება იგი ძლიერი არი,  
ამაოება-დროის მგმობელი,

მარადის იგი ხმოვანებს ქნარი  
მარადის ცეცხლის საგალობელი.

[1924]

## უკანასკნელი ღვაწა

დეპეშას მოაქვს ცნობა მისი გარდაცვალების.  
გადაშლილ გაზეთს გრძნობს პირველი შთაბეჭდილება.  
რედაქციაში სიცივეა. „გარდაიცვალა!“  
ეს მეტის მეტად უეცარი იყო ამბავი –  
წინათგრძნობათა წინანდელი ღენით ჩვენ იგი  
ჯერ ისევ ციხე და სიმაგრე გვეგონა მძლავრი.  
და ასე უცებ... ვით უეცრად შემკრთალი ღამე,  
შავი არშით მოხაზული მისი სახელი!

დიდი ხანია განა, რაც იმ კორიანტელში  
დაეცა რიგი პოეტების გამოჩენილი?  
მშფოთარე სული ნანგრევებმა მოიყოლია,  
ქარსა და გრიგალს გადაურჩა ძალიან ცოტა;  
მაგრამ მაშინ ხომ არ მოსჩანდა ქვეყნად არარა  
ძლიერი ცეცხლის, კონონადის და სისხლის მეტი?  
ის მაშინაც ჩნდა. ან შორიდან ვემშვიდობებით  
ბარიკადების უკანასკნელ მსხვერპლს და მეგობარს.

[1924]

## შავი სვეტები

მოაქვს დეპეშებს შავი სვეტებით  
შემოხაზული მისი სახელი,  
ორკესტრი ტირის თავგამეტებით  
მისი რიტმებით თვალანახელი.  
ასკეტი, ბრძენი, პოეტი მუშა  
განათებული სიცივის ბრწყინვით,

როგორც იელვებს ხანდახან შუშა  
აფეთქებული ცეცხლით და ყინვით.  
ჩასვენებული სპეტაკ მინაში  
არასდროს სახე მისი არ კვნესის,  
მისი სამარე – დროთა წინაშე  
განახლებული კუბო რამზესის.

[1924]

## **არწივებს ჩასძინებოდათ**

ჩასძინებოდათ არწივებს,  
სთვლემდენ მუხათა ტოტები,  
ბნელ ღამეს ააქარცივებს  
მკივანი მიკიოტები.  
არწივებს ჩასძინებოდათ:  
ბედი არ სთვლემდა ცბიერი,  
შორითშორს ალი ჩნდებოდა,  
ცეცხლი გორავდა ძლიერი.  
ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა,  
როგორც ძნას შემოდგომისას.  
არწივებს ჩასძინებოდათ,  
სიზმრებს ხედავდენ ომისას.  
ცეცხლი ხავსებით დახალულს  
გზებს ალით შემოამძივებს,  
იქ გაჩნდა, სადაც დაღალულს  
ჩასძინებოდათ არწივებს;  
გამოელვიძათ არწივებს...  
ცეცხლი! – შესძახეს წივილით,  
ცეცხლი! – მიდამოც გასწივის,  
ცეცხლი! – ტყე ამბობს ტკივილით...  
არწივებს გაკიდებული  
ფრთებს ცეცხლი გადაეყარა,  
ფრთებზე ცეცხლწაკიდებული  
შორით გაფრინდენ ველარა.  
იქვე დაეცენ სამზირად...

გულს თუმც გაფრენა სწადიან,  
დაღლილნი, არაგვის პირად  
ფრთადაკიდულნი დადიან:  
„არნივი ვნახე დაჭრილი,  
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,  
ენადა ბეჩავს ადგომა,  
მაგრამ ველარა დგებოდა“.

[1924]

## **ჩვენ, პოეტები საქართველოსი**

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება  
და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,  
რომ არაერთხელ აგუგუნდება  
დედამინაზე კიდევ სამუმი.

აჰ, ქიმიური ომების წყება  
სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში.  
ახალი ლპობა გოსპიტალების,  
ახალი ცრემლის ღვარი და თქეში.

იქ, ტრანშეების ლაბირინტებში  
ნუ გაგიტაცებს ძველი ნუხილი;  
ხევიდან ხევზე იკივლებს მესი,  
ხევიდან ხევზე წავა ქუხილი.

გიგანტიური მუხლუხო – ტანკი  
და შეუწყვეტი ტყვიის ფანტელი,  
პროჟექტორებმა ჰაერში იგრძნეს  
ჰაერობის კორიანტელი.

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად  
ას სანტიმეტრის მკაცრი სახელი,  
ხევიდან ხევზე გადიგრიალებს –  
ხევიდან ხევის გამოძახილი.



გააფთრებული ომის გენია  
ძველი ჟანგით ყვითელი ფერის  
გადეფარება მენამულ ზეცას,  
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა  
აღმოსავლეთის დღეების თბილის,  
გადმონგრეოს მტკვარის ხეობა  
და ასაკლებად მოადგეს ტფილისს.

ვართ პოეტები საქართველოსი,  
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი.  
ჩვენ ეხლავ ვიციით, სად დადგებიან  
კლოდელი, ჟამში, სიუარესი.

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია  
და სისხლიანი დგას ანგელოსი,  
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს  
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

1924,  
25 დეკემბერი.

## ლენინი

მლელვარება ღრღნის ქალაქის ქალას:  
ჩავარდნილ თვალებს და ღია ბალებს.  
უძრავ ლენინით მრისხანე ძალას  
სძრავენ ზოდები –  
დახურულ კარებს გრიგალი ალებს...  
მახსოვს იმ დღეთა ტოლნი და სწორნი...  
შფოთავს, საოცრად შფოთავს ვოლტორნი  
და ფაგოტები...

ასეთ დროისას ვსვამ მე ფიალას!  
მსგავსი ქარხნების დაბურულ კრთომის

გრიგალი ღრღნიდა ქალაქის ქალას...  
იქ ავლენილი,  
ლენინი – მსხვერპლი ბოროტი ტყვიის –  
ორი ბოროტად ანთებულ ომის  
და სამი მძაფრი რევოლუციის  
დროშა – ლენინი.

დადგენ მედგარი მოიმედენი:  
ოცნება თოვლში დაკარგულ ქონის  
და რკინის დროის გზაჯვარედინი.  
პროლეტარიატი!  
ეს გუგუნია მთელი ეპოქის,  
განწირულებით ის ეძებს ფერებს,  
რომ მოეფინოს დაჩაგრულ ერებს  
სითბო მარადი.

დახარეთ დაბლა დროშათ ბანაკი!  
აქ ბევრი ბრძოლის გათავდა ვადა,  
სტოვებს ბელადი და ამხანაგი  
დევიზზე დევიზს:  
გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა,  
გათავდა ომი სამოქალაქო,  
მაგრამ ახლოა დრო, ამხანაგო,  
მსოფლიო ნგრევის...

1924

\* \* \*

ელვარე და ლომფერი  
იყო ცხრა ოკტომბერი,

მაგრამ თვალმა დათვალა  
მზე ბევრი და ცხრათვალა...

ო, მზით გადანაცხარო,  
ცხრა მუხა და ცხრანყარო!..

რუსთაველი ხანია,  
ისიც ცხრა ანბანია.

ვნება იყო ღვარული  
ჩემი ცხრა სიყვარული.

ოდეს გნახე, ლომფერი  
იყო ცხრა ოკტომბერი.

[1924]

### **მივაშუროთ!**

სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით,  
მრავალ წყურვილთა, გახელებათ გაათასებით...  
ტკბილი და მწარე... სულ ერთია... ცეცხლი მაგარი  
საქართველოსთვის გრიგალია და ნიაგარი...  
მაგრამ ისინიც... ცეცხლი იყო მათი თვალები...  
ყველა ისინი მშვენიერნი იყვნენ ქალები!

ვთქვათ, ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული,  
თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული...  
ვთქვათ, ბრძოლა, ომი, ქარიშხალი, სახლი, ვაგონი,  
ჩვენ ვთქვათ რადიო და რენტგენი გამონაგონი...  
მაგრამ ისინი... ცეცხლი იყო მათი თვალები...  
ყველა ისინი მშვენიერნი იყვნენ ქალები!

[1924-1925]

### **„ხვალემ იზრუნოს ხვალისა“**

ხვალემ იზრუნოს ხვალისა,  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!  
ღვინომ მიიღოს ღვინისა,  
წყალმა წაიღოს წყალისა!

შეხედე, როგორ ჩქარია  
ამქვეყნიური დიდება,  
შეხედე, რა სიზმარივით  
წუთი წუთს მიეზიდება.

არც ვწუხვარ, არც მერიდება  
მიმავალ-მომავალისა;  
წყალმა წაიღოს დიდება,  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!

გულმა მიიღოს გულისა,  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.  
ღვინომ მიიღოს ღვინისა,  
წყალმა წაიღოს წყალისა!

[1924-1925]

## **ღლე გაფითრდა იაგუნდის**

ღლე გაფითრდა იაგუნდის,  
დგას ღრუბლების ჯგუფები.  
რაგინდ დიდი გული გქონდეს,  
მაინც დაილუპები.

საშინელი მოსკდა წვიმა,  
როს მცხეთაში წავედი,  
სად აზიდა სერაფიმმა  
მწირის ცა, ვარსკვლავები.

არ გადილო წვიმამ გზამდე,  
ტალახებს ვერ დავზელდი,  
და თავიდან ფეხებამდე  
მასხა. ძლიერ დავსველდი.

მე გავცივდი. ავადა ვარ,  
ძლიერ, ძლიერ ავადა.

ის მწარე დღე, გსურს თუ არა,  
მოვა თავისთავადა.

დღე გაფითრდა იაგუნდის,  
დგას ღრუბლების ჯგუფები.  
რაგინდ დიდი გული გქონდეს,  
მანც დაილუპები.

[1925]

## ორი ასული ნეტარი

ორი ასული ნეტარი,  
ორი სხვაგვარი წამება,  
აქ შორეული მხედარი,  
გული გულს ესაბამება.

იქ – ვარსკვლავები ზედაშე,  
აქ – მეოცნებე ციარი,  
და სიყვარული მე და შენ,  
ნეტა, რად გვქონდა ზიარი.

12 ნოემბერი,  
1925

\* \* \*

მე მარწმუნებდენ: ფოთლები გაჰქრა,  
ცა არ არსებობს მღვრიე თუ წმინდა,  
რალაც უნიჭო ოცნებამ დაჰკრა  
და სიშავეში იგი გაყინდა.  
მე მარწმუნებდენ, რომ არ იქნება  
შენ დაუსჯელათ გიყვარდეს იგი,  
მარწმუნებდენ, რომ არ გადიქმნება  
მკაცრი დღეების ყოფა და რიგი.

მე მარწმუნებდენ, მიწას სწვევნია  
ჩვენთვის უცნობი სხვა სამყოფელი,  
მე მათ ვარწმუნებ, რომ მირჩევნია  
მოკვდეთ, თუ მოკვდა მთელი სოფელი.

16 ნოემბერი,  
1925  
მუშტაიდის ბალი

### **ოპერის თეატრთან**

იყო გრიგალი, იყვენ ნგრევანი,  
მაინც გადარჩა ჩრდილი ამხელა,  
იქ აღარ რეკავს ის შადრევანი,  
იმ იდუმალთა მხარეთ გამხელა.

გარინდდა დღეთა გადარხევანი  
ოცნებათ, რამაც ასე დამლალა,  
ლამით მალლა დგას ვით ტახტრევანი,  
ბედმა რომ ტფილისს გადმოახალა.

წავლიან დრონი – მაგრამ ნობათად  
დადალულ გულებს, ლამის ნიავებს  
აღერსად აღარ მიუღიავებს.

სადლაა მხარე იმა გრძნობათა?  
იქ ერთადერთი, გრძნობა შიშველი  
აღარ გაჰკვივის სარაჯიშვილი!..

[1925]

### **ახსნა**

ლამეს ელვარე დღე შეუცვლია  
თქვენი თვალების ღრმა სიბნელეთი,

ამნაირ გრძნობას ხომ შეუძლია  
დაიმორჩილოს მთელი ხმელეთი.

მომკალით! ყოფნა მაინც შუქია  
თქვენზე ამართულ სადღეგრძელოთა,  
შეხვედრა ენას ვერ შეუქია,  
შეხვედრა განა ასე გველოდა?

თქვენ გაიხსენეთ, ო, გაიხსენეთ,  
ო, გაიხსენეთ, ამ სიტყვებს იქით  
რამდენი რამე ვერ აგისსნიათ  
ვერც ჩუმი ცრემლით, ვერც ლალის ჭიქით.

რისთვის მიყვარხართ? მე არ მაქვს ნება!..  
მაგნაირ გულით და სინაზეთი...  
არის ამქვეყნად დაგვიანება –  
მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?

არის ამქვეყნად ვერხვი და სვია,  
არის ამქვეყნად სიკვდილი ქალით,  
ამ რევოლვერშიც არის რვა ტყვია,  
ერთს გაიმეტებთ: მე გთხოვთ, მომკალით!

[1925]

## **შენ რაღას იტყვი?**

ატყდა ვაზების კვირტი,  
ცრემლის დაგუბდა წყარო.  
სწუხდა ლიახვის ზვირთი –  
შენ რაღას იტყვი, მტკვარო?

იყო ზვირთების შეხლა  
თერგის ნგრევის და რიხის.  
შენ რაღას იტყვი ეხლა,  
მთებო მშობლიურ ლიხის?

მთიდან დაეშვა ლამე  
და დაიბინდა მდელი.  
შენ მაინც მითხარ რამე,  
ვრცელო ალაზნის ველო!

თრიალეთიდან ვნახეთ  
ლამის მსუბუქი ჭვარტლი.  
მე ვეკითხები კახეთს,  
თუ რაზე ფიქრობს ქართლი.

იქნებ მოისმენს გმინვას  
ვინმე ჩუმი და ავი.  
ასე დაბინდულ მყინვარს  
ზღვა რად შელელავს შავი.

რაზედ ღრიალებს ფაზი  
და ისტორიის ჩრდილის  
მზე ეფინება ნაზი  
ქუთაისსა და თბილისს.

მაგრამ, თენდება. ყავრად  
მთებს ეფინება თებო.  
ჩემი სალამი, მძლავრო  
კავკასიონის მთებო!

[1925]

## **ისევ ოცნება და სიყვარული**

დაღალულს ვხედავ იმ ამაყ ირემს.  
მიყვარდა, როგორც დიკკენსის გმირებს,  
ცეცხლთან ღვინის სმა და გაფიქრება,  
რომ გულში ცეცხლი არ გაგიქრება.

მრავალი ფიქრი მას შემდეგ ახდა,  
ვნების ისრებმა დაცხრილეს გული.



ისევ მაისი მშვენიერ ბალთა,  
იყავ ოცნება და სიყვარული.

[1925]

## **ეს იყო თხუთმეტი წლის წინად**

ეს იყო თხუთმეტი წლის წინად,  
ეს იყო თხუთმეტი წლის წინად.  
დიკკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.  
ლამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება.  
ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები,  
საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება.  
უეცრად გრიგალმა დაალო კარები  
და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად,  
ეს იყო თხუთმეტი წლის წინად,  
ეს იყო თხუთმეტი წლის წინად.  
მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას,  
მწყუროდა ცისფერი ვარდები.

[1925]

## **ჩაჰკეტა კარი**

ჩაჰკეტა კარი! სიცივის დინგი  
ვერ შემოანგრევს რკინეულ რაზას,  
როცა გათავდა დიდი მიტინგი,  
ის დაუბრუნდა ვარდებს და ვაზას.  
დარჩება სახლში და მისი ქოხი  
მოეჩვენება სურორეული,  
სახურავს ურტყამს წვიმა და კოხი,  
როგორც ომების ხმა შორეული.  
მაგრამ ის დასცქერს ცეცხლის კამარას,  
რომელსაც არხევს ალი მთოვარი,

მის სულს, დარჩენილს ბინდის ამარა,  
ცეცხლთან ბევრი რამ აქვს სათხოვარი.

[1925]

### **ზამთარი ძნელი**

ზამთარი ძნელი, ყინვა ფიცხელი,  
გამწარებული სულის სიცხელე,  
ამაოდ ყინვის განგულებას გლოვს,  
გადაუღებლად თოვს.  
სახლები აივსო თოვლით,  
ქუჩები აივსო თოვლით,  
შუშაბანდს ცვივიან კეცები,  
სიცივისაგან დღე იკეცება.  
მოკლული ეცემა ფრინველი,  
მე შენზე მანუხებს ნუხილი,  
გულიდან გრიგალი  
ყვიროდა ნუხელი:  
შენ არ გაქვს სენაკი, შენ არ გაქვს სართული,  
სადა ხარ, ვინ იცის,  
არც ტკბება ჰაერი,  
არც ცხრება ჟინი ცის  
თავისი უჟინო სიმძაფრით გართული.

[1925]

### **მეტეხი იდგა რუხი, პიტალო**

ცა – დასავლეთი აღვივებდა ღრუბელთა ღუმელს,  
მეტეხი იდგა რუხი, პიტალო.  
შემოდგომის დღე მისცემოდა უსაზღვრო დუმისს,  
მთანმინდა – მშვიდი და მოყვითალო.  
ნიგნის გვერდები ჩამოშლილი და არეული  
ინახავს ამ დღეს ჩუმი, ცბიერი.

მასში მარხია მოჩვენება სიზმარეული,  
სული შეშლილი და ბედნიერი.

1925

### **უცნობი ქუჩის დასასრულთან**

უცნობი ქუჩის დასასრულთან მრეკავ სიმებით  
ძლივს ჩურჩულებენ მშვიდი ბაგენი,  
შემოდგომის დღეს ვუპასუხებ მე გაღიმებით,  
უნაზეს ბაგეს აქ მივაგენი.  
ჩემი ოცნება შენ გეკუთვნის. მინდა ნუგეში.  
გაქრა სიზმრები იმ მწარე დღეთა.  
რამდენი მახსოვს სიხარული აქ, დიდუბეში,  
რამდენი მზე და სასონარკვეთა.

1925

### **მთაწმინდის იქით**

მთაწმინდის იქით დასისხლულმა მზემ ბინა ჰპოვა.  
არ არის შველა. ბნელი ჩრდილები  
მრავლდება, როგორც სიბნელეში დინგების გროვა,  
შავი და ჩუმი დღის ყვავილები.  
თვითონ მსოფლიოს მწუხარება აქ შედარებით  
მხოლოდ ლანდი და მხოლოდ ჩრდილია,  
მოშხამულ სინდისს ეფარება მკვლელ ნეტარებით  
მსუბუქი ოხვრა და იდილია.

1925

### **ტფილისის ზეცა მოწამეა**

ტფილისის ზეცა მოწამეა იმ შეკრთომისა.  
იყო ახალი ქროლვის ფერები,

იყო გრიგალი ადრიანი შემოდგომისა  
და შემოდგომის ჩალის ღერები.  
გადაიჩეხა ქაოსებში მშვიდი ბუნება,  
უეცრად შეკრთა ღამე კივილით,  
გასწიე! ფიქრებს არაფერი ესალბუნება  
დამშვიდობების გულისტკივილით.

1925

### **ან კივილისთვის ირავიან**

რამდენი მითქვამს სექსტინები, ოკტავა, ჰიმნი...  
ნამდვილად მრწამდა მათი ტაძარი.  
ან კივილისთვის ირევიან მრავალნი სიმნი,  
ვით ჯოჯოხეთი უზარმაზარი.

გარდა ბრძოლისა, ყველაფერი იქნება ცოდვა;  
თვით ეს ვარდებიც, ასე მგონია.  
გაისმის, როგორც მოგონების შეშლილი ბოდვა,  
დაცინვა, წყრომა და ირონია.

1925

### **მეოცნებე მოსვენებაზე**

როგორც სიმღერა, მეოცნებე მოსვენებაზე,  
დავინყებულები ჩემი სიმდიდრე,  
ეძლევა ტალღებს და ქანაობს ქარის ნებაზე  
დაცხრება ვიდრე.  
როგორ ხმაურობ ოკეანეს სივრცე, ზიარო,  
ცად იკლაკნება ელვის გრეხილი;  
გადაეფინა არეს ნისლი სამგლოვიარო...  
და ესიზმრება სხვა ქარტეხილი.

1925

## **მღელვარება**

გამწარებული ეხეთქება ტალღა ქვა-ლოდებს,  
ხან გაიბრძოლებს გრგვინვა ჩქარ-ჩქარი.  
თავგანწირული ოკეანე საზარლად გოდებს,  
ქუხს, იმუქრება მეხის ხარხარი.

მაგრამ ჩემს ხომალდს არ ამინებს ბრძოლათა ხედვა,  
იგი მოივლის ქვეყნის დასავალს!..  
ამდიდრებს მისი გამძლეობა და გაბედვები  
მხოლოდ პოეტის თავგადასავალს.

1925

## **როგორც სიზმარი**

კვლავ მომაშუქებს მზე სიმტკიცეს და დარიგებას,  
ბოლო არა აქვს ოცნებათ დენას,  
მე კარგად ვიცი, ვერ ახერხებს სიტყვის მიგებას  
ჩემი წარსულის მჭერმეტყველ ენას.  
იყო ცხოვრება შხამიანი და მოსისხარი  
ღამეა იგი, თუ დღე ცისმარე.  
წელინადთ რიგი საშინელი და საზიზღარი –  
გადვიდა, როგორც ავი სიზმარი.

1925

## **ბრძნობა, რომელიც დაკარგულია**

ის მღერის როგორც დარის დარება,  
იმისი გული – ხალხის გულია.  
მასში მოისმის იდუმალთა ხმათ მწუხარება,  
გრძნობა, რომელიც დაკარგულია.  
ის ხეტილობს ასეთნაირ განწირულებით,  
როგორც სამოთხის დახურულ კართან,

გულზე აჩნია უკურნავი დროის წყლულები,  
გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა.

1925

### **დაუმეგობრდა**

დაუმეგობრდა თვით ბუნებას ადამიანი,  
მას ქვეყანაზე უყვარს თარეში,  
რათა სასჯელი მიაყენოს სხვას შხამიანი  
სიხარულში და სიმწუხარეში.

იგი ყველაფერს უპასუხებს შურისძიებით,  
რისთვის აქვს კიდეც რალაც იმედი?  
ბუნების ძალთა ტლანქი რისხვა ძველი ციების,  
რაზედაც დღესაც სწუხს არქიმედი.

ხან სიცხისაგან თან აყვება მის სხეულს გმინვა,  
გავარვარება, ცხელი ანთება.  
ხან კი ძვალრბილში გაუფჯდება ქარი და ყინვა.  
დგას ხან სიცხადე, ხან მოლანდება.

მას ყველა სდევნის გაჩენიდან სიკვდილის დღემდე  
და მხოლოდ აფთარს მშვიერს და წყეულს  
გაეხარდება, უეცარი სიკვდილის შემდეგ  
როცა დახედავს მის გამხდარ სხეულს.

1925

### **სიმაჰის კვდომა**

სიმაჰის კვდომა... შემოდგომის ქვითინი ნელი,  
სიზმრებს წარსულის ხმა მარხავს მესსის,  
დაღლილი სული, მარტოობა და ღამე ბნელი  
გრძნობას მიჰყვება და ხსოვნა კენესის.

ბოროტო ქარო, ის შენთან დგას ვით ედემთ წყარო,  
გულუბრყვილოა მისი თვალები,  
მიგაქვს შენ მისი ოცნებები, ფოთოლო მჭკნარო,  
ძველ რომანებში რომ იმალება.  
და ყვავილები ქალთა თეთრი თავსაფარავის,  
რომ მოედება თმებს ხელალებით,  
ისე, როგორც მას, აღარ ახსოვს ეხლა არავის  
მთებით, ყანებით და ვენახებით  
ერთმანეთისთვის კარგის მეტი ჩვენ არრა გვინდა,  
ფიქრი უდროოდ გულს რომ დაჰყვება,  
დილის სხივებმაც არ იციან იმგვარად წმინდა,  
უსპეტაკესი იგი ზრახვები.

1925

### **სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს**

სხვა გიჟებს სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს,  
ვით გულგრილობა და არა ცნობა.  
ეს უნდობარი აღტაცება შენ არ გაგიშვებს,  
თუმცა ხანდახან ნებდება გრძნობა.

გული მღელვარებს უცნაური რაღაცა ფიქრით –  
გულს შიში იპყრობს და ლელავს მკერდი...  
რაა ეს გრძნობა? სიყვარული? საითკენ მივჰქვრით?  
არ გადვიჩიხოთ, არ განყრეს ღმერთი.

მას მოეჩვენა, რომ ეს ხმაა სამარის ლოდის,  
თითქო დემონი უკრავს ჭიანურს,  
რაღაც აჩრდილი ქვეყანაზე მიდის და მოდის  
და ახშობს წყურვილს ადამიანურს.

არვინ ოცნებობს გამოხედვის ცეცხლზე და აღზე,  
მოგონებაა კუბოს და ცხედრის,  
ფიქალზე – მკერდზე არ ოცნებობს, არც გულზე – ზღვაზე,  
ის მხოლოდ... ციურ ალერსზე გვედრის.

1925

## ვით აფეთქება

მაისის დღეებს ის მოელის, ვით ზამთრის მყინავს,  
თითქო სამუდმოდ დამჭკნარა მდგლო,  
გაახსენდება რალაც მკაცრი და აღარ სძინავს,  
და იმეორებს: გაჩუმდი, მკვლელო!  
ის ყურს დაუგდებს შუალამით ჭიანურს ჭკვიანს,  
არ ეძინება ისევ ჭიანურს,  
ის იმეორებს მარადობას და სივრცეს გვიანს,  
მწუხარე forte-ს და ნელ piano-ს.  
ცა გულუბრყვილო და ოცნება ზაფრანას ფერით,  
ო, სივრილეა და ესეც კმარა.  
შურისძიებას ის იგროვებს ფოთოლთა ჟღერით,  
ისევ მუსიკის არის კამარა,  
თითქო უსაზღვრო საღამოა და მთა ბინდდება,  
აირევიან ქენჯნის კალთები.  
გახედავს სერებს, გაფითრდება, შეეშინდება  
და ფოთოლივით აკანკალდება.  
თითქო ვილაცას უდარაჯებს წყვდიადი შავით  
და უბოროტეს დღეთა ხელებით.  
წყვდიად დუმილის სამოსელში ფიქრების შვავით  
ივსება გული საშინელებით.  
იღუმალ ხანად, სანამ გული არ დასვენდება,  
თითქო სადღაც სწუხს საღამოს ზარი.  
რუხი ნისლებს ნამქერებში ცეცხლი ენთება,  
ვით აფეთქება ჩუმი და მკვდარი.

1925

## როგორც კი დილა გათენდება

როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით,  
მთელი დღე ყველა ხევებში ისმის,  
რომ თქვენ მინდვრებში მიეშურებით –  
რომ უმანკოა თქვენი კისკისი.  
მწარე სიცხისგან დაგიფარავსთ ქუდი ჭილოფის,



სამოსი რაა? უბრალო ჩვარი!  
არ გეშინიათ არც ეკლების, არც დაღლილობის,  
უფრო კარგი დღე ქვეყნად არ არის.  
თქვენ, ახალგაზრდა გატაცების უმანკო თასი  
ნაზ და ცბიერი სიტყვების მახეს,  
ამ ჭრილობისგან ყველამ იცის სიცოცხლის ფასი...  
შეხედეთ თვალებს, შეხედეთ სახეს,  
ამაო არის უსულგულო ზრუნვა და შრომა –  
აი, დღეებს რა აიადონებს.  
ტყუთა კაბების ყვავილოვან ნაოჭთა კრთომა,  
რითაც არ რთავენ თვითონ მაღონებს.

1925

### ჰაერი

მძიმე ჰაერი მხურვალეა, უფრო ჩქარ-ჩქარა  
აშრილდება ფიქრთა სამოსი.  
დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანჩქარა,  
ხმაში ინთქმება გზა მიდამოსი.  
ჩამოდის ღამე. ჩამოფრინდა. აი წამები!  
გულში ხმაურობს სურვილთა ზღუდე,  
თითქო აშლილა იქ წყვდიადი და აკლდამები  
და განზრახვების ახალი ბუდე.  
უცებ: მორთულან, მოკაზმულან ის ძველნი დრონი.  
შორ სიშორეთა ელვარებს თოვა.  
მანაც წუხილი მიუძღვება მათ მსუბუქ რონინს,  
ვით მგლოვიარე არფების გროვა.  
ცელქი ნიავი და შრიალი, უღრუბლო დღენი  
თითქო ზარია ანატაცები, –  
მიეჩქარება მთვარის შუქში გაჭრილი ცხენი,  
მთვარენი დგანან, როგორც ანძები.  
მთვარის შუქთაგან შეკრებილი ფეთქს სიმღერები,  
თუმცა არ სჯერათ ბედნიერება,  
რალაც უღრუბლოდ, გატაცებით, ყელმოდერებით  
მოდის სიმშვიდე და ძლიერება.

და გადიღვრება სივრცეებში ყვავილთა შორის  
ნელი ქანება სხვა დანანებით –  
მარმარილოდან უდროო დროს აფრენილ ქორის  
ზეცად ავარდნილ შადრევანებით.

1925

## პოემა ვეფხისა

აქ დასიცხული თვლემით გრძნობენ ვეფხვთა სიარულს,  
თითქო ცეცხლში ხარ და განწირულ სიტყვას ჰკიოდე:  
ცას, დედამინას, ღვთაებრივს და ადამიანურს  
„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებში ვხედავ არეულს.

ვით სულდგმულები, ირევიან მცენარეები,  
ვეფხვი მოქმედობს ლმობიერი და თან მრისხანე.  
ხან მნგრეველების არის ყრილობა:  
იფეთქა ცეცხლმა, იბუგება მთელი ქვეყანა –  
ზეცით სიცივე და გულგრილობა  
ვის სურდა ქვეყნად ჩამოეყვანა?

შეხედეთ: ქვებიც გადმომსხდარან მოსმენად მშვიდი;  
მშვიდი სამუმი – მათრობელი, მშვიდი ჭავლეტი;  
აქ ძველი არის ყველაფერი, როგორც სანსკრიტი,  
მაგრამ ახალი მუდამ, როგორც აღმოსავლეთი.  
ასეთ ოცნებას ხსნა არ მოელის,  
სიმღერა აღარ იგრძნობს დასასრულს.  
დაცხრება სული უდაბნოელის,  
გულცივი ზეცა რომ გადასაზროს.

კიდევ გადავა საუკუნეთ მღვრიე მრავლობა,  
მააა, დედა მსოფლიოის, მოირხვეს დღეებს,  
შთამომავლობას მოეცლება შთამომავლობა,  
როგორც ფოთლები გიგანტიურს, უძველეს ხეებს.  
ქარმა ველებზე ძნები დაშალა  
და მიმოფანტა ქვეყნის კიდეზე:

შევუნთოთ ცეცხლი, რომ იგი ალი  
იყოს უვრცესი და უდიდესი!

ან ისევ სამხრეთ-დასავლეთით წავლენ ზენდები,  
ან ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთს ინდოთა ჩანგი,  
იქ, სადაც თვალწინ გაიშლება ხეობა ინდის,  
სადაც პენჯაბის ხეობიდან ხმაურობს განგი,  
გადაიშლება კვამლი მხუთარი  
და გადიქცევა მზის ვუალებად,  
შემდეგ იფეთქებს, რომ საკუთარი  
ქნარს მისცეს სუნთქვის საშუალება.

მოვარდნილ ღვართქაფს ვერ დაიჭერ მსუბუქი თალხით  
ზეციდან მსვლელი გიმალაის მწვერვალთა გზები,  
შთაჭრილი უფსკრულს, რომ გარეცხოს თავისი ტალღით  
სამოც ათასი მეომარის დაღლილი ძვლები.

ავა ზეცამდე – და შეეხება  
იქ, ლაჟვარდებში რომ გემებია.  
აჰა, ალისფერ ნაღმით შელება,  
თითქო ის ცეცხლიც უგემებია.

ტროპიკის სიცხე. სიყვარული ლაკედემონის,  
მეგობარს კიდევ მეგობარი შეურჩენია.  
შრიალებს ფრთები ელლადათა სიბრძნის დემონის,  
ძველი ეგვიპტის აქ ხმიანებს მძლავრი გენია.

ხმათ აიაზმის ნელი პკურება...  
ისარი გულზე ვის არა სოდეს?  
იყო მრავალი განადგურება,  
ლექსთა სიკვდილი კი – არასოდეს.

ომებში ლომი – ნახტომიდან შამბის არშიით,  
ტაიჭნი ჰქერიან, როგორც მძაფრი ისრები ქარში,  
მაგრამ ხანდახან დაუნდობელ გრძნობებზე სტირის  
ელეგიური დღე იზისის და ოზირისის.

აი, უდაბნო არაბეთის. დაიფარავდა  
უხსოვარ დროით ოაზისებს ძველი ტომები,

ძლიერი, გამძლე და ამაყი ტომი არაბთა,  
მხურვალე ზეცის და ოცნების ქვეშევრდომები.  
დაე, მინდვრები ცეცხლმა გადახრას.  
იგი მომავალს ძლიერს მოიტანს.  
დრო ხედავს ახალ გზისკენ გადახრას,  
სიცოცხლეს ახალ მიდამოიდან.

მას რაინდული ჰქონდა სული, სავსე ანთებით,  
ლაშქართ მრავალი აღტაცება მისდევდა თანა,  
საგანძურებში დაგროვილი ფოლიანტებით,  
სადაც იწოდა პოეზიით მდიდარი ხანა.  
რაც ამ ხანაში არის მთავარი  
და რაც ყველაზე უფრო შორია,  
ეს: გადამრჩენი წვიმას ყავარი,  
რითაც იფარავს ძველს ისტორია.

გაფრინდნენ თვალწინ უდაბნოთა ბედუინები  
და ქალაქების სიმდიდრენი გაჰკრთენ ზმორებით,  
თავისუფალი და დანარჩენ კაცობრიობას  
დამორებული თვალუნვდენი ქვიშის მორევით.  
ახალ მხარეთა გაჩნდა სახელი,  
მან არ ნაშალა იმ ხმათა დარგი,  
მუდამ ყველაზე უფრო ახალი  
და უფრო კარგი.

თუ აქლემების ქარავნები და ცხვრების ჯოგი,  
რომლის მახლობლად იშენებენ მშვენიერ კარვებს,  
თუ სიმამაცე და ლანდები სტუმართმოყვარე,  
დამავალი დღე ესალმება სალამოს ქარვებს,  
შემდეგ ქარცეცხლი, შემდეგ შერყევა.  
და პოეზია იქცა ერთ ელვად.  
საკმარისია ქაოსის შერხევა –  
იფეთქებს ერთხელვე.

დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი,  
ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი:  
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი,  
პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი –

იყო გრიგალი, იყო შერყევა,  
იყო მსოფლიო ძალა – უგეში.  
მისთვის არ იყო რამ შეფერხება –  
იგი უყვარდათ, როგორც ნუგეში.

„ვეფხისტყაოსანს“ შეინახავს აღმოსავლეთი,  
პერგამენტების შეინახავს ჩრდილი კეთილი,  
პალმის ფოთლებზე დაწერილი სისხლიან ცრემლით,  
ან სპილოს ძვალზე სასოებით ამოკვეთილი  
გადაშორდება დღეებს მტვერიანს,  
გადაშორდება დროთა ბანაკებს,  
მას მომავლიდან კვლავ უცქერიან –  
რა სხვა დიდება უამხანაგებს.

რუსთაველს მოჰყვა სიხარული დაუთრგუნავი,  
მას შეუძლია ცა გადაჰკალოს.  
საუკუნეთა ტყეებს იქით მოსჩანს ბუნაგი:  
იქ ესალმება შუქი ნათელს ზოდიაკალურს.

ასე მგონია: ეს იმედი მას მოასწავებს,  
რომ სულ შემთხვევით ჩამარხულებს და ჩაკალულებს  
ჩვენ აღმოვაჩინთ ძველი დროის ძველ წიგნთსაცავებს,  
ომიანობის გამო სადმე გადამალულებს.

1925

## კოსმიური ორკესტრი

მსოფლიო სხივების და ცეცხლის ღეროთა  
მსოფლიო ლეღვებზე და ქარზე მღეროდა,  
მსოფლიო ნგრევათა კვლავ მონმე გავხდებით,  
მსოფლიო რღვევანი ხმელეთით რბოდიან,  
მსოფლიო ორკესტრნი მიწისძვრით, ტახტებით,  
მსოფლიო წვიმებით და წარღვნით მოდიან,  
მსოფლიო ვულკანის ავარდენ ბოლები,  
მსოფლიო მდინარეთ ადიდდენ ტალღები,  
მსოფლიო მწერვალთა დანისლდა ზოლები,

მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო!  
მსოფლიო გუგუნით მიჰქრიან ზვირთები,  
მსოფლიო მორევი გრიგალის ფერია,  
მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები,  
მსოფლიო: მოძრაობა და მატერია.  
მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო მუსიკა,  
მსოფლიო ქვებით და ასფალტით ნაგები,  
მსოფლიო ქაოსებს დრომ გადაუზნიქა  
მსოფლიო შურისა და ნიშნის საგები.  
მსოფლიო მუზიკა, მსოფლიო ორკესტრო,  
მსოფლიო ახალ დღეს მოესწრო,  
მსოფლიო იგერებს ზარბაზნებით,  
მსოფლიო მაგნატი, ტრესტები, დისკოსი, –  
მსოფლიო მილიარდ ოქრო და ვაზნებით,  
მსოფლიო ლონდონის და სან-ფრანცისკოსი.  
.....  
მსოფლიო ნგრევათა კვლავ მონმე გავხდებით.

.....  
გრგვინვა მთაში, ქარი ზღვაზე და ტალღების რაში,  
ელვის თეთრი ნამსხვრევები გაჰკვივიან ცაში,  
დატრიალდა მალლა, მალლა და დაეშვა ქვევით,  
ჩამოინგრა ნაპრალები ყრუ და მძიმე რღვევით,  
ახმაურდა ხეობებში, არის კლდეთა ფენა,  
მესმის მძაფრი ძვერა გულთა და დაყრუვდა სმენა:

.....  
მსოფლიო... მსოფლიო... მსოფლიო...

.....  
ვხედავ, რომ მოსხლტა განცვიფრებულ სივრცეს სვეტები  
და მსმენელთა წინ წყვდიადების გაფრინდა რიგი.  
გაფითრებულნი გაილანდნენ სილუეტები,  
არა ვაგნერის, არც მოცარტი და აღარც გრიგი.  
ო, კოსმიურო, ერთადერთო, მძლავრო მუზიკა!  
ო, უსხეულო! ეხლა სხეულამონაგები –  
ამ ქაოსიდან მოვევლინა ახალი მუზა  
ყველაფერს, რაც კი ახსნილია და გასაგები:

.....  
მსოფლიო ნგრევათა კვლავ მონმე გავხდებით.  
.....

დამდაგველი აფრებით,  
ჩვენ რომ ირგვლივ გვედება,  
იგი, მხოლოდ გაფრენა  
არის შემოქმედება.  
არის შემოქმედება  
სიჩუმე და გრიგალი,  
მსოფლიო გზის გედებათ  
ბედთან შეურიგალი.  
ურაგანი ბრძოლების  
და სიკვდილის კვეთება,  
ნგრევა! ახალ ტოლების  
არის შემოქმედება.  
განახლება! ზღვასავით  
იგრძნობ, რა ქარებია,  
რადგან იმ გრძნობასავით  
არვის არ ჰყვარებია.  
სადღაც რეკავს დაირა  
და სიცილის წვეთება,  
საქართველო! აი, რა  
არის შემოქმედება.  
ყველა ნამი უსაზრო  
რეკავს ფერ-მწუხარეთა,  
იმედები უსაზღვრო  
და განსაზღვრულ მხარეთა.  
შემოდგომაც ქარული,  
ქარში წვიმა სვეტებათ,  
შრომა და სიხარული  
არის შემოქმედება.  
ველი... ველარ გადარჩეს  
დროთა ძველთა დულილი.  
ეს ვთქვი, ესლა დანარჩენს  
იტყვის ჭეჭა-ქუხილი:  
.....  
მსოფლიო... მსოფლიო... მსოფლიო...  
.....  
საიდან, როგორ ხმები ასეთი?  
დღე შემოიჭრა და გვეფერება,

ახალგაზრდობით მოკისკასეთი  
მოვიდა სითბო და ამღერება.  
ეს არის გრძნობა კვლავ სიყვარულთა,  
გადაქცეული სხვისთვის ჭაობათ,  
ეს ოცნებაა. ფერთა ფარულთა  
და გაზაფხულთა სანახაობა.

.....  
ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი  
იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს,  
იგი უძლევია და მზის ის თაველი,  
რომელს მონობისთვის გზა ვერ გაულუნეს.  
დანტე უკვდავებში არა მეთაეა,  
მაგრამ დიდებაა მკრთალი ბეატრიჩე –  
ბავშვის მეოცნებე სახეც დიადია,  
რომელს შეუყვარდა ერთჯერ, მეთაეჯერ.  
სული სრულხმოვანი, შენი, შოტლანდია,  
ბარდნი რომ გეხვივნენ უუნაირონი,  
მეფურ უგონობით ახლაც ის ლანდია  
უფრო უმაღლესნი – შელლი, ბაირონი.  
ბევრი ყვავილია, ბევრი ფოთლებია,  
ხან მხურვალე, ხან უუნოტიესი.  
იგი ვერლენია, იგი ბოდლერია,  
რემბოს ლექსებია ანდა გოტიესი.  
იყო ჰაფიზიცა და იქ, შირაზიდან,  
რათა აღმოსავლეთს არე დაუფარჩოს,  
მაგრამ შავ ყორანის სუნთქვა ვინ აზიდა?  
ეს ხომ იგი არის... ედგარს გაუმარჯოს!

.....  
მაინც შფოთავს, ისევ შფოთავს ღამე,  
ისევ ცხარედ ხმაურობენ ტყენი...  
ასე, როგორც ქარიშხალი რამე,  
ხმაურობდა სიყმანვილე ჩვენი.  
იყო ქარში თავდადებით ქროლა,  
ხმა ისმოდა მტერთა მწარე ყეფის,  
ხმაურობდა ახალგაზრდა შკოლა  
პოეტების უკეთესი წყების.  
ბევრს გაუშრა ძარღვში სისხლის წვეთი,



მეტად დიდი გამარჯვებაც ნახეს,  
ვინ გაბედა ჩვენზე სიტყვა მეტი?  
შემახედეთ კიდევ იმათ სახეს.  
კოსმიურო! ჩვენი ყოფნა როა,  
თუ იმგვარად მწუხარებას ისევ,  
გამაგონეთ ერთი სიტყვა: დროა!  
მე თქვენთან ვარ და ვიქნები ისევ.  
მაშინ რიგით, ფოლადური რიგით  
ყველა ჩვენთან, როგორც ერთი ფერი,  
მტერი იყო, ვინაც დარჩა იქით.  
სიკვდილამდე ვიქნეთ მათი მტერი.  
გახსოვთ ჩვენი მხიარული ბინა?  
იქ მოგროვდეს, ვინაც ელის შველას...  
დაურიგდეს ყველას ძველი ღვინო,  
სიხარულის ხმა მიეცეს ყველას...

.....  
მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო...  
.....

გულო, მესმის შენი ძგერა,  
მესმის შენი კვდომა.  
ქარი დგება, ეხლა შამბში  
განისვენა ლომმა,  
ისევ უცხო მოგონებით  
ნაჰყვა თანდათანა,  
სად იზოლდას და ტრისტანის  
მოისმოდა ნანა.  
სიჩუმეა და შორით შორს  
ისმის, როგორც წვიმა,  
მხოლოდ ერთი სიმი...  
იყო სერაფიმი?  
იგრძნო სერაფიმმა  
იგი სერაფიმი?  
არა! ეს მსოფლიო

.....  
მსოფლიო ნგრევათა  
კვლავ მოწმე გაეხდებით!

[1926]

## ქალაქი წყალქვეშ (ძველი დიოსკურია)

ღელვის დროს გემზე „ტეოდორ ნეტტე“  
ანძები დატყდენ, როგორც მშვილდები,  
ფიქრებს მორევში რაც უნდა კეტდე,  
ერთს მათგანს მაინც ვერ მოსცილდები.

რომ დააყარა ქარმა ფაფარი  
უზარმაზარი გორების ეტლებს,  
პოსეიდონის ძველი ზღაპარი  
ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.

ასფუთიანი ჩაქურჩის ცემით  
ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას,  
მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი  
ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.

გადმოანგრიე შენი ზვირთები,  
რომ მხარეებმა მხარეს გაასწროს...  
იქუხე – გასწყრი! არ ავტირდები,  
არც შებრალებას ვითხოვ არასდროს.

მე სხვანაირად ზვირთი მოვსახე,  
მზემ ჩემკენ შუქი რა მოიღერა,  
ბოლოს ხომ მაინც მე შემოვძახე  
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.

როგორ? მე ვქმნიდი იმედებს განგებს  
და მისთვის მსურდა ვარდების ფენა,  
მისთვის ვფერავდი მრავალჯერ ჩანგებს,  
რომ მხოლოდ მტრისთვის დამეტკებო სმენა?

როგორ? გიგანტურ სიმებს და წკირას –  
გაუქრობელი შუქი შვენოდა  
მისთვის, რომ იგი უგულო ტირანს  
და ფილისტერებს ხელთ შერჩენოდა?

მისთვის ავაგე კოშკები – მინა  
გამძლე დღეების ფოლადათ, რკინად,  
რომ გაიძვერას პოეტის ბინა  
გადაექცია საკუთარ ბინად?

არა და არა! მრავალი სტანჯა,  
მრავალს დაუფრთხო სიმშვიდის ძილი, –  
ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,  
ლექსი მტრებისთვის იყო სიკვდილი.

მოგხვდათ? იგრძენით? შევატრიალე  
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?  
იყო თუ არა ქეჩა-გრიალი,  
ჩვენი დღეების ცა ნაჭორფალი?

ო, შავო ზღვაო! ასწიე გემი,  
შუქი დაენტოს ქაფთა მოკრებას, –  
დაე, კვლავ ჰგავდეს მგზავრობა ჩემი  
ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.

მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,  
ახლა იქ მყუდრო ნავთსადგურია,  
წყალში შთასული არის მითები  
და ძველისძველი დიოსკურია.

ნავსადგურიდან თავდება ხაზი,  
ერთდროს აქ იდგა მრავალთ-მრავალი  
სხვა წინაპარი ჩემი, აფხაზი,  
უძველეს დროის შთამომავალი.

გენიალური, უკვდავი ტემა!  
პოეტებს, მსხვერპლებს ტლანქი ფურიის,  
მე შემიძლია მივსცე პოემა,  
პოემა ახალ დიოსკურიის.

მასში ცხოვრება ღვივის მედგარი,  
უნდა ჩაეშვა ზღვაში მსახავად,

დახარბდებოდა თვითონ ედგარი  
იმ იდუმალი გზის სანახავად.

ზღვის ფსკერზე ეხლაც მეზღვაურები  
ძველ კედლებისას ჰპოებენ ხვავებს,  
ამოაქვთ ოქრო აუარება  
და საგანძურით ავსებენ ნავებს.

ქალაქი წყალქვეშ მძინარი მხარის!  
როს შელამდება ნაცრისფრად ასე,  
მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის  
და აღმაცერად იშლება ზღვაზე –

ნაპირებიდან კავკასიონის  
მთებამდე მოსავს ბინდები შავი,  
მაშინ მძინარე პონტიის დონის  
მე მიმაქანებს ფარული ნავი.

ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში  
თითქო სხვა მესმის იდუმალება,  
ილიუზია! ჩვენება! მასში  
სულ ახლო, ახლო რომ იმალება.

თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა  
მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,  
მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა  
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.

მივუყურადებ: ისევ და ისევ  
განმეორდება ხმა უცნაური,  
ის იდუმალი ქალაქი-სფინქსი  
მეძახის უცნობ აურზაურით.

ვიგრძნობ, თითქო ფსკერზე ვეშვები ცურვით,  
ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს,  
წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდურვით  
ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს.

აქ დაფარულა მთელი კრებული  
და სიბნელეში ელავს თვალები,  
ის ძველთაძველი შთამომავალი,  
ის უძველესი ფეოდალები.

მათი ვერა გრძნობს ფიქრი და ბაგე,  
რომ მცხეთის ახლო ახალ ნათებით  
ელექტრონების გაჩნდა ქალაქი  
ათასეული კილოვატებით.

იყო ქალაქი, იყო საგანი –  
ოდესმე მძლავრი და ალიერი,  
ეხლა ცივია გზა შინაგანი  
და იდუმალი სიცარიელე...

„ტეოდორ ნეტტე“ ახლა ისვენებს  
და ფრინველების დასცხრა გუნდები.  
მშვიდობით! ხსოვნათ დაკარგულ ფენებს  
არასდროს აღარ დავუბრუნდები!

1927

## **მგზავრის სიმღერა**

რამდენ მდინარეს არბევს  
ეს დატეხილი მთები,  
დემონისას ჰგავს წარბებს  
მძლავრი ნიაღვრის ფრთები.

სუნთქვა მაღლიდან მორბის,  
როგორც ქარული რაში,  
და ბუდეები ორბის  
მიჯგუფებულა მთაში.

უუძველესი ციხის  
ჩანს ნანგრევები შორი,

ჩქარი მდინარის რიყეს  
რგოლებს აზომებს ქორი.

დგება სალამო ჟამი,  
მთებს ეპარება რული:  
ჩქარა დაეშვი, ლამევ,  
და დამიმშვიდე გული.

ჩქარა დაეშვი, ბინდო,  
ფიქრი მომეცი წმინდა,  
ვისაც ვენდე და მინდო,  
კვლავ მომაგონდეს, მინდა.

მინდა ახალი გზები,  
მინდა ახალი რამე,  
გაბრწყინებული მთები,  
განათებული ლამე!

30 აგვისტო, 1927 წ.,  
ბორჯომი

**პოეტის შეხვედრა მოჩვენებასთან  
რევოლიუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს, 1927 წ.**

მძაფრი ორკესტრი ხმას ანაკადებს,  
გრგვინავს ქუხილი წინანდელ მონის;  
ლოზუნგებს, ისრებს, ფურცლებს, პლაკატებს  
ისვრის მანქანა რატაციონის.  
გრგვინავს ორკესტრი ვით წინანდელი  
სამოქალაქო ომის ტეხილი,  
ჰქერის მოგონებათ კორიანტელი  
წარსულ დღეებთან გადაგრეხილი.  
გრგვინავს ორკესტრი. სინათლეთ სვეტი  
ხან გაიეღვებს, ხან იქუფრება –  
ქარიშხლიანი ცხრაასჩვიდმეტი  
ცხრაას ოცდაშვიდს ესაუბრება.

მძლავრი გამოდის ქუჩაზე მასსა,  
რომ ხმამაღლა სთქვას გულისნადები.  
მე ვიგონებდი სიმღერის ხმასა.  
წარმოვიდგინე: გაჰქრა, გათავდა  
შიმშილის გრძნებათ, სიცვიის შვავთა  
და დანგრევათა წელიწადები.  
რევოლიუციის მუზეუმიდან  
დაფიქრებული გვიან დავბრუნდი.  
უეცრად თითქო ყრუ სიჩუმიდან  
მოჩვენებათა შემომხვდა გუნდი.

### **ცოცხალი მოჩვენებები:**

ჩვენ პოეტები  
ვართ არეული,  
ვართ შინაური  
და გარეული,  
ჩვენ დეპეშებით  
მივიღეთ ომი  
და ოქტომბერი  
მზამზარეული.

### **ცოცხალ მოჩვენებათა მეორე გუნდი:**

არა! ჩვენია  
ბედი მთოვარი,  
მინა და ზეცა  
სწორუპოვარი,  
ჩვენია ბინა  
და ყოველგვარი  
რევოლიუციის  
მონაპოვარი.

### **პირველი მოჩვენება:**

ნება მომეცით ბგერის,  
ენა არა მაქვს მჭევრი,

ვიყავ მამულის – ერის  
მხსნელ კომიტეტის წევრი.

**მეორე მოჩვენება:**

ვიყავ მეხური რიხი  
და ფაბრიკანტი ძელქვა!

**მესამე მოჩვენება:**

მე ეკლესია ვიყავ...

**მეოთხე მოჩვენება:**

მე ადმირალი მერქვა!

ჩვენებათ გუნდი უეცრად გაჰქრა,  
გაჰქრა! რიჟრაჟის საათმა დაჰკრა!  
ისევ ორკესტრი... სინათლეთ სვეტი  
ხან გაიელვებს, ხან იქუფრება,  
ქარიშხლიანი ცხრაასჩვიდმეტი  
ცხრაას ოცდაშვიდს ესაუბრება.

1927



**ასი ლექსი**  
**1925**



## პროლოგი

რა საოცარი დასრულდა წლები!  
მეფეთა წყება გაჰქრა, ვით ლანდი,  
მოშორდენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,  
ნიკოლოზი და ფერდინანდი.  
მაგრამ მნუხარედ მათზე კი არა,  
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:  
იმ საშინელ წელს – პოეტი-მეფე –  
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,  
ჰანგების მეფე – დიდი სენ-სანსი  
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...  
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი –  
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,  
რომ გამომეგლო ჯერარსმენილი  
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა  
და მომეტანა საქართველოში  
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

[1925]

## სად იყო სმენა და გაგონება?

ახალი ჰანგი ენატრება ცას უკანკელოს,  
მე ვგრძნობდი მაშინ, რომ სტოვებდა ზემთაგონება –  
თვით მურილიოს, კაელიოს, თვითონ ანგელოზს...  
სად იყო სმენა და გაგონება?  
პოეტი მასსა, ხალხთა კომკის დღეს უწინარეს  
გადასცქეროდა ბოროტებას განარინდები,  
თვალგადაუწვდენ ორმოებში სისხლის მდინარე  
და ტრანშეების მიდიოდა ლაბირინტები...

[1925]

## ბავშვები

მე არაერთი მინახავს ბავში  
პატარა, როგორც ოქროს წიწილი,  
ეტლში, სალონში, აკვანში, ბაღში  
გაისმის მათი ზარის სიცილი.  
მაგრამ კონტრასტი არის ამ ბედის  
გულცივი, მკაცრი და გამყიდველი.  
მშვიერი სახით კაფეში შედის  
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი.  
მათი თვალები აღარ იციანის,  
ხედვაში ხანჯლის არის ციება.  
არ ეპატიოს – კვნესენ ისინი –  
ქვეყანას ჩვენზე შურისძიება.  
მათ ნატყვიარი აკრავსთ წარბებზე,  
გული სავსე აქვთ შხამის წვეთებით,  
ამ დროს მოლხენით არის დარბაზი,  
ორკესტრი გრგვინავს თავგამეტებით.

[1925]

## და ნამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი

ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა  
ზაფხულის ტყეებს გადაახალა,  
ისმოდა ხმები ახალ-ახალი,  
დღე ტაძარივით იყო მაღალი.

ველად ბალახი იყო კეცილი,  
როგორც სიმშვიდე და სარეცელი.  
ტიროდა მწარედ ყვავის ბახალა,  
ქარმა ტყეებს რომ გადაახალა.

ატყდა ქუხილი, გავარდა მეხი –  
გაეხმაურა ტყე მეხის ტეხილს,

ხევში, ხრამებში ატყდა ხარხარი  
და წამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი.

[1925]

## **დაბრუნდა გრძნობა და სისადავე**

დაუნდობელად თვალებამკარა  
წინ მიდიოდა ცეცხლის კანკელი,  
როცა დემონმა აალამკარა  
უდაბურება და ღრიანკელი.  
ძვირფასი შხამით სავსე ფიალა  
მე გამოვცალე ქვეყნად, მეგონა.  
სულში გრიგალმა გადიგრიალა,  
სამუმს სამუმი გადაეკონა.  
ვერ დავუკავე მერანს სადავე,  
გულმა ხალისი ველარ დამალა,  
მოვიდა გრძნობა და სისადავე!  
ისევ დაბრუნდა ჩვენი ამალა!

[1925]

## **ქაოსიდან გზებზე გავედით**

როცა ცეცხლია და გადარევა,  
როცა ქარია და ამღერება,  
არც კაცთმოყვარე ხალხში გარევა,  
არც გაჩუმება შეგეფერება.  
ქალაქს გველისფერ ცდება ბინდები,  
ისევ სხვებს დარჩა ცა ვარსკვლავედით...  
ჩვენ გავიარეთ ლაბირინტები  
და ქაოსიდან გზებზე გავედით.  
ამნაირ დროში ვით არ მახსოვდეს  
შენი თვალების წრფელი დიდება?

ო, დამნაშავეს შენ არასოდეს  
მკაცრი სახელი არ გეკიდება!

[1925]

### **თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი**

თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.  
დიკკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.  
ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება.  
გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.  
იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება ხელნაწერი.  
ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით, სულში...  
თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი...

[1925]

### **ბრძოლა ღმერთთან**

ღმერთი არის თუ არა? არა. მაგრამ დიდება  
მისი ბევრჯერ მსმენია. ძილი არ მეკიდება.  
იგი, ღამის გენია, ისევ შემეჭიდება,  
მე – სხვა სულის ამარა, იგი – გაბედითება.  
ვიბრძვით და რამდენია დღე, ის რომ ეზიდება,  
რამდენი ჰო და არა – ალზე ალის კიდება.  
ერთიც არ ამცდენია ცეცხლის არდარიდება,  
ღილით მოსაწყენია ძილი და დამშვიდება.

[1925]

### **ალვის ხის გადარჩენა**

ო, ალვის ხის შვენება,  
ისევ იგი შთენია.

ყოველ დღის გათენება  
მისთვის მოსალხენია.  
მოდის, ფეთქს და იზრდება  
სული მისი მხრჩობელი,  
ფოთლებს ამეტისტებით  
ფარავს შეუცნობელი.  
ტბის გულს გადახვევია  
მდუმარება ტოტების,  
ოცნება არ სჩვევია  
ქვეყნის გამოცოდების.  
არც შხამიან ლანდებათ  
უცემს ნყალთა გუბება,  
ის არ ჭლექიანდება,  
ის არ დაილუპება.

[1925]

### **შინდისის ჭადრებს**

ორო ჭადარო, ნყვილო ჭადარო,  
შემოხვეულნო შუქთა ბადრებით, –  
ო, მე არ ვიცი, რას შეგადაროთ,  
ან უცხოეთში რად მენატრებით?  
კვლავ გახვევიათ ოქროს ზენარი  
და შემოდგომის მკრთალი ბლონდები?  
მე, უთვისტომო და გარენარი,  
თქვენ გაგისხენებთ და დავლონდები.  
თქვენთან რბიოდენ ნათელნი დღენი,  
ლოცვა ბავშური, ფერი გედური,  
ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი,  
როგორც ტირილი და საყვედური?

[1925]

## სან უფსკრულეზი, სან მწერვალეზი

ელვის ბილიკზე მიდის ფეხები  
და მეცემიან თოვლის ვარდები.  
სან უფსკრულეთში გადვიჩეხები,  
სან მწერვალეზზე აღვიმართები.  
სან ქარიშხალი და სან ნიავი  
მეტოლებოდა მაღალ სიონის,  
არა მოსალხენ დღეთა სიავე  
და თეთრი კუბო კავკასიონის.  
მაგრამ უცებ სხვა მოვარდა შხამი,  
უცებ ორკესტრმა იპოვა წამი,  
გადასრიალდა მთელი ლანდეთი:  
ჩემი ახალი შარავანდედი.

[1925]

## იარე, კაცი შენ აღარ გქვია

გასწიე! ღამე ეშვება ზენრად,  
მწარედ შრიალებს ტყეთა კალთები,  
მახლობელ დემონს მიგრძნობ უეცრად  
და შიშის ჩრდილით აკანკალდები.

იარე! გაჰყევ გზას შორით შორისს,  
მაისტა ცეცხლი შენ არ გაოსებს,  
მწუხარებათა უღევთა შორის  
ისევე ხედავ ახალ ქაოსებს.

გაახელ თვალებს – იქნება გვიან,  
დახუჭავ, მაინც ცა არ ენთება...  
იარე, კაცი შენ აღარ გქვია,  
შენთვის არასდროს არ გათენდება.

რა უყავ შენს სულს, ოდესმე კეთილს,  
ქვეყნად რომ სურდა ცეცხლის მოდება?



ეხლა იმავ სულს დალილს, დაფლეთილს  
დახედავ და არ შეგეცოდება.

იკივლებ მაშინ, მაგრამ არსიდან  
არ გიპასუხებს უდაბურება,  
იარე! გზები უშინაარსო  
ისევ ბურუსით დაიბურება.

[1925]

### სამი ღრუბელი

მე არა ერთხელ მინახავს,  
რა ნაზად დაუჯგუფელი  
ჩემს ეფემერებს ინახავს  
სამი ფერადი ღრუბელი.  
ღრუბელი ცაზე ენთება  
ლაჟვარდი, ოქრორეული,  
ო, დროო! გამახსენდება  
შენი გზა სიზმარეული.  
წითლად ელვარებს მეორე,  
მრისხანე ეფემერადი,  
ქარივით მომეტეორე  
და ცვალებადით ფერადი.  
და თეთრი, თეთრი ღრუბელი  
თითქო მარადი ქაფია,  
სიცოცხლე დაუგუბელი  
და ცივი ეპიტაფია.

[1925]

### ჟანაპი

გამოჩნდა რხევა მაღალი ტანის.  
ნამგალით მკლავზე, მავალი ობლად,

მისი სიმღერა ხმა არის ყანის,  
სადგურის ახლო მივარდნილ სოფლად.  
სიმღერა სულით ემშვიდობება  
გადამწყრივებულს ზღვისკენ წეროებს,  
მზე ეხუჭება, როგორც ობობა,  
ზინდის დაქსელილს ხის კენწეროებს.  
სულმა არ იცის, რა არის მონა,  
გზებზე ნახირი ისევ ბრუნდება.  
კრავებს მირეკავს სოფლის მადონა.  
მადონა ქოხებს დაუბრუნდება.

[1925]

## **მე ერთადერთი მქონდა წუხილი**

მინდოდა წყაროს წყალი გემოთი  
და მშობლიურით სუნთქვა სიოთი,  
მე მივდიოდი და ვეცემოდი,  
ისევ ვდგებოდი და მივდიოდი.  
როცა თოფების ატყდა ქუხილი  
და ზარბაზნების გრგვინვა და ჭექა,  
მე ერთადერთი მქონდა წუხილი:  
თქვენი სოფლების ღვია და დეკა.  
შორს ერთადერთი ენთო სანთელი,  
უუძველესი ბალის ტოტებით,  
აქ კი გრიგალი, კორიანტელი  
და ტყე მშფოთარე თავგამოდებით.

19 აპრილი, 1923

## **შემოღობა**

სხვა პოეტისთვის ვერ მიმიგნია,  
ეს წიგნი – ერთადერთი წიგნია  
მშვიდი, ფარული.

შემოდგომისთვის იგი იშლება,  
როგორც ფოთლების გადაშიშვლება  
და სიხარული.

ნავიდეთ ერთად ველებში, გიცდი!  
ვერ მოვიგონე ქვეყნად არტისტი  
ქარის სადარი.  
რა აქვითინებს მინდვრებს ტრიალებს?  
ასე გულმწარედ რაზე შრიალებს  
ძველი ჭადარი?

ო, ვიყოთ ერთად! გზა გულს ამრთელებს...  
ქვეყნად მომავალ კორიანტელებს  
ვინ მოეკრძალოს?  
ჩვენ, პოეტები, მზიდან ვეშვებით –  
და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით  
მზის სადღეგრძელოს.

[1925]

## გაჰქრენ ზაფხულის დღენი

ნარბგადახრილი მიდის  
შემოდგომისა ჩრდილი.  
ზიდავს გამხდარი ცხენი  
ყვავილებიან ურემს.  
ცისას იგონებს რიდეს  
ის, როსინანტად ზრდილი,  
გაჰქრენ ზაფხულის დღენი,  
ქარი ყვავილებს ურევს.  
ამ დღეს ზამბახებს ყიდდა  
თიბათვესავით ნაზი,  
ის პოეზიად ხდიდა  
ჩვენი დღეების პროზას.  
მზე ლაჟვარდებში სწუხდა,  
შუქს გავლებოდა ხაზი,

ბალში მუსიკა ქუხდა  
„Andanti amoroso“-ს.

[1925]

### **ხალხური მოტივებიდან**

შენი თვალები – მალღები  
სამხრეთის ზღვების ფერია,  
კბილები – თეთრი ძაღლები  
მიღრენენ: არაფერია.

მოგონებებში წასული  
შენს ბაგეს დავეხარბები,  
ოცნების ორი ასული  
გადაწოლილან წარბები.

გადაუთიბავთ თივები,  
რომ გითხრა – დამემდურები!  
გულაღმა ნევან ტივები  
და მთები უდაბურები.

მთვარეს ჩვენი ხმა გაეგო,  
თითქო შუქ-აკანკალებით,  
ჩვენს აივანზე დაეგო  
რჩეული ოქროს ხალები.

[1925]

### **გახედე: კახეთი!**

გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი.  
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი.  
გარეულ ქალებში ტრიალებს ქათამი,  
ჭაობში იხვია მონყენით მზირველი.

პირველ სექტემბრიდან სასარაკ, სავათა.  
იქ თმაზე მეტია გნოლი და კაკაბი.  
თხუთმეტი: ახალი იმედის სათავე,  
სადაც კი ნისლია და ტყეა საკაფი.  
თოფის ხმა, კივილი. სისწრაფით მტევარი.  
„დაენი, ალზორა“ და მიქრის მწვეარი.  
ალაზნის ველი სჩანს. დილაა მზიანი.  
გარშემო ბურია ღამენათევარი.

[1922]

## **ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების**

ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების,  
დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით;  
უნაზესი ისმის ხმა საკრავების,  
ბალებს იქით. სადღაც. გადაშორებით.  
მზის გადასვლამ სივრცეები დანმინდა.  
იბინდება, იბინდება მთანმინდა.  
აჰ, ეგ თმები, ჩემს სახეს რომ ეხება,  
შუქმა კარგი მოგონებით შეღება.  
იყო ომი, იყო ცეცხლის დროება,  
ლოდინია ეხლა და მყუდროება.  
ციდან მთებზე ეშვებიან კრავები,  
დაღალული წყდება ხმა საკრავების.

[1925]

## **არ ღირს იმ ერთ ცრემლად**

მთელი ღრიანცელი ყველა პოეტების,  
დაუსრულებელი როცა კამათია –  
არ ღირს იმ ერთ ცრემლად, თვალს რომ მოედების  
და ღრმა მოგონებამ მე რომ დამათია,  
მაგრამ დაცემული არვის ვენახვები:

თუმცა მრავალია გულში დაგუბული,  
როგორც ყვავილები, როგორც ვენახები,  
დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული.  
შენ ნუ დაეცემი, შენ ნუ შეშინდები.  
გულის უდაბნოსთან ბრძოლას ეგ არ იგებს.  
ყველა ამაოა, ჯერ არ შებინდდება.  
მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარიგებს.

[1925]

### **აგვიტანს სასაფლაონი**

სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა.  
ჰაერი ლურჯი აბრეშუმია.  
ორხიდეები ეცემა ნილოსს,  
როს მხურვალეა ქვიშაზე კვნესის,  
უნდა რომ სული არ მიისილოს,  
უნდა სამარე ჰპოვოს რამზესის.  
ის იყო მეფე. ეხლაა მტვერი.  
რომ საუკუნეთ რიგი გარიყოს,  
არ შეუძლია იყოს პირფერი.  
არ შეუძლია მტვერი არ იყოს.  
და საუკუნეთ რიგს თვლის მუმია:  
მზიანი დღეა თუ სამუმია?

[1925]

### **ცხრაას ჩვიდმეტი**

ცხრაას ჩვიდმეტი! ჭიხვინებდა შავი მერანი,  
ბარიკადების მღელვარება გებარა ოდეს.  
ურიცხვ დროშების მოდიოდენ მოსიმღერენი.  
ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!

უკანასკნელად გვილიმოდენ გზაზე ქალები:  
გახსოვდეთ მასსა და მიზანი მისი გახსოვდეს,  
ბედნიერებას გვპირდებოდენ მათი თვალები,  
ბევრი მათგანი აღარ მოვა აქ არასოდეს!

მუსიკა, რისხვა და ქვეყანა, ზრუნვის საგანი...  
თითქო ყველაფერს კარი მიძიმედ გადარაზოდეს...  
ო, არასოდეს არვინ მოვა იმათთაგანი!  
ცხრაას ჩვიდმეტი არ იფეთქებს კვლავ არასოდეს.

[1925]

### სანატორია

ჰაერში დაკიდულს  
ვხედავ ტერასას  
და შემკრთალ ხეებს,  
ვხედავ ცის რიდულს,  
ავადმყოფ რასას,  
სნეულ სახეებს.  
სნებას თქორიანს  
ვინ გადურჩება?  
ილურჯება სანატორია.  
და შელამება  
შორი ლექსივით  
კვდება წამებით  
და რეფლექსიით.

[1925]

### მთელი საუკუნე მიღის

სასაფლაო და რკინის გზები.  
მკვლელობათ რიცხვი

ადამიანის სასიკვდილო ხრიალით სტკებება  
ოქროთი მოვარაყებული სირცხვილი  
ერთი ოჯახის ისტორია.  
სხვაგვარ წარსულის მქონე ტრიალი  
სანატორია...  
ეს მომაკვდავის არის ხრიალი.  
ქალი, რომელმაც გაბედა.  
ომი უცაბედათ.  
ტყვია... რა მწარეა ის, რაზედაც ჩუმად არიან...  
მთელი საუკუნე მიდის სხვებისთვის  
მინდვრების საიდუმლო,  
მთების საიდუმლო.  
სასაფლაო და რკინის გზები...  
ეს მომაკვდავის არის ხრიალი.

[1925]

## **რა ღრიანცელში ვიდოდა გემი**

დაღამდა, ნისლი გადეკრა შარას,  
ტყეს დაეფარა ღამის ბლონდები,  
მაგრამ გახედავ მთების იარას  
და უსათუოდ მოგაგონდები.

რა ღრიანცელში ვიდოდა გემი,  
რა საშიშარი იყო ტყე-ველი,  
ყველგან, ყოველში მარხია ჩემი  
სულის ნაწილი შეუმჩნეველი.

[1925]

## **წერილიდან მისღამი**

როს გამვარდება ხელით სადავე,  
გაჰქრება სული და სისადავე,



როს იმ ყვავილებს ცრემლებს ვათოვებ,  
გთხოვ: სასიკვდილოდ ნუ მიმატოვებ.

როს გამიმეტებს ჩემი დიდება  
და საქართველოს გაბედითება,  
როს წაერთმევა სუნთქვა იმედებს,  
გთხოვ: შენი ხელი ნუ გამიმეტებს.

[1925]

## **მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები**

მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები,  
მოგონებათა სიხარული და უხვი გრძნობა,  
წამომყვა ზვირთის მშფოთარება და მზეთა დნობა,  
თავს არასოდეს ისე არ ვგრძნობ, ვით გრძნობენ სხვები.  
მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული,  
მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური,  
ჩემს სამშობლოშიც აღტაცებას ვგრძნობ მეზღვაური,  
ისევ სიმშვიდის სიხარულით შემორკინული.

1922

## **წყნარი ზღვა**

ღრუბელი იდგა, როგორც ფრეგატი.  
ზღვა იყო წყნარი, ცა იყო ლურჯი,  
მიმაქანებდა ოცნება ურჩი  
ფიქრებთან, სადაც დადგა ფრეგატი.  
ფიქრებთან, სადაც დადგა ფრეგატი,  
შორს ცისარტყელას გამოჩნდა ბურჯი  
და იმედების დაანდო ხატი.  
ღრუბელი იდგა, როგორც ფრეგატი.

[1925]

## მეგობარს

ღრმაა გულის ზიანი;  
დაიბინდენ ზრახვები,  
მაგრამ თვალცრემლიანი  
ნურვის დაენახვები.

არვის ეტყვი საყვედურს,  
მაგრამ გახსოვს, იცოდე,  
ხელი იმ წამების დროს  
რომ არ გამოგიწოდეს.

გრძნობა, ბედი, წვალემა,  
რასაც ძალა ჰქონია,  
ყველა უცხო თვალების  
სისასტიკე გგონია.

წამი სანთლად იქნება,  
მღვრიე, ცეცხლისტოტება,  
ო, რა მწარე იქნება  
ღელვით გაბოროტება.

[1925]

## კაცი, რომელმაც გააქვდა

რალაც გრძნეულად და უცაბედათ –  
ამ წიგნში არის და მიხარია  
კაცი, რომელმაც ასე გაბედა  
და ის, რაზედაც ჩუმად არიან.  
ამ წიგნს არა აქვს არც ერთი ნაკლი,  
ერთია ქვეყნად მისი წვალემა.  
მხოლოდ შენ იცი, ძმაო ძვირფასო,  
უცნობი ქუჩის იდუმალება.

[1925]

## როდესაც მთვარე ანათავს დღისით

ცაზე მსუბუქი გიგანტის ტვინი,  
თეთრი ღრუბლების მიგორავს ზვინი  
განათებული ნათელით მზისით,  
რა საოცარი ჩნდა მთვარე დღისით,  
თავისით ჰქროდა ხევიდან ზენა –  
ქარი ნიავით მოქროდა მისით.  
მარად მკრთალია ლაჟვარდთა ფენა,  
როდესაც მთვარე ანათებს დღისით,  
როდესაც მთვარე ანათებს დღისით  
და სიხარული სცემს გრძნობით თვისით,  
არ არის ღამე დედამიწაზე,  
როდესაც მთვარე ანათებს დღისით.

[1925]

## რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ლელვებს

რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ლელვებს,  
ვიცი: ახლოა ის, ვისაც ველი.  
მას სამოსელი ბრწყინვალეების და გამარჯვების  
მოაქვს მებრძოლი პოეტისათვის.  
დასცხრით, ტალღებო, მზე ამოდის აღმოსავლეთით;  
მზე მოდის არა ერთი და ორი...  
დამშვიდდით, როგორც მე ვარ მშვიდი ამ მოლოდინში.

[1925]

## ღამე ხეობაში

თეთრი და მზიანი გათავდა დღეობა.  
ახალი გრიგალი მთებიდან ტრიალებს.  
ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს,  
სივრცეა მაღალი და სულის ტყვეობა.

იალებს და ჰქრება და ისევ იალებს.  
ასე რომ ჰკივიან, რა უნდათ ტიალებს?  
მომაკვდავ დემონის ხრიალით ხრიალებს  
გრძნეული ხეობა...

[1922]

## **მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით**

ვარდების ფენით ტრიალებს ჟინი,  
მთვრალი ვარ შენით, მთვრალია ლხინი.  
ოცნებას შვენი, ვით თვალნი შენი,  
შოპენი, ვერდი და პაგანინი.  
პოეტის ახლო გედება ალი;  
იგი, უსახლო, გიცქერის მკრთალი,  
მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით  
და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი.

[1925]

## **ავადყოფს**

შეხედე: ვარდნი მშვიდი თვალებით  
სძლებენ ნარიდნი მსუბუქ ძალებით,  
ვარდები უფრო კეთილშობილი  
კვდებიან სწრაფი გარდაცვალებით.

გაყვითლებულა მიდამო-არე  
შემოძარცული მთებით მოარე.  
ნუ შეჩერდები ამნაირ ქარში,  
გამოიარე, გამოიარე.

ფაენმა სიცილით მოვლო მთა-ველი  
და არა ერთი მოკლა ყვაველი.  
შემოდგომაა... ტკივილი ჩუმი  
და ხელის გულთა ნაზი ქავილი.

ყვითელო, ჩემო ყვითელო ვარდო,  
შთენილხარ მარტო, სრულიად მარტო.  
რითმების გარდა არაფერი მაქვს...  
რითი გაგართო? როგორ გაგართო?

[1923]

## **თუ ბრძოლა არ არის**

თუ ბრძოლა არ არის... ამაოებით,  
მათ ენატრებათ ისევე ძველი  
ფანტასტიური სალამოები...  
„ვიგონებ... ველი“.  
მრავალ სახეზე არის ობლობა,  
მრავალს აშფოთებს რაღაც მონობა:  
როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა?  
ვით ავიტანოთ უმადონობა?  
გაქრა ზმანება, გაქრა ფერია,  
ნუთუ ბოდღერიც არაფერია?  
შეღლიც ჰიუგოს დაეგვანება?  
მიუსსე? ვერლენ? ღმერთი? კაინი?  
აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით  
ბურუსებში სჩანს აინშტაინი.

[1925]

## **მატარებელში**

მთები აჭრელდა, როგორც ჟირაფი,  
მატარებელი მიქრის ბინდებათ,  
ეხლა იწყება ნიფის გვირაბი,  
თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

[1923]

## ადრიანი გაზაფხული

როგორც შეთქმულებს, ჩვენ არ გვაშინებს,  
რომ არ ეტყობათ რტოებს რტობა.  
სულს დიდი ხნიდან აშალაშინებს  
სხვა მარტობა.  
გაზაფხულია მაინც ასეთი,  
კეთილი, როგორც კარგი ხარება,  
ახალგაზრდობით მოკისკასეთი  
ახარხარება.  
მაღე გადნება ყინული ლოდის,  
მტკვარი ღრიალებს ტივების ტევით.  
ამოდის მთვარე... ჰეი, ვინ მოდის?  
ხელები ზევით!

[1925]

## ბინდი ღამისა გაჰქრა

ბინდი ღამისა გაჰქრა,  
ვით მოჩვენება მკრთალი,  
აღმოსავლეთმა გაჰქრა  
ყინვებს სხივების ალი.

ხავერდოვანი მდელო,  
ხავერდოვანი მთები,  
გატანილია ლელო  
და აღტაცებით ვთვრები.

ო, რანაირად ერთო  
სულს გატაცებით ქროლა,  
მადლობელი ვარ, ღმერთო,  
რომ განვიცადე ბრძოლა.

1922

## **ვარ გენია რიმანელი**

ვარ გენია რიმანელი,  
მესმის ქართა მქუხარება,  
მეფინება წვიმა ნელი  
და დემონის მწუხარება.

დავინყებულ სიმების გვარ  
ფერით ოხრავს ვილანელი,  
მე მდუმარე გენია ვარ...  
და გენია რიმანელი.

ყრუდ ვუსმენდი ლიუციფერს,  
ის ბრძოლაში მივანელე,  
ვგმოზ სამარეს და სიბერეს  
მე, გენია რიმანელი.

ვარ გენია რიმანელი,  
მესმის გულთა მქუხარება –  
მეფინება წვიმა ნელი  
და დიდების მწუხარება.

[1925]

## **რა დროს რომანსეროა**

გაცრეცილ და მტვერიან  
ცას სინათლე კლებია.  
ყვაფილებზე მღეროან...  
რა დროს ყვაფილებია?  
ცაზე ვხედავ წეროებს,  
თითქო მწკრივი ლეროა.  
მღერენ რომანსეროებს...  
რა დროს რომანსეროა?  
წყარო ხევში ვალალებს:

გაქრა გიჟი ოცნება,  
ვკოცნი მე შენს დაღალეებს,  
მაგრამ რა მეკოცნება?

23 მაისი, 1923

### **პირიმუს**

მთელი ღამ ერთი ოხვრა ექსპრესის.  
გახედავ: ძველი ციხე-ტაძრები.  
გაბზარულ ზარში არავინ კენესის:  
ეს ქარი ჰკივის და იკანრება.  
დილით სერებზე მივდივართ ცხენით,  
აქ ვერ მიატანს ზარი ტრამვაის.  
მე სიხარულით და გულისტკენით  
ვემშვიდობები მშვენიერ მაისს.  
მთებზე ნისლები არის ფენილი  
და ყვავილები თვითეულ სიმზე,  
სიზმრები ასე აუხდენელი  
და მწუხარება შენი, პირიმზე.

[1925]

### **მაინც დავიმსახურე**

მთვარემ ღამე გაათია,  
კრთება შუქთა დინება,  
ღამის სამი საათია,  
შენ კი არ გეძინება.

გავაცურეთ სადღაც ნავი  
სავსე ლურჯ ექსცესებით,  
შეგაყვარე კიდევ თავი  
ამ უბრალო ლექსებით.



ეფინება გზებს სიმებად  
ლალთა ცეცხლი, საყურე,  
შენი კარგი გალიმბა  
მანც დავიმსახურე.

4 სექტემბერი, ტფილისი  
[1924]

## ნარწერა ნიგნუა

ზნეობის სიტყვა ყრმას თუ შეფერის:  
გამოცდილი და შეუდრეკელი,  
სხვაგვარად ისმენს ოხვრა ბებერის,  
როგორც ნამდვილად ამბობს გეგელი.

მეორე სიტყვა არით არეობს  
და შეგნებამდე მიჰყავს მთელივე,  
რომ ყოველივე მიმდინარეობს  
და იმავე დროს დგას ყოველივე.

წმინდა ნათელში, ამბობს გეგელი,  
წმინდა სინათლის დიად ბადეში  
ისე ცოტაა გასაგებელი,  
როგორც რომ წმინდა სინყვდიადეში.

შედგება ფიქრი თეთრ აკლდამაზე  
გაუნელებელ ცეცხლის, ნაცარის,  
სიტყვა? სხვა არის ფიქრი ამაზე...  
ლოგოსი... აზრი – მისი, რაც არის.

[1925]

## გააფთრებული რომ იყოს ლომი

გააფთრებული რომ იყოს ლომი,  
მკაცრ თვალთაცქერას გაეცეს ვერსით

და გაგინვება ფეხებთან კვდომით,  
დამონებული მშვიდი ალერსით.  
გულში ტროპიკის შუადლით ცხელა,  
ოცნება მიქრის ველურ ცხენებით  
და მოკლულია ყოველგან ყველა, –  
დაუნდობელი გადაჭენებით.  
ცხოვრება ბედთან გადიქვა ბრძოლად,  
სულს კი მარადის სურს ციერება.  
გამარჯვებათა მე ვიგრძენ მხოლოდ  
ეს უდიდესი ბედნიერება.

[1925]

## **ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის**

ძველ სასახლეში ვეფხის ტყავებით  
ფარავდა ვინმე გობელენს, მანდილს,  
შვენოდა იგი ფერაყვავებით  
აქ სადარბაზოდ მოსულ ავთანდილს.  
ელავდა, როგორც ზმანება წუთის,  
ზურმუხტი, ლალი და იაგუნდი,  
ძველი ნანგრევი ვნახე გეგუთის  
და, უხმო დროო, შენ მომაგონდი.  
გამოჩნდა მაღალ სვეტთან თამარი,  
რეტროსპექტივი, ლანდივით ჩუმი,  
გამშრალთა ცრემლთა ნანამწამარი,  
მიეფინება მთელი სამუმი.  
არაბეთიდან მოსული მონა  
დგას, მოიტანა შორით ფარისი  
და სპარსეთიდან ლექსების კონა  
მიმოდის, როგორც ტოტი ქარისი.  
შორეულ დღეებს მახლობლად უზის  
მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის,  
ცივი ოცნება შხეფავს აუზის.  
ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის.

[1925]

## **მე არა ერთხელ მქონია ფრთები**

მე არაერთხელ მქონია ფრთები  
თავბრუდამხვევი სიმაღლით მქროლი,  
ლურჯი ტრიალით ბრუნავდენ მთები  
და ირყეოდა ლაჟვარდი ბროლი.

და არა ერთხელ მიგრძენია მაშინ,  
რომ ის მინები სხვა მინებია,  
დამვიწყებია მონამლვა შხამით,  
მაგრამ კივილში გამლვიძებია.

ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად,  
ომში მინახავს ცეცხლის ვარდები,  
იმ სიმაღლეებს ვიგონებ ხშირად:  
არ მავიწყდება ის ლაჟვარდები.

[1925]

## **იმ პოეტების ფრიალავს დროშა**

ზღვაში გადვისვრი ბედითი ბადეს,  
რომ ოქროს თევზი მოჰყვეს ცბიერი,  
მისი დანახვა მრავალჯერ სცადეს,  
მე კი ნამდვილად ვარ ბედნიერი.  
ზღვაში ჩავაგდებ საოცარ ანკესს,  
აჰა, სირენას ამოჰყვა გული,  
იგი მომასმენს მშვენიერ ჰანგებს  
და მე ნამდვილად ვარ მოხიბლული.  
დღე გაჟღენთილა ქროლვით მზიანით,  
სადღაც, სხვა მხარეს გადანატანი,  
ზღვა ლელავს ისევ ხალისიანი,  
დღე ელავს, როგორც ცეცხლის მადანი.  
მიცურავს გემი, ტრიალებს ზვირთი,  
ჩვენ გავაყოლეთ ხომალდებს კვალი,

იქ პოეტების ფრიალებს დროშა  
და დროშებს შურით გასცქერის თვალი.

[1922]

### **რაც იქნას – იქნას**

როს სიბნელეა და გზას ვერ ვიგნებ,  
მენატრებიან ფრთები თეთრები,  
მაინც არავის არ ვევედრები:  
გზა გამასწავლეთ, გავიდე იქნებ.  
იქ სასიკვდილო მახვილებს იქნევს  
ყველა ჩონჩხები, ყველა ცხედრები,  
მაგრამ არც კვნესა, არც დაყვედრება:  
წინ, გაბედულათ! რაც იქნეს, იქნეს!

[1925]

### **ერთი გავარდნილი კაცი**

აშრიალდა ნემო ტყეში,  
წამოვიდა ციდან თქეში,  
ო, ასეთი სიხარული  
არ მიგრძენია მე ჩემს დღეში.

გადმოვარდნილ წვიმის სვეტებს  
მზე ღრუბლიდან შუქს უმეტებს,  
აელვარდა ცისარტყელა,  
სჩანს რომ ბედი არ მიმეტებს.

რა რისხვაა თვალწარმტაცი,  
ამოვარდა ქარი მკაცრი,  
მე კი ხეებს ვეფარები  
ერთი გავარდნილი კაცი.

[1925]

## დადგა აგვისტო

დადგა აგვისტო. ცა რიდეული  
დაისიცხება ისევ დილდით,  
ქალაქს ედება მზე თვითეული  
ყაყაჩოებით, ტუხტით, პილპილით.

ისევე ჩქარი და უძლეველი,  
ვიცი, რადა ვარ ასე ქარული,  
ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი  
აღმოვაჩინე მე სიყვარული.

ეს სიხარული დააცხრობს გოლვას  
და გაგიჟებას უფრო უარესს,  
სურვილი ისევ უშენს რევოლვერს,  
ცას რომ ღრუბლებმა გადაუარეს.

ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო,  
მე აღტაცების ზღვაში შეველი,  
აღმოვაჩინე მთელი სამყარო,  
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.

[1925]

## ფანტასტიური იმპერატორი

ჰაერი სავსე სალამოს ყინვით  
და მოვარდნილი ფიქრის გორები...  
ილანდებოდენ იდუმალ გრგვინვით  
ფანტასტიური ორატორები.

და მიტინგები იყო მრავალი,  
იქ ადის მონა – ტორეადორი.  
თავდავინყებით მისდევს სივრცეებს  
ფანტასტიური იმპერატორი.

[1925]

## რუს პოეტს

ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი  
შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის.  
ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი,  
პალადინები ერთი იმედის.  
თითქო ერთგვარად ხედავდა თვალი,  
დაბინდებული ნისლით და ყინვით  
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი:  
შენ შენი თოვლით, მე ჩემი ღვინით.  
მივმართავ ბალმონტს, მივმართავ ბელის,  
რომ არ გვაშორებს მხოლოდ სართული,  
უდაბურება კალუგის ველის  
და მნუხარება ჩვენი, ქართული.

[1925]

## ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლის  
ბავშობიდან ვარ მაყურებელი.  
აჰა, გაიხსნა ლაჟვარდი ბროლის,  
მზე უდაბნოს მახურებელი.

მზეებო, ღრუბლებს სხივებით ვარცხნით.  
მზეებო, რამდენ ალივით ღვივით,  
მზეები მარჯვნივ, მზეები მარცხნივ...  
რამდენი მზეა, რამდენი სხივით:

ერთნი დასცქერენ ცის სიმაღლიდან,  
ჯოჯოხეთიდან ცას – მეორენი;  
ანგელოსები პირველთ ვერ ღლიდენ,  
ვერც დანარჩენებს შავი ყორანი.

არავის ქვეყნად მე არ ვცემ თაყვანს,  
მაგრამ ერთია ორივე ჩრდილი,

თუ ანგელოზი გირწევდა აკვანს,  
შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი.

[1925]

### **ვისმენ დანატრულ ხმას**

ალვა მწერვალსა ხრის  
ნაზი ტანივით სწორს,  
მთიდან ნიავი ქრის  
შორს, უბოლოოდ შორს.

შევხვდით ისევე ჩვენ,  
გზით მიმავალი გზად,  
კვლავ მოგონებებს მფენ,  
მაგრამ არ ვიცი: რად?

მზე გიოქროვებს თმას,  
ვით მონიავე რულს,  
ვისმენ დანატრულ ხმას  
და ვერ ვიმშვიდებ გულს.

ფრთადაღალული დღე  
ცდება დასავალ ცას.  
გარინდებული ტყე  
ფიქრობს, არ ვიცი: რას?

17 ივლისი, 1922.

ტფილისი

### **არ დაღუპულა**

მე გადვიარე დღეს ჩვენი მთები,  
ჩვენი მაისის წკრიალა წყარო;  
შენი ნაზი ხმა და ოქროს თმები...  
დაუვინწყარო, დაუვინწყარო.

მე მომეხვია დღეს ჩვენი ქარი  
გადაქცეული ცაღ და მიწებად,  
ქრის გაზაფხულის ნიაღვარივით  
ვნებათა ადრე გამოღვიძება.

არ დაღუპულა! ისევ იქავე  
სდგას ასწლოვანთა ხეთა ჩერება,  
გულით სიმღერა ვერ შევიკავე  
და გადარჩენის ბედნიერება.

[1925]

### **ნარწარები**

ო, ქალო ძვირფასო, ნაზო ვით ფერია,  
მწამს მხოლოდ მაისი, არ მწამს ისტერია.

და ან ყალბ პოეტებს ვინმე ედავება?  
არ მინდა, ბატონო, მათი უკვდავება.

ან ტომებს ბრყვისას მე რა წამაკითხებს,  
ისედაც კარგად ვჭრი მსოფლიო საკითხებს.

[1925]

### **შემოღობის მოტივაზიდან**

სიცვიემ ნაძვებს ძონძი გახადა,  
მოვიდა ნელი ქარვის ფერები.  
მკრთალმა მზემ ჭაობს გადაახატა  
გაყვითლებული ალვის ღერები.

სულში სიმშვიდე არის ისეთი,  
თითქო დროებით ართმევს დროებას



ამ შემოდგომის სიმაისეთი  
მოცემულ სიტბოს და მყუდროებას.

[1925]

### **ნამი ნამს ეზიდება**

ვხედავ ზამთრის ძონძები ხეებს ჩამოეკონა,  
მე კი ეს გაზაფხული ისევ ჩემი მეგონა.  
ყველაფერი გათავდა, ნამი ნამს ეზიდება,  
რა ამოა ყოფილა ნუთისოფლის დიდება.  
ყინავს. ისევ ღამეა. მოდის შიში შორევი...  
რა ამოად ირევა ნუთისოფლის მორევი.

[1925]

### **ქალავ!**

გულო, ოცნებას მაღავ!  
ცაო, ლურჯდება ზოლი!  
ვაჟი: – დაიცა, ქალავ!  
ქალი: – დაგიბრმა თოლი!  
შორით ბრუნდება წყალი,  
ნისლი იცრება მთაში.  
– არა! – ჩურჩულებს ქალი.  
– კარგი! -- ამშვიდებს ვაჟი.  
გულო, ოცნებას მაღავ,  
ცაო, ლურჯდება ზოლი.  
ისევ: – დაიცა, ქალავ!  
ისევ: – დაგიბრმა თოლი!  
თუნდა წაიყვა ჯოგი,  
კიდენ დამრჩება მრავალ.  
ბროლ-ლიკილასაც მოგი,  
როცა ქალაქში ჩავალ.

[1924]

## გზად ეშურება მგზავრი

გზად ვეშურები მგზავრი.  
ტყეს მიფენია თებო,  
ჩემი სალამი, მძლავრო  
კავკასიონის მთებო.

დარიალიდან გუშინ  
ღვარმა მოყარა ხერგი,  
სალი კლდეების ღრუში  
მღვრიედ გრგვინავდა თერგი.

გაქრა ფიქრების ზვავი,  
მზიან ამინდსაც ველი.  
მთიდან ჩამოდის კრავი,  
მთისკენ მიილტვის შველი.

[1925]

## შუადღის გულმოდგინება

გულმოდგინებას შუადღე იჩენს,  
იფენს რა ენებს, ვით წითელ ინას.  
ინყებს ათასი ჭრიჭინა ჭრიჭინს  
და ჰფხაჭნის ჰაერს, გაბზარულ მინას.  
განუწყვეტელი მათი კვარტეტი  
შუადღეს ათრობს მაისის ღვინით.  
ცის ულმობელი მშრალი ვარდეთი  
გადაფარულა თეთრი პინგვინით  
და დასავლეთით ანთებულ ფერადს  
მაღე სალამო აავსებს ლილით,  
ჩემი სალამი ახალ ქიმერას,  
თვალეზამღვრეულს დასიცხულ ძილით.

[1925]

## **მოგონება ჩვენი ჭალისა**

სალამოს ხანად ჩალანდრის ცხენი  
მე მაგონებდა გორებს შორებელს,  
ფშანში ლანდივით დაცქერდენ ხენი  
ბინდის მეგობარს მოუშორებელს.  
ცამ მოგონება გადუხალისა  
მას, ვისაც სწამდა ღამის ფერები,  
ეს იყო ქარი ჩვენი ჭალისა  
და შემოდგომის ჩალისღერები.

[1925]

## **ქველი ხელები წყდება კალიპსოს**

მოვიდა ვილაც ცეცხლივით ზანტი,  
გადაულოცა გზას ამიდები,  
სადღაც წყვდიადში გაჰკრა ასანთი  
და ააფეთქა დინამიტები.  
ავარდა ალი, მთები იწვიან,  
ალმა შფოთიან ზღვას მიუწია,  
ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია  
და დროს დაარქვა – რევოლუცია.  
ძველი ხელები წყდება კალიპსოს,  
მიჰქრის მერანი აპოკალიპსის.

16 აპრილი. აღდგომა.  
1922

## **მოგონება ყრუ შესახვევის**

უსაზღვრო ღამე. ღამე და ყინვა.  
ქუჩაზე მიდის სისხლი ღვარული,  
ამ სისხლში არის არა დაცინვა,  
არამედ სითბო და სიყვარული.

სიჩუმით, შიშით, ვაგლახით ყოფით –  
ქუჩა და სახლი, როსმე მდიდარი,  
ყრუ შესახვევში დამდგარა თოფით,  
ვით მოდარაჯე მოუსყიდარი.

უყვირის ქალაქს: ხელები ზევით!  
და ისმის კვნესა: შეჩერდი, ბნელა!  
ცეცხლის მორევი მოვარდა რღვევით  
და მის მორევში შეცურდა ყველა.

[1925]

### **მხვილობიანი სიზღარა ღვინის**

იფინებოდა ზღვების საბურთი  
ტალღათა შორის ნავთა მმოსავეთ,  
გამოქროლება ზეინაბური  
და სილაუვარდე უდაბნოსავით.

იფინებოდა ნათელ დღესავით  
ალერსიანი შუქის ფერება,  
გადაკარგული და ნათესავი  
ძვირფასი დების ხმით ამღერება.

იმ ხმით ნათქვამი თეთრი გედები,  
უმსუბუქესი ნისლით ფარული,  
ისმოდა, როგორც შორი ედემი  
და მხარეები ლეგენდარული.

სალამოს ქარში ქროდა გონება,  
ღრუბლებში ქროდა ფერი ფარჩების:  
ისმოდა გიმნი და მოგონება  
ჩემი ომების და გადარჩენის.

[1925]

## იქით ნუში, აქეთ ნუში

იქით ნუში, აქეთ ნუში,  
დახეთქილი ბროწეული.  
ისევ ალუჩების ბუში  
და ატმების ძონეული.  
გადაუგდე ნიავს ყელი,  
სიო მოქრის შებინდების,  
მოისმინე წინანდელი  
გაჟრჟოლება სიმინდების.  
შორით ელავს ჩვენი თეთრი  
კოშკის ძველი გალავანი,  
წინაპართა ჩვენთა ხვედრი,  
მათი მინა და სავანე.  
დავუბრუნდეთ... უნდობარ სულს  
თითქო კარი დარაზოდეს,  
შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს,  
არც მე გკითხავ არასოდეს.

[1925]

## ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი

ის იყო შვიდი წლის ბავშვი.  
მაისი, მინდორი, ჩიტნი,  
სიმღერა ოქროსფერ ნავში,  
ზეცათა ლაჟვარდი ჩითი.  
ო, შვიდი... ო, შვიდი წელი  
ოქროსფერ, ოქროსფერ ნავით...  
მოცარტი, შენიე, შელლი –  
მოზვავდენ ახალი ზვავით...  
გავიდა კვლავ წელი შვიდი,  
იმ ნავებს თან გაყვა რული,  
მშფოთარედ გადიქცა მშვიდი,  
გემების გამომწნდა სული.  
დაიმსხვრა გემების წყებაც,

ზღვა ქუხდა ბურუსში შავში,  
ტალღებმა გააბეს ყეფა,  
ტალღებმა ნაიღეს ბავშვი.  
ბრძოლისგან დაღლილი სახე  
და ტყვია ჩამჯდარი თავში,  
მე თვითონ დაჭრილი ვნახე  
ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი.

[1925]

### სალამო სოფლად

გზას ვერ პოულობენ მწკრივი წეროები,  
გზას ვერ პოულობენ ნელი ნიავეები,  
ოდნავ ირხევიან ისლის ღეროები,  
მთების შეღამებით მონაიავეები.

ყელი მელანდება გადასაკონელი...  
რალაც მომაგონდა, რალაც დამავალე.  
გზებზე მიმავალი ბლავის საქონელი  
და ცას ენაზება შუქი დამავალი.

მღვრიე ხაბოებში სძინავთ სანაოებს.  
შენ ხომ არავისთვის არ ხარ შორებელი?  
ისევ სიხარული, მაგრამ ამაოა:  
მოდის მეოცნებე გაუსწორებელი.

[1924]

### დროის უარმყოფელი

ღამის ფოთლებმა დაფარა მთები  
და ძილს მიეცა მშვიდი სოფელი;  
შენ ისევ ისე ბუხართან თბები  
ახალი დროის უარმყოფელი.

შენ თან წაიღებ უცხო გრძნობაში  
ჯერ ყველაფერის უცნობ ფერებით  
ტკივილს, მონახულს უარყოფაში  
და სულს დადალულს ეფემერებით.

მაგრამ, როდესაც მიხვიდე შორეთს,  
გზაჯვარედინზე მე იქ დამიცა.  
გავიყოთ. გქონდეს ცა უმორეგო,  
მე კი დამეთმოს ეს დედამინა.

[1925]

### **აფიშა, როგორ...**

აფიშა, როგორ უაზროდ გცემდა  
წვიმა და ქვიშა  
უცნობთა ზვირთთა. შორეულ გემთა  
დიდი აფიშა.  
მწარე შურისგან თვალები ბადრი  
გადიქცა თალხი,  
თითქო ყირაზე იდგა თეატრი  
და ქუხდა ხალხი.  
შენ აამალლე პოეტის ტახტი,  
დამკვიდრდი შიშად.  
შენ ისტორიულ აფიშად გახდი,  
უკვდავ აფიშად.

[1923]

### **ო, გადავეშვათ უფიქრებლად**

ო, გადავეშვათ უფიქრებლად ზღვების თამაშში,  
ნუ გეშინია, არ დავკარგავთ გზას აკლდამაში.

ჩვენ დაგვიკარგავს ჩვენი გულის ხმა შორეული,  
ათასი ხმიდან მხოლოდ ერთხელ ჩამორეული;

ათას სიტყვაში მხოლოდ ერთი მწუხარეს ბაძავს,  
რაღაც კარგზე და მშვენიერზე ატარებს ძაძას.

ვეძებ ამ ერთ ხმას, ამ ერთ სიტყვას უნდა მონება.  
მასზე ატარებს ძაძას ჩუმი გამოგონება.

[1924-1925]

### **მივდიოდით ალაზნის ველად**

დაფიქრებული მივდიოდით ალაზნის ველად  
და აი, თვალწინ გაიშალა ლურჯი იორი:  
მიეშურება ველთა შორის განოლილ გველად –  
უფრო დიადი არ მინახავს რამ მაგიერი;  
მაგრამ შვენებათ ციურთათვის მე არ მეცალა,  
ვეშურებოდი თელავისკენ, რომ გაძარცული  
ციხე-კოშკიდან საბურავი გადამეცალა  
და ნანგრევებში დამენახა ჩვენი წარსული.  
ვხეციალობდი მთელი ღამე განწირულებით,  
ჩუქურთმა თითქო სიძველეთა იყო ხუნდები.  
შორით მოსჩანდა დაღესტანი ნისლის ქულებით,  
სამი დღის შემდეგ ისევ ტფილისს დავუბრუნდები.

[1922]

### **ყვავილეების ქალი**

როგორც საღამო მკრთალი,  
სდგას ყვავილების ქალი,



ელავს ჩამავალ მზეში  
იაგუნდი და ლალი.  
თვალწინ ეშლება მცხრალი  
სასაფლაოთა კვალი,  
აი, სამარეთ წყება  
და დახუჭული თვალი.  
აი, ოდესმე მთვრალი –  
ეხლა ჩამქრალი ალი,  
აქ განისვენებს რწმენა,  
სწუხს ყვავილების ქალი.  
სწუხს ყვავილების ქალი,  
სწუხს ყვავილების ქალი,  
ხედავს დამარხულ იმედს  
და ებინდება თვალი.  
იყო მარადის მკრთალი  
მისი ცოდვა და ბრალი,  
აქ ძველი ხანა მოკვდა:  
სწუხს ყვავილების ქალი.

[1925]

## **ლოცვაზე უფრო**

ახლოვდება შორი მგზავრი.  
გზა სივრცეში გროვდება!  
ელექტრონის სუნთქვა მძლავრი  
ჰაერს არ მოშორდება.

აფეთქდება უცებ გაზი  
და კივილით შედგება,  
რომ ლოცვაზე უფრო ნაზი  
იყოს ეს აფეთქება.

[1925]

## სიხარული ბრძოლაში

თვალებს აღარ უქრება  
ცეცხლიანი ბუგრები,  
ვიცი, რად მემუქრება,  
ვიცი, რად ვემუქრები.  
ციდან იასამნამდე  
ლამე უცდის ალიონს,  
ვეუბნები დამნებდეს,  
დაცხრეს, მოინანიოს.  
ვკლავდე, სისხლით ვღებავდე  
– მაინც უნდა შემეხას,  
მაინც გათენებამდე  
არ ვგრძნობ უედემობას.

[1925]

## ტფილისს სძინავს მძიმე ძილით

ტფილისს სძინავს მძიმე ძილით,  
მხოლოდ მტკვარი ხმაურობს,  
ვარსკვლავების თეთრი თრთვილით  
ქარს სურს გვამოგზაუროს.

და ქრიჭინა ჰაერს ბზარავს,  
მკათათვეა. ლანდები.  
არც ვოცნებობ, არც არავის  
ზრუნვას ვუგვიანდები.

სულში კოშკი არ შენდება,  
ეხლა აღარც ღმერთია.  
საცა არის გათენდება:  
ყველაფერი ერთია.

4 სექტემბერი, ტფილისი,  
ხელოვნების სასახლე

[1925]

## შენ, ამხანაგო, დღიურ პროზიდან

მეოცნებესთვის ბედმა მოზიდა  
ახალი ქარი ცვალებად-მქროლი,  
შენ, ამხანაგო, დღიურ პროზიდან  
ეფემერებში ხარ ანასროლი.

შენ საიდუმლო გადასაგები  
უფრო გიტაცებს ნისლში გამქრალი,  
ვინემ ახსნილი და გასაგები  
სიბრძნე დიადი და სიტყვა მშრალი.

შენ მელოდიას უფრო იგონებ  
საქართველოზე თქმულს მზიერებით,  
ვინემ წიგნების უღრმეს სტრიქონებს  
ვერდატეული მეცნიერებით.

სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს  
უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობა:  
დღის სინათლე ჰკლავს ლამის სიცხადეს  
და სიყვარულს კი მჭერმეტყველობა!

და ჟრუანტელით ისე, ვით ბავში,  
შენ საუკუნე გიცქერის შიშით,  
მიექანება ის ბრძოლის შვავეში  
ფხიზელი მიზნით და ანგარიშით.

[1925]

## ილიმეზიან სახლავი

ვარდებში ქარი ფათურებს,  
აფეთქებულან ბალები,  
დღეს აღარ აუმადურებს  
გულცივი, წყალწასალები.

იღიმებიან სახლები –  
გაქრა შიმშილი, სიცივე,  
დამშვიდებული ძაღლები  
ქუჩებს ერთგულად იცავენ.  
ყველამ იპოვა საფარი –  
ვინც ეხლა უმეზობლოა,  
გაქრა წარსული ზღაპარი,  
ეხლა დამშვიდდი, მსოფლიო.

[1921, 1925]

### ცეცხლი

გადაბიზინება, ცეცხლო, შენმიერი. ალთა ხვეულები სოფლებს  
მიანებეს  
ქვეყნად იფითრება მაინც მშვენიერი მკვდარი სხეულები  
აღამიანების  
ხშობით საშინელით, თხრილში ჩაჩრილები ნისლი მორგებია  
სახე-ფითრებული  
ეხლა საშინელი გროვა დაჭრილების თითქო მორგებია  
დასახიჩრებული.  
მინდვრის ბალახები, იგრძნობს ადამიცა, ამეტისტებიან ხეთა  
ჩარჩოები  
მოდის ქალაქები, მოდის დედამინა, სადაც იზრდებიან რკინის  
ლეროები  
მაგრამ... საათია: ხანა ადრიანი დალლილ მოსანგრეებს სძინავთ  
დალაგებით  
სამოცდაათიან სანტიმეტრიანით მიანგრ-მოანგრეის იგი  
ქალაქები.  
ველი ქალაქს იქით, ომით დაირღვა-რა, ერთი მეორეში წვიმით  
იცომება  
განა სისასტიკით რაც აქ დაიღვარა სისხლის მორევები,  
გამოიზომება?

მხეცი თოკიანი დაქრის უვნებელი ქვეყნებს შევლებია ცეცხლის  
მეზოდენი,  
დადგა ოკეანე დაუსრულებელი... ეს ხომ ცრემლებია... მაგრამ  
ესოდენი?

[1925]

### უბინაო გავშვები

დღეები თოვლით გადიბალება  
და როგორც თავზე ხელის ალება,  
ფანტასტიურმა მოჯარა გემმა  
ბავშვების გროვა, მთელი ბოგემა.  
ო, განწირულო და დაღუპულო,  
ო, უბინაო, უგზო, უფულო,  
არც სამოსელი, არც ხელთათმანი,  
ფეხსაცმელებში მთელი ბათმანი  
თოვლი და წვიმა. ღრმა გულისცემა...  
ბოგემა.

როგორც წვიმაში ნაზი სუმბული,  
იგი დგას ცრემლში ამონუმპული,  
ძაღვებიც მათ ბედს არ შენატრიან,  
მაგრამ გაისმის დილაადრიან  
მათი თამაში, ხმაური, ცემა.  
იერიშებზე მიდის ბოგემა.

[1925]

### ეჯახებთან პლანეტები ერთი მეორეს

რბიან დღეები. სული დაეძებს უშორეს ხაზებს,  
სივრცეებს მზეთა უშორესთა სპექტრო ანაზებს,  
მე ვცხოვრობ გულით შფოთიანად მცემარეთ შორის,  
რომელმაც დაგმო სიმშვიდეთა მკრთალი სახება...

იქ სიმძაფრეა და შეძახება:  
ეჯახებიან პლანეტები ერთი მეორეს.

[1925]

### **სულ ადვილია რწმენა**

გავს შემოხაზულ ვაზას  
შებინდებული ქერი,  
სად მცენარეებს ხაზავს  
სწორ ირისების ფერი.

სულ ადვილია რწმენა  
და დაჯერება იმის:  
არის ვარდების ფენა,  
ფენა მთვარეულ წვიმის.

მოვა ახალი სმენა  
აქარიშხლების მძაფრის.  
სულ ადვილია რწმენა  
აუხდენელი ზღაპრის.

[1925]

### **მხოლოდ ბრძოლების სურვილით სავსეს**

მხოლოდ ბრძოლების სურვილით სავსეს  
დედამინისთვის რა აქვს დასათმი?  
ხანდახან კლდესაც ედება ხავსი:  
ზიზლი მარადი და ყველასადმი.  
ო, ყველასადმი! გრძნობით ასათვის  
ხმათაგან ესმის გველის სისინი;  
ყველა მისთვის და ის ყველასათვის  
უცხოა, მაგრამ სძლევენ ისინი.

მხოლოდ როდესაც მას ვხვდები, ძველი  
გრძნობით გალხვება გული რკინისა,  
გამახსენდება უდაბნო ვრცელი  
და სიამაყე ბედუინისა.

[1925]

### **ორად გაიპო ნითელი კლდე**

ორად გაიპო ნითელი კლდე, ავარდა რაში,  
ნითელი რაში, ნითელი გზით, ნითელ უნაგრით,  
ნითელი კაცი  
მოახტა მერანს, გაიარა ნითელი შარა,  
აჰა, გამოჩნდა ზღვა ნითელი, როგორც მარჯანი,  
შუა გააპო ნითელი ზღვა,  
ჩაჰყო მის გულში სისხლიანი ხის ყავარჯენი,  
ზღვიდან სიცილით ამოიღო ნითელი გველი  
და ნითელ გზაზე გადააგდო უზარმაზარი.  
ციდან წვეთნვეთად მოდიოდა ცეცხლები მწველი,  
და მძლავრდებოდა დედამინის ომი საზარი.

[1925]

### **გადავიარეთ მრისხანე ზღვები**

მტევნები სავსე მზის ალუბლებით  
გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად,  
მახარებს ჩემი თავისუფლება –  
და სიყვარული მახარებს მარად.

გადავიარეთ მრისხანე ზღვები  
ქარიშხლის და ზღვის მონებაში,  
გატაცებები სხვები და სხვები  
იფანტებიან მოგონებაში.

და მიიზიდენ მძლავრი გემები,  
ვით ცხელ უდაბნოს ქვიშიან ველად,  
სიზმრები, პალმა და აქლემები,  
რალაც მიძიმედ და განუძრეველად.

[1925]

## **ბრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ**

ხომალდს, ქაფიან ქარებში მავალს:  
მან მოიტანა ოცნება დღემდე.  
იგი გრიგალებს გადურჩა მრავალს:  
გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ.

[1925]

## **შემოდგომის ყვავილაზი**

სალამო, მახსოვს, წუხდა ქარივით,  
ამ ხმაში იყო ფარული დარდი.  
დაფნა და ვარდი მოჰქონდათ ქალებს,  
შემოდგომების დაფნა და ვარდი.

მე კიდევ ნავალ. მე კიდევ ვივლი,  
გათენებამდე უნდა ვიბრძოლო,  
არა ერთი მსურს ვპოვო ყვაველი  
და დამჭენარები გადავისროლო.

[1925]

## **ბალახები**

ისევ აფშვენენ სურნელებას ბალახნი ველად,  
მაგრამ არავინ მათ არ აგროვებს შესალოცველად.  
პარტახი. გზებზე იფინება შქერი. რა გინდა?



ვაზებში ფშატა გადაბიბინდა. და წყალი წმინდა  
ათას შხამიან ბალახებით გადაიხატა.  
მაგრამ მე სულ სხვა შთავისუნთქე ხალისით ზეცა,  
ვარდის ღრუბლებად სივრცეზე რომ გადაილენა.

[1925]

### **მთვარე ჭაში**

დაღალვით ხეზე მიწოლილა მოხუცი რაში,  
მის წინ დევები იღერებენ ეშვებს და დინგებს  
და თეთრი მთვარე საიდუმლოდ ჩასული ჭაში  
განცვიფრებული უყურადებს მიმავალ ჭინკებს.  
ამ სიჩუმეში ვინ დათვალოს გზანი, ჰუნენი?  
აქ წარსულშიაც და მომავალშიც  
შეჩერდებიან საუკუნენი.

[1925]

### **მუხები**

ვაზები გახმა, აღარ მოაქვს ნაყოფი ხეხილს,  
გადაუვლია აქაც ქარტეხილს.  
მაგრამ შეხედე: ძველისძველი დგანან მუხები,  
რაც ბერდებიან, ემატებათ თითქო სიახლე.  
მომავლისათვის სიახლე აქვთ ხელშეუხებები –  
ახალ ქართათვის აგებული მძლავრი სასახლე.

[1925]

### **ქაჯები, ალები, ჭინკები და სხვ.**

გაქრა ლანდების ქარი მრავალი:  
ხარხარით ტბიდან ამომავალი,  
ალი მომალლო.

ქაჯებს არ მალავს მსუბუქი ჯაგი,  
მგზავრებს არ უცდის სული ვერაგი  
მდინარის ახლო.

ჭინკები მცირე ეშმაკის ტანის,  
დასაბამიდან მტერნი წმინდანის,  
არ იჩქარიან,  
და არ დაქრიან, როგორც ზღაპრები,  
ცოცხები, ბზები და თავსაფრები  
ლამეს მთვარიანს.

ფრთიანთა გროვა ილლიის წამლით  
არ ტირის სოფლად ნაპოვნ ფეშტამლით,  
როგორც გოგონა.  
და ავი თვალის შელოცვით მკვდარი,  
არ უცქერს, როგორ ელავს საყდარი –  
ჭიაკოკონა.

უჟმურთ ქაობში ცვრით დანამული  
აღარ გაისმის ეს ჟრიამული,  
გაჰქრა შაბაში!  
არ სწვავენ ფიჭვებს, არ სცემენ ზარებს,  
გამტყდარი ზარი არვის აზარებს  
სადღაც შორს, მთაში.

გათენდა, მორჩა. დაიწყო დილამ  
სხივების თოვა  
და გაიფანტა უსივრცობაში  
ჭინკების გროვა...

[1925]

### **ცხოვრება ჩემი**

ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია,  
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე,

მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,  
რომლის გარეშე – უკვდავებაც არაფერია.

თეთრი დღეების ისევ ისე მიმყვება დასი,  
არ მომწყინდება სადღეგრძელოდ ავსნიო თასი

თქვენი, რომელთაც გატაცება... მხოლოდ... უინია.  
მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია.

13 თებერვალი,  
1922

### **აუჩქარა ცხენმა გზაში**

აუჩქარა ცხენმა გზაში,  
ქიმერებმა დაჰკრეს ტაში,  
დაიკივლა ელვამ ცაში  
და ღრუბლები შეაჯერა.  
აჰა, ბრძოლა დაათავე,  
ნაპოვნია მზის სათავე,  
დაუჭირე რაშს სადავე.  
ხედავთ? იგი შეაჩერე!

[1925]

### **ზამთრის მოტივებიდან**

ქვეყნად კვლავ მოდის დაფარულთა ფერთა ხსენება,  
მტრედისფერ გზებზე უთეთრესი გედით რხეული.  
იქ, სადაც მეფობს მისი ძილი და განსვენება,  
სიმაღლეების სიზმრებია ზამბახეული.

თოვლზე უთეთრესს, მე არ ვიცი, მას რა დავარქვა.  
მისი მოვლენის ზმანებისთვის მეპოვა დარდი.  
იყო ახალი ყვავილების ცეცხლთა აქარგვა  
და იგი მხოლოდ ქვეყანაზე დარჩა წარმართი.

[1925]

## წინამურში რომ მოკლეს ილია

წინამურში რომ მოკლეს ილია,  
მაშინ ეპოხა გათავდა დიდი,  
ძველი სიმღერა და იდილია.  
ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი.  
მოქონდათ წინად პასტორალები,  
ბალთა მნათობით გადამთოვრება,  
როგორ ოხრავდენ მათზე ქალები,  
რა მშვიდი იყო მათი ცხოვრება.  
დრო იყო: ომით აუსახველი.  
დღეებს იმედი ესაკიდება.  
რა მოსწავრად ქუხდა მათი სახელი,  
რა დიდი იყო მათი დიდება.  
დადგა ცხრაას რვა, ახალი ლანდი.  
ჩემთვის სიზმრებში უცნობია ჯერ  
ახალი წვიმა, ქარი, დალანდი  
და მთელი ხანა წიგნის: „Crâne aux fleurs“.

[1921]

## აგერა! აჰანდე! დასასრული!

აგერა! აჰანდე! სულის შემხუთავი ქარი უწყალოდ კვნესის,  
დასასვენებელ კუთხეს ეძებს თავგადაკლული.  
მიაქვს იერიში, მედგრად ეხეთქება, რომ შეიჭრას და შეანგრიოს.  
ბზრიალებს თითისტარი... აგერა! აჰანდე! ნაკვერცხლებმა  
გადიკრეს ფერფლი.  
„დაილოცა სოფელი! სოფლის ჭირიმე! რაა ქალაქი?  
ქალაქი? მჭამელი და მაინც მშიერი. აგერა! აჰანდე!“  
ბუხარში ცეცხლი გრიალებს. ისმის სიმღერა:  
„კაცის გული ისეთია,  
ვით მორევი შავი ზღვისა,  
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,  
მაინც ენატრება სხვისა“.

[1925]

# ლექსები

დაწერილი 1921-1926 წლებს შორის



## სალამო

„ეხლა ასეთი სიმართლეც კი არვის ამინებს“, –  
მხრების აწევით ამბობს ქალი და მიუთითებს  
სასაფლაოზე დაფენილი ვარდების წყებას –  
შავებით მოსილ ქალთა შორის დაცემულ ქალებს.  
ქალ-ვაჟი რალაც იდუმალათ უცქერს ერთმანეთს,  
უცხო ენაზე ლაპარაკობს ლამაზი ქალი.  
„ილაპარაკეთ, მე თქვენა გთხოვთ, მხოლოდ ქართულად!“  
„მე ისედაც ბევრს ვლაპარაკობ, ასე მგონია.  
ასე მგონია, შეგაწყინეთ კიდევაც თავი“.  
„არა, მე თქვენთან საუბარი არ მომწყინდება“.  
„ნუთუ თქვენ ეხლა შეგიძლიათ გულდამშვიდებით  
საუბრის სმენა? განა ეხლა ასეთი დროა?“  
„მე დაგიგდებთ ყურს თუნდ მთელი დღე და მთელი ღამე,  
მე დაგიგდებთ ყურს თვეობით და წელიწადობით,  
ილაპარაკეთ, გვედრებით... ოღონდ ქართულად...  
ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“...

## ქრონიკა ერთი ღლის

თოვლჭყაპიანი ქარი,  
სამი სიკვდილი – ღამის,  
სადღაც ხმაურობს მტკვარი,  
აი პორტრეტი სამის.

გზები ცივი და სველი,  
ელექტრონების შხამი,  
მინერ-მონერა ძველი  
და უბედური წამი.

ღლის არ გელირსა ნახვა.  
უდაბურება. სისხლი.  
მწარე წელიწადს გაყვა  
ზედმეტ ცხოვრების ნისლი.

\* \* \*

დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია,  
თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეფერი.  
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,  
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი.

მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა,  
მე კი ჩვენი დამიფარავს მთანმიდა.  
მანდელი სჩანს ისევ იმ მანდილათა:  
შხამსაც შევსვამ შენგნით მოწვდილ სასმითა.

\* \* \*

როცა დაეცა შური ბინდისა,  
დამძიმებული მუქი ხავერდით  
ამართულიყო ის მთანმინდაზე  
სიკვდილის გვერდით.  
სვამდა ამ წვიმას მრავალი თესლი,  
რომ გაზაფხულზე ყვავილთა ველათ  
ამოსულიყო ზღვა უღეველი,  
ახალ მთესველათ.

## **კაკლის ხე მთანმინდაზე**

თითქო დაეშვა შავი ფარდები,  
ლამის წყვდიადში ისე მწარდები.  
ცივია გული? არ შეუყვარდი?  
არაფერია, შეუყვარდები.

თითქო რაიმეს ნიშნავს, რომ ბნელი  
ლამით იმავე მეგობარს ელი,  
არაფერია, არაფერია –  
მოვა სხვა, უფრო დაუძლეველი.



წარსულზე ოხვრას რისთვის უნდება  
ყოველი დღე და შებინდბუნდება?  
თითქო ბერდები? არაფერია!  
ათასი წლისაც არ დაბერდები.

\* \* \*

სდგას ხეივანი სასახლის წინ. მთვარიან ღამით  
მას აგონდება დამსხვრეულთა დროთა რხევანი,  
ადამიანთა ტალღა მიდის წამითი-წამით.  
ომები, ჯარი, ავსებული სხვადასხვა შხამით,  
სხვადასხვა მხრიდან მოგონებათ სცემს შადრევანი.  
მაგრამ მას ახსოვს: დაივიწყა ღამის თევანი,  
მოვიდა ქალი ცისფერ ლიფით, თვალეზე წამით  
და მასზე ფიქრში მთვარეული წამოსასხამით  
სდგას ხეივანი.

გაშლილი თმები. მწუხარება გრძელი წამწამით  
უეცრად შემკრთალ შუალამის – მღვრიე მტევანი.  
„მკაცრო დღეებო, – ამბობდა ის, – თქვენ გამანამეთ“...  
სდუმს ხეივანი.

## ახალი მზე

ვარდით ნამებს იტაცებდა ხშირი მზე,  
მე ვფიქრობდი ახალგაზრდა ირემზე,  
შენს ნათელზე ვოცნებობდი, პირიმზე,  
გულში ცეცხლი ელვარებად იქნება.

სადაც ჰყრია დამსხვრეული ლოდები,  
რომ მიჰფინოს სვეტს დაფნების ფოთოლი,  
სადაც ლელავს ნიმფა და ასფოდელი,  
ახალი მზე სურვილს გადენიგნება.

## იშლებიან ყანაჲი

მოფენილი ქალებით,  
სავსე იდუმალებით,  
ქარვად მონაზმანები,  
სივრცით დანათავები  
იშლებიან ყანები,  
როგორც ვეფხვის ტყავები.  
სამხრეთით ვნებიან  
მხარეს ეშურებიან  
ჭაობების იხვები,  
სიმაღლეებს მიყვება  
ფიქრი ოქროს ნავებით.

## აი, რა მზის სიზმარია

აი, რა მზის სიზმარია,  
აირევი, ივერია...  
აი დროშა, აშორდია,  
ჰაერების სიბერეა.

## მთა

ის, მონყვეტილი ყოველგვარ საგანს,  
გაიყურება შორს დაჟინებით,  
სადაც მხარეა გაუგებარი,  
სავსე წუხილით და დაშინებით.  
და აი, ჩნდება ჰაერში რაში  
და იფარება გველის სლიანი  
და ედევნება მირაჟს – მირაჟი  
შეშინებული და ნისლიანი.  
შეტაკებები მკაცრი და მწარე  
ეფინებიან ველებს მზიანებს,

გამოჭრილი აქვს ყელები მინდვრებს,  
როგორც დაღუპულ ადამიანებს.

## ზღაპრებიდან

ქართული ოდის აივნის გვერდით  
მე მახსოვს მუხა,  
მუხიდან ტყისკენ ბილიკი ფერდათ,  
ვერხვები სწუხან.  
ტყიდან ოდისკენ ბილიკი მოდის,  
ახლოა მოლი.  
ამოდის მთვარე და ძველი ოდის  
იშლება ზოლი.  
სდგას აივანზე ლამაზი ქალი:  
მონყენით ნუ ხარ.  
ტყე შრიალებდა – იყო ტყის ძალი,  
შრიალებს მუხა.  
პირიმზე, ჰაა? ხედავ, პირიმზე!  
ამოდის მთვარე.  
ტყე განათლდება ქედზე – ირემზე,  
ვერცხლდება არე.  
რა საოცარი, რა საუცხოვო  
ლამეა, გესმის?  
ვერხვის შრიალი, ამო და უცხო  
შრიალი გესმის?  
ო, ვარსკვლავებო, ო, თეთრო მთვარევე,  
მამა და დედა,  
გესმით თუ არა ჩემი მწუხარე  
ოხვრა დღეზედა?  
ო, დამიბრუნე მე ჩემი გული,  
მშფოთარე ქარო,  
ჩემო მძლავრო ძმავ, შენი ერთგული  
ვიქნები მარად.  
ო, გაიგონეთ ჩემი წუხილი  
ვარდებში რგული,

ო, დამიბრუნეთ საბრალო გული,  
მოკლული გული.  
აღმოსავლეთო და დასავლეთო  
ზღვებო, მიწებო,  
შენ, სამხრეთო, და შენც, ჩრდილოეთო,  
ჩემო ბიძებო.  
ხედავთ თუ არა წამებას ჩემსას?  
დაღლილ თვალებით.  
ო, შემიცოდეთ, ო, შემიცოდეთ.  
არ გებრალეებით?  
ოკეანენო, მდინარევე, ზღვებო,  
შორო და ახლო,  
მოსიყვარულე ნათესავებო,  
მე მინდა ვნახო...  
ველ-მინდვრებისა და მთების ზოლო,  
ველი ნელებას.  
მომეცით გული, მოეღოს ბოლო  
საშინელებას.  
სნეული ვერხვი ოხრავს,  
სნეული, სნეული ვერხვი.

## ოგნიზუსით

ეზოს ახსოვს ყოველ წუთის  
შარაგზა და გადაღმა.  
ისევ იქ დგას ჩრდილი თუთის,  
ცაცხვები კი გადახმა.  
და ტირიფიც მაღლარ ტევნით!  
სასაცვილო ტირიფი.  
გადახრილი ზედმიწევნით,  
მსუბუქი და ირიბი.  
დაფენილი, თითქო ომში,  
ფშანია თუ ჟალტამი?

ველად ყრია ლურჯი კომში  
და ცისფერი ატამი.  
ალუბლები ისევ ქრიან –  
სევდიანნი სიონი,  
და სახელად რიონს ჰქვიან  
ისევ იგი რიონი.  
ისევ ჩნდება მწყერით ველი,  
ლალლა თვალს ეცეცება.  
ღამღამობით მოდის მგელი  
და საქონელს ეცემა.  
დარჩენილი მინდვრად ჩალა,  
დანისლული კოპიტი.  
განადგურდა მეფის ჭალა –  
ჩრდილი შემოდგომითი.  
ომნიბუსო, მახსოვს შენი  
შარაგზებზე ჟღარუნი,  
ძველი დაბა ახალშენი  
და ქვიტკირის წყარონი.  
ბარს ედები, ცას ედები,  
წყალს, დაღარულს დამბებით,  
მოგაქვს თეთრი გაზეთები  
მუდამ ძველი ამბებით.

## ჭარხალი

ეზოში ყეფდა ბამბურა მურა,  
ეზოში მწვანე ყვაოდა ბაო.  
ვაზის ბარდებში სცურავდა სურა,  
შენ ბანცალებდი, ბურულო ცაო.

ბობრი ბელავდა კახამბალს, ჟოლას,  
ბირკვილს ბატები ქარმა მორეკა,  
ცა წამოიწყებს მსხვილ წვიმის სროლას  
და აბლაბუდას კრებს ბობორიკა.

ჟვერი, ჟალტამი! მოჭრილი სამხარს,  
ნახირი მოდის სალამო დროის,  
უცებ მოყვება ჭარხალი ხარხარს  
და ქალი ჰკივის იმ „დოი-დოი“-ს.

ეკვეთა ქარი ბურდებსა და რტოს,  
უცებ ამფოთდა ისლი, ჩელტები.  
ო, სიყმანვილე! ანი არასდროს  
იმგვარად აღარ ამეტყველები.

## ნერილი სოვლიდან

მომინდა თქვენი სპეტაკი ბინა:  
აქ სოფელია, წვიმა, რუტინა.

შემოდგომაა. წვიმამ მოლია  
ტყეთა მსუბუქი მელანქოლია.

ზაფხულის დღეთა ის ქაფი ჰქრება,  
არის ცეცხლის ხმა და ჩაფიქრება:

იმლება თვალწინ ფერადი ნოხი –  
თქვენთა მშვენიერთ ნამწამთა ქოხი.

იმ დარდათ ჩემს გულს ხშირად სწოლია  
ტყეთა მსუბუქი მელანქოლია.

არ გებრალეებით? მე მქონდა გული,  
ეხლა ის არის როგორც ყინული.

თქვენ კი ჯერ ისევ მაისს ედრებით,  
მომწერეთ რამე, ოჰ, გევედრებით.

ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული  
ღრმა მწუხარებით შემორკინული.

## მოდის ჭაღების სული მცურავი

შენ არ იგონებ ეზოებს, ფაცხებს,  
არ გახსენდება დიდი შარაგზა.  
შენ არ დაუწყებ საუბარს ცაცხვებს,  
ალარ გაუბამ მთებს ლაპარაკსა.  
არ გაგონდება ჩვენი თუთები,  
არ გაგონდება ჩვენი ფშანები.  
არც შორი სახლი ნასათუთები,  
არც ღრუბლიან დღის კაეშანები.  
ტყე, შემოსილი ჩქარი ფშატითა,  
ჩუმი შრიალი ნეკერჩხალისა,  
მდინარემ წყალი შემოადიდა,  
კოპიტებთან დგას ზვირთი წყალისა:  
დაფარულია მთელი მინდორი,  
თანდათან მღვრიე რიონი მოდის,  
მოაქვს ხაბო და ნასიმინდარი,  
მოაქვს ამინდი წვიმის და შფოთის,  
მოაქვს ხეები, მოაქვს მორები,  
მოაქვს ჭაღების სული მცურავი,  
მოუახლოვდა სახლებს მორევი,  
მდინარის რისხვა და სამღურავი.

## ყვავილეტი და ღვინო

წყნარზე წყნარო მზე და ღვინო,  
შვეების წყარო, მზე და ღვინო,  
მე მთვრალი ვარ სიყვარულით.  
არ დამცარო, მზე და ღვინო,  
    მშვიდათ, წყნარო  
    შვეების წყარო,  
არ დამცარო, მზე და ღვინო.  
მე არ მინდა, მზე და ღვინო,  
წყალი წმინდა, მზე და ღვინო,

უცხოელი არ გეგონო,  
მე ვარ კინტო – მზე და ღვინო.  
მე არ მინდა  
წყალი წმინდა,  
მე ვარ კინტო, მზე და ღვინო.  
შენში არი – მზე და ღვინო,  
ყოფნის არე – მზე და ღვინო,  
ყვავილებიც, ეშმაკებიც  
და სამარეც, მზე და ღვინო.  
შენში არი  
ყოფნის არე  
და სამარეც – მზე და ღვინო.  
ნამდვილ სუფრას – მზე და ღვინო,  
არის უფრო მზე და ღვინო,  
სიკვდილამდე აღტაცებას  
ესაუბროს მზე და ღვინო.  
ესაუბროს,  
როგორც უფროსს,  
ქართულ სუფრას მზე და ღვინო.  
ეტყვის ყველას, მზე და ღვინო  
სადღეგრძელოს, მზე და ღვინო,  
იყოს მრავალჟამიერი  
საქართველოს მზე და ღვინო.  
ეტყვის ყველას  
სადღეგრძელოს  
საქართველოს მზე და ღვინო.

## აღის თასი

ცეკვავს ქალების დასი,  
მთვრალი მუსიკის ჟინით.  
აღის მომეცით თასი,  
სავსე ძლიერი ღვინით.



მე იმ დაღუპულ სულთა  
ერთ სადღეგრძელოს ვკვივი,  
მისას, რომელსაც სძულდა  
მშვიდი დღეების ტივი.

იყოს უფსკრულის პირად  
სტვენა, გრიგალი, ზარი...  
ოჰ, სასტიკია ხშირად  
მათი სიცილის ქარი.

გიმნი უგონო დღეებს!  
აქ იბადება რკალი –  
უცნობ გენიის ბედი  
და განწირული ქალი.

## **დროა**

ღვინის გადაჰკარ თასი,  
ასი ათასი, ასნი!  
ეს ადვილია, ვინემ  
შველად მოვიდეს ვინმე.  
ეს ადვილია უფრო –  
ვინემ ღამეა კუპრი,  
დროთა სიკვდილი როა;  
ასნი, გადაჰკარ, დროა.

## **ტყე დაბურული**

ტყე დაბურული, შავი, ზღაპრული,  
გარინდებულა ნაძვის სვეტები,  
მთების გამოჩნდა სილუეტები  
გაფითრებული და დაზაფრული.  
ჰოი, არაგვო, მთანმინდა, ზინდის!  
არის ძახილი ეფემერიდის.

## როგორც წუხილი არაგვის კიდის

როგორც წუხილი არაგვის კიდის,  
იყო ზვირთები ფაზისის ჩქარის,  
გაჩნდა წუხილი ეფემერიდის  
და რუსთაველიც იმ დღის არ არის.  
სანახობაც შეიცვლის რიდეს,  
ძველი თაობა თანდათან მიდის,  
როგორც წუხილი არაგვის კიდის,  
როგორც ძახილი ეფემერიდის.

\* \* \*

გაგონდება თუ არა  
კარალეთის დღეები,  
მთების ლურჯი კამარა,  
უცხო სამოთხეები!  
კიდევ შეგრჩა თუ არა  
მხიარული თვალები?  
თუ დრომ გადაუარა  
და ჩაუქრო ალები?  
მივდიოდით მხარდამხარ  
და დრო გვეუარესა,  
ან არ ვიცვი, სადა ხარ  
და რომელსა მხარესა.

## ეს წინად იყო

ეს წინად იყო, მდინარეს თითქო  
ვერცხლის ეფინა მძინარე ჩადრი  
და კიდევბზე მდუმარედ იდგა  
შეუცნობელი შრიალი ჭადრის.

შრიალი ვერხვის, შრიალი ყანის,  
უდარებელი სამშობლო მხარე!  
რა უწყალოა რონინი ხანის  
აუსრულებელ იმედთა გარე!

### **ცელი ჰკივის**

ცელი ჰკივის და ველები,  
სურნელება დადგა თივით.  
თივას თიბვენ მთიბელები,  
ცა ლურჯია გუმბათივით.

დროს არ უყვარს დიდხანს დგომა  
და ყვავილებს ართმევს დიბას,  
მალე მოვა შემოდგომა  
და ყველაფერს გადათიბავს.

### **აყვავილებულ ველებს სალამი**

აყვავილებულ ველებს სალამი!  
აქ ნაცნობია ჩრდილი ყოველი,  
ტბების ვარდები, ფშნების ნალამი –  
სიტყვები გულზე დასაქსოველი.  
უფლება აქვთ, რომ თვლიდენ თავისად,  
როცა არ უნდა ჰქონდესთ უფლება,  
მაშინ მთებს ისევ უუკვდავესად  
შუბლი მოწყენით მოელრუბლება.

### **შენ რაღას იტყვი, ყანა?**

თვალით ველარას ვხედავ,  
გული მოელის დანას.

რისთვის გამზარდა დედამ,  
რისთვის მეტყოდა ნანას?

გადაქცეული ახოთ –  
გრძნობაც ისეა, განა?  
ჭალის ყანები ვნახოთ:  
შენ რაღას იტყვი, ყანა?

თვალი ნაილო სევდამ,  
როგორ აწრწოლებს ყანას...  
რისთვის გამზარდა დედამ,  
რისთვის მეტყოდა ნანას?

## **შორი ყინული კავკასიონის**

გააფთრებული ქაფი რიონის.  
ცაზე აცურდენ ლურჯი ტიფები.  
შორი ყინული კავკასიონის  
ნათლდება როგორც ნეგატივები.  
გააფთრებული მდინარე ყვირის,  
ის ელოდება შხამიან წარბას  
და ნანგრევები მარადისპირის  
უკვდავებაში პოულობს დარბაზს.

## **ციხის ნანგრევებთან**

სალამო წყნარი, არე მშვიდი და იდუმალი.  
უკანასკნელი შუქები ურჩი.  
გარინდებული ბილიკები და ალუბალი.  
ცა ლურჯი, ასე უსაზღვროთ ლურჯი.

გემშვიდობებით, მშობლიურო ჩვენო გორებო,  
თქვენც, ნანგრევებო ბაგრატის ტაძრის,  
გემშვიდობებით! მეძნელება ეს განშორება,  
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...

შენ რაღას მეტყვი, მქუხარეო ზვირთო რიონის!  
ყურს ვუგდებ ხმათა შენთა ჟღერებას,  
რა ამბავს გატანს ჩემთან მთები კავკასიონის,  
უბელობას თუ ბედნიერებას?

არ ვიცი იგი, მომავალი რას მექადება...  
რაზე საუბრობს ქარი ზეკარის?  
სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება:  
ადამიანი ზეცას შეხარის.

შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წკრიალი  
და შეშფოთდება ოცნება – სული;  
გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი,  
აღქაფებული, აზვირთებული.

სამშობლო მხარე! ის გრიგალი მსურს მიუძღოდეს  
ფიქრს აღელვებულს და გულდამკოდავს,  
ჩემს მომავალში, დეე, მხოლოდ იმან უწყოდეს,  
ეს ჩემი გული თუ რარიგ შფოთავს.

მხოლოდ შენს ხსოვნას, ჩემს საშინელ მარტოობაში,  
მე არ გადავცვლი სხვა ნეტარ წამზე,  
სხვა სიტკბობებს მირჩევნია ამგვარ გრძნობაში  
სხვისთვის ფარული ცრემლი წამწამზე.

გემშვიდობები... უკანასკნელს ვსვამ სადღეგრძელოს,  
მზე ჩადის, შუქი შუქს ეკონება.  
ამ ადგილებში შევხაროდი მთებსა და მდელს.  
თან მიმაქვს სევდა და მოგონება.

\* \* \*

ჩვენ ავაშენეთ მაღალი კოშკი  
და დავასახლეთ მასში ლანდები,  
მაგრამ გამოჩნდა ქიმერა ოშკის  
და მოიტაცა ანდამატები.  
დავიღუპებით? ეს სულ ერთია,  
სიცოცხლეს არ ვთვლით ჯერეთ შემდგარად,  
ვის შეუძლია გვითხრას – ბრძოლაში  
იგი სიცოცხლე დასწვა ჩვენგვარად?

\* \* \*

კარს გაუღებენ მას წინაპრები:  
გიცდიდით. ვიცით.  
ხომ მიატოვე ის ნაპირები  
ჩვენი სიმტკიცით?  
მიეგებება არაგვის პირი  
და ხმა ძლიერი:  
შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი  
და ნიჭიერი.  
ჩვენ თვითონ ვიცით შენი ამბები,  
სადმე, სხვა მხარეს  
ნანგრევთა ძველთა მტკიცე დამბები  
პოებენ მთვარეს.

## იცვალნენ დრონი

იცვალნენ დრონი. წარსულის დიდის  
დიდებას ვხედავ არასაკმარისს,  
ლელავს ფაზისი და მტკვარის მშვიდის  
ამოოხვრაა მიდამო არის;  
ძველია ჩარჩო ჩატეხილ ხიდის,

გული ერევა ზვირთების რონინს.  
რაილა დარჩა ნარსულის დიდის?  
იცვალნენ დრონი.  
იცვალნენ დრონი.

## სასახლე ძველი

სასახლე ძველი ადგას ხეობას,  
თითქო ჰაერში – ბალი ჰკიდია,  
და თვლის წუთების ერთსახეობას,  
როს მშვიდობიან დღის ამიდია.  
ზის აივანზე თავხედი ყვავი,  
ერთი მათგანი, ვინაც სნებიან  
და გამჭვირვალე ჰაერში შავი  
ზმანებებივით იფანტებიან.  
მოაქვს გაზეთი მოსამსახურეს,  
შორეულ ომის მოაქვს ცნობები.  
სალამოს წიგნი მთებმა დახურეს,  
მე მშვიდ არეებს ვემშვიდობები.

## დაგიფარავნე

მივეჩქარები იქ ხელალებით,  
სადაც არაგვი მოჰქრის გიჟური,  
სადაც ბალებით და ვენახებით  
ციხიდან შუქი გამოიჟურა.

ვარსკვლავი მოსწყდა, როგორც ფარვანა.  
ძვირფასო მთებო, რალაც იშვიათ  
ძალით მწვერვალნი დაგიფარავენ,  
ვარსკვლავები რომ ცად გაგიშვიათ.

## ბასოვს? რა დრო იყო ის დრო?

მტკვარი ამღვრეული ფიქრს რომ მიახვია  
და წამს გაინაბა, იგი – ლიახვია...  
მას ვერ მოასვენებს კლდეთა არტახები,  
მათზე დანგრეული ციხის ჩარდახები.  
მისი ადიდება შიგნით, გარეთაცა  
ახლო ნაპირიდან სანთლებს წარეტაცა.  
გახსოვს? რა დრო იყო ის დრო... ო, მანანა, –  
მე რომ აღტაცება იგი დამანანა.  
ისევ შეხვედრაზე – ჩვენი ფიქრს უნდება. –  
ის დრო დაბრუნდება, თუ არ დაბრუნდება?

\* \* \*

აქ მარმარილოს მაღალი სვეტი  
დაუმსხვრეველი იდგა დიდებით,  
ეპოქის გედი  
ოცნებას მღერის გაბედიტებით.  
კედლებს რომ სინჯავს გრძნეულ თითებით,  
უკვდავებისთვის შეშლილი გონი,  
ჩრდილი მოსილი მარგალიტებით.  
ვაჰ, დრონი, დრონი!

ციხე-გალავანს სჩქეფს სისხლის წვეთი,  
დღე შემმუსვრელთა ალთა კიდებით.  
ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?  
იგი არ ჰკვდება გულდამშვიდებით.  
სურო და ხავსი ლაღლით, გვრიტებით.  
ვამჩნევ თაღებზე ღრუბელთა რონინს,  
გაშლილან ნისლთა პირამიდები.  
ვაჰ, დრონი, დრონი!

ო, ნანგრევებო, თქვენ გეზიდებათ  
ყრმობისა ჩემი პირველი ბედი.  
უამიდობით თუ ამიდებით



დიდება მერგო მე სხვაზე მეტი;  
ახლაც ანათებს ძველი მითებით,  
იგი ქარს ებრძვის გაბედითებით.  
ვაჟ, დრონი, დრონი!

აქ შევხვდი პირველ – ვისაც მითებით  
გესალმებოდა მძაფრი რიონი,  
იყო სალამი, იყო მშვიდობით...  
ვაჟ, დრონი, დრონი!

## ავჭალას იქით

ავჭალის იქით კიოსკივით მაღალი სახლი  
რომ დგას, ეს იყო უნაზესი ჩემი ოცნება.  
მე შემოდგომა გავატარე აქ ვით სიახლე,  
ოდეს წარსულთა დღეთა მსურდა მე გამოცნობა.

მიდიან ძნები. უცნაური შენობებია.  
მთაზე კრავებით ბრუნდებიან მწყემსის ბაღლები.  
და აი, მწირთან! – სიმაღლე რომ შეომებია  
და სადაც უფრო იმღვრევიან მტკვარის ტალღები.

## ზაჰესთან

წყალი ღრიალებს, არ შორდება ქაფი ბაგეზე,  
როგორც დაჭრილი და მძვინვარე გრძნობა ღამობის,  
მე ღამით ვნახე აღმოდებით მჩქეფი ზაჰესი  
განათებული, როგორც ღამე მარიამობის.

ეს ქართულადაც ზაჰესია – ასე არ არის?  
შეაკეთებენ ძლიერ მალე მწირის სიძველეს,  
უფრო მრისხანე მომესმოდა ღრიალი მტკვარის,  
ძველმა ფრესკებმა თვალნი ცრემლით მე დამისველეს.

## მცხეთაში

თვალწინ იშლება მუქ ხავერდის მთების ზონარი,  
როგორც ადგილი ძველი წარღვრით გადასერილი,  
სახეზე ვარდათ დაფენია ნაბატონარი.  
აგერა მტკვარი – სევდიან მზით გადაფერილი.

მის ნაპირებზე ვესალმები მშვენიერ ბალებს,  
ქალი თავისი ბავშვით მოსჩანს, როგორც წერტილი,  
კიბეებივით მიდის მტკვარი და კარებს ალებს,  
სადაც ტრიალი მინდვრებია გადაფერული.

## მცხეთიდან

სვეტიცხოველში ხვალ იქნება დიდი მცხეთობა,  
მაგრამ, შეხედე, სად დამდგარა ძველი დიდება.  
ვინ ააშენა იმ სიმალლეს? რა პოეტობა  
შესძლებს გადმოსცეს იმა დღეთა გაბედითება?

ეხლა ვილაცა გულმოდგინეთ იქ გზას აკეთებს,  
გამოქვაბული ქალაქები რომ ისევ ნახოს.  
ქვევით კი ქალი ახალგაზრდა, როგორც ნაკვეთებს,  
შავით მოსილი, მწუხარებით მიყვება ახოს.

ჩვენ გავიარეთ შიო მღვიმის ვრცელი ბაქანი,  
მტკვარზე შორიდან დავინახეთ, მიდის ტივები,  
და ისევ მთები... მეჩეთია ეს თუ საკანი?  
თუ მოგონებათ დაკარგული ნეგატივები?

ასულა კორდი, როგორც ქუდი რუსთაველისა,  
მე შევაჩვიე კიდევ თვალი აქაურობას,  
მატარებელში თვალს რომ ხუჭავ, გრძნობა ველისა,  
ასე გგონია, თითქო ისმენ ზღვის ხმაურობას.

## **რა მშვენიერი მინდვრებია**

რა მშვენიერი მინდვრებია, რა მოსავალი,  
რა ყურძნის ტბები, რა ხორბალი და რა კაკალი.  
მეტეხის ახლო არნივები ვნახე მრავალი,  
მაგრამ ჯერ კიდევ უტეხ პურში არის გრაკალი;  
შემოდგომის დღეს მისცემია მშვიდი ხეხილი,  
აქ მომავალი გაანათებს ისევ ცისფერად,  
უფლის ციხესთან ერთი ხეა გადატეხილი,  
იმ საღამოზე მოწყენილი ეგდო გზისპირად.

## **გავსცდით ხანდაკას**

გავსცდით ხანდაკასაც, – ეს ბალებში მყოფი ხევია,  
მაღალი კოშკი გადაჰყურებს ქსანიდან ახოს...  
და ის ქალი კი (ეხლა მალე კავთისხევია)  
იმავე მღვრიე გულგრილობით მიყვება ახოს.  
დედაენიდან კალოობას და დღეთა ამბის  
კასპის ერთ დიდ კლდეს ვერავისი კლდე ვერ სჯობია,  
შევხვდი მეგობარს: ვარდის ნაცვლად კუკური ბამბის  
გულზე ბნეული, ჩვენი დროის თანამგრძობია.

## **გორიდან**

მე არ მეცალა. გორში დავრჩი სულ ერთი ღამე –  
როგორც კი ლიახვს მოედინა დილის ნიავი,  
გზა ტირძნისისკენ... ვრცელი ველი ტირიფონისა.  
სამხრეთ ოსეთის საზღვართან ვარ... აჰა, ტყვიავი.  
მაშასადამე, ბიჯი ერთი და საზღვარგარეთ!  
საითკენა გასურს, რომ გინდოდეს, წავლენ სიონი,  
მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება არეთ –  
სულ ახლო არის თეთრი მთები კავკასიონის.  
მთები, რომელზეც, ლეგენდების თქმით, რა ხანია  
მუდმივ თოვლი და მიჯაჭვული ამირანია.

## ჰეროდენ სიონი

ძველი სიონი  
დინჯი, ზვიადი.  
მზერა დიადი.  
ჰეროდენ სიონი.  
ზეცა იისა  
გადაარიდე  
იმედს ჯვარედი  
ბიზანტიისა,  
ის ანგელოსი  
ან არ არს მშვიდი,  
ოდესმე დიდი  
საქართველოსი.

## მხოლოდ ნანა

ნანა, მხოლოდ ნანა,  
ყოველთვის ნანა,  
რომელიც აყურებს  
აუტანელ ტკივილებს,  
იფარავს სასიცოცხლო  
ძალას.  
ასეთი სიმღერები  
უნდა გაუგზავნო  
მე მას.  
ნანა, მხოლოდ ნანა,  
ყოველთვის ნანა.

## თითქო არა აქ

და დედამინა ბნელდებოდა, იძირებოდა,  
თითქო არა აქ, არამედ შორს, სხვა ქაოსებში.

მახლობელ სოფლად კივის ჭოტი, ყეფენ ძაღლები.  
შარაზე მიდის სხვა მეურმე დაგვიანებით.  
გაიხმაურეს ერთხელ კიდევ ურმის ბორბლებმა  
და ყველაფერი მიინაბა, დადგა სიჩუმე:  
ო, რას ნიშნავს ეს... ეს სიჩუმე, ეს გაოცება?  
ეს უხილავი, მშობლიური ჩვენი სიჩუმე?  
რისთვის არიან გაყინულნი მაღალნი მთანი?  
რამ დააყრუა შარა-გზები, სადაც ოდესმე  
ექანებოდა მძაფრი ცხენი მაკედონელის?  
ო, როგორ მესმის მე სიჩუმე ამ ნანგრევების,  
როგორ მალეღვებს მე ყოველთვის იგი სიჩუმე...  
მასში იდუმალ ძილით სძინავს ახალ ქაოსებს,  
იგი ღელვავა დაფარული, უჩინარ ცეცხლის.

## გვირაბებიდან

გვირაბებიდან, ვით მიმპარავი,  
ამოდის შავი მუშების ლანდი,  
ცაზე ანთია ვარსკვლავთ კარავი,  
მთებში ღრუბელი მიცურავს ზანტი.  
სადღაც კვილი ისმის ტურების,  
გადაირბინეს დათვებმა მხარე,  
მძინარე შავქვას ჭიათურისას  
ბენვივით წვრილი ანათებს მთვარე.  
შავ ქვას ეს მხარე! მივდივარ ისე  
ვერ ვასწრებ სალამს და კალმის მოსმას,  
შენზე წუხილით დავღრღნი ამ მიწას,  
ჩავაცვივდები კბილებით კოსმოსს.

## სამხედრო გზაზე...

განთიადისას საქართველოს სამხედრო გზაზე  
მიეშურება ქალაქისკენ ზანტი ურმები;  
მოაქვთ კაკალი, მოაქვთ ღვინო, მოაქვთ ხორბალი  
სიმძიმით მწარედ იგრისება ურმის ბორბალი.

გამოიარეს წყალთ ნაპირად სიმწვანე ტყეთა...  
გამოჩნდა მცხეთა.

ე, რამოტოლა სახლებია,  
ვინ ააშენა ამდენი სახლი?!

. . . . .

უცებ ქალაქის გზიდან მოჰქრის ავტომობილი,  
ჰკვივის და ანჩხლობს, კამეჩებს აფრთხობს:  
რამ გადარია?!

. . . . .

უცებ მოისმა სიშორეში მძლავრი ზუზუნნი,  
ეხლა მალლა ფრენს არა ჩიტი, არამედ სახლი...

. . . . .

გათენდა კიდეც. საშიშროება შორს გადითესა,  
მაშინ ამღერდა ჩვენებაანთ ბიჭი ქიტესა.

## **როცა აკტეონი, ქაე არისტეას**

როცა აკტეონი, ძეა არისტეას,  
ლალად მიდიოდა ტყეში სანადიროდ,  
უცებ დაინახა თეთრი აფროდიტა,  
თავის ნიმფთა შორის იგი ბანაობდა  
ძველი პართენონის მსუბუქ ნაკადებში.  
შედგა აკტეონი. თვალნი დაებინდენ.  
იგი მოჯადოვდა უცხო სანახავით.  
მაგრამ ის დასაჯა იმავ ღვთაებამა:  
იქცა აკტეონი ირმად მშვენიერად,  
ძალლებს აკტეონი მსხვერპლად შეენირა,  
იგი დაეფლითათ ძალლებს იმისსავეს.  
ვიცან, გალაკტიონ, შენში აკტეონი.  
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული.  
შენგნით დაწრვთნილები ყეფენ მოუსვენრად –  
ისევ შენთვისავე – ავი ძალლებია.

## წელიწადები წავლიან კვილნი

დღეები ბრუნავს ვით კამათელი  
და ყვაავილების არის მრავლობა.  
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,  
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.

წელიწადები წავლიან ძველი,  
შეიცვლებიან ქარით სიონი,  
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,  
ისე ერთია გალაკტიონი.

## ჩვენი ჟურნალი

ჩვენი ჟურნალი... ეს იყო ხანა,  
ძველი ლექსების მწველი სურნელი,  
სულს როგორც ვნება და როგორც ნანა,  
ისევე ცეცხლის წყუროდა დანა,  
დაუნდობელი და მოშურნალი.  
ვისი გულისაც იყო მკურნალი,  
იგი რიდეებს გადაჰყვა თანა,  
მაგრამ იმედის არ იყო განა  
ჩვენი ჟურნალი?  
მოვიდა წარსულ ოცნებისთანა  
დიონისობა და სატურნალი,  
ეს იყო ტმინა, მაიორანა –  
ჩვენი ჟურნალი.

## კაფეში

იმ დღეს კაფეში ვნახე  
მღვრიე თვალები ნაცრის  
და გულმოსული სახე  
მეტად უძლური კაცის.

ჰგავდა საოცარ რითმებს  
პალმა, ვარდები რგული,  
რასაც ძლივსძლივით ითმენს  
გაცივებული გული.

ნუხდა ცრემლები ფანჯრის,  
გზებს მოგონებით ვრიყავ:  
წინად სიკვდილით დასჯის  
წინააღმდეგი ვიყავ.

ჩამომეხსენი, სევდავ...  
ყალბი პოეტის დგანდგარს  
უკვე დაღუპულს ვხედავ,  
ან – დასაღუპად დამდგარს.

### **ქუჩა 30-იან წლებს**

ქუჩა პოეტად დარჩა  
ოცდაათიან წლების,  
გაცვეთილი აქვს ლანჩა,  
დარჩა კანი და ძვლები.

ცისარტყელების რიგი  
ზამთრით ახარებს ნელი.  
ო, შეშლილია იგი,  
თუ წინასწარის მთქმელი?

გაუგებარი დროშით  
მას მიაქანებს ბიჯი.  
ლიტერატურულ ბრბოში  
მისი სასტიკი ნიჭი.

უგზოობაზე ჩივილს  
ისმენს ოცნება მწირი,  
და ისევ უცნობ ტკივილს  
გრძნობს უდროობის გმირი.



\* \* \*

სხვები ჩხავიან, როგორც ყვავები,  
ვერ გრძნობენ, რაა კარგი, ფაქიზი.  
არის განსხვავება:  
ორი ღიმილი ორთა ბაგეზე.  
პირველში ფანტასტი მეტია,  
მეორეში – ნაკლები.  
პირველი პოეტია,  
მეორე – სპეკტაკლები.  
ეზმანება რა დიონისე,  
სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა,  
მას ვით არ სმენია  
დიდება მარადი  
და ქართლის გენია.

## **ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს**

ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს,  
არაა ძნელი მთების დადნობა,  
რომ ცისკარისკენ მაღალ ანგელოზს  
ესაფეხუროს ლალის ტატნობი.  
ვერ შეამჩნიეს მზეთა ტიტანი,  
ახალი დროის დიდი მესსია,  
მედგარი მხრებით რომ აიტანა  
მთაზე დიდება და პოეზია.

## **ოხელისკი**

ოხელისკს თეთრი მხრიდან მოტანილს  
ჩვენ შევცქეროდით ძახილით: დაჰგმეთ!  
ერვენებოდათ ქვის თლილი ტანი  
ყველასთვის უცხო და ბნელ ქარაგმათ.

წყალი შავია, როგორც მელანი,  
შავ წყალზე ყალყზე შედგა მერანი  
და სასაფლაოს მხარიდან ძერა  
თავს დასტრიალებს ვით ბედისწერა.

\* \* \*

ლეგენდარული შენი დიდება  
მე მაჯადოებს გადამეტებით,  
მაგრამ მე იგი არ მეზიდება  
ხელალებით და თავგამეტებით.

რაა დიდება? ეს იგივეა,  
რაც აღელვებულ ზღვების ხმაური,  
მისი ნამდვილი გული ცივია,  
გული კი გზაა და მეზღვაური.

იგი – რუპორის არის ხაზგასმა,  
მაგრამ თანაბრად იზრდება ლანდი,  
ჯერ წმინდა ნიჭი, დიდი ფანტაზმა,  
შემდეგ საბირჟო პრეისკურანტი.

მაგრამ თუ შენში არის გენია  
და ისიც კიდევ გაუგებარი –  
ბრძოლაში ბედი არ გინერია,  
შენ არ მიგიღებს ბირჟა მყეფარი.

## ედარებოდა შეშლილს

მაშინ ტოვებდა ყველას და ყოველს  
და ფეერიულ ალში მცურავი,  
ედარებოდა შეშლილ ბეთჰოვენს  
დაუნდობელი და მომდურავი;

და მიდიოდა უბედურ ქარში,  
რა იყო ქარი ერთადერთისთვის,  
სამგლოვიარო მან შეჰქმნა მარში,  
რომ წყევლა-კრულვა ეთქვა ღმერთისთვის.

## **ის ღირიჟორი**

ოჰ, ცრემლი მისი იყო მისივე –  
ეს ფარვანები მოცისფერო,  
ღამით სანყლები რომ მოისევენ  
და ინვებიან საბედისწეროდ.  
იყო უბრალო, მაგრამ მართალი  
მისი სიმღერა და სიარული,  
და სამუდამოდ იყო ქართული  
მისი ჰიმნები გენიალური.  
ის ახლობელი იყო სულ შორი,  
გამბედაობით სავსე, ძლიერი,  
უნდა გენახათ ის ღირიჟორი,  
უდარებელი და მშვენიერი.

## **მუსიკალური ფანტაზმა**

სულო უმზეო, მაგრამ მზიანო,  
ყოველთვის, როცა ბერავდა ქარი,  
მესმოდა ნისლის ფორტეპიანო,  
ზარი, გუგუნნი და ისევ ზარი.  
ვერ ივინყებდა მაშინ ვერც ერთი  
საქართველოში ჰანგთა ხანდაზმას  
და თვითეული მისი კონცერტი  
ეფემერისას გავდა ფანტაზმას.  
სადღაც ქვითინი იყო ქალური  
და სონატების ნაზი ფერები,  
სტიროდა მისი მუსიკალური  
და გადარევის ეფემერები.

## სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს

სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს,  
ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით  
და შემდეგ უცნობ პიანინოებს  
ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით.  
როგორც მრავალი ვარდების მფენი,  
მას სული ჰქონდა უხვად ციური,  
მასში მრავალი იყო შოპენი  
და პაგანინი ფანტასტიური.  
მას საქართველომ გადაუზნიქა  
ვერხვები შორი ალაზანისა  
და აი, ეხლა მისი მუსიკა  
ჩვენი ისლების რხევამ დანისლა.  
მშვენიერია ეფექტი მისი  
იქ, სადაც სიტყვა თავდება ძველი,  
ოდეს თავისი და არასხვისი  
ცრემლებით თვალი უბრწყინავს სველი.

## ღაფნა

სურნელება ძველისძველი  
ექსოვება ნიავებს,  
პოეზიის ლაჟვარდ ცრემლით  
სველი დაფნის ფოთოლი.  
და ოცნება მოგონებას  
იით მოაიავებს,  
როს მეომარს შუბლს უშვენებს  
ნელი დაფნის ფოთოლი.  
ნილოსის გველს უარესი,  
მისი შხამის იავებს.  
უფრო მძაფრად დაწურული  
მწველი დაფნის ფოთოლი.  
და ხანჯალით ხშირად ფარულ  
მიზანს ულოლიავებს,

ოდეს ხედავს პოეზიას  
ნელი დაფნის ფოთოლი.

## თოვლით და ყინვით

არ ეუბნება იგი სრულიად  
ვისმეს: რა არის მისი შვენება,  
წარსული მისთვის გაძარცულია,  
წარსული მას არ მიეშველება.  
პირიქით: იგი კიდევ აპირებს  
ფრთა გაუსწოროს ისარს დაცინვით  
და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს  
შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით.

## თეთრი ქარები

დადგა თეთრი ქარები,  
დაითოვლა მთა-ბარი,  
ქარის გამოძახილი  
ისმის, როგორც ზღაპარი.  
იგი ოთხი დობილი,  
ოთხი ქარით გამხდარი,  
გაზაფხული, ზაფხული,  
შემოდგომა, ზამთარი.  
ამბობს თეთრი გადია,  
ახსოვს ასი ზამთარი,  
ასი წელიწადია –  
თოვლით დახრილ ტოტებზე  
კანკალებდა ბელურა,  
მინას თოვლი ფარავდა,  
ცის ფანტელი ეხურა.  
გაჰქრა იგი ბავშობა  
და ოცნებებს ედება,  
არც შენა ხარ ცოცხალი,  
არც სხვა მეიმედება.

## ყვავილებს თეთრებს

შურით იფარებს ანგორის ქურქებს,  
თვალს იმედი აქვს თოვლის დადნობის,  
ყვავილებს თეთრებს, ყვავილებს ურგებს  
ამაოდ ისვრის უბე ტატნობის.  
მთიდან ჩამოდის ასრქა, ასთითი,  
უფარებელი და უთმო ცხვარი.  
ხევეზზე ხევეებს გადააზდიდი –  
ფანტასტიური ხუროთმოძღვარი.  
იელვებს შუქი – სამართებელი,  
ხევებში გდია თეთრი საყელო,  
ვიღაც სიკვდილის დამმართებელი  
სდგას უცნაური და უსახელო.

## სიშორით პენით

სიშორის პენის სიახლოვე, მარადის მძაფრი,  
აბრუებს ყნოსვას, ვარდო ტყიურო!  
მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი  
უვერტიურა.  
და სიახლოვის სიშორეში, კვლავ უფრო შორი,  
მისვლა ყელამდე, მიწვდომა ყელის...  
არის ნანატრი ედემები, სიკვდილის სწორი  
მზე მთა და ველის.  
ო, იგი წამი, მშვენიერო, ო, იგი ბაგე!  
ო, ეს წყეული სისხლის დულილი.  
ძეგლთა სიმალლით, სივრცეებში! მე იქ აღვბაგე  
სულის წუხილი!

## ქველი მოტივით

თქვენი სასახლის ძველი მოტივით  
გული მისცურავს წყალზე მოტივით,

იქ, ლურჯ კუნძულებს დაენახვება  
ხან სიზმარივით, ხან ნაფოტივით.  
და გარს ყოველი არის მწუხარე,  
რომ იისფერ გზას არ გადუხარე,  
ძველი ხალები და მაგიდები.  
აალებული ძველი ბუხარი.  
გარედ თოვს. ცანო, მინას დაჰხარით  
ჭალარით მხრებზე გადანახარით,  
შორით შორს გზანი იშურებიან  
უდაბურებით და ზენა ქარით.  
მესმის თქვენი ხმა. ბინა დალონდა,  
მოსამსახურეს ვაზა დაჰქონდა,  
სად გნახეთ! როდის? რაა ეს გრძნობა?  
ვიგონებ, მაგრამ არ მომაგონდა.

## **კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი**

კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი  
და აირია ზეცათა რუქა,  
იქ საიდუმლო სულანახტომი  
სამარადისოდ გადაილუქა.

აქ კი ნამდვილი, ჩუმი, ზღაპრული,  
გარინდებული მთების სვეტები,  
სადაც მდევეების სილუეტები  
დგას ხან მრისხანე, ხან დაზაფრული.

## **მარსი**

გზაზე არ მოსჩანს არსით,  
მხოლოდ ქარი ჰქერის ნელა,  
ცაზე ანათებს მარსი  
და ქვეყანაზე ბნელა.

ცაზე სანთლები დარგეს,  
ნისლში მოძრაობს არსი,  
მძინარ მდინარის სარკეს  
დასჩერებია მარსი.

სულ სხვანაირად იცავს  
მის რონინებას თარსი,  
უახლოვდება მიწას  
და ისევ ჰქრება მარსი.

### კენესის ვოლტორნი

კენესის ვოლტორნი.  
სადლაცა სტირის  
ვიოლონჩელი.  
ვიყავით ორნი  
იქ, სადაც ირისს  
იგრძნობდა ძველი  
რაშელი, შელი.

მოცურავს ბინდი  
მდინარის პირის  
ნაზი და ნელი.  
მე აღარ მინდა  
დღეები წმინდა,  
ვიცი, რას სტირის  
ვიოლონჩელი.

ქროლვანი შორნი  
ლამის გულძვირის,  
ფიქრები ძველი...  
ტირის ვოლტორნი,  
დაკარგულ გმირის  
იმედებს სტირის  
ვიოლონჩელი.



## ცა თოვლით ფენილი

ცა ვარსკვლავების თოვლით ფენილი  
აქანებს თვალებს.  
ოჰ, რანაირად ხარ მოწყენილი,  
რა ეფემერა გკლავს და განვალებს.  
ბალი ლანდებით ანადევნები  
მთვარეულ სიზმრით ავსებენ მაისს  
და შადრევნების მძიმე მტევნებით  
კვლავ იგონებენ ბალჩისარაის.

\* \* \*

აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე  
უცნობი მზისთვის,  
ყოველ ქვეყნის და დროის გარეშე  
ცხოვრობს თავისთვის.  
სალამო მშვიდი აძინებს მხეცებს,  
ეხლა თავიდან  
აჩრდილი მზიან ადგილებს ეძებს,  
მზე კი ჩავიდა.

## ამ ბნელი ღამით

ამ ბნელი ღამით ვილაც დადის საქართველოში.  
ამ ბნელი ღამით ვილაცა კვნესის.  
ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში.  
სადღეგრძელოში ვახსენოთ ჩვენ ის.

ამ ბნელი ღამით სადღაც ისმის ხმა დაირისა.  
თვალი მევსება ცრემლების ნამით.  
უკვე ცისკარმა შორი მთები დააირისა...  
ის კი... კვლავ კვნესის ამ ბნელი ღამით.

## ჭობი

მოკლე და მსხვილი ტანი მძინარ ბალს დაჰყურებდა.  
არ ირხეოდა თავი მძიმე და დაბურდული.  
ჩამოშვებული ჰქონდა თმები ვინრო ყურებთან.  
ნისკარტი ჰქონდა მოლუნული, როგორც შურდული.  
თვალები იდგა ყვითელი და უზარმაზარი.  
ფრთებში უყელოდ ჩამჯდარ სახეს ეფინა ჩრდილით.  
ბანჯგვლიან ფეხებს ბასრი ბრჭყალი ეკრა საზარი.  
ის ტყეებიდან ჩემს ფანჯარას მოაწყდა დილით.  
დღის სინათლეზე გამოსული ლამეთა ჭობი!  
მას ეშინია სინათლის და მაინც გამოდის.  
ცივი კივილი ისმის მისი, ვით ყალბი შფოთი,  
ცრუმორწმუნეებს რომ აშინებს დღით საღამომდის.  
დედამინაზე უხერხულად გრძნობს თავის ყოფას,  
იგი ვერაფერს ვერ მიმხვდარა, მაინც ავია  
და გულმოსული ტანჯვით იტანს შეურაცყოფას,  
სისხლის მსმელია, მაგრამ მაინც საცოდავია.  
უყვარდა ბნელი მღვიმეები და ხის ფუტურო,  
ყორნების მიერ მიტოვებულ საბუდარებით.  
თავს ფრინველები რომ ესხმიან, სასაყვედურო  
იმათზე რა აქვს ან რისხვითა, ან მუდარებით.

## ის იყო ძველი, ნაცნობი აზრი

ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი,  
რომ ვერ გაფანტა ლამის ბურუსმა,  
დაუნდობელად მკაცრი და ბასრი,  
შუბლს შთაჭედელი, როგორც ლურსმანი.

ასე! აღარ აქვს მას ეხლა გული.  
სულში იშლება სიცივე მკვეთრი –  
მაგრამ ის მიდის დამშვიდებული,  
როგორც პოეტი და გეომეტრი.

მან შეამჩნია ყვითელი ძაღლი –  
ღრმა, მშვენიერი, დიდი თვალებით.  
ადევნებოდა ლამეს... დაღლილი  
წვიმით, გრიგალით და განვალებით.

## ის მიდიოდა ქუჩაში ერთი

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,  
მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი;  
მისთვის იმ წამში არ იყო ღმერთი,  
მისთვის არ იყო ქრისტე და ჯვარი.

იგრძნო, რომ მაინც საოცრად ცხელა.  
გადიძრო ქუდი. მხურვალე შუბლი.  
წვიმის წვეთები მარცვლების ხელა,  
სიამოვნება ამ გრილი ღრუბლით.

თითქმის არ გრძნობდა სახლებს და კედლებს,  
ძილით დაბურულს არ გრძნობდა მხარეს,  
ეტლები ცვლიდენ მიმავალ ეტლებს,  
როგორც სიზმარში მხარე ცვლის მხარეს.

როგორ, საიდან... არ იცის თვითონ,  
ის უცნობ ხიდზე დგას. სხვაა ხიდი.  
მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,  
ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი.

\* \* \*

გეძებდი ყველგან... მახრჩობდა სიცხე  
და მწვავდა ჯვარის მხურვალე რკინა,  
მე ყველაფერი გადავივინწყე,  
არ არის ზეცა... არ არის ბინა.  
არის ჩვენ შორის მთელი კედელი  
და ბრძოლა მძაფრი, ცეცხლის მდებელი.

ჩემში აღმოჩნდა ბედის მკვეთელი,  
ჩემში აღმოჩნდა ამფეთქებული.  
ო, მე იმედი დავკარგე ზეცის;  
არც მინდა შენი ყალბი ტახტები,  
მსხვერპლი ქვეყნიურ ძალის ასკეცის  
მტვერი იყავი, მტვერი გახდები.  
არის სიჩუმე, ბნელი ცხედარი,  
მის ტანზე შავი ცეცხლის გაჩენა,  
აპოკალიპსის მძაფრი მხედარი,  
ვინც ქაოსებში შემოაჭენა.

\* \* \*

ის წაიყვანა ოცნებამ მისმა,  
სადაც ჰაერი ზღვის ფერისაა.  
ის წაიყვანა იქ ფანატიზმმა.  
იქ ხომალდები ჰომერისაა.  
იყო ფიქრები ასე სხვადასხვა.  
ახალგაზრდობის იყო ეს ვადა.  
ოქროს დროებამ იგი გადასვა  
იქ, სადაც ძველი არის ელლადა.  
ის სიყმაწვილე აღარ მოვიდეს,  
დროთა სიავეს მიაქვს ფაფარი, –  
ერთად ვთარგმნიდით მაშინ ოვიდეს,  
შენ წიგნი გქონდა და წინსაფარი.  
გამოიცვალა ის ზნე და ჰავა.  
შავი არშია დღეებს ავლია.  
ზღვაზე ზვირთები მოვა და წავა,  
ცხოვრება ასე შემისწავლია...

## რომელი საათია?

ეხლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა.  
გულში მწუხარებამ ღამე გაათია...  
მაინც არ მასვენებს მწარე სინანული –  
რომელი საათია? რომელი საათია?

ვდგევარ ფანჯარასთან, ღამე არ იცვლება,  
მთელი შემოდგომა თავზე დამათია.  
ეხლა მხოლოდ სამი იყოს, შეიძლება?  
რომელი საათია? რომელი საათია?

სამის, შეიძლება, არის მესამედი,  
მაგრამ გაიხედავ, მაინც წყვილია.  
კივის სადგურიდან ზარი მეცამეტე –  
რომელი საათია, რომელი საათია.

ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი,  
ღამის მეეტლე რომ ველარ დაატია.  
ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი, –  
რომელი საათია, რომელი საათია.

ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი  
თითქო შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,  
აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!  
რომელი საათია, რომელი საათია!

იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი  
თრობის საათია, ღვინის საათია“ –  
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე  
რომელი საათია?

\* \* \*

იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...  
იმგვარათვე მღევ... იმგვარათვე მკლავ.

ო, როგორ მომწყურდი! მწუხარეა დღე.  
იმგვარივე ცა, იმგვარივე ხე...

იგივე ქარი დაჰქრის. იღუნება ბზა.  
იმგვარივე მზე. იმგვარივე გზა.

ძლიერ... ძლიერ... ძლიერ... ვეტყვი ზენა ქარს.  
იმგვარივე ხმით. იმგვარსავე ზარს.

### **მივალ, გადავკოცნი...**

მივალ, გადავკოცნი  
ჩემსა მთვარესა,  
სიტყვებს გადავტყორცნი  
მწარე-მწარესა.  
გიშრის კაკანათებს  
ნუ ჰფენს ქარებსა,  
ასე ნუ ანათებს  
ჩემს ბნელ ღამესა.  
მივალ, გადავკოცნი  
ჩემსა მთვარესა,  
უარესს გადავტყორცნი  
სიტყვებს მწარესა.

### **ღელავდენ...**

ვარდებში ღელავდენ ღამაზი ქალები,  
მათ უყვართ ჩურჩული და მიეთ-მოეთი...  
ამბობდენ: ამურებს ვერ დაემალეები,  
თუნდ იყო პირველი და დიდი პოეტი.  
ძვირფასო ქალებო! არ მოგერიდებით,  
ერთს თქვენგანს ეკუთვნის სულ ჩემი წიგნები.  
ნეტავი დამათრო მის ბროლის თითებით,  
პირველი და დიდი გენია ვიქნები!

### **შენ ყოველთვის კარგი ხარ**

შენ ყოველთვის კარგი ხარ.  
ფოთლები შრიალებდენ მწუხარე –

სალამი ნათელ განცდას.  
ირგვლივ სიჩუმეა, მაგრამ სუნთქვა მიძნელდება.  
სიმღერა-მარში.  
მე მწყურია სიხარული.  
მე მწყურია იავ-ნანა.  
აჰ, რატომ შევხვდით ჩვენ ერთმანეთს.  
აჰ, რატომ დაბნელდა ჩემს სულში,  
ო, ძვირფასო, შენ მუდამ ჩემთან ხარ,  
ამიტომ მეშინია ბნელი ღამეების.

## **ქალმა დამწყველა ღამაზმა**

ქალმა დამწყველა ღამაზმა  
მხურვალე ღალის ბაგეთი,  
ღმერთმა ვერ მითხრას ათასმა,  
რა ჩავიდინე აგეთი.  
მაგრამ, იმ წყევლამ როგორ სთქვას,  
გული სიცოცხლით დანამა,  
თუ ვინმემ გული მომიკლას,  
ისევე იმისთანამა.

## **ღვინისფერო მდინარე!**

მიდიოდი ველად, როგორც  
ღვინისფერი მდინარე,  
რომ მოვედი სიახლოვეს,  
თავი მოიმკვდინარე.  
  
გაიღვიძე! გულზე გედვა,  
რაც არაფერს აქ არ გავს;  
ერთი შენი გამოხედვა  
ათას ხედვას დაკარგავს.

## როდესაც მთვარით დაპყრობილ ვიქმენ

როდესაც მთვარით დაპყრობილ ვიქმენ,  
მე შემომესმა შენი კისკისი.  
მოვარდნილ ელვის გადაიზნიქენ:  
ხეები, წყალი და ბილიკიც კი.

გულში იგივე ცეცხლი დამირჩა,  
შენ გაზაფხულზე მოხვალ ასევე,  
მტრედი, რომელიც მე გადამირჩა,  
ლექსთა გუნდებათ შემოგასევენ.

## დამწველი თავის სიმშვენიერით

დამწველი თავის სიმშვენიერით,  
დაშვენებული უხვი განგებით –  
ფეხთან პერანგი იწვა ცბიერი,  
როგორც ელვარე ფარშავანგები.

შიშველი, წმინდა, როგორც ნაკადი!  
დიდხანს საჭირო არ იყო ხვეწნა,  
უცხო სახეზე შემონახატი,  
წარბები – მშვიდი და თმები – ძეწნა.

მე სხვა ქალებს ვერ დავემალევი,  
მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,  
მაგრამ სხვა იყო შენი თვალევი  
და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!

## თქვენ გართობდით

თქვენ გართობდით ზღვათა გული და სული  
და თვალევი გქონდათ მშვიდი, ზღვისფერი,



მოლაჟვარდე, როგორც ლაფის-ლაზური  
ლაჟვარდებთან იდგა ლიუციფერი;  
იგი გახდა მშვენიერი მაგია  
და ოცნება შენი ამხანაგია.

## **ალვის ხეები შვილდისარს ხრიან**

ალვის ხეები შვილდისარს ხრიან,  
მთვარე ანათებს ვარსკვლავთა ცხრიანს,  
ჰქრის მეტეორი ციერთა უბნის –  
ღრუბელიც მიდის, ღრუბელი ბუბნის.  
აჰ, ეუბნება – ცრემლების ნამმა,  
გთხოვთ მოისმინოთ, ძვირფასო დამა,  
ვით სიყვარულის გამქრალი სხივი,  
დაუბრუნებელ დროთა მესსივი.

## **დაიჯერე, თუ არ გჯერა**

დაიჯერე, თუ არ გჯერა,  
რომ ეს გლოვის ზარებია,  
არ მინახავს შენი მზერა  
და არავინ მყვარებია.  
დაიჯერე, თუ არ გჯერა,  
მოვიარე მინის კალთა,  
თან დამდეგდა ბედისწერა  
ჩემთა უგზო ხეტიალთა.

\* \* \*

გზა არ ღირს დავიდარაბად,  
ძალზედ ხმაურობს პარტერი;  
არა სიზმარი, არამედ  
მართლა ვარ მილიარდერი,

მაგრამ ვის შემოვუშენო:  
ნარგიზები და ვარდები;  
მითხარ, უშენოდ, უშენოდ  
რად მინდა მილიარდები.

## **ზღვაზე სცურავს ნაფოტივით**

ზღვაზე სცურავს ნაფოტივით  
შენი მონა – გული,  
დაკარგული იმ მოტივით,  
ისევ მონახული.

გადიშალა ზეცა ბროლად,  
მზე მოიყრის ლაღებს,  
შენი კარგი გამოქროლა  
ისევ სწყურის თვალებს.

## **ინჟესა**

ინჟესა ისე შუქს არავის ჰფენს,  
ვით ახალ კუბელსს და ძველ კამოენსს,  
მათ არაერთხელ აღმოხდათ კვნესა,  
ინიესა, ინიესა.

ეხლა მარტოდენ მკრთალი ჩრდილია,  
იგი ვედრება და კასტილია;  
ოდეს იმ მზიურ ვედრებად სჩანდა  
კარად ინფანტა.

დრონი იცვალნენ, გული კი დღესაც  
იმ სიმღერასთან გადაზრდილია,  
ინიესა, ინიესა.

## გაოცდა უფრო

გაოცდა უფრო, გაოცდა უფრო,  
თვალები უფრო გადაირია;  
არ მოაკლდება სიტყვა საუბრო,  
ის კი ფიქრობდა, რანაირია.  
მას არ მოსწყინდა ყოფნა მზიურის,  
ვეფარებოდი სავარძელს სახით  
და მუსიკალურ უვერტიურას  
მასმენდა მისთვის, რისთვის მეძახით.  
მე არ მასვენებს ბაიის ბგერა  
და ანგელოსთა ნაზი პროფილი,  
თვალები ლურჯი, დალალი ქერა,  
ბაგე ატმებად გადაპობილი.

## არსებობის გული

იყო ფიქრების ვალსი,  
იდგა რკალები წყალზე,  
არ ასვენებდა ღამეს  
ფიქრი ერთ ღამაზე ქალზე.

თვალს არ ეკიდა ძილი,  
მზეთა ვიყავით შვილი,  
რისთვის დაგვარქვეს ნეტა  
დემონიური წყვილი?!

მაგრამ ეს იყო სრული  
ყრმობის სევდა და რული,  
იმ სიყვარულის ცეცხლი,  
იმ არსებობის გული.

## იბრაძოდენ შურნი

იბრაძოდენ შურნი  
ნელი, მონიო.  
ძველი ნოქტურნი  
გამიგონია.

მწვავდენ ქალები,  
მწამლავდენ თვენი,  
მდევედენ თვალები,  
თვალები თქვენი.

კარგი რომანი,  
ლაჟვარდი ევა,  
ეროტომანი,  
ღამეთა თევა.

თვითეულ ხმაში  
თქვენი თვალები,  
ღრუბლების რაში,  
პასტორალები.

ყრუდ, უალერსოდ  
ყინვათა მფენი  
ვერ ვნახე ვერსად  
თვალები თქვენი.

## ერთი დროს

ერთ დროს იყავი შენ ძლიერ კარგი,  
ან დრო სხვაგვარად მიემართება,  
ვინ გაგიბზარა მზიური სარკე,  
ან სიმღერის დროს რა გემართება?

მაგრამ სიცოცხლეც არ არის მეტი  
ძველი ბრძოლების გარე შთენილი,

მარად შენი ხმით ტიროდეს გედი  
შენითვე მკვდარი და აღდგენილი.

## **გული გრძნობს**

ავტომობილის მღვრიე თვალებს დარევედა სევდა,  
ელვარე ღამე აყირავებს ზამბახთა კალათს,  
შენ გახსოვს? მღვრიე ქარიშხალი ჰაერს რომ რევედა.  
გული გრძნობს ღალატს.

მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა,  
წინად ანგელოზს – დედამინას ვუცქერი ჯალათს,  
ო, შურს იძიებს უსათუოდ როსმე ბოგემა.  
გული გრძნობს ღალატს.

## **მე ვინც მიყვარდა...**

მე რომ მიყვარდა, ის არი,  
ოცნება გამიდიდადა,  
იმისთა თვალთა ისარი  
გულზე მაჩნია ტყვიადა.

საგულეს ის არ ჩადგება,  
სხვადასხვათ თანატოლობა,  
იმას რად გამოადგება  
მონადირისა ცოლობა.

ბევრი მოგიკლავს ტახები,  
ყვირილი გახსოვს ირემის,  
ეხლა მეც გაგეძრახები,  
შენ, ჩემო თოფო ყირიმის.

## ათი ქალწული

სასუფეველით მსგავსება მათით  
ოცნებამ იცის,  
ათი ქალწული სანთელით ათით  
ელოდენ სიძეს.

მათგანი ხუთი იყო გონიერ,  
ხუთი – სულელი;  
სულელთ ვერ ჰპოვეს ჭურჭელთა მიერ  
ზეთი სურნელი.

და ღამით, ოდეს სძინავდა ყოველს,  
ზარით, ებანით  
ხმა ისმა: აჰა, ესერა მოვალს,  
მიეგებენით.

აღსდგა წამშივე ქალწული ათი –  
ჰპოვა სანთელი,  
ხუთს ჩაჰქრობოდა სრულიად მნათი  
იმ წუხანდელი.

წარვიდენ სყიდვათ. მას ჟამსა შინა  
გზად იდგა ქარი,  
მოვიდა სიძე. განალო ბინა  
და დახშა კარი.

ოდეს დაბრუნდა წყებანი სხვანი  
მშვენიერ ქალთა,  
დააგვიანდათ. ისინი დგანან  
დახურულ კართან.

მათ ხელში ოზლად კანკალებს ზეთი  
მწუხარე ლანდათ.  
გარედ ქარი ჰქრის, არ არის ბედი.  
დააგვიანდათ.

\* \* \*

გასაოცარი მისი შვენება  
არის ქვეყნიურ დემონის დარი,  
როდესაც გესლი და შეჩვენება  
ჯოჯოხეთიდან არის მომსკდარი.

და ეს მაისი, ქალი მეორე –  
პატრონი იგი წამწამთა ქოხის,  
მას გამძაფრება მომეტეორე  
თან სდევდა დენდის, ზახერ-მაზოხის.

რომანიული სარჩული წყრომის –  
შეხვედრა მკაცრი გადასწყვეტს ღამით,  
რომელს დარჩება უფლება ლომის,  
ჩაილდ ჰაროლდის წამოსასხამით.

## მაისის ისრით

ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები,  
კარგია თრობა.  
და, მებრალება მე ჩემი მტრები.  
არ ვიცი მტრობა.

მაისის ისრით იჭერს ამური  
მოვერცხლილ ნავებს  
და მთვარე, თეთრი სიასამური,  
მირეკავს კრავებს.

არაფერია! ისევ ის შვილდი  
დახარის მდელოს.  
იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი,  
იმ სადღეგრძელოს.

## მაისი ჰჳჳაჳის

მაისი ყვაჳის, ხარობს ხეხილი  
ჯერ ქარისაგან არდატეხილი  
და ეუბნება მწვანე მდელოებს  
ედემი მრავალ სადღეგრძელოებს.

ჩრდილების ქვეშ ნევს შიშველი ევა,  
იგი ხან წარმტაც ედემში შევა,  
ხან ოცნებანი სწვავენ ქარისა,  
დღეა ოცნების და სიზმარისა.

## ყველა საქმეები

ყველა საქმეები მივეცი ნიაჳქარს,  
ყველა საქმეები მივეცი ქაოსებს,  
ვარ თავისუფალი.  
მახარებს მხოლოდ მზიანი დღეები.

ყველა საქმეები მივეცი ნიაჳქარს,  
ყველა საქმეები.  
სალამი მსუბუჳე ქნარს,  
სალამი ცინერარს.

ყველა საქმეები მივეცი ნიაჳქარს,  
ყველა საქმეები  
წყალს მივეც მდინარეს.

## ისეჳ მაისის მათროჳს თვალები

ისეჳ მაისის მათროჳს თვალები,  
ისეჳე სავსე მზით და ვნებებით,  
გაჩნდენ ნათელი თებერჳალები,  
ეხლა მცხოვრებნი მოგონებებით.



მათში აფეთქდა სიოს სისინი  
და სამუდამოდ ატყდა იებად,  
ო, გაუმარჯოს, გრძნობენ ისინი  
სიყვარულს, სითბოს და პატიებას.

## **შენ ალტაცებით ისევ ენთები**

შენ ალტაცებით ისევ ენთები,  
ძველი ტაძრები ისევ შენდება,  
ეფემერიდებს გამოენთები  
და სადმე მაინც გაგითენდება.  
მთები სჩანს, როგორც გიგანტი გრდემლი,  
ჩქარი მდინარის რბიან ზვირთები,  
მოგენატრება ბავშური ცრემლი,  
ეცდები, მაგრამ ვერ ატირდები.

## **მოადგა ნაპირს ათასი ნავი**

მოადგა ნაპირს ათასი ნავი,  
ო, სიხარულო! იყავ, იდიდე!  
გითხრან: სეტყვისთვის დახარე თავი,  
პასუხად ცეცხლი შემოიკიდე.  
ცეცხლი ალიან ცამდე ავიდა,  
ო, მეომარო, ბრძენო, პოეტო,  
ყველა ამ ერთი სანახავიდან  
იმ ერთ საყვარელ ნაპირს მოედო.

\* \* \*

ჩურჩული – ულურჯეს ფარჩის,  
შრიალი – აბრეშუმთ შარის,  
და ვარდი ვარდებთან დარჩი,  
იქ, სადაც სარკეა ქარის.

ახლოა სიმძიმე წვიმის,  
ეზოში აპობენ შემას,  
პოეტი – რითმას და სიმებს,  
გრიგალი იტაცებს ნეშოს.

## **მოსვლას აპირებს წვიმა**

მოსვლას აპირებს წვიმა,  
იგრძნეს ღრუბლების გემმა,  
გაიწკრიალა სიმმა  
შენი სახელი, ემმა.  
გადატეხილი მეხით  
ლამის დაღამდეს ბარემ,  
დიდებისაკენ ფეხით  
კიდევ გასწია მთვარემ.  
ყალბი ბოგემა, აგერ,  
სივრცეს უცქერის უვრცესს,  
გავს ის ძაფებით ნაკერ  
ძველი გაზეთის ფურცელს.  
დაე, მფრინავი ლანდი  
მიაქანებდეს ფოთლებს,  
იყოს საღამო ზანტი,  
მე კი გადავშლი ბოდღერს.

## **შამოდგომის დღე**

მკვდარ ყვავილების ფენას  
ვხედავ ფერებით ნათელს,  
ნისლი უმატებს წყენას  
ზოდიაკალურ ნათელს.  
მთები ბურუსმა შთანთქა,  
გულს რა ზმანებას ვახლი?  
სადღაც გრიგალი ადგა  
და შეშლილების სახლი.

ის იდუმალად მუქი  
დაფენილია რიგი,  
როგორ ჰქრებოდა შუქი,  
როგორ კვდებოდა იგი.  
მკვდარ ყვავილების ფენას  
გრძნობს მომაკვდავი ბალი,  
გული იბურავს წყენას,  
როგორც კატორლის დალი.

## **ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს**

ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს,  
ციდან ცრემლები მოდის ჩაფებით.  
გრგვინვა ციდან ცით მიაგვირგვინებს  
ელვას კივილთა აკიაფებით.  
განრისხებული თვითონ ზევესი,  
დორბლმორეული თეთრი მელანით,  
დაკარგულია გზა მოხევესი –  
ბნელდება. ღამე. მიეშველენით.

## **სულ რამდენიმე წლის წინ**

სულ რამდენიმე წლის წინ  
ყვითელ ფოთლებით თრობა,  
ხედავს ვარსკვლავთა ციმციმს  
მოგონებათა გრძნობა.  
სალამოებრად დილებს,  
რალაც საოცრად ითქვა,  
ინვევს ბავშვების ჩრდილებს  
დავინწყებული კითხვა.  
ამასაც ნახავს ფარჩა  
შელამებული არის,  
თუ ერთადერთი დარჩა  
გამოსავალი მთვარეს.

მკრთალი გაცურდა ალი,  
ცა დააშუქა წყნარ სულს,  
იქ მშვენიერი ქალი  
გაჰყვა მშვენიერ წარსულს.

### **ქარი ქანაობს ქნარად**

ჭკნება ვარდები რგული,  
ქარი ქანაობს ქნარად,  
არ გამრთელდება გული?  
წყნარად, წარსულო, წყნარად.  
ცაზე ნელდება რული  
ფერად ძონ-აბრეშუმად –  
არ გამრთელდება გული?  
ჩუმად, წარსულო, ჩუმად.

### **შადრევნების ვედრება**

ცამდე ალბათ ბევრჯერ ადის  
შადრევნების ვედრება,  
დამტვრეული სიფერადის  
სულით შემოთეთრება.  
ობოლ დობას, ვარდთა კონებს,  
დროთა ფუჭად სიოხრეს  
იგი ისე ვერ იგონებს,  
რომ არ ამოიხროს.

### **გზაზე ფოთლები ჰყრია**

გზაზე ფოთლები ჰყრია,  
მიეჩქარება სწრაფი,

ვით გაზაფხული მღვრია  
მდინარეების ქაფი.

შორი ნანგრევის კეფა  
სჩანს, ქარიშხალი ნახა,  
ისმის ძაღლების ყეფა,  
რომ... გამახსენდა... აჰა!

მაგრამ ჩემს გულში მჯერა  
სუნთქვა ახალი ქროლის,  
გამარჯვებული მღერა  
გამარჯვებული ბრძოლის.

## **შემოდგომის დღია**

ლამით ძლიერი წვიმა მოვიდა,  
დილით სიცივე იყო ფარული,  
ბერავდა ქარი მადათოვიდან,  
როგორც სიკვდილი და სიყვარული,  
მაგრამ მზეც იყო რბილი და მკრთალი  
სიყვითლე, ნება ხეთა კვდომისა,  
მე პოეზიით ვიყავი მთვრალი,  
დღე იყო ისევ შემოდგომისა.

## **ქველი ნიბნების გვირღვს არეულს**

ხან გამწკრივებულს ზღვისკენ წეროებს,  
ხან მეოცნებე ხის კენწეროებს,  
ხან ლამეს, როგორც მძიმე ობობა  
წაიღებს დროთა ავადმყოფობა.  
და ბალიც კვდება ძველად დარგული,  
ის ყველაფერს გრძნობს კვალდაკარგული.  
რა ქაოტიურ ბადეს ედები,

სადაა, ბედო, ის იმედები?  
გაზაფხულისა გაჰქრა შვენება  
და მიეფარა ნისლს სიზმარეულს,  
ძველი წიგნების გვერდებს არეულს –  
სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება.

### **შრიალეზს ჩალა**

შემოდგომაა... შრიალეზს ჩალა,  
აჩალეს ჩალა, ზიდავენ შეშას,  
როგორ აფიქრებს სამშობლო ჭალა  
ჭაობის ვარდებს, დასილულ ნემოს.  
შემოდგომაა... დაყრუვდა შარა,  
მოვიდა წვიმა, დამძიმდა ზვინი;  
მოვა თუ არა, მოვა თუ არა? –  
ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი.

### **მღვრიე, დაღლილი რასსა**

დღე შემოდგომის ცივი  
ვერსად პოულობს ალაგს,  
უკანასკნელი სხივი  
ემშვიდობება ქალაქს.  
კუნძულებიდან ქარი  
მოდის უდაბურ დღეთა,  
სწუხს ტრამვაების ზარი  
და ავტოების ბნედა.

ტყვიისმფრქვეველის კაკანს  
და კანონადას დღისას,  
ბნელ სადგურების ბაქანს  
მისდევს წუხილი ტყისა.  
მიდის. არ უნდა სახლი

და ბედნიერი ბინა,  
რუხი ფარაჯის ახლო,  
ჯარისკაცების წინა.

მღვრიე, დაღლილი რასსა  
წმინდა ქაოსის ნდომით,  
მასში მე ვნახე მასსა  
გამწარებული ომით.

## **შეშლილივით დააღებს კარებს**

მე სიმღერას შევჩვივლებ  
დარდებს შებორკილივით,  
ჩემი არდაფარული  
მწუხარების საგანი  
შეშლილივით დააღებს  
კარებს წივილ-კივილით,  
რომ უგულოდ ჩააქროს  
რამე გრძნობათაგანი.  
სულში მტვერი ადგება  
ცეცხლისა და ნაცარის,  
არარა არ ახარებს  
შორი ფერისცვალებით,  
მინდა ისევ ქვეყანას  
ვაპატიო, რაც არის,  
ცივი ნოემბერია  
ვალკირიას თვალებით.

## **მწვანე ბუმბერაზი**

მწვანე ბუმბერაზი,  
დარბაისელი ფიჭვები და ნაძვები  
ქარის ბგერაზე,

ფირუზისფერი ნემსების შვავი,  
მკრთალი ღანვები,  
ფიქრები შავი,  
ო, რა ძნელია ასვლა.

## **დაღამდება ტყეში ოდეს**

დაღამდება ტყეში ოდეს,  
ქარი ფოთლებს აურევს;  
იმ მდინარის გეშინოდეს,  
რომელიც არ ხმაურობს.

მას ფოთლები აოქროვებს,  
ვით ყვავილი ნაოშებს,  
წვეთწვეთობით წყალს აგროვებს,  
ნიაღვრებად გაუშვებს.

დაიძვრება გზა ზვირთული,  
როგორც მძიმე ხეხილი,  
ნაყოფებით დატვირთული,  
ქარით გადაზნექილი.

## **ტყე**

ტყე. მთვარეზე ნავის  
დღე ჟინია,  
დათვს თავისი თავის  
ეშინია.  
ყოველივე საგანს  
ეშინია.  
სცივა გადანაქანს  
ტყეში ნიავეს.



ყოველივე საგანს  
ადგილი აქვს,  
თვით ნიავეთაგანს,  
ბილიკს.

### **ყვავის სიმღერა**

რომელი ფრინველია ყველაზე ლამაზი?  
ჩემი ბახალა!  
მე, ყვავი, ვმღერი ყველგან ამაზე,  
ჩემი ბახალა.  
შენს ჩხავილს ყველამ დაუჯეროს,  
ჩემი ბახალა.  
თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს  
ჩემი ბახალა.  
ვინ არის ყველაზე ფაქიზი და ნაზი?  
ჩემი ბახალა.  
რომელი ფრინველია ყველაზე ლამაზი?  
ჩემი ბახალა!

### **ცხენით სიღეუბ**

ცხენი მიანგრევს ხიდეებს ჩლიქით,  
მაგრამ უეცრად სცქვიტა ყურები,  
მისი თვალები აივსენ – იქით  
ადამიანურ უბედურებით...  
მის თვალწინ გაკრთა მსუბუქი მწკრივი:  
ეთამაშება ნაკადებს თევზი.  
იყო მხედარი – ჩვეულებრივი –  
კაცი – ვით კაცი და არა ზევსი.

## **უბედურ საათს არვინ დაგიცავს**

უბედურ საათს არვინ დაგიცავს,  
არავინ გეტყვის მშობლიურ ნანას,  
მაგრამ გახედავ ყრუ დედამინას  
და მოიგონებ შენ შენს სატანას.

იმედი, შენი ბრძოლის საგანი,  
გატაცებაა დაუდგრომელის.  
მოღუშულია შენი საკანი:  
სხვა რა, სიკვდილი მხოლოდ მოგელის.

## **მე მძინარე ვარ...**

მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,  
დაე, მძინავდეს.  
ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,  
როდესაც ნანა მესმის ძიძების –  
ბევრს ეშინოდეს  
ჩემი სასტიკი, უღმობელი გამოღვიძების.  
ვით გათენებას,  
მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

## **მნარე იაჴნანა**

როდის გითხარ, გულში შიში  
რომ აგიძრა, მძინავო.  
არ მოვსულვარ, რომ ბალიში  
შევძრა, გინანინავო,  
არ მოვსულვარ, გულში დანა  
დაგცე სამაგიერო,  
იაჴნანა, იაჴნანა,

იავნანა, ცბიერო.  
არ მოვსულვარ, რომ დამლევნი  
მაისების გეგონოს,  
მინდა აგცდეს სანამლავი,  
გველი არ დაგეკონოს.  
არ მოვსულვარ, რომ შხამებით  
ვავსო შენი ჭიქები,  
ოდეს მკვლელი შელამებით  
ალვად გადიზნიქები.

## **დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით**

დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით,  
ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები,  
ცა მემუქრება ჭექა-ქუხილით,  
მე დამუნჯებით ცას ვემუქრები.  
ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები,  
ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით,  
მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები,  
რომ მოვა ჩემთან მონანიებით.

## **ითვლის თვითეულ მისხლით**

მაგრამ, ის ითვლის თვითეულ მისხლით,  
ამაყი იმით,  
რომ არა პირველს გაუშრო სისხლი  
ბოროტი ღიმიით.

ის მიდის, თითქოს სიცვიეს ვარცხნის  
და ქარში ელავს,  
სილები მარჯვნივ, სილები მარცხნივ,  
სილები ყველას.

ო, დიდი ჰქონდა მას ხალხის ხათრი,  
მარადი ტემა;  
გაბრწყინებული ღამის თეატრი  
და ტაშისცემა.

მიდის ნამდვილი ბოგემის ჯიში,  
რაა, არ იცის...  
არც გააფთრებულ მკლავების შიში,  
არც თათქაროდის.

### **ბაიციქირება მომავლისაკენ**

ის დაფიქრებით და დაჟინებით  
გაიცქირება მომავლისაკენ;  
ვერც დამუქრებით, ვერც დაშინებით  
ვერ გაიტაცეს ფიქრი მისაგან.  
უფრო ძლიერად და უარესად  
სურს გაარღვიოს თვალთ ბინდები,  
სად დარაზმულად და საკმარისად  
ერთგული უცდის მას რაინდები.

### **ჩვენ ვხვდებით ისევ**

ჩვენ ვხვდებით ისევ – უცნობი მხრიდან  
შენ, მეგობარო, მომეცი ხელი;  
ჩვენ მეგობრები ვართ დიდი ხნიდან,  
ჩვენ მეგობრები ვართ განუყრელი.  
დგეხარ და უცდი, ვიცი, ვის ელი,  
ახ, მეგობარო... ლოდინი ლოდის.  
ჩვენ მეგობრები ვართ განუყრელი.  
და ჰა, მესამეც... შეხედე, მოდის.

## ეს შელამება

ეს შელამება სხვისი სასძლოა,  
სხვა სითეთრემ რომ ააქალდა.  
მე ასე ვგონებ და, შესაძლოა,  
ზეცაზე ყველა სული დაღალდა,  
და გასაგონად: მსოფლიო, წყნარად!  
იქ ნანგრევებად იქცა სოფელი;  
დიდი ხანია იქცა არარად  
და დახარხარებს მეფისტოფელი.

## მისი პათოსი

მისი პათოსი მეტად დიდია  
შემოხვეული ცეცხლის ჩრდილებით,  
იგი მოხუცი ერუდიტია  
საესე მრავალი გამოცდილებით.

მოსამართლეა მისი თვალები,  
სასჯელად არ ჰქმნის ახალ კანონებს,  
შეუბრალებლად ანაძალები  
ანგრევს ვერსალებს და ტრიანონებს.

## არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება

არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება,  
გაესაუბროს ჩემსას თამამად,  
მას მომავალი ეალუბლება  
მხოლოდ გრიგალად, წვიმად, სამუშად.  
გაუკვდავების ოცნებავ მწირო,  
გამვლელ-გამომვლელ წამთა ფერება  
არ არის ეხლა შენთვის საჭირო –  
რომ მოიპოვო ბედნიერება.

## ოთხი ღემონი

ცეცხლისფერ-ნითელი ყვავილების  
ოთხი ღემონი,  
აი, ერთი ოჯახის ისტორია.  
ზღვა, ბორბალი, შხამი,  
თამაში ცეცხლთან,  
თქმა ყველა ამის  
აღმატება ყოველგვარ ძალას;  
თანამედროვე სული,  
ვით წერილები  
არანორმალურ ადამიანის,  
ორხიდეებზე უტკბოესია: –  
უხილავი ბორკილები,  
მარადი სიზმარი,  
ფერხული ზმანებათა,  
სიბნელე  
ყველგან, ყოველთვის  
უხილავი ბორკილები!

## ბნელ ქიმერაჰში

იგი ბნელ ქიმერებში მიყურებდა – ალიონს,  
არავის არ შეეძლო ასე გათამამება,  
ან ვისაც სურს ყოველი დაფნას გადააღიოს,  
ტრიუმფი სიხარულის მხოლოდ მე დამანება.  
ჩემი როლი ნილაბით იყო სული ნილაბის,  
ვარ უცნობი ყველასთვის ასეთ სულისკვეთებით,  
ვინც პოეტად გაგზარდა, ოდეს შენ წაგიღებენ,  
თვალს არ გამოგადევნებს ცრემლის მძიმე წვეთებით.

## მოჩვენება ნანგრევებში

ჩამავალი მზის ელვარება ნითლად და ყვითლად  
ღებავს შორეულ და ფიფქივით დაცრეცილ ღრუბლებს,

ამომსკდარ მადნის ელვარება დასხმია ტატნობს,  
ხელფეხმომსხვრეულ ოქრო-ვერცხლის ანგელოსთ შორის  
ბრწყინვალე ფარჩებს და სარკეებს გადეფარება.  
ალბათ, ასეთი იყო წამი ქვეყნის შექმნის დროს,  
ალბათ, ასეთი იქნება ის დალუპვის წამში.  
ეშვება ფარდა, დედამინას ეცემა ბინდი,  
ბინდი, რომლითაც უკუზრნებლად სწუხდა რემბრანდტი,  
ლანდი, რომლითაც ბოტტიჩელი იზრდილებოდა  
და ფერადები დაღალულნი პოეტის შელლის.

### **ქარებს ქარობა!**

დაეტყო კიდეც ქარებს ქარობა,  
როცა მტრობაა და ედგარობა,  
სანთელო, გარხევს ღამის ფიქრები,  
მაგრამ შენ მაინც ნუ ჩამიქრები,  
ნუ მიმატოვებ.

ალარ ეტყობა თვალებს თვალობა,  
როცა ღრეა და მიუვალობა,  
აყეფდებიან მთვარის ტყუპები,  
ო, შენ მაინც არ დაილუპები,  
ცრემლს ნუ ათოვებ.

### **პორტრეტი**

თავბრუდამხვევი იყო წამები!  
როგორც მხურვალე კოცნა პირველი,  
მე სიყმანვილეს არ ვეწამები:  
რომ იყო ცივი და გამწირველი.

მე არაერთხელ მინახავს ვაჟი,  
რომელიც მღერის ცეცხლის მოდებით,  
ცისფერ ხომალდით მისცურავს ზღვაში,  
ზღვა კი გრიალებს თავგამოდებით.

და ვენახები, მოსილი ვაზით,  
საწნახელების ლურჯი ნავეებით.  
ვაჟი, რომელიც ღვინოს სვამს თასით,  
თასი კი ელავს საწამლავეებით.

თქვენ არაერთხელ ისმენდით ამბავს  
ვაჟისას, ღამით რომ არ იძინებს,  
სიგიჟით ყნოსავს ვარდებს და ზამბახს,  
სადაც ღამე და გველი სისინებს.

ო, ვინ გაიგებს გაუგებარ დარდს,  
ფიქრებს მღელვარეს, ვნებას მღულარეს;  
ვაჟი, რომელიც გულზე იბნევს ვარდს,  
ანდა მუსიკას ისმენს მწუხარეს.

ის, ახალგაზრდა, მიდის სცენაზე,  
მაგრამ მეორე ფანჯარას აღებს  
და გადაჰყურებს გამოფენაზე  
მთვარით დაფერილს მინდვრებს და ბაღებს.

მას წყევლად მისდევს აგერ მრავალი  
ხელების ფენა და ტაშისცემა,  
მისი ცხოვრება გარდამავალი,  
უუნაზესი არის პოემა.

ეხლა ის მიჰქრის შიშველი ხმალით!  
მეორე ეძებს სიცოცხლის ძალას,  
მაგრამ მოკლული ოცნებით მალით  
დასცქერის წიგნს და ხმელ თავის ქალას.

ცხოვრება გასწყრა და გააღქაჯდა,  
მინდვრებში გატყდა ოცნება მწყემსის,  
ის ბორკილებში ზის, ახალგაზრდა,  
ის, ახალგაზრდა, ციხეში კვნესის.

ან მონამლული დაეცა ბაღში,  
ან თავის მკვლეელი იღებს რევოლვერს.



და მხოლოდ ღამე თავის წიაღში  
საიდუმლოსთვის იწვევს ორივეს.

ეხლა ის მიჰქრის ხრიოკზე ცხენით,  
შუბლი მოცული აქვს მღვრიე აზრით.  
ის გადისროლა მერანმა წყენით  
და ბილიკებზე მიათრევს ბანრით.

იგი სვამს ღვინოს, ვით ქარს და წვიმას,  
მზე კვლავ უყვარდა, გზა არ დაღლოდა.  
მოშორდა თოვლებს, გასცდა ცუსიმას  
და ბარიკადებს მიუახლოვდა.

## გუგა

ეს მდინარენი შფოთიანნი – ეს სისხლის დღენი  
უცებ გაჩერდა – კოსმიური შეიქნა გუბე –  
აპოკალიპსის გადაიმსხვრა კლდეებზე ცხენი,  
ამოტივტივდა ხვეულების უბიდან უბე.

ირევა ყვითელ ჭაობების ბრმა ზედაპირი,  
კრეისერების ნაფოტები, ჩვრები – დროშები.  
გამორიყული დამხრჩვალეებით სუნთქავს ნაპირი,  
ცოცხალი წარღვნის უდარდელად გარდამომშვები.

აშმორდა გუბე, მაგრამ მკაცრი საათი რეკავს.  
გამოიღვიძეთ! შურისგება არყევს ნიობას –  
გადაირღვევა ნაპირები... და გადალეკავს  
ძველს, ეხლა მაინც დაღუპვის ღირსს, კაცობრიობას...

## ის ბრიგალს ელის

მდინარებაში არავის უცდის  
წლები დას-დასი,

ქაოსში გაჰქრა სახე ავგუსტის  
ახალგაზრდასი.  
სიცილიც გაჰქრა, ამაყი ბავშვის  
დაცინვა – დარჩა.  
არ ეჩქარება ვნებათა შვავში,  
არ მოსავეს ფარჩა.  
ნაღმების ფეთქამ ცაში ისროლეს  
ხომალდი შელლის.  
დაპირებები ვერ აუსრულეს,  
ის გრიგალს ელის.

## ღღე

ავტოში ცისფერი ფარდები,  
ბირჟაზე ცეცხლი ცეცხლს ეკიდება,  
იფანტებიან მილიარდები,  
როდესაც იფიქრებ – მწარდები,  
წვიმის და ქარის გაბედითება  
ამდენი ვარდები –  
სად იზიდება?

## აელვარებულ ღუმელთა შორის

აელვარებულ ღუმელთა შორის  
იქ, სადაც კვამლში ქანაობს ძილი,  
აჩრდილი მაღალ გლადიატორის  
დადის საშიში, როგორც სიკვდილი,  
გამოხედვა აქვს ზვიადი ქორის  
და ბაგეების კერპი დუმილი,  
გარშემო ნისლის იშლება ქუფრი,  
ჭვარტლი, გუგუნე, ტალახი, კუპრი.

## ავტომობილი

ედება სხივის ანთება შავი,  
გედივით ჰკივის ლანდების ზოლი.  
ბავშების ქუჩას მიაფრენს ნავი,  
გარემოს უჩანს ნისლი და ბოლი.

ბორბალი მალე ავიდა ჰაერს,  
ორფერი ალით ბაგეთა რკალი,  
იქნება ქარში ახალი დავა,  
ვინაა ქალი, ლამაზი ქალი?

ქავილი ნელი გაბზარავს ჰაერს,  
ყვავილი ველის დაფარავს ყველას,  
ავტომობილი მოაფრენს მაისს,  
ავტომობილი მიჰქრის და ელავს.

## მაღაროში

დაკარგული პოლიუსი  
ირევა სიბნელეში,  
როგორც მერყევი ბრბო;  
შორიდან მოდის დღის სინათლე,  
როგორც ცივი თვალი  
სინესტეში.  
მოსალოდნელია ბიბლიური წარღვნა.  
აქ, სადღაც დამალულია  
გრძნეული ოქრო.  
ადამიანები ქედმოხრილნი და ოფლიანნი  
ექებენ მას,  
მას,  
რაზედაც ჩუმათ არიან;  
ისინი კენესიან მხოლოდ  
და თხრიან მაღაროს.

## უეცარი ქალაქი

იქ იშლებიან თეთრად ნაგები  
ობელისკების ნელი შვენება,  
იქ აიმართენ სხვა ქალაქები,  
მთებს რომ გველივით შეეშენება.  
ხელოვნურ ხეებს ქუჩა, ქარვასლა  
რომ მიეფინოს, რბიან დღეები,  
ქარვების ჰქრება სიდარბაისლე,  
ქართ დაბერვის არ მოშიშეები.  
იქ, შორს სხვაგვარად მიჰქრიან დრონი,  
რომ მოუტანოს ოცნებამ ნაზმა  
აზრს ციფერბლატი, თვალს ელექტრონი,  
გულს მარმალილო, სმენას ფანტაზმა.  
იქ ვერაფერმა გააანკაროს  
სახლების წყება, რისხვათ ალაგი,  
რომ მოზმანებულს გავდეს სამყაროს  
და უეცარი აღდგეს ქალაქი.

## რას ჰკივის ქუჩა?

რას ჰკივის ქუჩა?  
ამ დროს უეცრად მომაგონდება  
ყინვები.  
ო, რა წამება გამოვიარე.  
ღამის მთევარი,  
ეხლა  
ვინ არის წმინდა და  
უდარდელი?  
ღიახ,  
ეს მე ვარ...  
მაგრამ წარსული  
არავის ესმის  
პოეტის გარდა.

## ქალაქი სიზნალში

მე მოვდივარ  
მკვდარი ქალაქისაკენ,  
მას ორად გაუბეს გული,  
არ ისმის სიმღერები,  
არ ისმის სიცილი,  
არვინ საუბრობს,  
არვინ მოძრაობს.  
ღამეა საშინელი, ღამე  
ამართული, როგორც შავი დროშა.  
გრიგალი ძალღივით ღრღნის  
ქალაქის ქალას.

## პლაკატების კივილი

კარგად შექმნილი ქრონიკები ყველა გაზეთებს!  
განცხადებები შუა-გვერდში, ყოველ კვირაში!  
განცხადებები უჩვეულოდ უნდა აიწყოს!  
მთელი ენერგია თვალსაჩინო ადგილისათვის!  
პლაკატები ტრამვაებსა და მაღაზიებს,  
პლაკატები რკინისგზებზე და მოედნებზე.  
აჰა, სცენაზე გამოჩენის დროც მოახლოვდა,  
ო, მოუხშირეთ განცხადებებს... აღნიშნეთ ეს დღე.  
აღნიშნეთ ეს დღე ქრონიკებში და რეკლამებში.  
უნდა მოეწყოს ხელოვნური ყვავილებივით.  
გატაცებები შემთხვევითი მაინც სჯობია.  
თეატრებიდან გადმოყარეთ ჭრელი ფურცლები.  
ხალხი ორ ჯგუფად გაიყოფა, ეს ნუ გაშინებსთ.  
ჩვენს მხარეს უნდა დარჩეს ჯგუფი გავლენიანი:  
ფელეტონები, ქრონიკები ყველა გაზეთებს.  
კვირაში ორჯერ, უსათუოდ, კვირას, ხუთშაბათს.

## პანიკა

მასხარა ეხლა აღარა ჰგავს იმ მშვიდ მასხარას:  
იმისი სახე არის ოხვრა და ტრაგედია,  
მაგრამ ის ეხლაც არ ეშვება ცარიელ სიტყვებს,  
მას კიდევ ხელში შერჩენია ბალალაიკა,  
რომლითაც იგი წუთის წინად ყველას ართობდა!  
ძლივს-ძლივას ასწრებს ფეხტიტველი მეუდაბნოე  
თავის დაღწევას. ბარაბანის დამკვრელი გარბის  
და სცემს ბარაბანს. ის ყასაბი, ხორცებს რომ სჭრიდა  
წინსაფართით და ხელში დანით, მოუხეშავი,  
სულს ძლივს ითქვამს და მილასლასებს.  
მოსამსახურე ქალი მისდევს მიმქროლ ქალბატონს.  
მოგება მომეც! – გაედევნა ვილაცას ჩარჩი.  
ამნაირ ზღაპრებს ვინ ავრცელებს – ამბობს ვილაცა,  
მაგრამ ნამდვილი ამბავია – არა ზღაპარი:  
მანიფესტანტებს მეთაური მიუძღვის დროშით  
და მოედანზე საოცარი ისმის სიტყვები.

## ჟელაშეა

ეფინება შუქთ ნაჟური,  
როგორც მკრთალი აბაჟური.

ქუჩაზე კივის ნარნარი  
ავტომობილის ფანარი.

მღვრიე გრიალის დორბლები –  
ავტომობილის ბორბლები.

ყვირილით დაღალდა,  
გაზეთი, ქალაღდი.

ლანდი, შუაგზის იმედის,  
რესსორი ველოსიპედის.

შუადრო ქალაქს აძალებს  
ასაფეთქებელ მასალებს.

და შუქებს გამოფენათა  
ქუჩებზე გადმოენათა.

იყო სანთელზე ყოველი  
ნაქარგები და ქსოვილი,

მუქართა და ვედრებით  
ვაზებით, გაზომეტრებით.

იყო რკინა და ფოლადი  
უძლიერესი, ყოვლადი.

და ორთქლები უხსნის ბაგეს  
მძიმე რკინის ლიანდაგებს.

## **როდესაც ყველას სძინავდა**

ბინაზე ვბრუნდებოდი ღამით,  
როდესაც ყველას სძინავდა;  
ჩვეულებრივად,  
უნდა ავსულიყავი მთაზე  
და გზაში მთელი საათობით  
შემეძლო მეოცნება  
ფანტომივით მსუბუქი  
ქალაქით.  
მოფენილა ელვარე სანთლები.  
ეხლა მძინარე,  
როგორც სპეტაკი და ცისფერი  
მდინარე,  
სარკესავით ნათელი,  
მბრწყინავი, როგორც გასრესილი  
ციცინათელები.

მომხიბლავი ხაზებით,  
როგორც ფეხით ჩატეხილი  
ყინული,  
ან ზამთარში ფანჯრის მინებზე  
აყვავებული,  
ფეერიული ყინვა,  
რომელიც ასეთი სიყვარულით  
უყვარდა ვრუბელს,  
გენიალურ პალლადინს  
დემონისა და  
ცისფერი გედის.

### **პირველი ვარდი**

პირველი ვარდი...  
მოვიდა პირმშვენიერი მაისი,  
რად დაგვაგინყდა  
ძველ ნანგრევებზე ძველი ნავარდი,  
კუნძული ჰავაის  
და ჰავაელი პატარა ქალი  
სახელად ემმა.  
თუ ნაიყვანა სიყმანვილე  
უცნობმა გემმა  
და დაიკარგა სადმე ყვავილი,  
მიუგნებელი მხარეები თუ აიგულე,  
ვინ მომიტანა ეს თაიგული,  
ვის შევუყვარდი?  
ბავშობიდანვე იყავი მარტო  
ჯვარზე გაკრული,  
შენ სული გქონდა მეტად ფაქიზი  
და დაჩაგრული.  
ვილაცამ ალბათ გაიარა  
შენს სპეტაკ სულში,  
აღზრდილმა შენებრ მარტოობით  
და სინანულში;



ო, გული, გული, რანაირად  
მტკივა კვლავ გული.  
ვინ მოგიტანა შენ თაიგული;  
თუ დააბრუნა სიყმანვილე  
იმავე გემმა  
და ჰავაელი პატარა ქალი,  
სახელად ემმა?

## დედოფალა

საბრალო დედოფალა,  
მორთული ფერადი ფარჩით,  
მას აქვს დაბურდული, ოქროსფერი თმები,  
ცისფერი დიდი თვალები,  
პანანინა წითელი ტუჩები  
და უმოძრაო ხელფეხი.  
სთქვი, დედოფალა!  
იმღერე, დედოფალა!  
რა გქვიან შენ სახელად?  
ხომ არ მიირთმევ, დედოფალა  
ბაგით ალუბლებს?  
მაგრამ შენ გინდა ერთადერთი:  
წყევლისაგან განთავისუფლება.

## ყორანის ცრემლები

ყორანს ცრემლით უმძიმს უბე –  
როგორც შავი ყვავილი;  
– დავილუბე, დავილუბე, –  
ისმის მისი ჩხავილი.  
ნისლი, წვიმა, თრთიან გარედ  
უბინაო ბავშვები.  
მეცოდება ვილაც მწარედ,  
ვილაც ხელგანაშვები.

## ბავშობის დღეები

გაფრინდა ბავშობის დღეები,  
მინდვრები, ჭალები, ტყეები,  
უეცრად მოვიდა შავებით  
სხვა ბავში შორეულ დაბიდან.  
მწუხარე ფერხულში ჩავებით  
და თვალი ცრემლებმა დაბინდა,  
ბალახი, მდინარე, ხეები,  
დღეები, ბავშობის დღეები.

## ბავში გაზეთები

საათმა ქალაქის კომკიდან შვიდჯერ დარეკა,  
თავის სახლის წინ ფოთლიან ეზოს ჰგვის მეეზოვე,  
ცოცხს იქნევს მთიბავივით:  
იყო გრიგალი წინაღამით – და აფიშები  
თითქო ხელიდან დაეტაცა ქუჩის ბავშვისთვის.  
ერთი ნახევი გაზეთისა გაჟინიანდა  
რამოდენჯერმე:  
მოედო ცოცხი, ადგილიდან კი არ დაიძრა.  
გაოცებული მეეზოვე დასწვდა და სახეს  
კვლავ უფრო მეტი გაოცება გამოეხატა:  
მას ხელში შერჩა აფიშებში გამოსვეული  
პატარა ბავში, საოცნებოდ პატარა ბავში.  
აჰ, მეეზოვე! უპოვნია მას გზაზე ხშირად  
ხან ძველი წალა, ხან ცხენის წალი, –  
არ ახსოვს პოვნა ცოცხალი ბავშვის.  
აფიშას ერთიც არ ჰქონდა ნაკლი,  
ჩვეულებრივი მაღალი შრიფტით  
იქ ცხადდებოდა ცირკი, სპეკტაკლი.

## ქუჩაზე

პატარა პირუტყვებივით ჰყრია ბავშვები  
ზამთრის ქუჩებში.  
პირუტყვეებს რამე მაინც ფარავს,  
ბავშვებს – არა რა.  
ხბოს რომ ბოსელში შეაგდებენ  
ამ ცივ ზამთარში,  
მას თვალეჭროლა გვერდს ეყოლება  
ძვირფასი ძროხა:  
მაგრამ ბავშვებსაც ნახირობით უყვართ ცხოვრება.  
აი, ქუჩაზე დროგს მიათრევს  
ფაშატი ცხენი,  
იცის იმ ცხენმაც, რომ დახვდება  
სითბო და თივა.  
მოსხნიან ლაგამს და საპალნეს,  
მისცემენ თოფრას.  
ასე არ ოცნებობს პატარა მანანნალა,  
ამონუმბული და უფერული;  
იგი ეხლავე არის მშვიერი მგელი,  
იგი ეხლავე არის ლაქუცა ძალლი.  
სნეული ბავშვები,  
კატის კნუტებივით ღამით მიყრილი  
თოვლიან ქვებზე,  
ოცნებობენ მკვლელობაზე,  
სისხლზე და ცეცხლზე.

## მეზღვაურთ ღვინო დაურიგდება

დამშვიდდი, გული რისთვის გიკვდება,  
ჩვენ რითმებს ვთოვდით!  
მეზღვაურთ ღვინო დაურიგდება,  
მოგროვდით!

## ზღვის ფსკერიდან

ზღვის ფსკერიდან ზევით-ქვევით უნდა იარო  
და ბუზების გესმის მესსა სამგლოვიარო.  
გადაფერფლილ ლანდად რომ სჩანს – შენი ტანია,  
თევზმა დახრა სამოსელი დიდიხანია,  
მდინარიდან ძვლები იგი ქარმა მოხარა,  
აიტაცა და ნაპირზე მიყარ-მოყარა.

## დაიღუპა ის ხომალდი

დაიღუპა ის ხომალდი დიდიხანია,  
ო, რამდენი მწუხარება ამიტანია.  
იგი ან ჰქერის ზვირთთა შორის როგორც ჩვენება  
და ლელვაში არ აქვს ძალი და მოსვენება.  
ხან აქ, ხან იქ მიაქანებს ლელვა შორითი  
და აფრებში მნარედ იბრძვის ქარი ბოროტი.

## ანკეპი

დაუნდობელი ქარით ნარენი  
და დანენილი, როგორც წვიმები,  
ვით დაღალული სერაფიმები  
ჰქროდენ ანძები მგლოვიარენი.  
არ მეშინოდა, გზას არ აურევს  
ცისფერ ხომალდის სველი ფერდები,  
„მინა!“ – აღმოხდა გულს მეზღვაურებს,  
მაგრამ მე მაინც არ შევჩერდები.

## ლურჯი ხომალდი

ხომალდი ლურჯი, დაღლილი სახით  
მოსული გუშინ, ისვენებს გვიან,

ადევნებული მთვარის მაზარით  
ანძების ტყეში ლანდები ჰქრიან.  
ხომალდი მიდის – როგორც ტაძარი,  
მაგრამ არ მიდის, ლანდნი მიდიან.  
დამშვიდდი, ზღვაო, იყავი წყნარად,  
გადაქცეულო ლილიან ქარად.  
და, ჰა, დაღალულ სულთა მკურნალი  
დაფნისის სული, კრთომა ქლოესი,  
უუძველესი ბალის სურნელი  
ჩემთვის მარადის უახლოესი.  
ნუ გვიანდებით, ნუ გვიანდებით,  
ეშვება ბინდი ლილიან ფრთებით.

### **ლილიან ფრთებით**

აჰა, შვენება! ოჰ, ეს ცისკარი  
ოცნებამ ბაგით გაგაანგარა.  
შემოგახვია შავი ზღვის ქარი  
ლილიან ქარად – ბაგე ანკარა.  
მოგცა ლურჯი ცა და მინანქარი,  
გადაგაქცია ლილიან ქარად,  
ნუ გვიანდებით, ნუ გვიანდებით,  
ეშვება ღამე ლილიან ფრთებით.

### **შენ გვიანდები**

შენ გვიანდები.  
სხვა ხომალდები მოადგა ნაპირს, დაუშვა აფრა  
და ჩაჰყურებენ მძინარე ნაპირს კრეისერების მძიმე ლანდები,  
ნითლად ნანთები ზღვა იზმორება, ქაფის გორები არ ძრავს  
ფრეგატებს  
და სიშორეში ჰაეროვნად ლილიანდები,  
ოქრო ნანთები  
დასძრა შუქურამ და აელვარდა შენს ირგვლივ ქაფზე  
ათასი ალი, ათასი ლალი და უმძიმესი ბრილიანტები.

## მინა გამოჩნდა

ხომალდს, რომელსაც ნაფოტივით ლუპავს ბუნება  
და ილუნება იქ მაღალი ანძების სვეტი,  
უხილავ ძალას უცდის პოეტი  
და ქარიშხალის აზუზუნება.

მიარხევს ზვირთებს მრისხანე ბედი.  
არსად არა სჩანს სული უნებო,  
ვისაც არა-რა დარჩენია სიკვდილის მეტი  
და იცის მხოლოდ ერთი გრძნობა: არ-დაბრუნება.

მაგრამ შენ როსმე გიგრძვინა? – არა!  
მის საძებნელად გავსწიოთ ჩქარა,  
სასონარკვეთის დედამინას ნება ვინ მისცა?

ბევრი ეძებდა მის ნახვას დღემდე,  
მაგრამ, შეხედეთ: ძიების შემდეგ!  
მინა გამოჩნდა, მეგობრებო, ახალი მინა!

## შენ ზღვის პირად

ზღვას სალამო ედებოდა მუქი,  
შენ ზღვის პირად სჩანდი, როგორც შუქი.

მე პირველი მახსოვს შენი ნახვა:  
გაოცება! მშვენიერი ზრახვა.

როგორც შორი ხომალდების ცქერა,  
ვით პირველი გრძნობით გულის ძგერა,

ირხეოდა გამჭვირვალე რული  
და მტკივოდა... და მტკივოდა გული.

იმ ხომალდებს სამუდამოდ გაჰყვა  
გაოცება, მშვენიერი ზრახვა.

## ქალაქი წყალზე

ქალაქი წყალზე, წარბშეყრილი და მრისხანება,  
როგორც ქალაქი, დრედნოუტიც ისე ჩუმიან;  
მხოლოდ ნაპირას მოასკდება გამოქანება  
და დაწყნარდება, თითქო ლურჯი აბრეშუმიან.

ქანაობს გემი, მიჩვეული გრიგალით თრობას,  
ო, ეს დუმილი, დაყრდნობილი ანძების თავზე,  
ამ ბნელი ღამით ემუქრება კაცობრიობას  
ძველს, დახავსებულს ემუქრება სიახლით სავსე.

## ტრანსეიკუპი

არ ბრწყინვალე, არ ენთები,  
გათენდი თუ გათენდები,  
ღამევე ბნელო.  
შუამთაზე ნისლი არის,  
ათი მთა რომ გადიაროს,  
ტყე და მდელო.  
ეს სიცივეც არეს ჰყინავს,  
ცხრა ღამეა, რაც არ გვძინავს,  
მთიდან მთაზე,  
თხრილში გვავესებს თოვლის მტვერი,  
არც მოძმე სჩანს, არც სჩანს მტერი,  
და ვართ ასე.

## ცაცხლიან ფერფლით

მსოფლიო იყო ძლიერი ლომი  
კლანჭებში მსხვერპლით,  
ეპარებოდა საზარი ომი  
ცეცხლიან ფერფლით.

ის მოჩვენებას ელოდა მრავალს,  
მოვარდნილს ღამით,  
და სულში ზრდიდა სუსხიან ყვავილს,  
აღსავსეს შხამით.  
აღსავსე სისხლით.  
შურის ძიება თვითეულ მარცვლად,  
მისხლითი მისხლით,  
არის მშვენიერ ქალაქთა ნაცვლად.

## ბანარზე

იგრიხება ბანარი –  
ვინრო ტოტი ქარისა,  
ქვევით ისმის საზარი  
გრგვინვა ნიაგარისა,  
დაივინყე, რაც არი,  
შორით მოსჩანს ტაძარი  
მთისა მინაქარისა.

წინ, ბანარზე ორეულ  
მზით აივსე პეშვები!  
დაგინდობს ან მორევი,  
ან ნაპრალთა ეშვები,  
ან მზეს ნახავ შორეულს,  
ან სიგიჟემორეულ  
ზღვაში გადაეშვები.

\* \* \*

რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!  
რალაც წყურვილით და გაგიჟებით,  
როგორც სიცოცხლე და ბედისწერა,  
თქვენ გაზაფხულზე მეპატიჟებით.



მეხი გავარდა და შორეული  
მიჩუმდა ისევ რისხვა ერთჯერი,  
გათავდა ბრძოლა ცოფმორეული,  
სადაც ღრუბლების იდგა გლექჩერი.

სალამი ნგრევას, ვისში გვიანი  
აღფრთოვანება იყოს ნეტავი,  
დღე ნამოიჭრა ოქროსთმიანი,  
დღე ახალგაზრდა და გამბედავი.

მზე დედამინას სუნთქვას უდიდებს,  
სადაც ძეგლები არის დარგული,  
აღმოსავლეთით ის მიუთითებს:  
იქ საუნჯეა გადამარხული...

## ცეცხლი, მახვილი

ცეცხლი, მახვილი, სისხლი იყოს შენი სახელი,  
დაინგრეს ძველი: სიხარული მოდის ახალი  
და ამბობს ყველას გასაგონად: მსოფლიო, წყნარად!  
შენი წარსული, შენი აწმყო იქცა არარად.  
და დახარხარებს შენს ნანგრევებს: ცეცხლი, მახვილი...  
ცეცხლი, მახვილი, სისხლი იყოს შენი სახელი.

\* \* \*

მშვიდზე მშვიდი  
ცხრაას შვიდი,  
უეცარი,  
ომის ზარი.  
იყო მწარე  
ჩვენი შარის  
დაშორება  
უზეცარი.

ეხლაც განა  
მასსოვს ნანა,  
სადაც ყანა  
იყო წყნარი.  
შემდეგ მკაცრი  
კარპატები,  
მერე კრემლი  
და ხანძარი.

## **არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი**

არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი,  
როს ეშაფოტზე ადიოდა რობესპიერი.  
და მიდიოდა კლდე და ტალღა, მძაფრი და გიჟი,  
როცა მსოფლიო ნალარა-დაფს სცემდა პარიჟი.  
როცა ლანდივით გაიშვირა ქიმერამ დინგი  
იქით, საითკენ იშლებოდა ხალხის მიტინგი  
და ნილოსიდან წამოსული ქამელეონი –  
ეპარებოდა მას მძვინვარე ნაპოლეონი.  
გაჰქერა, დროს ისე ღიმილით არ ეალუბლება  
თავისუფლება, დახვრეტილი თავისუფლება.

## **არიან დღენი**

არიან დღენი, ხანჯალივით ბასრი და მჭევრი,  
ოდეს სისხლივით აღელდება ოცნება შენი.  
შენ გენატრება მოკლულებით ფენილი ტყვრი,  
შენ გინდა იყო უსულგულო ცხოვრების მტევრი,  
ელვარე ცეცხლით გადაბუგო მთანი და ტყენი.  
არიან დღენი, საუკუნეთ უფრორე მძღენი.  
ტყვია-წამლით და დინამიტით მსუნთქავი ქვევრი.

აფეთქებანი, შეკვივლება, ძახილი, ბევრი  
არიან დღენი.  
არიან დღენი... ცეცხლისა და მახვილის კვერი,  
ათასწლოვანი ადგილიდან სხლტებიან კლდენი.  
იმ გულს ეკუთვნის თვითეული ტემა, შედეგრი...  
არიან დღენი.

\* \* \*

მან მოიტაცა ველები თოვლის  
ფეერიული თვალით, მნათები,  
ხან ნიაღვარი ცხრაასხუთისა,  
ხან პეტროგრაფის ბარიკადები.  
ყვიროდა ცეცხლი და კანონადა:  
შენი მარადი სული რუსული.  
კვნესდენ ველები უკრაინისა  
და კრემლი ცეცხლით გადატრუსული;  
თუ მართლა წამის ნყვდიადში წადი,  
თუ მართლა სიკვდილს მიეცი ხელი –  
საოცარია ეს წელიწადი,  
საოცარია ცხოვრება მთელი!

## თქვენი ბინა

მე თქვენი ბინა, შემოვალე თუ არა კარებს,  
დამხვდება, თითქო ვამარცხებდი სადღაცა დევებს;  
მარიგებს იგი, მიაღერსებს, მკიცხავს, მამხნევეს,  
არავითარ გესლს და სინანულს არ გამაკარებს.  
ვინ დაივიწყებს იმ გრიგალებს და ნიაგარებს?  
მაგრამ ეს ბინა მაპატივებს და მომიტევეს  
უგონო დღეებს, მწარე დღეებს, ყრუ ღამისთევეს,  
და თვალებს ახალ სიხარულით გამიანკარებს.

## ისევე ტყაში

ნაძვებს სუნი ედება,  
როგორც ნაზი ტკივილი,  
აქ არ მოეხეტება  
ქუჩის ჟივილ-ხივილი.

და განცდილი ლექსივით  
ტყე არ გაიზიარებს  
ტანჯვით და რეფლექსიით  
ჩაღრმავებულ იარებს.

\* \* \*

მდუმარე სმენით  
სდგანან ალმები,  
ვერ ვიტყვი ენით,  
ვის ვესალმები.  
ელვარე ბურში  
ზარებს აიტან.  
დრო მოდის შურში...  
ხმა არსაიდან.

## სანატორიაში

როგორც თვითმკვლელი დღიურს,  
შლიდა ლაჟვარდი ყანებს.  
ვარდებს ეძინათ ტყიურს,  
ტყესაც ეძინა მწვანეს.

ტყვია-წამალის ბოლი  
გასცილებია ხაბოს,  
მთვარეს ტბის არხევს ბროლი,  
როგორც ხომალდის ნაფოტს.  
ვარსკვლავებია თითბრის  
და კოცონების ნთების.  
ყრუ საიდუმლო მინდვრის,  
ყრუ საიდუმლო მთების!

## ქარებმა კარი შემოაჯახეს

ქარებმა კარი შემოაჯახეს,  
დაკრა გრიგალის სიმამაცემა,  
ო, ისტორია ერთი ოჯახის...  
ერთი ოჯახის მწარედ დაცემა.  
ქარიშხლის შემდეგ სდუმს იგი მხარე  
და უსაზღვრობა მე შევიყვარე.

\* \* \*

ის, როგორც დენდი, შესული შავში,  
თვლემს სადმე წყნარად,  
ხელში კანკალით აიღებს ბავში  
და ფიქრობს მარად –  
იმის მაგიერ, რომ ეპყრას ყაჩაღს  
თეთრი კბილებით,  
ოდეს საომრად ამზადებს ნაჯახს  
გამოცდილებით...

\* \* \*

უცხო მხარეში მივსდევ კრეისერს,  
თუ ზულუსებთან მიხდება ომი,  
თან მიმდევს, როგორც ყოველ კეისარს,  
ბედისწერათა მწარე ფანტომი.

იყო გრიგალი, ძალიან გვიან  
მაგარი თქემის იდგა სვეტები,  
ან დამშვიდებულ ხეებზე თრთიან  
გადაღებული წვიმის წვეთები.

**პოეზია**





## ჯონ რიდი

ბავშვები ყიდდენ პაპიროსებს.  
ზოგი მათგანი ცინიკურად გაიძახოდა:  
„რასპუტინის პაპიროსები“.  
რალაც არაჩვეულებრივი  
სიგრძისა და ზომის პაპიროსები,  
ნიგნები გრიგოლ რასპუტინის  
შესახებ:  
„Про Гришку,  
Про Сашку,  
Про царя Никалашку“.  
ყიდდენ არშინობით კერენკებს.  
სასადილოში  
სტუდენტები იგონებდენ დროს,  
როცა უკეთესი იყო ცხოვრება.  
მკვლელობა  
პურის 1/8 გირვანქისათვის.  
რეჟისორი გარდინი.  
ფუტურისტების გაზეთები.  
ლედა.  
კინობში...  
ვიკჟელი...  
კერენსკის მონოდება და კრონშტადტი,  
გადატრიალება პეტროგრადში.  
მზადება მოსკოვში, –  
აჰა, საცაა –  
და ერთხელ, დილით –  
ჯერ არ არის გათენებული,  
ქუჩაზე მოძრაობა.  
იუნკრები, თეთრი გვარდია,  
წითელი დროშა,  
დაჭრილნი მიჰყავთ  
უნივერსიტეტის კლინიკაში.  
ავტომობილები დაჭრილებით.  
ნაქცეული ხე ტვერის ბულვარში.  
ნაქცეული ცხენი ტვერის ბულვარში.

ტყვიისმფრქვეველი დიდ სამრეკლოზე.  
ცეცხლი ედება  
უზარმაზარ სახლებს ბულვარზე.  
სახლები ინვიან ყოველმხრივ,  
ყოველმხრივ...  
ლეგენდა ერთ სახლზე.  
მოსკოვი ღამით განათებულია.  
განუწყვეტელი კანანადები.  
საშინელი შიმშილი,  
და მე ვინტოვკით.  
კრემლში გამაგრება:  
პური, რომელიც მიქონდათ კრემლში.  
შემთხვევა გნებდნიკოვის ქუჩაზე.  
ხმები „ხიტროველების“ გამოსვლის  
შესახებ.  
კანანადა ცხრება.  
სისხლის კვირის აპოთეოზი:  
მკვდრები უპატრონო.  
ჯარისკაცი თამბაქოთი, მახორკით.  
სტუდენტები.  
გიმნაზიელები.  
გაჩეჩქველი თავი,  
რომლის ცნობა შეუძლებელია.  
უეცარი ცნობა: ტირილი.  
ნარწერა ერთი სახლის კედელზე:  
აქ იპოვეს ტყვიით მოკლული  
5 წლის ოქროსთმიანი გოგონა.  
პოლონელები.  
ბუნტი და ცირკში ჯარისკაცები.  
იყვნენ აგრეთვე  
პარტიული ჯარისკაცები.  
უმინოთ მოხეტიალე ბავშვები,  
უკმაყოფილო ელემენტები.  
სასულიერო წოდების რისხვა.  
გლეხები სოფლიდან.  
ახალგაზრდობა:  
სტუდენტები.

დელეგატები.  
პორტრეტები:  
ირაკლი წერეთლის,  
კერენსკის,  
როძიანკოსი,  
ჩხეიძის,  
ჩერნოვის.  
კერენსკის გამოსვლა მცირე თეატრში.  
სახელმწიფო თათბირი.  
სანახაობა დიდი თეატრის ბალთან.  
ჩერნოვი და როძიანკო.  
ამბავი კორნილოვის,  
ინციდენტი.  
არაჩვეულებრივი ამბების მოლოდინი.  
კერენსკის ტრიუმფი.  
მიტინგები პუშკინის ძეგლთან;  
ქურდების მიტინგი სოლომანსკის  
ცირკში.  
ანდრეი ბელის ლოდინი მიტინგზე,  
მიტინგი ყრუებისა და მუნჯების;  
მიტინგომანია.  
ხმა კორნილოვის გამოსვლის შესახებ.  
კერენსკის მოწოდება.  
სამოსუდები.  
ლედა კამენსკისა.  
შალიაპინი „ბორის გოდუნოვში“.  
სმირნოვა.  
გელცერი, პრიმა-ბალერინა.  
ყველაფერი რიგზეა.  
მაგრამ ამ დროს  
ფრონტი იშლება...  
მატარებლები იმ ხანების...  
გადამწვარი სახლები,  
ჩალენილი მალაზიები,  
გამოძახილი: ქალის ხელი.  
„როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები“.  
„წვეთები გადაღებული წვიმისა“...

პეტერბურგისკენ!  
შემთხვევა მატარებელში:  
ლამით, პეტროგრაძის სადგურზე.  
პლაკატი.  
მთელი ძალა-უფლება  
დამფუძნებელ კრებას.  
ლათინური პოეტი.  
ორი მეგობარი.  
თოვლიანი ამიდები.  
ქიმერები ნევასთან.  
უდაბური პეტერბურგი;  
სმოლნი.  
„თორმეტი“ – ალექსანდრ ბლოკის,  
„რამდენიმე დღე პეტროგრადში“ – ჩემი.  
დაიწყო ასე:  
ლრუბლისებური ღმერთი  
ნგრევათა,  
სასტიკი ღმერთი.  
წმინდათ წასაწყმედ გადარევათა  
დიდი რუსეთი,  
ალ-დემონებად  
ქცევა დასწრების,  
ანგელოსები,  
ყველა ტაძრების  
და მონასტრების  
ქაოსები.  
გინებით მეტყველი  
რუსული წმინდანის  
ეშმაკი ბაგე.  
ბაგევ, დაიცა...  
სარწმუნოება  
გახდა სატანის...  
სარწმუნოება  
ისე დაეცა...  
ყურებს დაიცავ...  
ლოცვა  
პატრიარხის ტიხონის

თითქო ბუკია  
იერიხონის,  
ჰგავს გინებას;  
ლიმდამცინავი  
სახით იგულოს.  
ეკლესია  
დგას და წირავს,  
სამრეკლო  
ოხრავს სამოციქულოს,  
ზარი  
მთავარდიაკვნობს,  
ყვითელი მღვდელი  
გაოცებულია,  
ბერი  
გაშავებულია.  
მსხვერპლით  
აღარ მოდიან.  
შემოვლებული  
დროთა ხავსებით,  
ხატი  
პილატეს დაემსგავსება.  
მისი ასეთი  
ცოდვით დამწვარი  
ჯოჯოხეთიდან  
მიმოდის ჯვარი.  
მისთვის  
ჯოჯოხეთური  
სამოთხე შენდება.  
და შეიძლება,  
როს გათენდება,  
ედემის მსგავსი იგრძნოს  
ჯოჯოხეთი.  
გაჩუმებული  
ციცაბო ციდან  
ნელი ღრუბლები  
ყვავილებს ცრიდენ.  
ეს მწარე დღეა.

ამ ფერიულ  
სიოცნებეში.  
დეპეშა!  
დეპეშა!  
დეპეშა!  
რევოლუცია!  
რევოლუცია!  
ამბავი  
პეტროგრადიდან!  
კრემლი იდუმალ  
ინყებს მზადებას.  
მოსკოვი შფოთავს –  
რომ გაუთენებს  
საკადრის დღეებს  
კაცობრიობას  
და თვითეული  
ფიქრობდა მაშინ:  
აჰა,  
საცაა!  
აინყვეტს რაში.  
არასდროს არ დამავინყდება  
ამიდთა სინოტიე.  
სითბო ყინვის.  
ტალახიანი ჰაერი,  
ჭაობიანი,  
მგმოზი ნათელის  
ტირის თვალეზი  
ობივატელის.  
ყველაფერი  
ნისლის ფერია.  
მთვარის ამოსვლა  
და დაბნელება,  
ავსება მთვარის.  
ახალი მთვარე,  
სიკვდილით,  
ყოფნით,  
დაბადებით –

ოცდება უცებ  
კანონადებით.  
მწუხარე ჩრდილი  
მწარე დღეების  
ფარავს ვარსკვლავებს.  
დღემ სიზმრებამდე  
გადაამეტა  
შელამებული  
დილების ლანდი.  
შუადღე –  
მსგავსი შუალამეთა  
და თვითეული  
ფიქრობდა მაშინ,  
აჰა...  
საცაა...  
აინყვეტს რაში.  
ეკითხნა ვისმეს  
მაშინ საათი –  
ვუპასუხებდი:  
მარადისობა!  
7 საათი  
ედარებოდა  
7 საუკუნეს.  
ხვალ –  
არ არსებობდა,  
ხვალ ზევით –  
ვინ იცის!!  
ისინი  
მოდინ ფრონტიდან,  
სიბნელეში კი  
თეთრად ელავენ  
ფანტასტიური  
კრემლის კბილები.  
და აი, ატყდა  
ტკივილები  
შეურიგებელი;  
ჭექა-ქუხილი.

ეს იყო მოვარდნილ დღეთა  
რკინებად კვეთა –  
როდესაც სეტყვაა,  
წვიმა და ქარი.  
კაკანებდა  
ტყვიისმფრქვეველი.  
მახსოვს,  
ეს იყო  
ნისლიან ღამით,  
განთიადის წინ.  
თოფებს  
აავადმყოფებს  
დუღილი.  
თვითეული  
ცეცხლის ოქროდან  
გააფთრებული  
ტყვია მოქროდა  
გაქვავებული  
ქარივით,  
ქვეყნის ამღვრეული  
გულის გასაგმირად.  
თვითეული  
წვეთი სისხლისა  
უერთდებოდა  
ერთი მეორეს –  
რომ შეექმნა  
ტბა,  
ქალაქის გახელილი  
თვალი.  
გადმოსკდა სისხლის წყარო  
და იქცა მდინარედ,  
რომლის ნაპირებიდან  
გადასასვლელად  
ფონს ვერვინ იპოვიდა.  
სართულები ყუფდენ  
როგორც ძაღლები.  
სახლები ინგრეოდენ.



მათ ნაცვლად დადგა  
იდუმალ შიშად  
ლრე,  
ფლატე,  
ქვიშა.  
ჰგავს ტვერის ქუჩის  
უსახეობა  
ნგრეულ ხეობას –  
სადაც არაა  
ბილიკი არსად,  
ფანჯრების მინები  
ილენებოდა,  
როგორც უხილავი ტყე –  
ფეერიული პლაკატების  
გალავნებით;  
ცაზე მიდიოდენ  
ელვიანი ბილიკები  
ავარდნილ ცეცხლისა.  
ცვივოდენ  
მალლით ნაპერნკლები,  
როგორც ყვავილთა ფენობა.  
ალი  
ვენახივით იგრხებოდა.  
ლამე  
ჩამონოლილიყო  
ყურძნის მტევნებივით,  
საიდანაც ხიტროვრინოკი  
სწურავდა არაყს.  
ხანდახან ლამე იდგა  
როგორც ფანტასტიური  
ხე  
ცეცხლიან შტოებით.  
ძველისძველი  
რუსეთი იმ ლამეს ეგდო  
როგორც ხის კუნძი, ჯირკი,  
ტყეში –  
რომელსაც სცემდენ ნაჯახს.

ცეცხლის ფურცლები და ფოთლები  
ნიგნებივით ეყარა ველად.  
და გარს ეხვია  
ღველფი  
ყვითელ ხავსივით.  
ადამიანები ალზე მოძრაობდნენ  
ცოცხალი ფესვებივით,  
მოსკოვი გუგუნებდა  
როგორც მუხა –  
და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს,  
როგორც რკოებს.  
ვერხვივით სწორი იხრებოდა  
კრემლის კოშკები  
და გარს ეხვია სასახლენი,  
როგორც ბუჩქნარი.  
ჭინჭარივით ისუსხებოდა  
ღამე –  
რომელიც ეხლა დაჯდა  
სადგურთან  
და სწევს ყალიონს.  
უცებ გაჩნდა დემონი  
და ცეცხლს ფიჩხს უმატებს.  
ისევ ავარდა ალი,  
როგორც ოქროს თავთავები,  
როგორც შემოდგომის ჩალა ყვითელი.  
ნაცარი ცვივა,  
როგორც ქათო და ფქვილი.  
მხოლოდ არსად არ არის პური,  
არც შაქარი –  
შაქრისყინულივით  
გაფენილია თოვლი.  
არ არის თაფლი –  
მოსკოვის განაპირა ქუჩების  
ტალახიანი თოვლჭყაპია.  
გაფითრებული,  
როგორც წმინდა სანთელი,  
დადის ადამიანი

და ხელით დააქვს 1/8 გირვანქა პური.  
კრემლი კი ზუზუნებს,  
როგორც სკა.  
მარილივით მწუთხე თვალეებით  
მისჩერებიან ბავშვები სანთლებს.  
მათ ენატრებათ ნალები,  
ყველი და ერბონასმული  
პური.  
ქონი, სიმსუქნე მოაკლდა  
ბურჟუას.  
სანატრი გახდა  
ცხენის ხორცისთვის  
რიგებში დგომა.  
გაჰქრა დრო, როდესაც არსებობდა  
რედერერები.  
თუ არ დაგიშლია –  
სადილად გთხოვთ მიირთვათ  
ტყვიისმფრქვეველის ტყვია.  
ვახშმად – ვინტოვკების.  
ის დგას და ფიქრობს:  
შენ ახლა მამაკაცი არა ხარ,  
არც დედაკაცი:  
შენი ცოლი ახლა  
შენი ქმარია;  
სანყალო ბურჟუა,  
შენ არ ხარ მამა  
შენი შვილების,  
შენ ვერც დედობას გაუნეც მათ.  
შენი ნათესავები:  
შენი დიდედა,  
შენი სიმამრი,  
შენი რძალი,  
შენი სიდედრი,  
მამინაცვალი და მამამთილი,  
დედამთილი. ცოლის და,  
შენი ძმისწული –  
ყველა თეთრგვარდიაშია.

შენი დისწული,  
საცოლოსთან ერთად,  
გარბის სამხრეთით.  
მოსკოვში ახლა ცოტაღაა  
შენი ნაცნობი.  
ო, ჭეშმარიტად ხარ საცოდავი.  
სახლიდან გაიქცა მოსამსახურე,  
სახლიდან გაიქცა ძიძა.  
არ გეკარება  
ერთადერთი მეგობარი  
ლენერალ-ლეიტენანტი –  
იგი ტახტქვეშ იმალება.  
ხანდახან  
თუ მოვა სტუმარი –  
ირიბად იცქირება განჯინისაკენ,  
კითხვითი ნიშნად გადაქცეული.  
ცარიელია ის განჯინა  
თუ არა?  
ო, როგორ გიცქერს  
მეზობელ სახლიდან  
გახარებული მტერი –  
ბრიყვი, სულელი კერენსკი –  
ამბობს ბურჟუა.  
მთელი სტუდენტობა,  
შეგირდები –  
ფრონტზეა.  
არავინ არ არის ეხლა ვაჭარი;  
არავინ არ არის ეხლა  
მდიდარი;  
ყველა ღარიბია,  
ყველა ლამაზია.  
მოლამქრე ჯარისკაცი დამჯდარა  
და იწყობს მახორკას.  
მუშა გარბის და ყვირის:  
შეიარაღდით,  
იარაღისკენ!  
ისევ მოისხა ჯავშანი,

მოზიდა შვილდი  
და სტყორცნა ისარი კრემლს.  
ზოგიერთს ხელთ ჰქონდა შუბი,  
ზოგი წმენდდა თოფს;  
ზოგი ხმალს.  
ხმლის ტარი –  
არაერთჯერ დატრიალებულა,  
ხმლის პირი –  
არაერთხელ აელვარებულა,  
დიდი ხანია  
არ ჩასულა იგი ქარქაშში:  
ჯერ კარპატები –  
მერე მოსკოვი.  
შენც, თოფის ლულავ,  
გახვეულო სულ მუდამ ბოლში,  
განუწყვეტლად რახრახებენ  
შენი ტუჩები.

.....

ბულვარზე  
უზარმაზარ სახლს  
ცეცხლი ეკიდება,  
ეს იყო მუჭა ხალხის  
თავშესაფარი.  
ბრძოლაა  
სასტიკი და თანაბარი...  
გამოჰყავთ ტყვეები,  
რომელთაც  
არავინ გამოისყიდის –  
სისხლით და რკინით.  
ხრიალებს გრუზოვიკის ჯაჭვი,  
როგორც ბორკილი  
ტყვეებით დახორგილი.  
მოდის გრუზოვიკი  
წითელი ბაირალით.  
გრუზოვიკს თავს ესხმიან.  
ტყვეები გაქცევას ახერხებენ.  
თოფის სროლა,

ხმა: „გამოდგომა, მდევარი“.  
რამდენიმე ტყვე  
მოკლული დაეცა  
თხრილში,  
ერთი მათგანი გაჩეჩქვილი  
თავის სარქველით  
ეგდო პირალმა,  
წამნამები და წარბები  
თოფისწამლის ბოლით  
ჰქონდა გატრუსული,  
საფეთქელი –  
გადახეთქილი.  
თვალის გუგა  
ღია დარჩენოდა,  
ნესტოდან დიოდა სისხლი.  
ღრძილები ჩამტვრეული  
ჰქონდა.  
მეორე მათგანს  
ენა გადმოეგდო  
სრულიად შავი.  
იგი ეგდო  
ტვინდანთხეული;  
დაცემის დროს  
ქვას მიარტყა  
კეფა.

.....  
კლინიკაში  
მიაქვთ უპატრონოთ დახოცილი  
ხალხი.  
კლინიკა აივსო  
დახოცილი ჯარისკაცებით.  
რუხი ფარაჯის გულს ამშვენებს  
ერთადერთი გამოსაცნობი:  
მახორკის ფხვნილი.  
არც პასპორტი აქვს,  
არც იცი, ვინ არის.  
გიმნაზიელების ცხედრები –

და უბრალოდ  
სხეულის ნაწილები:  
მარჯვენა ხელი,  
მარცხენა ხელი.  
გაშავებული ფრჩხილებით,  
გაშეშებული თითებით.  
უეცრად შემოდიან ქალები;  
ასობით გაფენილ მკვდრებში  
ეძებენ შვილებს, ეძებენ მამებს,  
ისინი ტირიან გულგამგმირავი  
ტირილით,  
როცა უბრალო ხალით  
გულს ახლო  
იცნობენ მათ,  
ძვალგადამტვრეულებს,  
ტვინდანთხეულთ,  
სახეგადაშლილთ...

.....  
კანონადა კი ისევ იზრდება,  
როგორც სიმსივნე.  
სისხლის ძიებით სავსე  
უცნობი  
ცარციტ სწერს უცნობ  
სახლის კედელზე:  
„აქ ვიპოვეთ ჩვენ სწრაფი ტყვიით  
გულგანგმირული  
5 წლის ბავშვი, ოქროსთმიანი  
გოგონა“  
და კანანადის  
კვლავ იზრდება  
ჭიაკოკონა.

.....  
კრემლში გამაგრებულთათვის  
ავტომობილს  
მიჰქონდა პური.  
ესროლა ვილაცამ,  
მოჰკლა შოფერი.

ავტომობილი  
გაჩერდა გზაზე.  
სდგას იქ, სდგას...  
ვინ გაბედავს მიახლოვებას?  
იარა, წყლული. –  
გულგატეხილი,  
სულნაღრძობი,  
ნასიცხარ მუნუკივით –  
განაპირა უბნებს  
მოედო ყვავილი,  
ლარიბთა უბნებში  
დადის სახადი.  
ბავშვებს მუნი სჭამს,  
რკინისგზის სადგურზე  
ჭირიანი ხალხი დადის;  
არ არის წამალი  
მათთვის.  
რაც შეეხება ბეჭედს,  
აქ არის ერთი მძლავრი ბეჭედი  
რევოლუციის.  
ამ ბეჭედით, თუ გინდა,  
მსოფლიო შეჭედე.  
სდგას ერთი გრანდიოზული  
სკამი,  
რომელსაც მართლაც მოტეხილი აქვს  
სამი ფეხი  
და ზედ ძლივს ზის  
ჯერ ისევ ძველი  
რუსეთი.  
ქვეშ დახეული  
ხალიჩა უგია.  
ნინ დამტვრეული ჯამი უდგას  
ქაშით.  
აქეთ ცარიელა სკივრი,  
სავსე სატკივართ.  
ამ სიცივეში საწყალს არ აქვს  
ქვეშსაგები,



მისთვის ბალიში არ არსებობს  
და არც საბანი.  
მხოლოდ თოვლია მისი ბუმბული.  
ქარში, თოვლჭყაპში ამონუმპული:  
სანთელი დიდი ხანია გაუქრო ქარმა.  
ზურგზე ჰკიდია ტომარა,  
ხელში ცალიერი დოქი,  
ქამრის მაგიერ თოკი.  
წელზე ჰკიდია ქვაბი  
და გატეხილი ტაშტი,  
წასული დროის ნაშთი.  
ხელში უჭირავს ჯოხი,  
თავზე ახურავს გობი –  
ყოველივე ამის შესახებ  
შემდეგ მოვა  
ვილაც,  
რომელიც რომანებს  
დაღვრის ჩაფებით,  
ის იტყვის:  
უზარმაზარი ბოქლომი  
დაადო რუსეთს  
მონობამ,  
გასალები ხალხმა იპოვა.  
მეფემ უმძიმესი ურდულით  
გამოუხურა რუსეთს კარები.  
მისი სკიპტრა ახლაც მიყუდებულია  
რომელილაც მუზეუმში –  
ხალხმა ამოიღო კვესი,  
მონახა აბედი,  
გაჰკრა კვესს.  
მაშინ როდესაც  
პირსახოცით მხარზე  
და ხელში სავარცხელით  
წყაროსკენ მიიმღეროდა  
ფეოდალობა.  
დახეული ფეხსაცმელი.  
სველი წინდები.

მოდი და ცრემლად  
ნუ დადინდები,  
მაზარას არ აქვს  
ცალი სახელო.  
კაცი რუხია და უსახელო.  
ჯიბესთან ნახვრეტი.  
არც ფოლაქია და არც ღილები,  
მხოლოდ ერთი დუგმა.  
ასეთ ფარაჯაზე  
წითელი სირმა.  
ცხვირსახოცის მაგივრობას  
სწევს ისევ ის ცალი სახელო,  
კარგა ხანია  
პირს არ მიკარებია  
სამართებელი,  
თმას – მაკრატელი,  
გონებას – ნათელი.  
ცუდი ამბავია.  
რა გასაკვირველია,  
რომ ის იგინება.  
სადგურები  
ჰგავს აწიოკებულ ჩიტის ბუდეს.  
ბნელა და ცივ სარდაფებში,  
სადაც არა იპოვება რა,  
ვირთაგვებივით  
ყნოსავენ ჰაერს ქურდები.  
დადიან შიშველი ბლარტები.  
პეტერბურგისკენ,  
პეტერბურგისკენ.  
ქარში და წვიმაში  
მივანგრევდი  
ფანტასტიურ მგზავრებს  
პეტერბურგისკენ.  
მინებჩალენილი  
მატარებელი  
საქათმესა ჰგავს.  
არ არის ტევა.

თევზის და ჩექმების  
სუნით სავსე  
მატარებელი  
მიდის თოვლში,  
როგორც დაღლილი ჯოჯო.  
ფარფარა პეპლებივით  
შემოდის თოვლი  
ფანჯრებიდან.  
ბავშვები ხრავენ  
ჭიან და მატლებიან  
პურის ქერქს.  
პარაზიტები იერიშით მოდიან.  
პურის ნამცეცხვით  
ირევინ იატაკზე.  
აი, მართლა ძაღლური სიცოცხლე, –  
იძახის მოხუცი ქალი.  
და წყველის ქალაქებს,  
მისთვის უცხო მოედნებს,  
უცნაურ სახლებს და სარაიებს  
და ქარხნებს,  
სადაც გრდემლით ანგრევენ რკინის  
კოშკებს – რომლის კედლები  
ეხლა ნანგრევებად ქცეულან.  
მატარებლის კიბეზე  
ჩამოკიდებულა ხალხი.  
მატარებლის ბანი და სართულები  
დაფენილია რუხი მაზარებით.  
და ქარი ჰქრის.  
ჭერამდე ჭერეხივით ჰყრია რუხი.  
მატარებელს არ აქვს კარები.  
ფანჯარა  
დაიტანჯა,  
ჩამოტყდა.  
ცხვირწითელი კაცი, უსულო საგანივით  
დგას, როგორც ფილაქანი  
ანდა ფიცარი.  
ეუბნებიან:

ან დავიძრები, ან დაიძარი;  
თაროებიდან  
ცვივა ნაგავი.  
ფანტასტიური ხროვა  
ხრიალებს, ახველებს,  
კვამლით იღრჩვება.  
ფერფლის, ნაცარის  
ფერი აქვს ყველაფერს.  
იყოს, რაც არის.  
ფანჯრიდანა სჩანს  
თოვლიანი მინდვრები,  
როგორც სასაფლაო,  
როგორც თეთრი კუბოები,  
როგორც მგლოვიარე ეზო  
უკალოო  
და უგუთნო.  
აიღე ორთითა-ორკაპი  
და ანიავე ეს თოვლი.  
ახალი ნიჩაბი  
აზიდავს ამოდენა თოვლს.  
ახალი ხერხი გადახერხავს  
ნაძვს ამოდენას.  
ახალი ჩაქუჩი  
გააღვიძებს ასე მძინარე  
ქოხებს.  
აქ საჭიროა კიდევე ბურღი  
და მხოლოდ ბურღი.  
ჩემს წინ დგას კაცი.  
სახე  
დაჭმუჭნული კალენკორია,  
რომელსაც სცემდა წვიმა.  
მეორე ამ ყინვაში დგას  
ჩითის პერანგის ამარა.  
და ის ისე კმაყოფილია  
თითქო ხავერდი ეცვას...

კანკალებს  
და მაინც კმაყოფილია.  
მაინც ჯიბეში აქვს  
ფული: ოქრო და ვერცხლი.  
მესამე:  
თითფერის სახით,  
სპილენძის ხელებით,  
ნატყვიარი შუბლით,  
დაკალული თვალებით  
სდგას ფოლადივით.  
გიორგის კავალერი,  
ყოფილი;  
მისი დიდება –  
წინანდელი ჯვარია  
მისი სიმდიდრე.  
მხოლოდ გამოხედვაა,  
მოგონებები  
ქველი მამაცობის,  
ქველი მხნეობის.  
როდესაც  
ომი იყო დიდი  
და შესაზარი. –  
გიორგის კავალერი  
იხსნის ჯვარს –  
რომელმაც არაერთხელ  
შეახედა სიკვდილს  
თვალებში,  
და ამბობს:  
ამასთან ერთად  
ვწირავ მე მას  
ძალას და ღონეს  
ამიერიდან.  
ტიალ მინდორში  
მატარებელი მიდის.  
მათხოვარი  
ხმამალლა ლაპარაკობს

რომელიღაც დღესასწაულზე  
კალუგის გუბერნიაში.  
ქადაგებს მამაშვილობას  
და სამაგიერო ზეციურ სიხარულს.  
ყურს უგდებენ ქალები  
მონინებით და პირფვარის წერით.  
ხანდახან  
გაისმის სიმღერა,  
უფრო კი წყევლა  
და გინება  
რუსული ტონით,  
თითქო ყველა უგვაროა,  
უნათესავო.  
არავის ჰქონია უზრუნველი  
ძილი,  
ბავშვური სიცილი,  
პირველი ნახვა  
ნაზი ქორწილის.  
არ ისმის სიმღერის სიტყვები,  
ისმის ელეგია.  
მესმის რულში  
მატარებლის  
რა-რა-რა-რა-რა-რა-რა.  
არა რა ბედს  
არარარა, არარა...  
ძველი გული  
ერთხელ გაიბზარა-რა,  
არარარარა, არარა...  
შეკრებულება  
რალაცას დავობს,  
რალაცას ჩხუბობს,  
საშინელი ვინროობაა.  
ანვებიან ერთმანეთს  
თითქო სამსახურისათვის  
გულმოდგინეობა იყოს.  
დაინით – გაისმის ხმა –  
ბავშვი იჭყლიტება.

არავინაც არ დაინევს,  
გზა არსად არის.  
მისდევენ ვერსებს ვერსები,  
რელსებს რელსები  
ეალერსება,  
ლამემ უსაზღვრო  
გაშალა სიღრმე –

.....

ფიქრობ,  
ამბობს ვილაცა:  
ქვეყანა კიდეც უფრო დაიმშევა,  
უფრო გაძლიერდება სიმწარე.  
დაეკარგება სინდისს ფასი.  
ღვთიური ყველაფერი დაიკარგება,  
დაინგრევა ყოველივე წმინდა  
საქვეყნო წყევლათ.  
მაშინ,  
როცა ბრწყინვალე ფრინველი,  
მზე ამოვა და დაინახავს  
განადგურებას.  
როცა მაღალი და დიდი  
მზე ამოვა.  
გამოჩენილი  
ახლა ვინ არის?  
ძველი –  
რომელია?  
წყნარი –  
თქვენს შორის არის ვინმე?  
მშვიდი –  
ეხლა მხოლოდ ცხვრები არიან.  
როგორც სჩანს, ეხლა ყველა  
მხნე და მამაცია.  
ყველა თავისებურად  
ძლიერია.  
უსუსურიც კი  
ღონიერია.  
ნეტავი

იყოს სადმე ასეთი გამბედავი,  
როგორც ეს რუსის კაცი  
მეტად მართალი –  
წინად კი თითქო იყო მხდალი  
და უბედური.  
მაგრამ დასძახეს  
მძლავრი და სასტიკი:  
აღსდევ!  
რუსეთი დაიძრა,  
მომთმენი რუსეთი.  
ავადმყოფი, ცოცხალ-მკვდარი  
რუსეთი დგება.  
ჩემს ახლო  
დგას ჯარისკაცი  
უფერული,  
გამხდარი,  
პაჭუა ცხვირით.  
როდესაც რამეს ეკითხებიან,  
ბლუდ უპასუხებს –  
სჩანს – ენაჩლუნგია.  
საერთოდ,  
მუნჯივით დგას.  
მე ვაკვირდები:  
მას არ აქვს  
ცალი თვალი –  
ის ცალი თვალიც  
ბრუციანია,  
ელამი.  
იგი პირნაყვავილარია,  
წარბები  
მუდამ შეჭმუნული აქვს.  
უცებ მისი ფარაჯიდან  
ზედ გულთან  
წითელი ვარდივით  
იშლება სისხლი.  
„სისხლი“, – ვამბობ მე,  
„სისხლი“, ამხანაგო...



მან გულზე დაიხედა,  
მოინდომა  
მატარებლიდან გადავარდნა.  
ის არ გაუშვეს...  
ეუბნებოდენ:  
შენ ალბად  
დაჭრილი ხარ  
გულთან.  
უხსნიან ფარაჯას...  
მას ულამაზესი ქალის ხელი –  
მაჯაში გადაჭრილი,  
თითებზე ოქროს ბეჭდებით,  
ბრილიანტებით...  
უბეში უპოვეს.  
„მეკვლელი... ავაზაკი!  
სიკვდილი მაგას!“  
ასწიეს,  
სცემეს,  
მიასიკვდილეს  
და გადისროლეს.  
წვერმოპარსული  
სპარსელი –  
მსგავსი მის გვერდით მდგომ  
ოსმალელის,  
მალულის ენერგიით  
სდგას.  
თავისუფალი ზავით  
გერმანელი ტყვე  
ამ მატარებლით პეტერბურგში  
მიემგზავრება;  
მას ცისფერი თვალები აქვს.  
სწევს სიგარას.  
შეუმჩნევლად სიგარიდან  
ცეცხლი მოსდებია  
ოსმალელის ქუდს,  
ქუდიდან ტანთსაცმელს...  
დამწვარის სუნია...

რალაცა იწვის.  
ოსმალელს  
მატარებელში მოედო ცეცხლი –  
და რომ ამ ცეცხლით  
გადაიწვას  
მთელი აზია –  
მოჰკიდეს ხელი  
და გადისროლეს მატარებლიდან.  
მიდის მატარებელი.  
ტყიანი ველიდან  
თოვლიან მინდვრებზე,  
ვაკე ადგილებზე,  
გადადის ღრმა ხევებზე,  
უვლის ციცაბო გზებით  
ღრანტეებს.  
ვიწრო ხეობიდან  
განიერ სოფელზე  
გრძელი გზით.  
დანგრეული სადგურები.  
ფრთამომტვრეული ნისქვილები.  
მოსჩანს ოქროსფერი გუმბათები  
ეკლესიების.  
ტყვიისფერი ცა ნათლდება.  
ნათლდებიან ხის კენწეროები.  
ფეოდალური სასახლის სადღაცა,  
უძველესი კედლები  
ისევ დარჩენილა.  
მჭრელი და ბასრი ზარის ხმა  
არყევს ჰაერს.  
მსხვილი ქალი  
ჰყიდის მზისუმზირას,  
სადგურიდან  
ტანით შუათანა  
მოგვდევს სატანა.  
წვრილმანი საქმე:  
სახურავებიდან  
გადმოცვნილან

მძინარე ჯარისკაცები  
და დამსხვრეულან.  
მატარებელი  
ისევ მიდის...  
უეცრად  
ისევ გაჩერდა...  
მახლობელ ტყიდან  
გამოდის ყაჩაღების  
მთელი ბრბო.  
სროლა...  
ძარცვა.  
წინა ხაზიდან  
მიაქვთ  
კერენკები,  
საათები ოქროსი,  
ბეჭდები,  
ფართალი.  
ისინი  
ძარცვავენ მატარებელს  
მთელი საათის  
განმავლობაში.  
უეცრად გვერდიდან  
გამოვარდა  
შეიარაღებული რაზმი.  
ყაჩაღები  
ჩასაფრდნენ ტყეში.  
ისმოდა სროლის ხმა  
ცალიერ ჰაერში;  
მაგრამ ტალახიანი ცა –  
გამოიდარებს.  
დიდი ხნის,  
ძველი,  
გალარიბებული და ტკბილი  
მოხუცი  
იღიმება ამ აზრის გაფიქრებისას.  
ცივი,  
გაყინული ცხენოსანი

თოფით მხარზე მიეშურება გზაზე.  
უთუოდ აჩენს  
ახალ ცეცხლებს  
და ბარიკადებს.  
ხარბი, გაუმადლარი თვალები  
გამოხატავს საშინელ შიმშილს,  
გლები  
მედიდურათ აზის  
პურით სავსე ტომარას,  
და მას უცქერიან  
მწყურვალე თვალებით.  
მაგრამ, აჰა, გაისმის  
ხმამალალი,  
ხრინნიანი,  
უიმედო კივილი  
მატარებლის.  
აი, პიტერიც!  
გაფითრებული,  
მთვრალივით რეტდასხმული,  
შეჩვეული უსიხარულო  
მორჩილებას,  
დარღვეული და მიძინარე  
ჩერდება იგი,  
როგორც გიდრა  
სადგურის წინ...  
გადაწყდა სადავო საკითხები.  
გადადიან მგზავრები,  
ჯგუფებიან სადგურის ბაქანზე,  
სადაც მათ კიდევ ხვდება  
სხვა ათასი  
მოფუსფუსე, მოხეტიალე.  
სალამო ხანია.  
პეტერბურგია.  
„ათი დღე,  
რამაც შესძრა კაცობრიობა“  
განვლილია.  
მაგრამ ჯერ ისევ სჩანს

უზარმაზარი  
პლაკატი –  
„მთელი ძალა-უფლება  
დამფუძნებელ კრებას“.  
ო, რა თქმა უნდა,  
მე არ მელოდენ,  
როცა სისწრაფით  
ვეშურებოდი საქართველოდან.  
იგი წამოვიდა  
ნიუ-ორკიდან –  
ნამდვილი ჯონი!  
ჩვენ შევხვდით –  
როცა იგრძნეს ბორკილი –  
და ნგრევის დრონი.  
როცა მასსები  
გადავარდნენ  
ცხარე ბრძოლაში.  
ჩვენ ერთად ვიყავით.  
ამენებდნენ ბარიკადებს,  
ჩვენ ერთად ვიყავით.  
უფრო წინად კი  
ჩვენ დავესწარიით  
რევოლუციის მსხვერპლთა  
დასაფლავებას.  
ყველაფერი დასრულდა.  
და აი:  
გამჭვირვალე პეიზაჟზე  
რალაც უცხო ამბავი  
ინვეს ნისლიან,  
შებინდებულ მირაჟს  
მწუხარებისას.  
ნითელი მოედანი,  
სადაც განისვენებს  
ჯონ რიდი –  
პოეტი რევოლუციის,  
დელეგატი  
III ინტერნაციონალის. –

პიროვნება,  
რომელთან ერთად განვიცადე  
რევოლუცია...  
მთელი სიმწარე მოვლენების  
და მთელი სიტკბო,  
რომ ეს სტიქია  
უჩემოდ არ ჩატარებულა...  
ო, რა თამამად  
ცეცხლისკენ ვვლიდი –  
.....  
ჯონ რიდი –  
პოეტი რევოლუციის...  
დელეგატი  
ინტერნაციონალის.

1924 წლის 7 ივლისი

## მოგონებები იმ დღეების, როცა იალვა

100%! – აღნობს და დაგავს  
ღრუბლების ტივი,  
გადამავალი მზე აჩრდილს აგავს –  
რეტროსპექტივი.

ხედავს გრძელსა და ცარიელ ქუჩას  
პირშემკრთალ გაზით,  
აქა-იქ ქარხნებს ღიმი არ უჩანს –  
სავსეა ბრაზით.

ხედავს სახლების უბრალო ფარდებს:  
დაღლილი, ზანტი,  
მკრთალ სინათლეზე ალაგებს ვარდებს  
ოჯახის ლანდი.

და უფრო იქით სულ სხვანაირი  
გზა იფინება:  
არღნების გამმა, მძიმე ჰაერი,  
ლანძღვა-გინება.

აქ გზატკეცილმა ნდობა არ იცის...  
ხელგანაშვები  
თრთიან შიმშილის და პოლიციის  
მსხვერპლი ბავშვები.

ის, წინად გზაში ნაპოვნი ბავში,  
ეხლა უსახლო –  
იდუმალად დგას ჩაცმული შავში,  
ქარხნების ახლო.

მას გული ადრე გაუპეს თუჯის,  
ყველაფრის მცოდნეს;  
მემატიანე ზღვისპირა ქუჩის  
ლამის ჩამოდნეს.

ვინც იცის, ნელი ეს ოცდაათი  
სად გაათია...  
ქალაქის კოშკის რეკავს საათი,  
ცხრა საათია.

„ევა!“ – გადაჭრა ძახილმა მაშინ  
ჰაერი მქრქალი  
და შემოდგომის ვარდებით თმაში  
გამოჩნდა ქალი.

ზღვის პირად ორად გადაჭრილ ქუჩას  
გზა აპობს შვიდი,  
აქვს მოლუშული სახე ლუჩიოს,  
და ევას – მშვიდი.

ევას ფეხები ჰქონია მკრთალი,  
ის მიდის ნელა  
და გამომწვევი ხმით ამბობს ქალი:  
– ისე, ვით ყველას!

ლუჩიო, როცა დგებარ მხარდამხარ,  
ჰგეგხარ გოლიათს,  
მაინც არც ისე საშიშარი ხარ,  
სხვებს რომ ჰგონიათ.

მე? შიში? შენი? არა სრულიად!  
ნუ ხუმრობ, კმარა!  
სხვის შიშით გული დაისრულია,  
შენით კი – არა.

სულში არ არის რამე ღრუბელი,  
ნელი ქარია,  
სიცოცხლე მიმაქვს თავისუფალი  
და მიხარია.

სულში არ არის რამე ღრუბელი  
ბინდის მფენარი,



აღუჩა ყვავის და აღუბალი  
და ცინერარი.

სულში არ არის რამე ღრუბელი  
და გულდაკოდვა;  
ო, მაინც გულში მაქვს დაგუბული  
ეს დიდი ცოდვა.

ცოდვაა, ცოდვა... რომ დღეს ცბიერი  
მაქვს სული დარის,  
რომ ჩემზე კარგი და ბედნიერი  
დღეს არვინ არის.

თითქო მხოლოდ დღეს ვიგრძენი ფასი  
მწარე და ფრთხილი,  
თითქო არ ვიყო მუშათა კლასის  
ნამდვილი შვილი!

შენი, ლუჩიო, სიტყვა არ მჯერა,  
რაც თვით არ გახსოვს,  
შენ დააკვირდი ჩემს სახეს ჯერა,  
ის მოგცემს პასუხს.

მე თვალები მაქვს ისე, ვით ია?  
ის შემკრთალია?  
კარგია. კმარა. შენ არა გშია?  
მე კი... ძალიან.

აი, მანვდი პურს როგორც ნამალავს;  
არა, არ მინდა.  
ავილო? არვის არ მოუნამლავს?  
რამ გამარინდა?

არ მინდა! რატომ? არ მინდა შენგან.  
მომშორდი, კმარა!  
როგორ შოულობ? შენ ქურდობ ყველგან?  
არ მინდა, არა!

შენ მეუბნები საოცარ რამეს:  
„გონს მოდი, ევა.  
შიმშილისაგან ნაიქცე ლამის,  
სული გელევა“.

გიაგბო? არა. ვნახე ვენახი  
როგორც ტაძარი.  
ისეთი არსად ჯერ არ მენახა,  
უზარმაზარი.

და იისფერი ფურცლები ვაზის  
სანთლებს ვენახში  
უმძიმეს ქარვის მტევნებად აზის,  
ვით ფერფლი ნახშირს.

კარგად არ მახსოვს, ეს ფრინველები  
იყვენ ჩიტები,  
თუ ანგელოზებს ესხათ ხელები  
და ბივრიტები?

ლუჩიო უსმენს. მასში ესოდენ  
გრძნობს გაოცებით  
და ირონიით: ეს იქნებოდენ  
ანგელოზები.

„უცებ მოვარდა ძლიერი სტიგმა, –  
განაგრძობს ევა, –  
მაღალ ხეების მწუხარე რიგმა  
დაინყო რყევა.“

რა საოცარი დაიდრა ღვარი,  
ხეთ რარიგ ხრიდენ;  
ყოველი მხრიდან ბერავდა ქარი,  
ყოველი მხრიდან.

აღმოსავლეთით თოვლივით თეთრი  
ბერავდა ქარი,

იყო სპეტაკი და ნაზად მკვეთრი  
და ძლიერ ჩქარი.

ჩრდილოის ქარი იყო წითელი,  
მაგრამ ნათელი,  
გორავდა ყვითელ ფოთლის მითელი  
და კამათელი.

მესამე ქარი იყო ვით ქარვა,  
როგორც სამოთხე,  
და იისფერი, როგორც: „აქ არ ვარ“  
იყო მეოთხე.

იდგა მთელ ბაღში ფერთა ფერები,  
შემდეგში ყველა  
იძროდენ, როგორც სულიერები,  
ნელა და ნელა.

და მე შემდეგში აღარ ვიცოდი...  
ო, მთელი ღამე,  
ეს ქარი იყო სამაისოთი  
თუ კვლავ სხვა რამე?“

– ანგელოზები იყვენ უთუოდ, –  
დასცინის ვაჟი, –  
ასე ყოველმხრით, ასე უდროოთ  
რომ ქროდენ ცაში.

– ანგელოზები! – გაანჩხლდა ევა, –  
ვიცი, რაც არი:  
შენთვის არც ხატი გამოირჩევა  
და არც ტაძარი.

მაგრამ ტაძარიც იდგა ჰაერში  
უუკვდავესი.  
იგი არავის არ ეპყრა ხელში,  
იდგა თავისით.

განათებული იყო ვით დიდი,  
წვიმაში წელი,  
ელვიდან ელვის ძლიერი ხიდი  
და საშინელი

იყო რალაცა ცეცხლი ზევედი  
მზეთ ცვალებაში,  
მე ვმოძრაობდი და მე შევედი  
ბრწყინვალებაში.

და კრეტსაბმელი იძროდა რხევით –  
ელვათა გედი,  
ელვები ფეთქდენ და იმათ ზევით  
მოსჩანდა მტრედი.

თავი მტრედისა იყო ოქროის,  
ცისფერი – მკერდი,  
ფრთები – წითელი ძონის – როიის...  
ო, უცხო მტრედი.

წითელი, თითქო სისხლი დიოდა,  
ჰქონდა ბრწყყალები  
და მის თვალთაგან გადმოდიოდა  
ცა ბრწყინვალებით.

რა დროს ესაა... ო, ბედო ჩემო,  
შეხედე, შორით...  
ლუჩიო, ხედავ, გამოჩნდა გემი  
ერთი და ორი.

შეხედე – როგორ თრთიან ანძები,  
გულზე ლოღია.  
ო, როგორ მშია და ვიქანცები...  
სიდან მოდიან?

მოდიან, მოაქვთ ძვირფასი ფარჩა  
ინდოეთიდან.

მოაქვთ, თუ სადმე ხორბალი დარჩა,  
ზღვა-ხმელეთიდან.

როგორ ტრიალებს ციდან ბორბალი  
ერთი ათიდან,  
ინდოეთიდან მოაქვთ ხორბალი  
და კანადიდან.

ხორბალო, აქეთ, აქეთ... ო, აქეთ!  
გული დაფერე!  
– ო, ბედნიერო, შენ რა, რომ მოაქვთ?  
– მე? არაფერი!

როს ძილს ეძლევა ღამით უბნები  
იქაც და აქაც,  
შორს ნათესავზე მე მეუბნება  
ბრმა დედაკაცი.

ამბობენ: ძლიერ არის მდიდარი,  
აქვს ბევრი რამა.  
მე კი – სიმდიდრე არავითარი, –  
დედა, არც მამა.

ქალი უცხოა ჩემთვის სრულიად,  
მე ვცხოვრობ მასთან;  
ეს თითქო ბედის დასასრულია...  
სანამდი გასტანს?

როცა ქარხანა დახურეს ჩვენი –  
იმ ნახევარი  
წლის მეტად მწარე ვიღოდენ დღენი  
უმუშევარი.

იანვრის ქარი ცივი და ბნელი,  
მწუხარე ჩრდილი –  
როცა სულისთვის არ არის ძნელი  
თვითონ სიკვდილი.

სანთლები ჩაფლა თოვლილმა მტვერმა,  
ჩალენა მინა.  
ქალაქის გარედ უდაბნო, ფერმა,  
ქურდების ბინა.

გვდეგდა შიმშილი, თხოვნა, ხვენილი,  
დღენი და თვენი,  
ქალაქი, სადღაც გარდახვენილი  
ქალაქი ჩვენი.

სრულიად შიშველს, ზამთარის გმინვის  
სასტიკი ლალა,  
ო, ძლივს ვუძლებდი გამგმირავ ყინვას,  
არ მქონდა ძალა.

მეგონა: აჰა, ეს აღსასრული  
მოვიდა, ვკვდები.  
მღვრიე ქუჩებში ბნედა ბასრული  
მივებეტები.

აქ იწვა ძალლი. მე იმის გვერდით  
მივწექ. ვიყავი –  
რომ მისი ოდნავ მფეთქავი მკერდით  
გავმთბარვიყავი.

მაგრამ ის ძალლიც გაიქცა. რბოდა.  
გონებამიხდილს  
სიცივისაგან ცრემლი მდიოდა,  
ენატრობდი სიკვდილს.

ისე შემიკრა ყინვამ კბილები,  
მკლავდა იარა.  
ამ დროს მოხუცმა ქალმა ჩემს ახლო  
გამოიარა.

და წამიყვანა მან ცოცხალ-მკვდარი,  
ამინთო სხივი,

ძალიან ცივი იყო ზამთარი,  
ძალიან ცივი.

თოვლით აივსო სახლები ოდენ,  
როგორც შვავები,  
სიცივისაგან ჩამოტყდებოდენ  
სახურავები.

ო, როგორც იქნა გადავიტანეთ  
უბედურება.  
არავის მართებს დღეს არსაიდან  
ბედის მდურება.

ომიდან ხალხი გაცვდა ვით გროში,  
მოკვდა სოფელი.  
ვინ უნდა იყოს ამნაირ დროში  
დროს მადლობელი.

შეიძლებოდა გვექონოდა სული,  
როგორც დობილი,  
მაგრამ ცხოვრება არაა სრული  
და კმაყოფილი.

ვით შეიძლება იქნე ლამაზი  
ბედის მგმობელი?  
როგორ დავტოვოთ ფიქრი ამაზე  
დასანდობელი?

ბნელდება. მოდის პატარა კიბით  
პატარა კაცი,  
ასანთი ფრთხილად ამოაქვს ჯიბით,  
გააქვს ბარბაცი.

აიდგამს კიბეს და ასანთებად  
სვეტზე მიცოცავს,  
უცებ ლანდები წვება ლანდებათ  
და ნისლს იხოცავს.

სალამი კანდელს, სალამი კანდელს,  
ო, გაგიმარჯოს,  
ადის, აანთებს, გაფანტავს ლანდებს  
და ხურავს ჩარჩოს.

ის ჩამოსვლისას ჩიბუხს იკეთებს  
და ცეცხლს უკიდებს,  
კიბეს ილლით ამოიკიდებს  
და მიუთითებს:

– ო, ხომალდები მოვიდენ შორით  
ბევრი, წყვილ-წყვილი.  
არ მოზიდულა აქ სემაფორით  
კანადის ფქვილი.

მაგრამ (პატარა მაშინ ვაჟუკაცი  
აქ დაიხარა,  
ხმადაბლა, ყურთან) თითქო ასკეცი  
გზა აიყარა.

ემიგრანტები ნალარის ცემით  
მოვიდენ შორით,  
თვით რესპუბლიკა მოვიდა გემით,  
ტყვიით, ტერორით.

აქაც იწყება, იქაც იწყება,  
ყველგან ელიან.  
ქვეყანა სისხლით რომ მოირწყება –  
ეს ნათელია.

გარბიან ძველი წყობის ლანდები  
და ბანკირები,  
არისტოკრატი, ექსელბანდები,  
ვაჭრის გირები.

რევოლიუცია კვალდაკვალ მოსდევს  
ხალხს და ჯამათს,  
მაგრამ აქაც თუ ანკესი მოსდეს? –  
წყევლა ამ საათს.



აქაც იწყება, მგონი, რალაცა,  
აქაც დაიწყო,  
შურისძიებით დაიცალა ცა –  
ნახავ, დაიცა.

უკვე გამოდის დღეს განაპირა  
უბნიდან მზეზე  
ხალხი, რომელმაც ხმალით დაპირა  
მარსელიეზა.

ახ, რა მოხდება... მაგრამ რა ვიცი  
ქვეყნების კიდის... –  
ჩურჩულით ამბობს პატარა კაცი  
და ჩუმად მიდის.

ვენერა შეკრთა: – ჩუ, გესმის? სროლა.  
ა? არაფერი.  
გესმის სროლის ხმა და ტყვიის ქროლა,  
ნალარა, დაფი?

ჩუ, რაა? გესმის? მარსელიეზა!  
დროა, წავიდეთ.  
დაიცა! სადღაც მოისმა კვნესა  
მომაკვდავივით.

დროა. ამ ხმაზე თითქო ვლმერთდები  
და მიხარია.  
წავალთ, ჩვენ იმათ შევუერთდებით...  
ეს ვინ არიან?

ამ დროს გაისმა თოფების გრგვინვა  
და ჭახი-ჭუხი.  
ევას გულიდან ამოწყდა გმინვა...  
ცა იყო რუხი.

ევას გულიდან ამოწყდა კვნესა  
ლამეთა, ბინდთა  
და სიჩუმეში ვით ინჟესა  
იგი გარინდდა.

გამოჩნდა მწყობრათ დასული რაზმი  
აურზაურით.  
– იარაღისკენ! – ამბობენ ბრაზით  
და ხმაურობენ.

ერთი დაიჭერს ლუჩიოს ხელით  
ისე, ვით ძაგრით  
და დანარჩენნი: ხალხის სახელით!  
შეჰკარით, მაგრათ!

ეს გადაცმული არისტოკრატი  
გაჩნდა საიდან?  
დაავიწყდება თავისი ხატი.  
იგრძნობ. აიტან.

აქ მოიყვანეთ, ვნახოთ სანთელთან,  
შევხედოთ, ვნახოთ! –  
ლუჩიო მიჰყავთ, იგი გამთელდა  
უხმოდ, უსახოთ.

გაძალიანდა ლუჩიო ახლა  
და დასხლტა ვით ქვა,  
– ამხანაგებო! – ყვირის ხმამაღლა –  
შეჩერდით, სიტყვა!

ამხანაგებო! დღესაც და გუშინ  
მე მომდევს დარი.  
მე ლუჩიო ვარ, მაღაროს მუშა  
და პროლეტარი.

მე მიხარია, რომ დედამინას  
ცეცხლად ვედებით.

განსაცდელის დროს სხვა ვინ დამიცავს  
თავგამეტებით?

ერთი მათგანი, რომელსაც ალი  
ანთებს მზიანი,  
ვიქნები თქვენთან თავისუფალი  
და თქვენიანი.

– მაშინ, ჩადექი ეხლავ ჩვენს შორის  
შენც ჩვენთაგანი,  
ასწიეთ თავი. წინ: ერთი. ორი.  
მაგრად ნაგანი!

მაგრამ ლუჩიო ამბობს: ეს ქალი  
მუშა ქალია,  
ის დაგვჭირდება, როს ბრძოლის ალი  
დასცემს ძალიან.

არაერთს ბრძოლა წაართმევს ცნობას,  
ამძიმებს თვალი,  
ჩვენ ვინ შეგვიხვევს მაშინ ჭრილობას?  
მხოლოდ ეს ქალი.

მაგრამ... რას ნიშნავს? სისხლი! შეჩერდით!  
ეს კომმარია!  
დაჭრილ ქალს სისხლი ჩამოდის მკერდით.  
კვდება, მკვდარია!

და შეიკუმშა ლუჩიოს გული  
მომკვლელი დარდით,  
გული, ამ ქალთან ერთად მოკლული  
ტყვიის ნავარდით.

და დარჩა სული, რკინის კედელი,  
შურის მგებელი,  
ოცნება ბედის გამომჭედელი,  
ამფეთქებელი.

ის ჩადგა ამდგარ მუშათა შორის  
იმათთაგანი,  
ასწიეთ თავი. წინ: ერთი. ორი.  
მაგრად ნაგანი!

ამ დროს მოხუცი ქალი გამოჩნდა  
მარტოდ მოარეთ,  
შუქიან სვეტის ახლო ჩამოჯდა,  
ატირდა მწარედ.

– მშვიდობით, ევა, – ამბობს ლუჩიო,  
სდგას. მიდის ხანი.  
იმისი გული ეხლა თუჯია,  
გრძნობა – ნაგანი.

ლუჩიო იბრძვის ვით მთელი ტომი  
და ხალხის გრძნობა:  
არა გათიშვა და არა ომი,  
არამედ – ძმობა.

ლუჩიო იბრძვის, რათა ფარული  
დასძრას რკინები,  
ხალხისთვის მძლე და პლანეტარული  
პალადინები.

არ არის იგი მტრებისთვის ტკბილი  
და არც ენება,  
მოულოდნელი, მწარე აქვს კბილი  
და შეჩვენება.

მან შეაჩვია თვის სულს სატანა,  
ალი ქურების,  
რათა შემდეგში შესძლოს ატანა  
განადგურების.

დემონიურად მიუძღვის ღამით  
რაზმებს ტყვიებით,

რომ დედამინას უჩვენოს ამით  
შურისძიება.

სად არის მტერი? ის აცეცებს თვალს...  
ო, მისი თვალი,  
ის მას საკადრისს გადაუხდის ვალს,  
ნახვამდის, ხვალე.

თითქო შექმნილა ეს თვალი განგებ,  
იკრებს იერებს,  
მასში ბრძოლების მწარე განგება  
შუქს აძლიერებს.

ლუჩიო იბრძვის. ანდამატია  
მზის მოგონება.  
არა ერთი და ორი ანთია  
იქ კოცონები.

მაგრამ არც მტერი არის ბატკანი,  
ის არ იძინებს,  
მიდის და მოდის ერთი მათგანი  
და დასისინებს.

მის დასაცავად მოდის უეცრად  
ძალა ასკეცი,  
მკაცრი სახელი მათ მიუეცრათ:  
ჯალათი, მხეცი.

თვალეები ფეთქენ, როგორც კაკლები  
წყეული ზეცით.  
მხეცი, არც მეტი და არც ნაკლები,  
უგულო მხეცი.

დგას მუხლებამდე სისხლის მორევი,  
მათში შობილი  
უიარალო ხალხზე მორევით  
დგას კმაყოფილი.

სვრის და მშობლიურ ცხედრებს ეხება  
ფარული გზნებით,  
ყელამდე სისხლში მიდის ფეხები  
მოლიპულ გზებით.

მას ახარებს, რომ სისხლის მიზეზი  
თვითონ – მწარდება  
და ბოროტების გზით უმტკიცესი  
მიემართება.

და არ შორდება ხალხის გოდება,  
ცრემლი ღვარული,  
მკვლელი – ეს არის მისი წოდება  
და სიყვარული.

ო, ყველამ იგრძნო, რომ მოკვდა ყველა –  
ძველი და ნორჩი,  
მისგან არავის არ უნდა შველა –  
იცნობენ, მორჩა.

და არ შორდება მუნჯი ყვედრებით  
ცქერა ზვირთული,  
ის სამარემდე მივა ცხედრებით  
შემოტვირთული.

ო, რა თქმა უნდა, ცხედრები მუდამ  
მუნჯობენ, მაგრამ  
სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა,  
მონობა, ჩაგვრა!

ხალხის ვეცილი, ფრიად მართალი  
რომ არ ფასდება!  
ასეთი კარგი მოკლეს სარდალი,  
ცეცხლი ასდება.

ბურჟუა კარგი და ხელოვანი  
მოასპარეზე,  
მიცვალებული სახელოვანი  
გდია შარაზე.

წევს მედიდურად გამონწყობილი,  
წევს მედიდურათ,  
აქვს ცხვირი en face, ფეხი, – პროფილი  
როგორც სურათი.

მაგრამ უეცრად, მკვდარს აბეზარი  
წამლავს ანთება,  
დაუნდობელი, როგორც მეზარე  
ხმა ელანდება.

თითქო მათ შორის მტრობა გათავდა,  
იგი – ცხედარი  
გდია ლამიდან განთიადამდე  
გაუბედარი.

მან მოინამლა სული შხამებით,  
რა დარჩენია!  
დასდევს ბურუსით და შელამებით  
ავი გენია.

ქალაქს მოავლეს გარშემო ალყა  
და ერთხელ, დილით,  
მძიმე ტანკების მოინგრა ტალღა  
ბოროტი ჩრდილით.

მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა,  
სისხლიც ათავდა,  
ორი მრისხნანე სტიქიის ბრძოლა  
მწარედ გათავდა.

დაჭრილი, მკვდარი, მრავალი მსხვერპლი  
მსხვერპლს ეფარება,  
სახლების ნაცვლად ნაცარი, ფერფლი,  
მგლოვიარება.

გამარჯვებულნი სასტიკი ხელით  
აღრჩობენ ტყვეებს,  
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით  
უსპობენ დღეებს.

ქურდები ღამით საფლავებს თხრიან,  
მოკლულთა ცხედრებს...  
გაზები ღრუბლებს შორიდან ყრიან  
ლურჯებს და თეთრებს.

რბის ორი ძალლი: მათ ისტორია  
ვერ დააფეთებს,  
პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს  
ხორცის ნაფლეთებს.

და მთელი კვირა სადგურის იქით  
მატარებელი  
იდგა. შიგ მკვდრები ეყარა რიგით  
უფარებელი.

და იქვე ახლო, სანაგვე ყუთში  
ინვენ ბავშები,  
ეზმანებოდათ მათ ყოველ წუთში  
ცეცხლთ მირაყები.

მიყავთ ტყვეები – ყოველი წუთი.  
ლუჩიო ტყვეა.  
მაგიდას უზის აჩრდილი ხუთი:  
განკითხვის დღეა.



„ლუჩიო! – ამბობს ხმა მძლე და დიდი,  
სხვების ამყოლი,  
დაუცხრომელი იყავ ბანდიტი  
და წინამძღოლი.

ძალაუფლების ხელში ჩაგდება  
გინდოდა მეტად,  
სადაც შენი ბრბო დაბანაკდება,  
ცეცხლი სდგას სვეტად.

წესრიგის მცველებს იარაღს ყრიდი,  
გსურდა წვალება,  
შენ არავისი არ გქონდა რიდი  
და მოკრძალება.

შენისთანასთვის, რომ ეგრძნო მონა,  
სისხლი და რკინა –  
გილიოტენმა გამოიგონა  
გილიოტინა.

და ხუთეული, რომ შეგახვედროს  
სისხლთან უღმერთოდ,  
უმაღლეს სასჯელს გისჯის: დახვრეტას  
მრავალთან ერთად“.

100% – ადნობს და დაგავს  
ღრუბლების ტივი,  
გადამავალი მზე აჩრდილს აგავს –  
რეტროსპექტივი.

ხედავს გრძელსა და ცარიელ ქუჩას  
პირშემკრთალ გაზით,  
აქა-იქ ქარხნებს ღიმი არ უჩანს,  
სავსეა ბრაზით.

ხედავს სახლების უბრალო ფარდებს:  
თრთის შუშაბანდი,  
თავის დაღუპულ ნევრებზე დარდობს  
ოჯახის ლანდი.

ლაჟვარდი ლილა გადაფეროდა  
სალამოს ზეცას,  
დახვრეტის დრომდე რაზმი მღეროდა  
მარსელიეზას.

[1921-1924]

**ვერნიანტიეზი  
შენიშვნეზი  
კომენტარეზი**



## ტექსტისათვის

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თხუთმეტომეულის მესამე ტომში შესულია 1921-1927 წლებში დაწერილი ლექსები და ორი პოემა: „ჯონ რიდი“ და „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“. ლექსები წარმოდგენილია სამ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში მოექცა ქრონოლოგიური რიგით დალაგებული ტექსტები (1921-1927). ცალკეა გამოყოფილი ქ. „მნათობში“ 1925 წელს გამოქვეყნებული „ასი ლექსი“, რომელიც, ფაქტობრივად, მსგავსად პოეტის პირველი და მეორე კრებულებისა, ერთი კონცეფციით შეკრულ წიგნს წარმოადგენს პროლოგითა და ეპილოგით. ლექსებთან მითითებულია პირველი პუბლიკაციის თარიღი, ან, როცა ამის დადგენა მოხერხდა, დაწერის უფრო ზუსტი დრო. მესამე განყოფილებაში შევიდა ის ნაწარმოებები, რომელთა შექმნის კონკრეტული დროის განსაზღვრა სადღეისოდ, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ისინი თავსდება ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოში: 1921-1926.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1927 წლის კრებულში (ე.წ. ზარნიშინი წიგნი), რომელიც პირველწეაროა მანამდე არსად დაბეჭდილი ბევრი პოეტური ტექსტისათვის, ლექსების უდიდესი ნაწილი უთარიღოა. როგორც ბოლო დროის კვლევამ უჩვენა, წიგნი სტამბას, სავარაუდოდ, 1925 წლის მიწურულს ჩაბარდა, ხოლო ბეჭდვა 1926 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. აქედან გამომდინარე, წიგნში პირველად გამოქვეყნებული ლექსები 1926 წლამდეა დაწერილი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „კოსმიური ორკესტრი“, რომელიც 1926 წელს ჯერ ქ. „მნათობში“ (№7) დაიბეჭდა, შემდეგ კი წიგნს ბოლოში ჩაემატა (ვ. ჯავახიძე, უცნობი, თბ., 2013, გვ. 703-705).

ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად განისაზღვრა ავტორის მიერ პირობითად დათარიღებული და უთარიღოდ დატოვებული ლექსების ერთი ნაწილის ქრონოლოგია, რის შედეგადაც რეალობასთან უფრო მიახლოვებული გახდა პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის გზა.

ტომში შესული ლექსები შედარებულია პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ყველა ნაბეჭდ წეაროსა და ჩვენამდე მოღწეულ ავტოგრაფთან. ძიების შედეგად გამოვლენილია რამდენიმე ლექსის დღემდე უცნობი პირველი პუბლიკაცია, აგრეთვე, პოეტის არაერთი ავტოგრაფი, რომლებიც თხზულებათა თორმეტომეულში ასახული არაა.

ძირითადი ტექსტების შერჩევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა იმ გამოცემებს, რომლებშიც ნაკლებად არის საგრძნობი ავტოცენზურის კვალი, ან გვაქვს პირდაპირი თუ ირიბი ცნობები მათ მომზადებაში გალაკტიონის უშუალო მონაწილეობის შესახებ.

ტექსტებში დაცულია ავტორის ენის თავისებურებანი, მართლწერა და, შეძლებისდაგვარად, პუნქტუაციაც. აშკარა კორექტურული შეცდომები გასწორებულია მითითების გარეშე, ხოლო უიშვიათესი რედაქციული ჩარევები გატანილია ვარიანტებში, ან განმარტებულია შენიშვნებში.

განყოფილება „ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები“ შეიცავს თითოეულ ლექსთან დაკავშირებულ ცნობებს, ასახულია ავტორისეული ყველა სწორება. აქვე, საჭიროების შემთხვევაში, განმარტებულია ტექსტთან დაკავშირებული სხვადასხვა რეალია.

### პირობითი ნიშნები და შემოკლებანი

ვარიანტების ჩვენებისას გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

] ნაცვლად (მაგ. **ძვირფასო**) **ირაკლი BCDE**. ნიშნავს: BCDE ვარიანტებში სიტყვა „ძვირფასოს“ ნაცვლად იკითხება „ირაკლი“)

+ ტექსტს ემატება (მაგ. **დაწიოკებული + ელვის B**. ნიშნავს: B ვარიანტში სიტყვას „დაწიოკებული“ ემატება „ელვის“)

- ტექსტს აკლია (მაგ. **რუტინა**] - **BD**. ნიშნავს: BD ვარიანტებში არ არის სიტყვა „რუტინა“)

~ გადაადგილებულია (მაგ. **4-5 ~ BCDE**. ნიშნავს, რომ BCDE ვარიანტებში 4-5-ე სტრიქონები გადაადგილებულია)

\* პირვანდელი ტექსტი გადახაზულია (მაგ. **მაგრამ უდრმეს\* B**. ნიშნავს: B ვარიანტში იყო სიტყვა „უდრმეს“, რომელიც ავტორს შეუცვლია სიტყვით „მაგრამ“).

თთ - გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966-1975.

სგ - გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, გამომცემლობა „ლიტერატურის მატინე“, თბ., 2005-2008.

გ. ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის III ტომის მომზადებასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული სამუშაოები შეასრულა ფილოლოგიის დოქტორმა **მამუკა შელეგიამ**.

## ატმის რტოო, დაღალულო რტოო (გვ. 7)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1978 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 197 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 256 (C); რჩეული, 1944, გვ. 365 (D); რჩეული, 1959, გვ. 486 (E).

**თარიღი:** 1916 ACDE.

9 ჰეივის] კეის CE. 11 ეხლა] ახლა E.

ავტოგრაფი დაზიანებულია, ტექსტის ნაწილი არ იკითხება.

ნაწარმოები შინაარსით და განწყობილებით ახლოსაა ლექსთან „მზეო თიბათვისა“, რომლის თავდაპირველი რედაქცია სათაურით „1920“ დაიბეჭდა 1921 წლის დასაწყისში. „ატმის რტოო“, სავარაუდოდ, ამ დროსაა დაწერილი.

## სადღებრძელო იჟოს მისი (გვ. 7)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 632 (B); 967 (C); 969 (D); 1086 (E); 3408 (F); 7757 (G); 540-დ, გვ. 3 (H).

**ავტოგრაფის ფოტოპირი:** რჩეული, 1959, გვ. 5 (I).

**ნაბეჭდი:** ჟ. „სახალხო გვარდიელი“, 1921, №6, გვ. 6 (J); ლექსები, 1927, გვ. 35 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 57 (K); „მაშულო სიცოცხლე“, 1943, გვ. 53 (L); რჩეული, 1944, გვ. 28 (M) და გვ. 278 (N); ლექსები, 1953, გვ. 93 (O); რჩეული, 1954, გვ. 76 (P); რჩეული, 1959, გვ. 535 (Q).

**სათაური:** ტფილისთან J; – BCDEFGHILMQ.

**თარიღი:** 1919 AQ. 1921 P.

2-5 სადღებრძელო... იცოდა] – E]

ოცნებაო ჩემო ძველო,  
ვართ ღამეთა მთეველი,  
ბევრი, ბევრი სადღებრძელო  
დაგერჩა დაუღეველი. ILMQ

2 ოცნებით] ომებით B] ომებში GHI; იწოდა] იწვოდა P. 4 პოეტის] ირაკლის HI. 7 გვშვენოდა] გშვენოდა O. 8 დავცალოთ] დავსცალოთ

ILM. 9 ბედთან] მტერთან H. 11 დაჰხარა] დახარა HI. 12 ავღგეთ] ავღგები\* B] ვიდგეთ EILM; ჩვენ] და I. ტვილისი] თბილისი BKP. 13-14 სტრიქონებს შორის H-ში იკითხება:

ამგზნებელი ჟრუანტელი  
ვის სისხლში არ ენთება,  
ოდეს მისი დღევანდელი  
სახე გაახსენდება.  
თითქო კარი დარაზოდეს  
სურთ ტვილისის მიგნება.  
არასოდეს, არასოდეს  
ის სხვისი არ იქნება.  
აქ სიკვდილი და ხალისი  
ვის სხვად არ ესვენება –  
სადღეგრძელო იყოს მისი  
და დიდებით ხსენება.

14-17 აქ... ხსენება] – E. 17 დიდება +

ოცნებაო ჩემო ძველო,  
ვართ დამეთა მთეველი,  
ბევრი, ბევრი სადღეგრძელო  
დაგვრჩა დაუღეველი. HI

E ავტოგრაფში გაერთიანებულია „თეთრი პელიკანი“<sup>1</sup> და „სადღეგრძელო იყოს მისი“: ჯერ „თეთრი პელიკანის“ ტექსტია (I, II, III და VI სტროფები), შემდეგ კი II და III სტროფები ლექსიდან „სადღეგრძელო იყოს მისი“ (ავტოგრაფში ჯერ III სტროფია, შემდეგ – II), ბოლოს კვლავ მეორდება ILMQ-ში პირველ სტროფად გამოყენებული „თეთრი პელიკანის“ VI სტროფი (ოცნებაო... დაუღეველი).

G ავტოგრაფში პირველი სტროფი აღებულია ლექსიდან „სადღეგრძელო იყოს მისი“ (2-5 სტრიქონები), დანარჩენი სამი – ლექსიდან „თეთრი პელიკანი“ (I, II, III სტროფები).

LMQ ვარიანტებში სტროფები განლაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით: ჯერ II, შემდეგ IV და III.

პირველნაბეჭდი ტექსტი (J) მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა სხვა ვარიანტისაგან, ამიტომ მოგვაქვს მთლიანად:

<sup>1</sup> „თეთრი პელიკანის“ ტექსტში შეტანილი ცვლილებები ასახულია ამ ლექსის ვარიანტებში (იხ. ტ. II, გვ. 190-192).



## ტფილისთან

სადღეგრძელო იყოს მისი,  
ვინც ომებში იწოდა,  
ვინც ირაკლის მარადისი  
აღტაცება იცოდა!  
მოდითა ერთზე ასი –  
გზა გვშვენოდა დიდების,  
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი  
მტერთან არდარიდების!  
სადღეგრძელო იყოს მისი  
ვინც შიშმა ვერ დახარა.  
ავდგეთ ფეხზე და ტფილისი  
ვადღეგრძელოთ ჭაღარა.  
ამგზნებელი ჟრუანტელი  
ვის სისხლში არ ენთება,  
ოდეს მისი დღევანდელი  
გული გაახსენდება.  
იყოს მისი მთა და ველი  
ჩვენი ზრუნვის საგანი,  
რომ დაინთოს ერთი ძველი,  
ძველი გრიგალთაგანი.  
მის კარებთან გვეჩვენება  
ჩრდილი არეკ-დარეკით,  
რომ წყველა და შეჩვენება  
დახვდეს მეგობარივით.  
თითქოს კარი დარაზოდეს  
სურთ ტფილისის მიგნება.  
არასოდეს, არასოდეს  
ის სხვისი არ იქნება.  
აქ სიკვდილი და ხალისი  
ვის სხვად არ ესვენება –  
სადღეგრძელო იყოს მისი  
და დიდებით ხსენება.

C და F ავტოგრაფებში გაერთიანებულია ლექსები „სადღეგრძელო იყოს მისი“, „თეთრი პელიკანი“ და „ხვალემ იზრუნოს ხვალინა“. F-ში ტექსტი ოთხჯერ მეორდება, მცირე ცვლილებებით. ორივე ავტოგრაფი, სავარაუდოდ, 20-იანი წლების დასაწყისს განეკუთვნება. მოგვაქვს C ავტოგრაფის ტექსტი მთლიანად და F-ში არსებულ განსხვავებებს მიუთითებთ C-სთან მიმართებით.

1

ოცნებაო ჩემო ძველო  
ვართ დამეთა მთევველი  
კიდევ ბევრი სადღეგრძელო  
დაგვრჩა დაუღვეველი.

2

გადმოფრენას ეს ყორანი  
მადათოვზე აპირებს  
გაანათებს რესტორანი  
ტივებიან ნაპირებს.  
რომ გავიდეს ეს ზამთარი  
სიზმარივით მღვევარი  
რომ რეკავდეს საზანდარი  
უქმი, შემაქცევარი.  
რომ ისმოდეს  
სადათნოვას  
დაჟანგული ჰანგები –  
მიეთოვოს მოეთოვოს  
კედლებს ფარშავანგები.  
რომ ბურუსში მომეზმანოს,  
კოჭლო საჰაკ, ვარდები –  
ოფორტები ფიროსმანას  
და ირმების დარდები.  
რომ გავიდეს ეს ზამთარი  
როგორც ტკბილი ტკივილი  
რომ რეკავდეს საზანდარი  
და ფერების კივილი,  
რომ მათრობდეს ვიოლინო,  
გულო, რასაც მპირდები,  
ყვაეილების თასით ღვინო  
და მუსიკის ზვირთები.

3

ისევ დარჩეს ჩვეულ ვალად  
მოხდა სოფლის ვალისა,  
დღემ იზრუნოს დღევანდელის  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.  
გეჟონდეს სული და ხალისი  
მტყენების და ლალისა

დღეს გვხიბლავდეს უმთავრესი,  
ხვალემ პოვოს ხვალისა.  
ნთება ღალით, ვნება აღის  
ბაგე კარგი ქალისა  
დღეს ფარავდეს სიმხურვალეს  
ხვალემ იგრძნოს ხვალისა.

4

სადღეგრძელო იყოს მისი  
ვინც ოცნებით იწოდა.  
ვინც პოეტის მარადისი  
აღტაცება იცოდა.  
მოდითა ერთზე ასი  
ერთს გზა ჰქონდა დიდების  
მან დასცალა ყველა თასი  
ბედთან არ დარიდების.  
სადღეგრძელო იყოს მისი  
ვინც ფიქრმა ვერ დახარა.  
ავდგეთ ფეხზე ჩვენ ტფილისი  
ვადღეგრძელოთ ჭაღარა.  
აქ სიცოცხლე და ხალისი  
ვის სხვად არ ესვენება  
სადღეგრძელო იყოს მისი  
და დიდებით ხსენება.

5

ქართულია აქ მთა-ველი  
გული ვარდი და ჯვარი  
ვადღეგრძელოთ რუსთაველი  
ჩვენი მამამთავარი,  
და ყვავილებს უხვად გაშლილს  
შერჩეთ ძველი შენება,  
რომ შეენოდეს ბარათაშვილს  
მერნის გადაჭენება.

6

სადღეგრძელო იყოს ხმების  
ვინც დანდობა არ იცის,  
სადღეგრძელო იყოს მეფის  
გალაკტიონ ტაბიძის.

აირჩიეს იგი მხოლოდ  
რომ ზარები დარეკოს  
რომ სიმღერა მთა და ველად  
გრგვინვით გადაარეკოს –  
ვინც ტრიუმფის იყოს ღირსი  
ღირსი მზის გათენების  
სადღეგრძელო იყოს მისი  
დღის და ღურჯა ცხენების.

11 გავიდეს] წავიდეს F. 24 F-ის პირველ ვარიანტში „გავიდეს“ ნაცვლად არის „წავიდეს“, მანამდე კი ყოფილა „ასე გავა“. 36 იზრუნოს] იგრძნოს\* C] იგრძნოს F. 39 პოვოს] ჰპოვოს F. 41 კარგი] ნაზი\* C] ნაზი F. 43 „იგრძნოს“ ნაცვლად F-ის მესამე ვარიანტში არის „ნახოს“. 49 მოდიოდა ერთზე] ვის ახარებს ასჯერ F. 50 ერთს გზა ჰქონდა] განათება F. 51 მან დასცალა] ვინც დასცალოს F. 69 „მერნის“ ნაცვლად F-ის მეორე ვარიანტში არის „მერნით“. 79 ვინც] რომ\* C] რომ F; ტრიუმფის] ზმანების F. F-ის პირველი ვარიანტის ბოლოს გადახაზულია:

ოცნებაო ჩემო ძველო  
ვართ დამეთა მთეველი.  
ვადღეგრძელოთ საქართველო  
ჯერაც დაუძლეველი.

D ავტოგრაფი წარმოადგენს C-ს 45-82 სტრიქონების მცირედ სახეცვლილ ვარიანტს. D-ში არსებული განსხვავებები მოგვაქვს C-სთან მიმართებით:

49 მოდიოდა ერთზე ასი] გვახარებდეს ასე მისი D. 50 ერთს... ჰქონდა] ასჯერ ასი [...] D. 51 მან დასცალა] ჩვენ დავცალოთ D. 57-60 აქ... ხსენება] სადაც სიტყვა ქართულია/ საქართველოს დიდება D. 64 ვადღეგრძელოთ] ვადღეგრძელოთ\* D] ცოცხალია D. 67 შერჩეთ ძველი] ისევ შერჩეთ D. 74-75 სტრიქონებს შორის D-ში გადახაზულია: ის მოვიდა, თქვენი ღმერთი. 79 ვინც ტრიუმფის] იგი დაფნის D. 80 ღირსი... გათენების] დიდი ცეცხლით იწოდა D. 81 სადღეგრძელო იყოს] მაგრამ ყოფნა მაინც მისი D. 82 დღის... ცხენების] – D. D დაუსრულებელია. ტექსტის ბოლოს გადახაზულია სტრიქონი „ვინც ის არ შეიცოდა/ გაუმარჯოს“...

ლექსის პირველი ნაბეჭდი რედაქცია „ტფილისთან“ (1921) გამოცხადდა 1921 წლის თებერვლის ბრძოლისა თბილისის მისადგომებთან, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ტექსტმა შემდგომში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა – შეიქმნა ახალი, საყოველთაოდ ცნობილი რედაქცია, რაც 1925 წელზე გვიან ვერ მოხდებოდა. ლექსს ორმაგი თარიღი მიეცით: 1921, 1925. ამის შესახებ იხ.: თ. დოიაშვილი, ლირიკული ტექსტი და ისტორიის კონტექსტი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2015, №5-6, გვ. 3-17.

### მს მძინარე მთა და ველი (გვ. 8)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 407 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 38 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 64 (C); რჩეული, 1959, გვ. 447 (D).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1916 ACD.

2 მწუხარება] მწარე იჭვო\* B] მწუხარებავ BCD. 4 ეს მძინარე] საქართველოს\* B. 7 თვალს... მიეძინება] გულს მზე მოეფინება B. 8 გვაქვს] მკლავს\* B] გვკლავს B. 12 გაღვებრძელოთ ყველა] ადღებრძელოთ ღმერთმა B. 14 მწუხარება] მწუხარებავ CD. 14-15 მწუხარება... გამიარ] მაგრამ კმარა. იყოს ცეცხლი იმიერ და ამიერ B.

„ეს მძინარე მთა და ველი“ თემატურად, ჟანრულად და ვერსიფიკაციულად ძალიან ახლოსაა წინა ლექსთან „სადღებრძელო იყოს მისი“, ამიტომ ამავე ხანებში (1921) უნდა იყოს დაწერილი.

### 15 საუკუნე (გვ. 8)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 17 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 28 (B); რჩეული, 1944, გვ. 262 (C); რჩეული, 1954, გვ. 75 (D); რჩეული, 1959, გვ. 435 (E).

**სათაური:** – B; 15 საუკუნე უსრულდება D.

**თარიღი:** 1916 ABE; 1921 D.

10 ვარფოლომეის] ცეცხლის და ნგრევის D. 12 ჯვარზე გაკრუ-

ლი] შემოსაღტული D. 15 თემურღანგებით] თემურღენგებით CD. 20 ცვლიდენ] ცვლიდენ BDE. 21 შენ ოცდაათჯერ] მძლეთა მძლევ ბევრჯერ D. 22 გადაცდი] გასცდი D] გადასცდი E; იმ ყოფნის D. 23 ხიდებს] რა ხიდებს D. 26 ცლიდა] სცლიდა D. 27 დასცალა] დაცალა E. 29 მოვა] მოდის D.

**ფენიქსი** – მითური ფრინველი, რომელიც სიკვდილისას თავს იწვავს და საკუთარი ფერფლიდან გაახალგაზრდავებული აღდგება; მარადიული განახლების, უკვდავების სიმბოლო.

**ღამეები ვარფოლომეის** – ბართლომეს ღამე, ანუ ჰუგენოტების მასობრივი გაუქმება პარიზში კათოლიკეთა მიერ, 1572 წლის 24 აგვისტოს.

**„ჯალალ-ედინებით, თემურღანგებით“** – ისტორიული პირები, საქართველოს ამოხრებელი აღმოსავლელი დამპყრობელნი. განზოგადებულად: საქართველოს დაუძინებელი მტრები.

**რუბიკონი** – მდინარე, რომელიც გადალახა იულიუს კეისარმა, მიუხედავად სენატის აკრძალვისა, და აიღო რომი. გამოთქმა „რუბიკონის გადალახვა“ ნიშნავს გაბედული, ბედითი გადაწყვეტილების მიღებას.

**შაჰ-აბასი** – ირანის შაჰი, რომელმაც XVII საუკუნის პირველ მეოთხედში არაერთგზის დალაშქრა საქართველო.

ლექსი ეძღვნება თბილისს და უნდა უკავშირდებოდეს ბრძოლას თბილისისათვის 1921 წლის თებერვალში. ნაწარმოებიც, სავარაუდოდ, ამ დროს უნდა იყოს დაწერილი, რაზეც D ავტოგრაფიც მიუთითებს.

## ხსოვნას (გვ. 9)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 967 (B); 3408 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 124 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 180 (D).

**თარიღი:** 1916 AD.

ავტოგრაფებში ტექსტი ნაწილია ლექსის – „სადღეგრძელო იყოს მისი“ ვრცელი რედაქციისა (C და F ვარიანტები), ამიტომ „ხსოვნას“, სავარაუდოდ, 20-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი.

იხ. ვარიანტები ლექსისა „სადღეგრძელო იყოს მისი“ (გვ. 303-308).

## თოვლი (გვ. 9)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50 გვ. 165 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 138 (A); რჩეული, 1944, გვ. 332 (C).

B ვარიანტი არის 1927 წლის „რჩეულიდან“ ამოჭრილი ტექსტი. იგი ნასწორებია ავტორის მიერ. შეტანილი ცვლილებები ნაჩვენებია ვარიანტებში:

**10** ქაშვეთის] სასახლის\* B] ოდნავი B. **11** როცა მოწყენილ] როდესაც ახალ B. **14-17** მე... ბურუსები] – C. **15** ჩვენ... რუსები] მოულოდნელი, სწრაფი, უცები B. **16** მაგრამ... მათი] ისეთი ნისლით სავსე B. **17** მათი თოვლები] ისეთი თოვლი B.

„თოვლი“, სავარაუდოდ, ეხმაურება ტაბახმელასთან გამრულად დაღუპული ქართველი იუნკრების დაკრძალვას (1921 წლის 7 მარტი). ლექსი, პირობითად, ამის მიხედვით დათარიღდა.

## ღღუს ღღეუბი ეცლება (გვ. 10)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4233 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 182 (A); რჩეული, 1944, გვ. 354 (C).

**სათაური:** ნეტა სადაა? B.

**ქვესათაური:** გაზელა B.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია: ის ლექსები რომელიც სიყვარ...

**2** დღეს... მშვიდი] ისევ უბედურება ცივი\* B. **3** გაჰქრა] დაეწვი\* B; ქარიშხალი] მოგონება B; სიცილიც] ოცნებაც \* B. **4** დასცქეროდა] ანათებდა\* B. **5** ის... ცეცხლი] დღით და ღამით რომ ვწერდი\* B] მხოლოდ დაუდევრობით B; წიგნები] წიგნები\* B] რითმები B. **6** დაეწვი] ჩემი\* B. **8** გრიგალმა გაიტაცა] სიყმაწვილის ოცნება B. **10** უცებ გაკრთა] ჩაქრა ჩემი B. **11** მოვიპოვე... იქნება] იმ ედემთან არასდროს არ ვიქნები B.

1921 წლის აპრილში გალაკტიონმა თავისი არქივი დაწვა, რაზეც ლექსშიც არის მინიშნებული („დაეწვი ხელნაწერები“). აქედან გამომდინარე, „ღღუს ღღეუბი ეცლება“ ამ ტრაგიკული ფაქტიდან ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი.

## მიტქირე თვალში (გვ. 10)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3406 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 299 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 384 (C); რჩეული, 1944, გვ. 415 (D); რჩეული, 1954, გვ. 170 (E).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1914 C; 1915 E.

11 აღმიდგინე] აღადგინე B.

ტექსტში არეკლილი ჩანს ოღია ოკუჯავასთან პოეტის პირველი შეხვედრის დრამატული ეპიზოდი ხანგრძლივი განშორების შემდეგ, 1921 წლის გაზაფხულზე. ლექსიც ამ დროს უნდა იყოს დაწერილი.

## \*\*\* ირგვლივ ნოსლი სუფივლა (გვ. 11)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 471 (B); 4257 (C); 28897-50, გვ. 40 (D).

**ნაბეჭდი:** გ. „კომუნისტი“, 1921, №50, 4 მაისი (E); ლექსები, 1927, გვ. 505 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 33 (F); ლექსები, 1937, გვ. 20 (G); რჩეული, 1944, გვ. 107 (H); ლექსები, 1953, გვ. 88 (I); რჩეული, 1959, გვ. 64 (J).

**სათაური:** ელეგია\* B; სტრიქონები\* B; სამგლოვიარო მარში\* C; რევოლუციონერის ხსოვნას DEFGHJ; სტრიქონები E.

**ქვესათაური:** ეკ. ოკუჯავა-ხალვაშის ხსოვნას BE.

**თარიღი:** 28 აპრ. 1921 წ. E; 1922 J.

**ხელმოწერა:** N.N. E

1-4 ირგვლივ... არაფერია] – C; ირგვლივ] გულში\* B. 2 ვარდებს შხამი] თმაში თეთრი\* B] გულშიც დარდი B; ერია] გერია B. 3 წყნარად] მტკიცედ B. 5 ქაოსის] ედემი C. 7 დელვას ეტყოდ] გულში ამბობდი B; მაგრამ... ეტყოდ] გულო, ნუ დაეცემი C. 8 დასცხრი] წყნარად B; სულო C. 9-24 და... მწუხარე] – C. 11 იცოდი ღიმილი ~ E. 13 მათთან] მასთან\* B; ვისიც] ვისი E. 14 ბედით] ღმერთით\* B. 15 ხალისით მოგქონდა] მიგქონდა ღიმილით\* B. 16-17 სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია:

შენ ელოდი მზის სხივებს  
განათებას ელოდი...



18 ბრძოლის] ბრძოლის\* B] ომის B. 20-21 სტრიქონებს შორის E-ში იკითხება:

ყველამ ნახა წამება,  
ყველას ახლოს ჰყოლია –  
დემონები სიცივის,  
ციხის მელანხოლია...

და ამოდ გეძებენ  
მეგობრები თვალებით:  
ყველა გულმოკლეულია  
შენი გარდაცვალებით.

21-24 იქნებ... მწუხარე] –B]

რა დღე არ გაიარე  
ხან კარგი, ხან მწუხარე  
მაგრამ სიკვდილის დღემდე  
შენს გზას არ გადუხარე. DFGHIJ

B-ში ლექსის ბოლოს გადახაზულია:

აქ საერთო საქმისათვის,  
ყველას თითო აგური,  
მხიარული სიტყვები,  
სიტყვა ამხანაგური.

B-ში ლექსის 3, 4, 5 სტროფები წარმოდგენილია ასეთი თანამიმდევრობით: 4, 5, 3.

C ავტოგრაფი სახეცვლილი ფრაგმენტია მეორე სტროფისა:

ყველაფერი ედემი[ს]  
ნაპირამდე მივიდა  
გულო, ნუ დაეცემი  
სულო, რა მოგივიდა?

E ვარიანტში გადანაცვლებულია ლექსის 3-4 სტროფები: ჯერ მეოთხე სტროფია, შემდეგ – მესამე.

ტექსტის პირველი პუბლიკაციის თანახმად, ლექსი ეძღვნება რევოლუციური წარსულის მქონე ქალბატონის – ეკ. ოკუჯავა-ხალ-

ვაშის ხსოვნას. იგი ოღია ოკუჯავას ძმის, ცნობილი პარტიული მუშაკის – მიხ. ოკუჯავას მეუღლე იყო და, მიუხედავად ოკუჯავების ოჯახის რეპრესირებისა, გალაკტიონს ეს ლექსი სათაურით „რევოლუციონერის ხსოვნას“ მაინც შექმნდა თავის გამოცემებში. ამის შესახებ იხ.: ს. ჭილაია, მოგონებათა გამა, თბ., 1989, გვ. 23-24.

## დღემ ბაიარა! (გვ. 12)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 840 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 279 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 355 (C); რჩეული, 1944, გვ. 405 (D); რჩეული, 1959, გვ. 406 (E).

**სათაური:** ალექსანდროვის ბაღი\* B.

**თარიღი:** ალექსანდროვის ბაღი. 31 ივლისი. 1921\* B; 1915 CE.

2 დიდი] უფალს B. 4 დააიარა] გადაიარა E. 5 გადმოფენილი] გადმოშვებული B. 6 გააქრა] გაქრა BE. 7 ოცნებას] ოცნებებს B; ჰფენ] ფენ B. 8 მოსილი] მოსილნი E; ჩრდილთა] ძველი B. 9 ქარივით] ამქვეყნად\* B; ისევე] მიშველ\* B.

ავტოგრაფში ლექსი ხუთსტროფიანია. პირველი სამი სტროფი შემოხაზულია. ეს ტექსტი განსხვავდება A ვარიანტისაგან:

დღემ გაიარა – მადლობა უფალს!  
შორიდან ისმის სადამოს ზარი.  
მზის ჩასვლა აფრქვევს] ვარდს და ალუბალს  
ხეებს ოდნავ ხრის ოდნავი ქარი.

გვიყვარდა როსმე, ძვირფასო მიშველ,  
სადამოს ქარში ერთად ცხოვრება,  
მზებში ვქროდით მაშინ მე და შენ  
და ქარი მარად გვემახსოვრება.

გაგვახსენდება შორეულ ზღაპრად  
შენ – შენი ლოლა, მე კი – რაისა,  
რომლებმაც ერთად და თანაბრად  
მოგონებები გაგვიმარა.

შემოხაზული ტექსტის მარჯვენა მხარეს, ზემოთ, მიწერილია ლექსის პირველი სტროფის ვარიანტი, ქვეშ კი – ბოლო, მეორე სტროფის ვარიანტი.

თ-ში ავტოგრაფული რედაქციის ადრესატად მიჩნეულია ცნობილი პოეტი ალექსანდრე აბაშელი (ტ. I, გვ. 344). სინამდვილეში, ამავე ავტოგრაფის მიხედვით, მიმართვის ობიექტია „მიშელი“, იგივე მიხეილ ბოჭორიშვილი – გალაკტიონის უახლოესი მეგობარი სიჭაბუკიდან, მწერალი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

### **ალარ არის მენესტრელი (გვ. 12)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5684 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 114 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 166 (C); რჩეული, 1944, გვ. 320 (D); რჩეული, 1959, გვ. 539 (E).

**სათაური:** ალექსანდრ ბლოკი B.

**თარიღი:** 1919 CE.

2 ეს] არც\* B. მე-9 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია: არც ოცნება არის ჭრელი. 11 ნუ] თუ E.

**მენესტრელი** – მგოსანი, პოეტი-მუსიკოსი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში.

„**მენესტრელი უნაზესი დამისა**“ – იგულისხმება რუსი პოეტი ალექსანდრ ბლოკი (1880-1921), ავტორი გახმაურებული სიმბოლისტური კრებულისა „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“ (1905).

**ნოვალისის ყვავილი** – ცისფერი ყვავილი, პოლისემანტიკური სიმბოლო გერმანელი რომანტიკოსის – ნოვალისის (1772-1801) რომანიდან „ჰეინრიხის ფონ ოფტერდინგენი“ (1800). ზოგადად, მისტიკურ-რელიგიური შინაარსის ერთ-ერთი ცენტრალური სიმბოლო ევროპულ რომანტიზმსა და სიმბოლიზმში.

ავტოგრაფის სათაურის თანახმად, ლექსი ეძღვნება ა. ბლოკს და დაწერილია მისი გარდაცვალების გამო (1921), ამიტომ ტექსტი ამავე წლით დათარიღდა.

### **ბრმა ცალი თვალით (გვ. 13)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 302 (A); რჩეული, 1944, გვ. 419 (B); რჩეული, 1954, გვ. 100 (C).

**თარიღი:** 1921 C.

**მეფისტოფელი** – ძველ გერმანულ ლეგენდებში ბოროტი სული, დემონი. იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1823) „ფაუსტის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომელმაც ვალპურგის ღამეს თვალი დაიბრმავა.

ლექსები „ბრმა ცალი თვალით“, „სამგლოვიარო ეტლების ფრენა“, „არ არის იგი იმდენად ტკბილი“, „დალუქულ ფოლიანტთან“, „ძველისძველ ღვინოს“, „ახალ მერნების წყება“ და „უკანასკნელი საზღვარი“ იდეურ-თემატურად და სახეობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული გალაკტიონის საპროგრამო წერილთან „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (ე. „გლომისი“, 1922, №1, 1 იანვარი), რომელიც 1921 წლის მიწურულს დაიწერა, ამიტომ ჩამოთვლილი ნაწარმოებები, პირობითად, ამავე წლით დავათარიღეთ.

### **სამგლოვიარო ეტლების ფრენა (გვ. 13)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 313; რჩეული, 1944, გვ. 422.

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „ბრმა ცალი თვალით“.

### **არ არის იგი იმდენად ტკბილი (გვ. 14)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 316.

იხ. კომენტარი ლექსისა „ბრმა ცალი თვალით“ (გვ. 316).

### **დალუქულ ფოლიანტთან (გვ. 14)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 301; რჩეული, 1944, გვ. 419 (B).

იხ. კომენტარი ლექსისა „ბრმა ცალი თვალით“ (გვ. 316).

### **კველისკველ ღვინოს (გვ. 14)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 39 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 65 (B); რჩეული, 1944, გვ. 276 (C); რჩეული, 1959, გვ. 448 (D).

10 იხდის] უხდის D. 11 თავდებათ] თავდებად D.

იხ. კომენტარი ლექსისა „ბრმა ცალი თვალით“ (გვ. 316).

### ახალ მმრნების წყება (გვ. 15)

ნაბეჭდი: ლექსები, 1927, გვ. 389.

6 გრძობენ ისინი] ისინი გრძობენ. 11 ვერსალი არჩევს] არჩევს ვერსალი. ორსავე შემთხვევაში სიტყვათა გადანაცვლებით აღდგა დაკარგული სარიტმო წყვილები: ისინი – სისინი; არჩევს – დანარჩენს.

„კითხვას, რომელსაც ვერსალი არჩევს“ – იგულისხმება ქალაქ ვერსალში ერთა ლიგის კონფერენცია (1921), რომელზეც მოელოდნენ საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსირებული საქართველოს საკითხის განხილვას.

უელსის ბრუნვა – იგულისხმება ცნობილი ინგლისელი მწერალი-ფანტასტის ჰერბერტ უელსის (1866-1946) რომანი „ბედის ბორბალი“ (ი. კენტოშვილი).

იხ. კომენტარი ლექსისა „ბრმა ცალი თვალით“ (გვ. 316).

### \*\*\* უპანასკნელი საზღვარი (გვ. 15)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 984 (B).

ნაბეჭდი: ლექსები, 1927, გვ. 188 (A).

სათაური: ევემერა B.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია:

უპანასკნელი საზღვარი! აი, რა სწყურია ჩემს სულს  
გაზომვა სივრცეთა უფსკრულების.

2 ტანჯავს] სწყურია\* B. 4 მოეფინება] მოეფინება\* B] – B; როგორც + მის B. 11 გამოგონების] გამოგონებისა B.

იხ. კომენტარი ლექსისა „ბრმა ცალი თვალით“ (გვ. 316).

### \*\*\* ღებვა თეთრი ღებვა (გვ. 16)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 345 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „ლომისი“, 1922, №1, 1 იანვარი, გვ. 2 (C); ლექსები, 1927, გვ. 136 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 46 (D); რჩეული, 1944, გვ. 331 (E); რჩეული, 1959, გვ. 382 (F).

**სათაური:** შემოდგომა B; ზამთარი C.

1 თეთრი] ნაზი B. 2 რიდეების] შემოდგომის B. 3 გაჩვენ] მოაქვს B] გაჩნდნენ DF. 5 ლაქვარდების კიდელ] შევნიერო რიდეო B. 7 ლურჯო] ჩნდება B. 8 ვიწრო] ყვითელ B. 9-12 სულში... ნამკათავარი]

ჰეი, ჰეი ჭრელთვალა

ჰეი, ჰეი ჭრელქულა

შენ გენაცვალე მუდამ B.

ქ. „ლომისში“ ლექსები „ღებვა თეთრი დღეები“, „მეოცნებე აფრებით“ და „ხომალდს მიჰყვება თეთრი მადონა“ გამოქვეყნდა ერთ ნაწარმოებად სათაურით „ზამთარი“. 1927 წლის კრებულში გალაკტიონმა მთლიანი ტექსტი სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებად დაბეჭდა, რაც შემდგომ გამოცემებშიც გაგრძელდა. ლექსები დავათარიღეთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

„ზამთარი“ გალაკტიონს თავის ერთ-ერთ შედეგად მიაჩნდა (სგ, XXIII, გვ. 225).

### სად ოდესმე მერცნება აზრებით (გვ. 17)

**ხელნაწერები:** ავტოგრაფები 966 (B); 7692 (C); 7739 (D); დ. 5, გვ. 22 (E); დ. 14, გვ. 15 (F).

**ნაბეჭდი:** ქ. „ლომისი“, 1922, №1, გვ. 2 (G); ლექსები, 1927, გვ. 418 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 473 (H); რჩეული, 1944, გვ. 492 (I); რჩეული, 1954, გვ. 201 (J); რჩეული, 1959, გვ. 528 (K).

**სათაური:** ვიღონი\* B; ფრანსუა ვიღონი B; მანიფესტი – მუსიკალური C; – D; ზამთარი G; მეოცნებე აფრებით IJK.

**თარიღი:** 1912 J; 1917 HK.

F-ში მხოლოდ 2 და 4 სტროფებია წარმოდგენილი; ასევე მხოლოდ ორი სტროფია BCE ავტოგრაფებში: 2 და 3. სამივეში ჯერ 10-13

სტრიქონებია, შემდეგ კი – 6-9. D-ში სამი სტროფია: 2 და 3, ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც BCE-შია, რასაც ემატება კიდევ ერთი, A ვარიანტისგან განსხვავებული სტროფი.

C-ში ტექსტის ბოლოს მიწერილია: ლექსს მოსავს ისტერიის თაღხები.

**2-5** სად... გათანაბრებით] – BCE. **6** ზვირთთა] ტაღღების\* C. **7** მიტაცებდა] თან მიყვება B] თან მომყვება D] მაგონდება E] თან მიმდევდა F. **8** მაცვებდა] უნაზესად B; უმძლავრესი] გააოცებს\* B] ეთვისება B; მაცვებდა უმძლავრესი] მტანჯავდა (?) მხოლოდ ერთი C] უნაზესად გამაოცებს\* D] უნაზესად არ მაცვებს D] უბოლოო აგონია E] უნაზესად მაცვებდა F; მუსიკა] ოცნება\* B] გრიგალი B] წარსულის\* E] მეძახის E. **9** თმას... ქარის] დააყრუებს რიტმის B] ძლიერია სულის\* C] მესიზმრება რიტმის C] დამაყრუებს რიტმის\* D] არ მაყრუებს ზვირთთა D] უბოლოო ბედის\* E] მესიზმრება ბედის E; თმას მიწეწდა] მაყრუებდა\* F. **9-ე** სტრიქონის შემდეგ D-ში იკითხება:

ოჰ, ძვირფასო! როგორ ტყდება კამარა!  
მაგრამ გული ერთხელ გაიბზარა რა  
სამუდამოდ მოსილია სიკვდილით,  
არ არსებობს (?) სიყვარული არარა!

**9-ე** სტრიქონის შემდეგ F-ში გადახაზულია:

მეოცნებე აღტაცების აფრებით –  
ახალგაზრდა ღმერ[...] გათანაბრებით.

**10** დატვირთული მრავალ] ბედი ჩემი – სავსე B] ლექსი სავსე სულთა\* C] პოეზია სავსე C] ო, ძვირფასო! სავსე D. **11** კიდევ... ვიქანავებ] უშიშარი აგასფერის B] მიმავალი აგასფერის CE; კიდევ დიდხანს] უშიშარი\* D] დაღალული D; ვიქანავებ] აგასფერის D. **12** აღტაცება] გაქროლდება (?)\* B] კვლავ მთვრალი B] ათასფერით C; სიყმაწვილის] ათასფერი B] გაქანდება C; დროისა] აფრებით BC; აღტაცება... დროისა] მომაფრენენ ათასფერი აფრები D] გააფთრებით ფრიალებდნენ აფრები E; E-ში „ფრიალებდნენ“ წაშლილია და მიწერილია „ტრიალებდნენ“. **13** სამუდამოდ, სამუდამოდ] ათასი გზით, გრიგალებით B] რომ მარადის უთხრას C] რომ შენს ახლო ვიოცნებო D] მშობლიურ ნაპირებო E. **14-17** ის... გადაფერდება] – BCE. **14** ირღვევა] ინგრევა F; ოცნება] მსოფლიო F. **15** და... ნაპრალეთან] ჩემი გემი სხვა ნაპირთან F; ნაცვლად სიტყვისა „სხვა“ იყო

„იმ“. 15-16 სტრიქონებს შორის F-ში გადახაზულია: რომ მსოფლიოს გააგონოს. 15 საიდანაც] სადაც\* F; მარად ესმის] გამაგონებს F. 17 ზეცის ნგრევა] რომ ახლოა F.

**აგასფერი** – „მარადი ურია“, შუა საუკუნეების ქრისტიანულ ლეგენდათა პერსონაჟი, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლამდე განწირულია მარადიული ხეტიადისათვის, რადგან გოლგოთის გზაზე მიმავალ მაცხოვარს დასვენების საშუალება არ მისცა.

**ფაგოტი** – ჩასახერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „\*\*\*დგება თეთრი დღეები“.

ლექსი შესახებ: რ. ბურჭულაძე, „მხოლოდ ინტეგრალები“, თბ., 2000, გვ. 91-93.

### **\*\*\* ხომალდს მიჰვება თოვლის მადონა (გვ. 17)**

**ნაბეჭდი:** ჟ. „ლომისი“, 1922, №1, 1 იანვარი, გვ. 2 (B); ლექსები, 1927, გვ. 136 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 61 (C); რჩეული, 1944, გვ. 327 (D); რჩეული, 1959, გვ. 444 (E).

**სათაური:** ზამთარი B.

1 მიყვება] მიჰყვება CE. 2 გიიადონა] გაიადონა C] გაიიადონა D.

იხ. კომენტარი ლექსისა „\*\*\*დგება თეთრი დღეები“ (გვ. 318).

### **\*\*\* ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა (გვ. 18)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 39; რჩეული, 1944, გვ. 276.

ლექსი დაკავშირებულია „ახალი აღთქმის“ საიდუმლო სერობის ეპიზოდთან, სადაც ნაწინასწარმეტყველება იუდა ისკარიოტელის-აგან მაცხოვრის გაცემა (მათე, 26: 20-25).

ტექსტი თემატურად (სერობის თემა) და ვერსიფიკაციულად (რითმები: სერობა – აღმაცერობა; საგანი – რჩეულთაგანი/ ვარსკვლავთაგანი) ახლოსაა წინარე ლექსთან „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“ (1921), რის გამოც, „\*\*\*ო, მეგობრებო“ 1921 წლით დათარიღდა.



## ღამევ, რა მოზივინდა? (გვ. 18)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 838 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 171 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 224 (C); რჩეული, 1944, გვ. 350 (D); რჩეული, 1959, გვ. 479 (E).

**სათაური:** – B.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია:

მაღე ჩამოეცლება  
თვალს მზიანი ბინდები  
ტანის ატლასის დანით  
აინთება შინდები.

გადახაზული სტრიქონების შემდეგ B-ში იკითხება:

ზიზლი და ჟრუანტელი  
აღარ, აღარ თენდება..  
დღეო, ნუ დაეცემი,  
ტყეო, ნუ შეშინდები.

2 ო] და B. 5 მიძიმედ] დაღლით\* B. 6 ის ოცნებაც] ყველაფერი B. 9 სტრიქონის შემდეგ B-ში ლექსს ემატება ორი სტროფი, რომელიც ცალკე ლექსად გამოქვეყნდა სათაურით „გულო, რა გემართება“.

ლექსის 6-9 სტრიქონები გარკვეული ცვლილებებით გვხვდება ავტოგრაფებში 471 და 4257 (ესენი ვარიანტებია ლექსებისა „ირგვლივ ნისლი სუფევდა“ და „რა დროს რომანსეროა“).

თ-ში გამოთქმულია აზრი, რომ 8-9 სტრიქონების თანამიმდევრობა პირველი პუბლიკაციის დროსვე აირია და ასევე გადავიდა ყველა შემდგომ გამოცემაში. ამის შესაბამისად, სტრიქონები გადაადგილდეს: ჯერ „ქარო, რა გემართება“, შემდეგ – „ღამევ, რა მოგივიდა?“ (ტ. II, გვ. 261; 461). სინამდვილეში, აქ არის არა ორი კატრენი, არამედ ერთი რვასტრიქონიანი სტროფი, სადაც აუცილებელია მეოთხე-მერვე ტაქების გართმევა (მიემართება-გემართება). გადაადგილების შემთხვევაში 4-8 ტაქები გაურითმავი რჩება (მიემართება-მოგივიდა). ამის შესახებ იხ.: ა. ხინთიბიძე, აკადემიური გამოცემის გამო, კრ. „გალაკტიონოლოგია“, II, თბ., 2003, გვ. 376-

377; რუსუდან კუსრაშვილი, გალაკტიონის ტექსტთან პირისპირ, კრ. „გალაკტიონოლოგია“, III, თბ., 2004, გვ. 281-286.

„ღამევ, რა მოგივიდა?“ და მომდევნო ლექსი „გულო, რა გემართება“ ფრაგმენტულად ჩანს ლექსის „სად ოდესმე შეოცნებებ აფრებით“ (1921) საწყის, შავ ვარიანტში (სგ, XIII, გვ. 42-43), ამიტომ ამ ორ ტექსტს ამავე წლით ვათარიღებთ.

### **გულო, რა გემართება? (გვ. 19)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 838 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 267 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 340 (C); რჩეული, 1944, გვ. 398 (D); რჩეული, 1959, გვ. 362 (E).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1914 CE.

3 მივიტანე] მოვიტანე CE.

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „ღამევ, რა მოგივიდა?“.

### **რაც უფრო შორს ხარ (გვ. 19)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 141 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 81 (B); რჩეული, 1944, გვ. 332 (C); რჩეული, 1954, გვ. 175 (D); რჩეული, 1959, გვ. 340 (E).

**თარიღი:** 1908 ABDE.

„რაც უფრო შორს ხარ“, რომელშიც მოცემულია სიყვარულის რომანტიკული კონცეფცია, დაწერილია არა 1908 წელს, არამედ 20-იანი წლების დასაწყისში, დაახლოებით მაშინ, როცა დაიწერა „მზეო თიბათვისა“ (1920-1921). იხ.: თ. დოიაშვილი, „იგი თანამგზავრი ხშირად მჩვენება“, კრ. „გალაკტიონოლოგია“, VI, თბ., 2012, გვ. 108. ამას მხარს უჭერს პოეტის ერთი ჩანაწერიც (სგ, XXIII, გვ. 230).

გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული თარიღი (1908) ნ. ტაბიძეს „ნებისთ შეცდომადა“ მიიჩნია და ლექსს, ტექსტის თავდაპირველ ვარიანტებზე დაყრდნობით, ოციან წლებში დაწერილად თვლის (იხ.: გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია, თბ., 1993, გვ. 39-

40). აქვე ნ. ტაბიძის წიგნიდან ვბეჭდავთ თავდაპირველ ვარიანტს, რომელიც ფართო მკითხველისათვის უცნობია:

### გაუგზავნელი წერილი

რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო მტანჯავ!  
დაე, ნუღარც შენ მიახლოვდები...  
ახლოს სურათი ელფერს დაჰკარგავს  
და უიმედო ფიქრში მოკვდები.  
რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები!  
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,  
ხელ-უხლებელი, როგორც ნიავი,  
მიუწდომელი, როგორც ედემი.  
ვიცი, რომ არ ხარ, ის ვისზეც ვფიქრობ,  
მაგრამ რას ვეძებ, დაე ვცდებოდე...  
ჩემი ფიქრია მხოლოდ ოცნების  
თეთრ ანგელოსად მველინებოდე.  
მაგრამ თუ როსმე მომიახლოვდი,  
ოცნების კოშკი მსწრაფლ დაიმსხვრევა,  
ვეღარ მიშველის მხურვალე ლოცვა  
და ვერც ნაკადად ცრემლების ფრქვევა.  
სიძულვილისა ნისლი მწუხარი  
შენს სულზე ჩემს ზიზღს გადააქარგავს,  
შორი სურათი თუ მატყვევებდა,  
სურათი ახლოს ელფერს დაჰკარგავს.

### იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის შვაშილებს! (გვ. 19)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 7394 (B); 979 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 198 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 257 (D); რჩეული, 1944, გვ. 365 (E); რჩეული, 1959, გვ. 524 (F).

**სათაური:** იმ ატმებს გაუმარჯოს B; სარკმლიდან C.

**თარიღი:** 1917 DF.

2-18 ვარსკვლავების... ყვავილებს] – C. 3 შედეგია] შედეგია ABD.  
13 რულში] გულში D. 19 სარკმლიდან] წყნარად სძინავს\* C. 20  
არვინ] არავინ C; გეტყვის] გეტყვის\* C] ეტყვის C; იყავ] სულო\*

C] არვის\* C] წყნარად C. 21 იყო დამე] ვიგონებ დროს\* C; იყო] სივრცე\* C. 22 ოდეს] ვიყავ\* C. 23 ჩრდილს] წამს\* C] სიმს C. 24 და... ჩრდილებს] – B; ატმებს] ცაცხვებს C. 25 ატმებს] ცაცხვებს C. 26 ატმის] ცაცხვის C.

ძირითადი ტექსტები ლექსებისა „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვაილებს“ და „შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით“ პირდაპირ კავშირშია ლექსის „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით“ (1921) D ვარიანტთან (გვ. 319): როგორც ჩანს, ეს ნაწარმოებები ერთიანი შემოქმედებითი პროცესის დიფერენციაციის შედეგად დაიწერა. ამ მოსახრების საფუძველზე, ზემოთ დასახელებული ორი ლექსი, მიახლოებით, 1921–1922 წლებით დავათარიღეთ.

ნაწარმოების შესახებ იხ.: ა. ხინთიბიძე, ატმის ყვაილების სიმბოლიკა (მის წიგნში: გალაკტიონი. 15 ლექსი და ერთი პოემა, თბ., 2003, გვ. 5-9).

### **შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით (გვ. 20)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 849 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 276 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 351 (C); რჩეული, 1944, გვ. 400 (D); რჩეული, 1959, გვ. 508 (E).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1916 CE.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია:

ვარსკვლავების ფერფლი ცას შელეკია  
მესმის რულში მწარე, ყრუ ელეგია –  
მატარებლის რა-რა-რა-რა, რარარა.  
არარა ბედს ჩემთვის არ აქვს არარა.

2 შემოსილნი] შემოსილნი C. 4 ტყედა] კენესის B. 6 სასტიკია სული] დამეები ჰქრიან\* B.

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვაილებს!“.

## აგდრები (გვ. 21)

**ნაბეჭდი:** გ. „პოეზიის დღე“, 1922, 7 მაისი.

**8 შიმპანზეს... შიმპანზე] ჩიმპანზეს... ჩიმპანზე.**

არსებობს ლექსის არასრული ავტოგრაფი (80-დ, გვ. 9), რომელიც მელნის ლაქის გამო თითქმის არ იკითხება.

თ-ში (ტ. II, გვ. 343) პირველწყაროდ მითითებულია გ. „პოეზიის დღე“ (ბათუმი), 1921, №1 (7 მაისი), რაც სწორი არ არის. გ. „ბახტრიონში“ (1923, №25, 3 იანვარი) აღნიშნულია, რომ აჭარისტანის „მწერალთა პოეზიის დღე“ 1922 წელს გამოიცა, ხოლო ვ. გაფრინდაშვილის წერილში „რითმა 1922 წელში“ (გ. „რუბიკონი“, 1923, 11 თებერვალი) დამოწმებულია რითმები „ავდრებიდან“ (ბურუსს – კენგურუს, ტანზე – ჩიმპანზე, ცეცხლმოდებული – აშფოთებული). ეს მონაცემები გვაძლევს საფუძველს, დაგასკვნათ, რომ „ავდრები“ დაიბეჭდა 1922 წელს და ლექსიც ამის შესაბამისად დავათარიღეთ.

**განგი** – მდინარე ინდოეთში, ინდუისტების წმინდა მდინარე.

**კამჩატკა** – ნახევარკუნძული რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში. ლექსში იგი სიმბოლოა ჯერაც მიუკვლეველი, პოეზიის უცნობი მატერიკისა, რომლის აღმოჩენაც სურს პოეტს (იხ. თ.: დოიაშვილი, ირმიგალი, ჟ. „ცისკარი“, 2015, №7, გვ. 75-80).

## აიზანზი (გვ. 21)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 674 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 14 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 23 (C); რჩეული, 1944, გვ. 260 (D); რჩეული, 1959, გვ. 431 (E).

**სათაური:** აივანის ტერცინები\* B; ტერცინები დაწერილი ხელოვნების სასახლის აივანზე B.

**თარიღი:** 1916 CE.

**2** დაუვიწყართა დღეთა] იასამანზე ღურჯი\* B. **4** დაქპროლა] დაქპროლა C; ქარმა] ქარმან\* B; დილისმა] დილისამ E. **5** აქ... გული] ამეტყველდება შორი\* B; მშფოთარებდა] მშფოთვარებდა E. **6** როს

ხმა] ოდეს\* B; მესმოდა] მესმოდა\* B] გვესმოდა B; B-ში „მესმოდას“ შემდეგ გადახაზულია „გროვა“. 7 დრო... შხამიან] ხმა იგი, მოწვდილი ელვარე\* B. 8 გულო] გულო\* B] ბაღო B. 9 ესლა] ახლა E; ჩრდილი] სახე B. 10 დავიწყებული... ვერისა] ორხიდეები ოლივერისა B. 11 ბილიკების გზა] ო, მეგობრებო\* B. 12 ფოთლები დროსთვის] სული ელვარე\* B; გვიდარებია] მიდარებია\* B. 13 ამ ბილიკებით] ოცნება ჩვე[...]\* B. 14 შიტარებია] გიტარებია B. 15 ფეერიული] ახლა და[... ული\* B] გადამალული B; მერნის] ეტლის B. 16 სად] იქ\* B. 18 პოეტი] ირაკლი\* B.

**ფანტაზმა** – მოჩვენება, აჩრდილი, მხედველობითი ჰალუცინაცია.

**ირმიგალი** – ხელოვნურად შექმნილი სიტყვა-აბრევიატურა, რომელიც აღნიშნავს გამოგონილ, არარსებულ ციურ პლანეტას, სიმბოლურად გულისხმობს პოეზიის უცნობ, ჯერაც მიუკვლეველ სამყაროს. ამის შესახებ იხ.: თ. დოიაშვილი, ირმიგალი, ჟ. „ცისკარი“, 2015, №7, გვ. 75-80.

## ჰილანელი (გვ. 22)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4233 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „კანდელი“, 1922, №1, გვ. 3 (A).

2 ყოველივე... და] ყველაფერი სიზმარია\* B] ყველაფერი ნისლია და\* B; ჩვენება] სიზმარი\* B] ძვირფასო\* B. 3 ოჰ, სიცოცხლეც] ყველაფერი\* B] ყოველივე\* B. 3-ე სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

რასაც თვალი ქვეყნად

რაც კი თვალებს ქვეყნად მოეშენება.

4 ერთადერთი] მხოლოდ იგი\* B. 5 ყოველგვარი] ნისლიანი\* B] ყოველნაირ B. 7 ყოველივე] ყველაფერი\* B. 8 ყოველივე] ყველაფერი B; გადაჭენება] გადაჭენება\* B] ველად ჭენება B. 9 როგორც ძველი] მზაა, ნანაგარია\* B. 9-ე სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

ყოველივე ქარია და ჩვენება

ძველი სულის ოხერა და გახსენება.

14 ყოველივე: ცხედრის] როგორც ცხედრის ეხლა\* B] ყოველ

ცხედრის ტაძრით B. 15 ქვევის] – B. 17 სამუდამო] როგორ მინდა\* B. 20 შვენება] ჩვენება\* B.

**ვილანელი** – იტალიური გენეზისის ლირიკული სალექსო ფორმა. შედგება ხუთი სამტაეპიანი და ერთი ოთხტაეპიანი სტროფისაგან, რომელთაც გართმვის რთული სისტემა აკავშირებს.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ (1922, №1) გამოქვეყნებულია ბიბლიოგრაფიული წერილი ჟ. „ანდელზე“, სადაც დაიბეჭდა „ვილანელი“. წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „ვილანელი წყობა ძველი ფრანგული, ძველი იტალიანური და პროვანსალური პოეზიისა, სადაც დაიბადა როგორც რონდო, ისე სონეტი. ფორმა ვილანელისა გადმოცემულია პირველად ზემოსხენებულ ლექსით ქართულ ენაზე“ (გვ. 13).

გამოთქმულია აზრი, რომ „ვილანელზე“ მუშაობისას გალაკტიონს ნიმუშად ჰქონდა ვ. ბრიუსოვის ამავე სახელწოდების ლექსი (ი. კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული პოეზია, თბ., 1974, გვ. 49).

ლექსის შესახებ იხ.: მ. ნაჭყებია, გალაკტიონის „ვილანელის“ რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტები. კრ. „ლიტერატურული ძიებანი“, XXV, თბ., 2005, გვ. 331-341.

## საფშობლო შაჰი ლიშცნიშერის (გვ. 23)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4288 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 298 (A).

**სათაური:** მეგობარს B.

**თარიღი:** 1922 B.

2 წვიმა ... ოფლი] რუტინა გზაა წვიმა და ოფლი\* B. 4 შენ... შენი] მე მესიზმრება ჩემი\* B] ჩვენ გვესიზმრება ჩვენი B. 8 და სისხლით] ცრემლებით\* B. 9 გადათეთრებით] გაფითრებით\* B; გადათეთრებით + არ საამსოფლო\* B. 11 თქვენ] მე\* B] ჩვენ B; დაგიძმობილა] დამიძმობილა\* B] დაგიძმობილა B. 12 ღამის] ბინდის B. 14 თქვენთან] ჩემთან\* B] ჩვენთან B.

B-ში ძირითად ტექსტს ემატება:

გველანდებოდა ის მხოლოდ შორით  
და გვაწვალებდა ჩვენ მისი ჯვარი,

ჯვარი ჯერ ისევ თეთრი თაბორით  
ლიუციფერის, ზეცით დამდგარი.  
ვერ გაიგონეს ჩვენი მხნე ნანა  
და გულწრფელობა ვერ შეიფერეს  
და მოგვესიზმრა ისევ ქვეყანა,  
ქვეყანა შავი დემონებისა.  
მოკვდებით ბნელის იქნება თოვა  
რომ ჩვენი გრძნობა ვერ შეიფერეს  
და სამარესთან, ვინც კრძალვით მოვა  
იქნება ღანდი ლიუციფერის.

დამოწმებულ ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **1** გვე-  
ღანდებოდ[ა] მელანდებოდა\*. **2** გვაწვალებდა] მაწვალებდა\*; ჩვენ  
მისი] მე მისი\*] სპეტაკი\*. **3** ჯვარი] რომელიც\*. **4** ლიუციფერის]  
დემონისაგან\*. **5** ჩვენი] შენი\*. **7** და... ისევ] შენი გესიზმრა, შენი\*]  
შენ გესიზმრება შენი\*. **8** დემონებისა] ლიუციფერის\*. **9** მოკვდები-  
თ ბნელის] მოკვდები ბნელი\*. **10** რომ... შეიფერეს] და მწუხარება  
ღურჯი ღიბერი\*. **12** იქნება ღანდი] იქნება მხოლოდ\*] იგივე იქნე-  
ბა\*] ისევ დემონი\*. იქვე, **12-ე** სტრიქონთან მიწერილია მისი ვარი-  
ანტი „დადგება შავი ლიუციფერი“, რომელიც გადახაზული არაა.

**ლიუციფერი** – ლათ. სინათლის მომტანი. ქრისტიანულ რელი-  
გიაში – განდგომილი ანგელოზი, სატანა.

**ნაზარეველი** – იესო ქრისტე, რომელიც პალესტინის ქალაქ ნაზ-  
არეთში ცხოვრობდა და ამის გამო „ახალ აღთქმაში“ მოიხსენიება,  
როგორც ნაზარეველი.

ლექსის შესახებ იხ.: მ. კოსტავა, გალაკტიონი, ჟ. „მწერლობა-  
XXI“, 2013, №2, გვ. 26-34.

### ჰერ ბაიბონუს... (გვ. 23)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 297 (A); რჩეული, 1944, გვ. 415 (B).

ტექსტი თემატურად მჭიდროდაა დაკავშირებული წინარე ლე-  
ქსთან „სამშობლო შავი ლიუციფერის“, რომლის ავტოგრაფში  
(4288) „ვერ გაიგონეს...“ მისი გაგრძელებაა. ამის გათვალისწინებით,  
ნაწარმოები პირობითად 1922 წლით დათარიღდა.



## მს ბრიზალია სიახლის (გვ. 23)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 484 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 375 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 435 (C); რჩეული, 1944, გვ. 475 (D).

**სათაური:** სიახლეს B.

**თარიღი:** 1922 C.

**ხელმოწერა:** გაფრინდაშვილი.

## მს ფობოლიური ძარია (გვ. 24)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 207 (B); 1081 (C); 1461 დ. 11 (D); 1462 დ. 11 (E); 1465 დ. 11 (F); 1466 ა, დ. 11 (G); 1469 (H); 1479 (I); 3426 (J); 5751 (K); 6259 (L); 7383 (M).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №1, გვ. 4 (N); ლექსები, 1927, გვ. 5 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 7 (O); რჩეული, 1944, გვ. 250 (P); რჩეული, 1959, გვ. 546 (Q).

**სათაური:** – BCDEHIJKL; Nocturne F; საღამო კახეთში\* G; საღამო G; ალზიორა, კახეთში დაწერილი ლექსები N.

**თარიღი:** 1920 O; აგვისტო, 1922 ANP; 1922 Q.

არც ერთ ავტოგრაფში ტექსტი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. კონკრეტულად, B-ში 22-37 სტრიქონებია, C-ში 30-33 და 22-24, D-ში 2-5, E-ში 34-37, F-ში 22-37, G-ში 10-17, H-ში 2-9, I-ში 38-53, J-ში 2-13, K-ში 10-53, L-ში 22-27, ხოლო M-ში 2-37.

ქვემოთ ნაჩვენებია ამ ფრაგმენტების მიმართება ძირითადი ტექსტის შესაბამის მონაკვეთებთან:

**2** შავმა ნისღმა] შეღამებამ D] მაისის ცამ H; შავმა] შორმა JM. **4** აიმართენ] აიმართენ Q. **5** ცისა] მზისა\* D] მზისა HG. **8,44** ეხლა] ახლა Q. **9-ე** სტრიქონის შემდეგ H-ში გადახაზულია:

ნეტა თუ გაგონდება  
გულზე ცეცხლის მო [...] ბა  
იქ ირაკლის სასახლე.

**10** მგლოვიარე] გამჭვირვალე JK. **11** მგლოვიარე ბინდებით] ჩამავალი სხივებით\* G; მგლოვიარე] გამჭვირვალე G. **13** გზა] დღე G. G-ში გადახაზულია **10-13** სტრიქონების ვარიანტი:

შორი მღვრიე ბინდებით  
იბურება ყვარელი –  
სადაც ვაზ-სიმინდებით  
მახსოვს დღე საყვარელი.

**14** შორეულ] ჩამავალ\* G] სანთლიან G; **14** ხანს] ჩანს OQ; **15** კიდევბზე] მწერვალბზე GKM. **16** ომგადახდილების] დროგადახდილების G. **17** ოხვრა] ლანდი G; ოხვრა მომაგონდება] – K. **17-ე** სტრიქონის შემდეგ G-ში იკითხება:

არის რაღაც ალაზნის  
ბუნებაში – ზვიადი  
საღამოში – გვიანი  
რასაც ვერ დაივიწყებს  
მას ვერასდროს ვერ ახსნის  
თვალი ოცნებიანი.

**18** შავმა] შორმა KM. **20** ეცემიან] აიმართენ K. **21** ცისა და] მშვენიერ K. **22** მშობლიური] შუალამის\* F. **25** ვაზი, ყანები] მიძინებულ\* F. **25-26** სტრიქონებს შორის F-ში გადახაზულია: ეს ძველისძველი ციხეა/ იქ კიდევ [...] სახლები. **26** დღემ ნისლი] მთამ ნისლი\* F] ტყემ შუქი\* F; დღემ] გზამ\* L] მთამ L. **30** აშვენებს] ამშვენებს FOQ. **33** როგორ... აშენებს] მორთავს და შეამოაშენებს F. **34** იქ ტყეა] და მიყვარს\* E] ღამეა E] ღამეა\* F; მთვართ] მთვართ\* F] ხსოვნით F. **38** შუქი] მთვარე I; გაიშალა] ამოვიდა\* I] ამოცურდა\* I; იქვე I-ში მიწერილია: „ოქროს ნავით“. **42** სიზმარს] დუმილს I. **43** ველი] ბინდში I; ველი შენაფერი] ესლა ყველაფერი\* I. **52** მთვარემ] გულმა\* I.

**ლოენგრინი** – ერთ-ერთი მთავარი გმირი მეფე არტურის შესახებ დაწერილ შუა საუკუნეების ნაწარმოებებში; წმ. გრაალის რაინდი, იგივე გედის რაინდი, პარსიფალის შვილი, რ. ვაგნერის (1813-1883) ოპერა „ლოენგრინის“ ცენტრალური პერსონაჟი.

1922 წლის აგვისტოში გ. ტაბიძემ მოიარა კახეთი, რის შედეგადაც დაიწერა ლექსები: „ეს მშობლიური ქარია“, „წინანდალედი ნათელა“, „კახეთის მთვარე“, „ალაზნთან“, „მივდიოდით ალაზნის ველად“, „მხოლოდ გული“, „გახედე – კახეთი“, „ღამე ხეობაში“ და „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“. პირველი მათგანი, სათაურით „აღზიორა (კახეთში დაწერილი ლექსები)“ დაიბეჭდა „გაღ-

აკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ (1922, №1), სამი ლექსი („მივდიოდით ალაზნის ველად“, „გახედე: კახეთი“, „ღამე ხებაში“) შეტანილია „ასი ლექსის“ შემადგენლობაში (ე. „მნათობი“, 1925, №10). სხვა ტექსტები კი პოეტმა მოგვიანებით სხვადასხვა წლებით დაათარიდა. ყველა ეს ნაწარმოები 1922 წელს შეიქმნა, ამიტომ ჩვენს გამოცემაში ისინი ამ თარიღით იბეჭდება.

ე.წ. კახეთის ციკლის შესახებ იხ. გ. ჯავახიშვილი, „აღზიორა“ (გ. ტაბიძის ლექსების ციკლი კახეთზე), აღმ. „კრიტიკა“, 1986, №1, გვ. 100-104.

### \*\*\* წინანდალევი ნათელა (გვ. 26)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 465 (B); 5530 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 7 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 11 (D); რჩეული, 1944, გვ. 253 (E); რჩეული, 1954, გვ. 168 (F), რჩეული, 1959, გვ. 343 (G).

**სათაური:** NNN B; წინანდალევი ნათელა F.

**თარიღი:** 1912 F; 1911 G.

1-4 წინანდალევი... გალია] – C. 7 მაგრამ უეცრად] მოულოდნელად C; შევჩერდი] შევჯერდი B. 8 მშვენიერ თინათინაზე] ავალი-შვილზე, თინაზე\* C. 9 ბრწყინავდა საარაკო] მან ეშხით გადააგო C. 10 მთვარე... ბინაზე] უმზესი პროზერპინაზე C. 11 როს... დრუბელს] როცა ოცნებამ B] და ყველა ბაგით C; აკოცა] მაკოცა BC.

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „ეს მშობლიური ქარია“.

### კახეთის მთვარე (გვ. 26)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 7 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 10 (B); რჩეული, 1944, გვ. 252 (C); რჩეული, 1959, გვ. 532 (D).

**თარიღი:** 1918 BD.

2 მოსჩანს] მოჩანს BD. 8 დაგავიწყდა] დაგვავიწყდა C. 10 ტემა] თემა D. 17 ტფილისში] თბილისში D.

იხ. კომენტარი ლექსისა „ეს მშობლიური ქარია“ (გვ. 330-331).

## ალაზანთან (გვ. 27)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 8 (A); რჩეული, 1944, გვ. 252 (B); რჩეული, 1959, გვ. 549 (C).

5 შრიალებს] ბრიალებს A.

„ალაზანთან“ დაწერილია ტრიოლეტის ფორმით. იგი უკავშირდება ინგლისელი რომანტიკოსის – პერსი ბიში შელის (1792-1822) ლექსს „სტანსები“, რომელიც ნათარგმნი აქვს გალაკტიონს (იხ. სგ, VIII, გვ. 670).

იხ. აგრეთვე კომენტარი ლექსისა „ეს მშობლიური ქარია“ (გვ. 330-331).

## მხოლოდ გული... (გვ. 27)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1426 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 8 (A); რჩეული, 1944, გვ. 253 (C).

**სათაური:** – B.

2 ოჰ, გული] (ოჰ, გული) B. 3 ახსოვს] ოხრავს B. 4 იქ] ეს\* B. 5 იქ] ის\* B. 6 ოჰ, გრძნობა] (ოჰ, გრძნობა) B.

იხ. კომენტარი ლექსისა „ეს მშობლიური ქარია“ (გვ. 330-331).

## შავით შემოსილხარ, როგორც ელვებია (გვ. 28)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 473 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 314 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 392 (C); რჩეული, 1944, გვ. 424 (D); რჩეული, 1959, გვ. 410 (E).

**თარიღი:** 1 ენკენისთვე ქ. სიდნაღი B; 1915 CE.

**სათაური:** – B.

2 მუხლით დაცემულხარ] მუხლი მოგიყრია B; ანგელოსი] ანგელოზი E. 5 იგი] შენში\* B; მიკელ-ანჯელოსი] მიქელ-ანჯელოსი CE. 6 მაგრამ] უღრმეს\* B. 7 ნუღარ] სახით\* B. 8 კიდევ] გიცქერ B.

**ელეგია** – ლირიკული ჟანრი, რომელშიც სევდის, მოწყენილობისა და სინანულის განწყობილებებია გადმოცემული.

**მიქელანჯელო** (1475-1564) – იტალიური რენესანსის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი, პოეტი.

რ. ბურტულაძე ლექსს უკავშირებს რ. ვაგნერის „ლოენგრინს“ (იხ.: „მხოლოდ ინტეგრალი“, გვ. 76-78).

იხ. კომენტარი ლექსისა „ეს მშობლიური ქარია“ (გვ. 330-331).

### \*\*\* ვეფხვი კასპიის პირად (გვ. 28)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 297 (B); 7744 (C); 137-დ. გვ. 13 (D).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 16 (A).

**სათაური:** ვეფხვი მოკლული ტფილისთან B; კავკასიონის მთების ბაღადა D.

**ქვესათაური:** ბაღადა B.

1 ვეფხვი] იყო\* C] ვეფხვი C. 3 ელანდებოდა] ელანდებოდათ C. 4 სიმკაცრე] სიფიცხე C. 4 სტრიქონის შემდეგ C-ში გადახაზულია:

მაგრამ მოსწყინდა ღვარი ლენქორანისა ტკბილის,  
გადმონაგრია მტკვარი, უახლოვდება ტფილისს.

„უახლოვდება“ გადახაზულია და მიწერილია „და ეპარება“. 5 აჰყვა] აყვა C. 8 დელე] ჭალა C; შქერი] ჩქერი C. 9 რიცხვი] რიცხვით C. 10 ეღვარება] სიმსუნაგვა C.

B ვარიანტში ტექსტი ნასწორებია და საბოლოოდ მთლიანად გადახაზულია. იგი A ვარიანტისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება:

ცხოვრობდა ვეფხვი კასპიის ახლოს  
დაბურულ ტყეში  
არ ახსოვს ბინა და სამოსახლო  
მას თავის დღეში.  
ცხოვრობდა იგი კასპიის ახლოს  
და დღეთა რიგი ცეცხლით იწოდა.  
ცხოვრობდა იგი კასპიის პირად

ჰქონდა ჟანგივით წითელი ფერი  
ბნელთა ღამეთა სტუმარი ხშირად  
მყუდრო სოფლების შეიქმნა მტერი.  
მოწყინდა.  
ესტუმრებოდა სოფლელებს ხშირად  
რომ მოეტანა მსხვერპლები წერის.  
მოსწყინდა მთები ღენქორანისა,  
როს ღენქორანის მოსწყინდა ღვარი,  
ვეფხვი ღერწამის მოსურნე ტკბილის  
გადმონაგრია მტკვარის ხეობა  
და ეპარება თანდათან ტფილისს.  
გადმოიარა მანგლისის სერი  
უახლოვდება მძინარ ლელ[...]

D ვარიანტი ბოლო ნაწილია ვრცელი ლექსისა „კავკასიონის მთების ბაღადა“. აქ ტექსტი ასეა წარმოდგენილი:

აღლეგებული კასპიის პირად  
მღვრიე ჟანგივით წითელი ფერის  
ესტუმრებოდა სოფლელებს ხშირად  
რომ მოეტანა დღე მწარე წერის.  
მაგრამ მოსწყინდა ერთსახეობა  
ღენქორანისა დღეების თბილის  
გადმონაგრია მტკვარის ხეობა  
და ეპარება თანდათან ტფილისს.

D ავტოგრაფის ეს სტრიქონები გარკვეული ცვლილებებით მეორდება ლექსში „ჩვენ პოეტები საქართველოსი“. ეს ორი ნაწარმოები დღიურში (137-დ) ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი.

თთ-ში ლექსის შექმნას უკავშირებენ კონკრეტულ ფაქტს – 1922 წელს თბილისის მახლობლად, სოფელ ლელობთან ვეფხვის მოკვლას და ტექსტიც ამის შესაბამისად, 1922 წლით არის დათარიღებული (ტ. II, გვ. 361).

არ არის გამორიცხული, რომ ნაწარმოებს ალეგორიული შინაარსი ჰქონდეს და ასახავდეს „წითელი“, ბოლშევიკური ჯარის („ჟანგი წითელი ფერის“) მოძრაობას კასპიის მხრიდან ტფილისისაკენ („უახლოვდება ტფილისს“). ასეთ შემთხვევაში, ლექსი შეფარულად აირეკლავს 1921 წლის ისტორიულ მოვლენას.

## კველი ჟურნალები (გვ. 29)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 406 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 83 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 123 (C).

**სათაური:** ბავშვის დღიური B.

**თარიღი:** 1910 A; 1916 C.

2 მას ახსოვს] მე მახსოვს\* B] მისი იყო B. 4 შლიდა] ვშლიდი B.  
5 მას ახსოვს] მე მახსოვს\* B. 6 მას ახსოვს] აჰ B; ცაზე + ცურავდა  
B. 7 აბაშიძის] აბაშიძე! მე მახსოვს შენი B. 8-13 და... ახალი]

გადაფიქრებას ვერ ასწრებს თვალი,  
იყო „ივერია“, „იმედი“, „კვალი“.  
ისევ „კრებულები“ და ისევ „მნათობი“,  
ლაჟვარდი ფერთი ფეთქდა მყობადი,  
ცისკარი, მოამბე, ნობათი. B

ლექსში ჩამოთვლილია XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გამოშვებული ჟურნალები – „ძველი ჟურნალები“. აქვე, ტექსტის ბოლოში, გაცხადებულია სურვილი ახალი გამოცემისა („მოგვეცით ახალი“!). საფიქრებელია, რომ ლექსი დაიწერა ჟ. „ლომისის“ (რედაქტორი: გ. ტაბიძე), ან „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მომზადების წინა პერიოდში – 1922 წელს.

## \*\*\* არა ზეცა, არა ღანდი (გვ. 29)

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №1, 3 დეკემბერი, გვ. 18.

ლექსი ხელმოწერის გარეშე ჩართულია წერილში „ფოსტა“, რომელშიც საუბარია „გაზელას“ (ყაზალის) სალექსო ფორმაზე.

## ეფემერა (გვ. 30)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 2516 (B).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №3, 17 დეკემ-

ბერი, გვ. 1 (C); ლექსები, 1927, გვ. 341 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 478 (D); რჩეული, 1944, გვ. 434 (E); რჩეული, 1954, გვ. 239 (F); რჩეული, 1959, გვ. 518 (G).

**სათაური:** – B; ისევ ლურჯა ცხენები F.

**ქვესათაური:** ნაწევები ლექსიდან „ფემერა“ F.

**თარიღი:** ხელოვნების სასახლე, 1922, ტფილისი C; 1916 DFG.

**3** ჰქროდენ] ჰქროდნენ DFG. **4** იყვენ] ვლიან\* B] იყვენ DFG. **5** პირველი წყების] შფოთიან დეღვის\* B. **6** სწერია] წერია F. **7** ღალის] დროის\* B. **8** ქროლის] ქარის\* B] ბრძოლის\* B. **9** ჩემთვის] მაგრამ\* B; ისევ] ჩემთვის\* B. **10** ჰეი] მათ\* B] ჰე G; დაკარგულს] დაკარგულთ B; დაძღვევება] გაედევნება\* B; ჰეი... დაკარგულს] ჰე, მერნებით გაფრენილს F. **11** ძნელია] სწყურია F. **12** ესლა] ახლა FG. **13** იქ... მარმარილო] ვინმეს შეუუყვარდები, მაგრამ გვიან\* B] იქ ოდესმე მარადი უკვდავება\* B; მაგიის] ოცნების\* B] პოეტის\* B. **15** მცნობელი] მწყევლელი\* B] გამრღვევი F; მღვრიე] ნისლის\* B. **16** წვეთი სისხლის] არაფერი არ არის EF. **17** ძაფი] წვეთი\* B; ჩემში] ჩემი\* B. **18** ო] ოპ\* B] და B; დაცხრება] მიცქერის\* B; შურიანი] შორს ვერმჭვრეტი F. **19** შვენებით] მშვენებით FG. **20** მხოლოდ] ჩემი\* B] ძველი B; ინტერვალები] ინტერვალები F. **21** ისევ] ჩემი B. **22** აჰა... მოისმის] გაჰქრეს გაიცამტვერდეს\* B. **22-37** აჰა... ცხენები] – F. **23** დაეღეკა] გადმოსკდება\* B. **24** გაჰქრა] გაქრეს\* B] გაქრა BG. **26** კიდები შეშლილი] ღამეები შეშლილი\* B] სულერთია ქარი და\* B. **27** წამებით] ქარები\* B] ძაბებით B; მთვარეს] ღამეს B. **28** სწყურია] წყურია B. **30** სთქვი... მღვარი] რაღაც ცბიერ დუმილით დგანან\* B. **33** ყოველ... სივრცე რომ ყოველმხრით ზღვა\* B. **34** ო... მეცალა] ციურ შევენებათათვის ამაოდ არ გვეცალა\* B; არასდროს] რა ვუყოთ B; მეცალა] გვეცალა B. **37** მიექანება] დაქანაობდა B; სული] სული\* B] სავსე B. **38** ნეტა] ნეტავ G; ჯოჯოხეთისა] იგი ქვეყნიურ (?) \* B; გამოყოლიოს] გაიყოლიოს B. **39** სადაც... უქრება] ნეტა ვინმემ იპოვოს ოაზისი ახალი\* B. **40** მძიმე... ქუსლებით] მიწის არტერიიდან\* B] მიწის მძიმე ქუსლებით B; დავეყრდნობი] მიებჯინოს\* B] მიებჯინო. **41** როცა... მოსკდება] მიწა მზედ გადიქცევა\* B] იგი სხვად გადიქცევა B. **42** როგორც] დროთა\* B. **43** ფანტასტიურ... ოცნებას] როგორც სხივებს მღვლეარეს (?) ეღვარება\* B. **44** წარსულში] წარსულს და\* B; წყევლით] ისრად\* B] ქარვად\* B; გადავეშვები] გადავეშვებით B. **45** ავმართო] ავმართოთ\* B; მღვრიე] ციურ\* B; შევენებათათვის] მშვენებათათვის G. **46** თქვენ შეხედეთ] ზენიტიდან\* B; ჩნდება] ვპოვე\* B] მოსჩანს B. **47**



დავცინი] დავსცინი. **48** წყდება] სწყდება **G. 50** თამაშის] თამაშით **B**; ბრძოლის] ბრძოლით **B. 51** სტრიქონის შემდეგ **B**-ში გადახაზულია: ჩემში ნაპოლ... (?). **53** არაქვეყნიურ] ბოტჩინელისა\* **B**; დარდით] ცეცხლით\* **B. 53** სტრიქონის შემდეგ **B**-ში გადახაზულია:

მსურდა გამომეზომა სივრცე თვალღამიანი  
როცა  
მარად თვალ [...]  
შორი ადამიანი.

**55** ევემერა] ბედი ისე **B**; დამეს] წვიმა\* **B**] ეველას **B. 57** ცხენთა შეჯიბრებაზე] გასწიე, გალაკტიონ **B**.

**ნიაგარა** – უდიდესი ჩანჩქერი აშშ-სა და კანადის საზღვარზე.

**ევემერა, ევემერული** – დროებითი, წუთიერი, სწრაფწარმავალი; გადატ. მნიშვნელობით: არანამდვილი, წარმოსახული. გალაკტიონის 20-იანი წლების ლირიკაში ეს სიტყვები პოსტრევოლუციური სინამდვილის აღმნიშვნელი კონცეპტებია.

**ინტერვალი** – პოეტური კონცეპტი, რომელიც აღნიშნავს შუალედურ სივრცეს სინამდვილესა და წარმოსახულს შორის. მომდინარეობს ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის პერსი ბიში შელის თეორიული ტრაქტატიდან „პოეზიის დასაცავად“.

ლექსის შესახებ არსებობს გალაკტიონის ჩანაწერი: „ჩემზე მან (ჯეკ ლონდონმა – თ. დ.) მოახდინა უდიდესი გავლენა. „მარტინ იდენი“ და „ზღვის მგელი“ – შესანიშნავი მოთხრობები. დაუვიწყარია. „ცხენთა შეჯიბრებაზე“ მისი გავლენით მაქვს დაწერილი“ (სგ, XVII, გვ. 284). შენიშნულია, რომ მარტინ იდენის მეგობარმა როს ბრისენდენმა დაწერა გენიალური პოემა სათაურით „ევემერა“ (ვ. ჯავახიძე, უცნობი, თბ., 2013, გვ. 736).

ლექსის შესახებ ის.: ი. კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, თბ., 1999, გვ. 159-163; ჯ. ღვინჯილია, გალაკტიონ ტაბიძის „ევემერა“, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, №12, გვ. 50-55.

### ისევ ევემერა (გვ. 31)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფის ფოტოკოპირი, ლექსები, 1927, გვ. 0 (B).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №4, 24 დეკემბერი, გვ. 1 (C); ლექსები, 1927, გვ. 124 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ.

182 (D); რჩეული, 1944, გვ. 323 (E); რჩეული, 1954, გვ. 236 (F); რჩეული, 1959, გვ. 466 (G).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1916 DG; 1918 F; 1922 AC.

**4; 16; 81** სჩანს] ჩანს DFG. **5** მწერვალებს] მწვერვალებს EFG. **13** დაფარავს] დაჰფარავს FG. **17** მწერვალებს] მწვერვალებს DEFG. **18** ვერლენს] პოეტს EFG. **25** კივოდა] ჰკივოდა B] ჰკიოდა F] კიოდა G. **26** დაქანდა] დაჰქანდა BD. **27** მწერვალიდან] მწვერვალიდან EFG. **28** არვინ არ] არვინა EF; სჩანდა] ჩანდა DFG. **35** გადაკრავს] გადაჰკრავს BF. **36** იმედათ] იმედად CDFG. **37** ვოლტორნებს] ვალტორნებს BCF. **42** სიმათ] სიმად FG. **45** ხრიზოლეტებით] ქრიზოლიტებით FG. **46-80** მათ... პორტრეტი] – D. **64** მოჰკლეს] მოკლეს EFG. **68** მას] მათ G. **74** შინჯავს] სინჯავს BFG. 81 სტრიქონის შემდეგ D ვარიანტში ტექსტს ემატება: მაინც მწვერვალებს ედება ქარი...

**პოლ ვერლენი** (1844-1896) – ფრანგი პოეტი, იმპრესიონისტული და სიმბოლისტური პოეზიის ერთ-ერთი მესაძირკვე.

**ნიკოლო პაგანინი** (1782-1840) – იტალიელი ვირტუოზი მევიოლინე და გიტარისტი, კომპოზიტორი.

**ემილ ვერჰარნი** (1855-1916) – ფრანგულენოვანი ბელგიელი პოეტი და დრამატურგი, სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. „დროის ახალი დანტე“ ვერჰარნს უწოდა ვ. ბრიუსოვმა.

**ფიოდორ დოსტოევსკი** (1821-1881) – რუსი მწერალი, მოაზროვნე და პუბლიცისტი. ლექსში მოცემულია ალუზია დოსტოევსკის ბიოგრაფიულ ფაქტზე.

**ეშაფოტი** – ამაღლებული ფიცარნაგი, რომელზეც დამნაშავის სიკვდილით დასჯა აღესრულებოდა.

### **ზღვის ეშამერა (გვ. 34)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 301-302 (B).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №5, 1 იანვარი, გვ. 2 (C); ლექსები, 1927, გვ. 420 (A); თხზულებანი, 1937, გვ. 461 (D); რჩეული, 1959, გვ. 515 (E).

**სათაური:** ზღვის ეშამერი D.

**თარიღი:** 1916 DE; 1922 BC.

B-ში ყველგან არის „საღიუტი“, E-ში კი – „საღუტი“.

16 უშიშოდ] უშიშრად BDE. 36 ერთად] – E. 47 ჰიმნი] გიმნი\* B; 68 ცა] ზღვა B. 70 მეღანსოლია] მეღანქოლია E. 73 ექებდენ] ექებდნენ DE. 90 ეხლა] ახლა E.

**დრედნოუტი, კრეისერი** – სამხედრო-საბრძოლო გემების სახეობანი.

**კაპიტანი დე-ლონგი** – ამერიკელი პოლარეთის მკვლევარი. 1879 წელს განახორციელა ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო ჩრდილოეთ პოლუსის მიღწევა. მისი იახტა „ჟანეტა“ ყინულებში ჩარჩა.

**ვანიმედი** – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ჭაბუკი, რომელიც მისი არაჩვეულებრივი სილამაზის გამო ღმერთებმა მოიტაცეს და ოლიმპოზე წაიყვანეს. ეს სიუჟეტი მრავალმა ხელოვანმა გამოიყენა.

**ალბატროსი** – დიდი ზომის ზღვის ფრინველი.

### საახალწლო ეფემერა (გვ. 36)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 308 (B); 990 (C); 2561 (D).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №5, 1 იანვარი; გვ. 2 (E); ლექსები, 1927, გვ. 503 (A); თხზულებანი I, 1937, გვ. 403 (F); რჩეული, 1944, გვ. 439 (G); რჩეული, 1959, გვ. 413 (H).

**სათაური:** საყურე\* B; მკათათვე 26 B; მუსიკა, ღვინო და ყვავილე-ბი C; – D.

**თარიღი:** პეტერბურგი, 19...(?) B; 1915 FH; 1922 DE.

B ავტოგრაფი ნასწორებია. ცალკეული სტრიქონები არ იკითხება, ასევე არ იკითხება თარიღი.

C-ში ლექსის ორი ვარიანტი წარმოდგენილი. პირველი მათგანი ძირითადი ტექსტისაგან მკვეთრად განსხვავდება:

წითელი დროშით, წითელი დროშით  
გავიდეთ ქარში წვიმების მცრელი,  
დღეს კაელი და დელაროშით  
ვეღარ ვოცნებობ [?] მე მენესტრელი.

მაგრამ იტიროს შემოდგომის მზემ...  
მოასკდეს ნაპირს მძიმე ქაფები:

ფანტოს ვერლენმა, რომ [...] გოტიემ  
უკვდავი – ლალი და საღაფები.

არ ვიცი: ესლა რად შემომესმა  
სურნელი ნაზი Les roses gabilla  
ქარმა მსუბუქმა და უშორესმა  
კართან მოადგო ავტომობილი.

გაჩერდა ორი ყვითელი თვალი  
და სიბნელეში გაჰქრენ ჩრდილები –  
რომ საიქიოს წაიღონ ვალი:  
მუსიკა, ღვინო და ყვავილები.

ამ ფრაგმენტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **1** წითელი  
დროშით] გავიდეთ ქარში\*. **2** გავიდეთ ქარში] აელვარებულ\*. **3**  
დღეს... და] ვერც მურილიოს ვერც\*. **4** ველარ... მე] ვერ ვიოცნებებ  
დღეს\*. **5** მაგრამ... შემოდგომის] აღარ დაგვინდო ჩრდილოეთის\*]  
მაგრამ იტიროს შემოდგომის\*. **7** ფანტოს] შექმნას\*; ფანტოს... რომ]  
ამნაირ ხანში შექმნა\*] მაგრამ ამ ხანში შექმნა\*. **9** ესლა] რისთვის\*;  
შემომესმა] მაგონდება\*. **16** სტრიქონის შემდეგ გადახაზულია:

მივქრევარ... აქვე ტფილისის ასლოს  
მე ვიცი ჩემი მიძღები ჭერი –  
რომ დავასვენო სული უსახლო  
მე ჯოჯოხეთშიც ვარ ბედნიერი  
იქ კი მსოფლიო ზარს რეკავს სატანა  
აქ კი...<sup>1</sup>

ნასწორებია ეს სტრიქონებიც: **1** აქვე] სადღაც\*. **4** მე] ამ\*; ვარ  
ბედნიერი] შემოვიჭერი\*. **5** იქ] ოდეს\*; იქ... რეკავს] მიმიღეთ, ძმებო,  
მსოფლიო ორკესტრს უკრავს\*.

C ავტოგრაფში მოცემული მეორე ვარიანტის მიმართება ძირით-  
ად ტექსტთან ასახულია ვარიანტებში:

**2-33** ღამის... რადმე] – B. **2** ღამის წყევლიადში] Les roses gabilla-ს\*  
C. **3** ნაზი] ნაზი\* C] თოვლის C. **4** გრიგაღმა ცივმა] ქარმა მსუბუქმა\*  
C. **6** თვალი] რკალი\* C] ზოლი C] ზოლი\* D. **7** შეშინებით დაკრთენ]  
სიბნელეში გაკრთენ C; დაკრთენ] დაკრთენ H. **8** კივის] მორბის\* C;

<sup>1</sup> გადახაზული ფრაგმენტი ნაწილია ლექსისა „სული უსახლო“ (აქვე, გვ. 40).

კარებთან კივის] ეხლა მეძახის\* C; ვალი] კვალი\* D. **10** და... დროშით] მუსიკა, ღვინო და ყვავილები\* C. **12** სხვა... და] სხვა დეიკით სხვა\* C] კაელიო და\* C. **13-14** სტრიქონებს შორის C-ში გადახაზულია:

რომ გამიღიმოს შემოდგომის მზემ,  
მოსკდეს ნაპირს მძიმე ქაფები  
და მედიდურად სჭედოს გოტიემ  
უკვდავი ლალი და საღაფები.

**14** რეკავდეს] განათლდეს\* C; აღტაცებებით... მინა] ოჰ, განვაახლოთ წარსულის ბინა C. **15** და სიხარულის] ელავდეს პოეზიის C. **16** flor... fina] ნაზი ხმა\* C. **18-53** შიშით... ყვავილები] – C. **34** კვლავ] მე B; ვყავარ] ყვავდი B; კვლავ... ვყავარ] განახებუდი\* B] აელვარებულ B. **35** დამეს] ღვინოს\* B; სითეთრეს] ყვავილებს\* B] მიმოზებს\* B; ვაზას] ფერად\* B. **36** კარგი] ცბიერ\* B; სიცილს] ღიმილს B. **37** ელვარე ლალებს] თვალი ლალებს ფენს\* B. **38** დენდიზმი] დენდიზმის B; სიტყვის] სულო\* B. **39** ეშვება ფარად] თავდება ღხინი B. **40** თეატრი] დარბაზი B. **42** დემონთა] დემონის B. **43** მოწყდა] მოსწყდა B. **45** მშვიდათ] მშვიდად BH. **47** მის... ევნება] ზაფხულიც მიდის\* B] ზაფხულის ჰქრება\* B] ზაფხულიც გაჰქრა\* B. B-ში ძირითადი ტექსტის 47-ე სტრიქონი გადახაზულია. **50-53** აღტაცებების... ყვავილები] – B.

**ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი** (1756–1791) – ავსტრიელი კომპოზიტორი, რომელიც გალაკტიონის არაერთ ლექსშია მოხსენიებული, როგორც უმაღლესი შემოქმედების სიმბოლო.

**პოლ დელაროში** (1797– 1856) – ფრანგი მხატვარი, ისტორიული ტილოების ავტორი. ნახსენებია აგრეთვე ლექსში „გოტიეს“ (იხ. კომენტარი: ტ. II, გვ. 182).

**დენდიზმი** – მომდინარეობს სიტყვიდან „დენდი“, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ სოციალურ-კულტურულ ტიპს XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში – ნატიფად, მოღურად ჩაცმულ მამაკაცს, ვინც ამასთანავე დიდ ყურადღებას აქცევს მეტყველების დახვეწილობას და ქცევის მანერებს. დენდიზმი იყო თავისებური ინტელექტუალური მოვლენა, რომელიც აღადგენდა არისტოკრატიზმს და მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით, ესთეტიზმით და ეპატაჟურობით უპირისპირდებოდა ბურჟუაზიული ცხოვრების წესს. დენდიზმი გავრცელებული იყო მთელს ევროპაში, უპირატესად, ხელოვანთა შორის – რომანტიკოსებსა და სიმბოლისტებში (ბაირონი, ბოდლერი, უაილდი).

**ბეტრიჩე** – დანტე ალიგიერის (1265-1321) ამაღლებული ტრფობის საგანი და მუზა. მისი „ახალი ცხოვრებისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ პერსონაჟი.

**„Flor extra fina“** – პოპულარული კუბური სიგარებისა და სიგარეტების სახელწოდება. გალაკტიონის არქივში ინახება ბროშურა – კუბური სიგარებისა და პაპიროსების პრეისკურანტი.

**მუსიკა, ღვინო და ყვავილები** – ოლია ოკუჯავას დღიურში არის გალაკტიონის ჩანაწერი, სადაც ნათქვამია: „აღფრედ-დემიუსე, რომელიც მუსიკას, ღვინოს და ყვავილებს ადიდებდა“. (სგ, XXIV, გვ. 419).

### მშობლიური ეფემერა (გვ. 38)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 4232 (B); 8117 (C).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №6, 7 იანვარი, გვ. 2 (D); ლექსები, 1927, გვ. 78 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 118 (E); რჩეული, 1944, გვ. 305 (F); რჩეული, 1954, გვ. 144 (G); რჩეული, 1959, გვ. 21 (H).

**სათაური:** შალვა ამირეჯიბს\* B; – B; ტყის გუგუნი\* C; ეფემერა C; იქ ვიღაც კენესის GH.

**თარიღი:** 11 მარტი, 1923 წ., ტფილისი C; 1915 EGH.

ავტოგრაფი B, რომელიც დღემდე უცნობი იყო, ფრაგმენტია. იგი ვარიანტია ძირითადი ტექსტის 14-25 სტრიქონებისა.

C ავტოგრაფი (8117) ლიტერატურის მუზეუმის გალაკტიონის ფონდში არ მოიძებნა. ვარიანტები აღდგენილი გვაქვს თთ-ს მიხედვით (ტ. II, გვ. 364).

2 ხეებს| ხეებს G. 5 დიდი| კარგი\* C. 6 შეხავსებია| შეხავსებიან D; კლდეები კლდეებს| ფესვები ფესვებს\* C. 9 ამირანია| მითიურია\* C. 10 ეს მძაფრი| და ჩემი\* C. 14 გუგუნებს თერგი| ირხევა (?) ნერგი\* B; ხმაურობს| გრიალებს\* G. 17 ლილა| ოქრო\* B; შვინდი| შინდი G. 18 ყაზბეგის... დრუბლით| ფერადი დრუბლით ყაზბეგის შუბლი\* B; შემოსეს დრუბლით| მზიურ აღუბლით\* B. 19 ცა| მზის\* B; კმარა| ეხლა\* B. B-ში გადახაზულია „კმარაც“, ხანაცვლოდ არაფერია შემოთავაზებული. 20 ყვავილთა| ნიშვები\* B; კალათებს| ყვავილებს\* B; ცლიდენ| ცლიდნენ E| სცლიდნენ G. 21 ზარავდა ზარა| გრგვინა-

ვდა ზარა\* B] ისმოდა ზარა\* B] რეკავდა ზარი B. 21 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

აჰა! მზიანი – ორბელიანი  
სახე მზიანი იგონებს ავდარს.  
ღრუბელი – ღედა – ნარგიზებს ლევედა  
და ლექსში ვხედავ იღუმალ ავდარს.

ეს გადახაზული სტროფი ნასწორებია: 1 აჰა! მზიანი] სახე-მზიანი\*. 2 იგონებს] ვერ გრძნობდა\*. 4 ლექსში] სულში\*; იღუმალ ავდარს] „დემონის“ (?) ავტორს\*.

22 სულ] მე\* B] ო B. ერთი... უამად] საქართველოს განსაცდელ-ის დროს\* B. 23 შეხვედრა... შენად] მისმენდე ოხვრით მე წილად B; ჩუმი] ჩემი F; B-ში იქვე, მარჯვნივ, ტექსტის ზემოთ მიწერილია:

განსაცდელ წამით. განსაცდელ უამად,  
შეხვედრა ღამით. მე შენად მერგო.

„განსაცდელ“ გადახაზულია, მიწერილია „სულ ერთი“. 24 მოგონებებით] მოგონებები FG.

შემონახულია გალაკტიონის ასეთი ჩანაწერი: „მშობლიური ეფემერა (პატრიოტული რომანტიკა). ღრმა შინაგანი გამოძახილი (სგ, XXII, გვ. 133).

ლექსის შესახებ იხ. ა. ხინთიბიძე, ეფემერების ეროვნული დაკონკრეტება – „მშობლიური ეფემერა“ (მის წიგნში: „გალაკტიონი. 15 ლექსი და ერთი პოემა“, გვ. 48-53); ა. გომართელი, „მშობლიური ეფემერას“ საიდუმლო, ჟ. „ცისკარი“, 2015, №2, გვ. 116-119.

### ეფემერა (გვ. 39)

**ნახეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 6, 7 იანვარი, გვ. 1.

**ფრანსისკო გოია** (1746-1828) – რომანტიზმის ეპოქის ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი და გრავიორი.

**პრაქსიტელი** – ძველი ბერძენი მოქანდაკე (ჩვ.წ.-მდე IV ს.), ავტორი სახელგანთქმული ქანდაკებისა „კნიდელი აფროდიტა“.

**თეოფილ გოტიე** (1811-1872) – პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი; ფრანგული პარნასული სკოლის მეთაური, რომლის წიგნს „მინანქრები და კამეები“ დიდად აფასებდა გალაკტიონი.

**პაგანინი** – იხ. კომენტარი ლექსისა „ისევ ეფემერა“ (გვ. 338).

### **ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი (გვ. 40)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 873 (B); 1461 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 303 (A); რჩეული, 1944, გვ. 416 (D).

**სათაური:** ხელშეკრულება B; – C.

B-ში ფურცლის ზედა ნაწილში გადახაზულია ლექსის თავდაპირველი, შავი ვარიანტი, რომლის სათაურია „ხელშეკრულება“:

იგი შუაღამე.

უცებ შანდალში ჩაჰქრა ქარვები.

და სიბნელეში დამქრალი თვალები

მოვიდა ლანდი.

ყველა შანდლებში ჩაჰქრა სანთელი

ხარხარებს მესი, ხარობს ქუხილი.

ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი.

გადახაზულ ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 2 ქარვები] სანთლები\*. 5 ყველა] უცებ\*.

ამავე B ავტოგრაფში, ფურცლის ქვედა ნაწილში გადაწერილია მეორე, შედარებით სუფთა ვარიანტი, რომელიც ძირითად ტექსტთან მიმართებით გვიჩვენებს შემდეგ განსხვავებებს:

**2, 6** ჩაჰქრა] ჩაქრა B. **3** ვინ... იკრულება] უცებ გაისმის წყველა-კრულება B. **4** მე... ჟრუანტელი] მე ის – დემონი, შენ – ჟრუანტელი B. **6** შანდალში] შანდლებში B. **8** გავარდა] ხარხარებს B. **9-ე** სტრიქონის შემდეგ B-ში წაშლილია: და როცა ტაშით [...]. **10** ქალაქი... ცელვათა] სხვანაირია ქალაქი ჩვენი B. **11** ის... წინანდელი – B. **12** როს... დელვათა] და დაცხრა ქართა [...] B.

C-ში წარმოდგენილია მხოლოდ ლექსის 2-5 სტრიქონები:



ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი  
ბინდის დაედვა შავი ზეწარი –  
შემოეხვია გარს ჟრუანტელი  
დაუნდობელი და უეცარი.

ამ ფრაგმენტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

2 ბინდის დაედვა] დადგა სიბნელე\*. 3 შემოეხვია გარს] მოვიდა შიში და\*.

C ავტოგრაფი მოთავსებულია უბის წიგნაკში, რომელიც სხვა ჩანაწერების მიხედვით 1922 წლისაა. აქედან გამომდინარე, ლექსი შესაძლებელია ამ წლით დათარიღდეს.

### სული უსახლო (გვ. 40)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 300; რჩეული, 1944, გვ. 416.

**გოტიე** – იხ. კომენტარი ლექსისა „ეფემერა“ (გვ. 344).

„**უკვდავი ლალი და სადაფები**“ – თავისუფალი თარგმანი გოტიეს კრებული სათაურისა „მინანქრები და კამეები“ („Émaux Et Camées“).

„სახალწლო ეფემერას“ (1922) C ვარიანტში (990) ჩართულია ფრაგმენტი ლექსისა „სული უსახლო“ (გვ. 339-341), რის გამოც ნაწარმოები 1922 წლით დათარიღდა.

### \*\*\* ეს იყო ოქტომბრის დამღვს (გვ. 41)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 7395 (B).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №5, 1 იანვარი, გვ. 2 (C); ლექსები, 1927, გვ. 153 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 196 (D); რჩეული, 1944, გვ. 340 (E); რჩეული, 1959, გვ. 544 (F).

**ქვესთაური:** მერი\* B.

**თარიღი:** 1922 ADF.

C ვარიანტში ლექსი პროზის ფორმითაა წარმოდგენილი.

6 იდგენ] იდგენ DF. 9 წყდებოდა] სწყდებოდა F. 13 ფუსფუსებს + გველი C. 19 დაცალიერებული] დაცარიელებული F. 22-24 აუზიც...

აბუტბუტებას] – DF. 25 გაჰქრა] გაქრა F. 27 ტანსაცმელით] ტანსაც-  
მელით B. 31 შელლი] შელი F. 33 დანით] დანა ამოიღო და C. 35 მერი  
+ შერვაშიძე C. 41 აირია სწრაფად ~\* B. 46 ახმაურდენ] ახმაურდნენ  
DF. 47-50 დაწიოკებული... გაეხვია] – DF. 47 დაწიოკებული + ელვის  
B; დაწიოკებული... იმაღლებიან] – E. 51 პოეტის] პოეტი F. 52 შელლის]  
შელის F. 56 ყოველი ახალი] ყოველ ახალ B. 57 მიუსესეს] მიუსეს F.  
68 პოლიუსები] პოლუსები F. 74 ორი] მრავალი B. 75 ახალს] ახალ F.  
76 ოცდასამს] ოცდასამ F. 76-78 ათას... მომავალს]

იგი წარსული, გაჰქრა წარსული...

გაუმარჯოს ახალს, გაუმარჯოს მომავალს!!! B

**ვერსალი** – სასახლეებისა და პარკების ანსამბლი პარიზის  
მახლობლად. საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია, აგებული XVII  
საუკუნეში, ლუი XIV-ის დროს.

**ირისისფერი** – ზამბახისფერი (ირისი – ზამბახი).

**შელის „გაფრენილი დღეები“** – იგულისხმება ინგლისელი პო-  
ეტის ლექსი „Time Long Past“, რომელსაც გალაკტიონი, სავარაუდოდ,  
კ. ბალმონტის თარგმანით („Минувшие дни“) იცნობდა.

**მიუსეს სონეტი** – იგულისხმება ფრანგი პოეტის, პროზაიკოსი-  
სა და დრამატურგის – ალფრედ დე მიუსეს (1810-1857) სონეტი  
„მე მიყვარს ზამთრის პირველი ყინვა“ („Sonnet: Que j'aime le premier  
frisson d'hiver), რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში რუსულად  
უთარგმნია ვ. ჩემიხინს („Дыханье первое зимы любили я“). ამის  
შესახებ იხ.: ნ. ცხოვრებოვი, „არტისტული ყვავილები“, კრ. „დარი-  
ალი“, 2013, №2, რუსულ ენაზე.

### \*\*\* ო, ღღუს შამოღბომაა (გვ. 43)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი დ-617, გვ. 18 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 151 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 200  
(C); რჩეული, 1944, გვ. 337 (D); რჩეული, 1959, გვ. 474 (E).

**თარიღი:** 1916 ACE.

2 შემოდგომა] შემოდგომა\* B. 5 ნაზი ვერების] ჯვარის წერების  
B. 6 ნაზო] ნაზო\* B; ნაზო მერი] – B. 7 დაჰქრის ღანდი] სტირის

სული B. 10 ვწუხვართ| ვწუხვარ B. 12-ე სტრიქონის შემდეგ ავტოგრაფში იკითხება:

მაშ, ჩრდილი გეფინე, მუხა,  
დიდო მუხა,  
სულს აღარ სურს არავინ.

ნაწარმოები ძალიან ახლოსაა მერის ციკლის ლექსთან „ეს იყო ოქტომბრის დამლევეს“, რომელიც 1922 წელს დაიწერა, ამიტომ, „ო, დღეს შემოდგომაა“, სავარაუდოდ, ამ დროსვე უნდა იყოს შექმნილი.

### ძარი ჰჰრის, ძარი ჰჰრის, ძარი ჰჰრის... (გვ. 43)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 463 (B); 2558 (C); 463 ა (D).

**ნაბეჭდი:** უ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 14 (E); ლექსები, 1927, გვ. 455 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 44 (F); რჩეული, 1944, გვ. 104 (G); რჩეული, 1954, გვ. 186 (H); რჩეული, 1959, გვ. 541 (I).

**სათაური:** – BCD; ქარი ჰჰრის HI.

**თარიღი:** ტფილისი, 1926 B; 1918 E; 1920 HI.

D-ში მხოლოდ პირველი და მეორე სტრიქონებია.

2, 11 ჰჰრის| ქრის E. 3 მიჰჰრის| მიჰჰრის E. 4 ხრის| ჰხრის H. 5-11 სადა... ჰჰრის| – C. 6-7 როგორ... ვერასდროს| – B. 9 ყოველ დროს, ყოველთვის| ~ B. 10 შორი... ცრის| შენი მე სახება ცრემლებს მგვრის B; ცრის| სცრის HI.

1922 წლის დღიურში არის ლექსის პირველი მონახაზი (სგ, XIII, გვ. 121) ხელმოწერით რიმაწელი.

შენიშნულია ინტერტექსტუალური მიმართებანი პ. ჰაინესა (ვ. კავთიაშვილი) და ფ. სოლოგუბის (ი. კენჭოშვილი) ლექსებთან.

ლექსის ანალიზი იხ. ა. ხინთიბიძე, 15 ლექსი და ერთი პოემა, გვ. 9-15.

### ძალაში (გვ. 44)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4194 (B); 5622 (C); 8089 (D); 28897-50, გვ. 173 (E).

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ 1923, №7, 14 იანვარი გვ. 1 (G); ლექსები, 1927, გვ. 496-497 (A).

**სათაურ:** საქართველოს B; ფრ. ადლერი C; მიტინგი D.

**თარიღი:** 1917 C; 1918 D.

BCD ავტოგრაფები ფრაგმენტულია: B-ში 2-9, C-ში 10-25, D-ში კი 26-37 სტრიქონების ვარიანტებია წარმოდგენილი.

**3** სახლებმა] კოშკებმა B; გზებმა] მთებმა B. **4** ცა, მარტობა] მაქვს მარადისი B. **5** ერთად... მრავალთან] ერთს მრავალთან გახარებს B. **5-6** სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია: გადაგცდენია მრავალი მეხი. **7** ყრუ... გარი-გარი] დლითა და ღამით, დლითა და ღამით\* B] მრავალი გმირი, მრავალი [...არი B. **8** ჰაერს... მარადი] არ მოგკლებია, სამშობლო B. **9** გრგვინვა... გრგვინვა] გრიგალი, მეხი, წვიმა\* B. **9** სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება: მიწისძვრას, ომებს, მეწყერს გადურჩი/ ვერ გადაურჩი [...]. ამის შემდეგ B-ში გადახაზულია: მაინც ძლიერი გაქვს ძველი ბურჯი. **11** ამოიზიდა ზმანება] უღმობელია შუადღე C. **12** ფრიდრის ადლერი] სად არის ეხლა\* C] [...] დაიჭირეს\* C. **14** ხალხი... ხელგაწვდილია] მას უპასუხებს ხალხის ყვირილი\* C. **18** ანათებს] აშვენებს C; დროშა მრავალი] წითელი დროშა\* C. **19** ადლერი, თითქო] ადლერს, უწინრად C. **20** შეუპოვარი გზებით] თავდავიწყებულ გზით C. **21** მინისტრს, ხალხის] ხალხის მწარე\* C. 21-22 სტრიქონებს შორის C-ში გადახაზულია:

მრავალი მუშა, მრავალი ქალი,  
მრავალი ბავში, მრავალი ერი  
ერთხმად გუგუნებს:  
ათავისუფლეთ ფრიდრის ადლერი.

**26** სტრიქონის წინ D-ში იკითხება:

ამხანაგებო არ არის შიში  
მე დაუნდობელ ხალხში შეველი,  
დამსხვრეულია ძველი ფეტიში,  
დღემდე ყველასგან დაუძლეველი.

ამ სტროფის პირველ სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა „ამხანაგებო“ იყო „აქ დემონების“. **25** ადგება] დადგება D; შუადღის] სიტყვების D. **27** დავა] ჰავა\* D. **28** მეტი სიფიცხე] და მჭერმეტყველის\* D. **29**

ბედმა... უნანინავა] სხვად მიუწდომელ მწერვალზე ავა\* D] რადგან ბედმა არ გვინანინავა D. **30** დაუგდე... გამურულ] მე ყურს დავუგდე ბოფლიან\* D. **32** ხავსიან] გამოშპალ\* D. D-ში იქვე, **32** სტრიქონის გვერდით მიწერილია: მსოფლიო. **33** მოჰკედები] მსოფლიო\* D] და იგი D] ევროპა G. **34** შენ, ვინაც] ევროპა G; შენ... მღერი] ნუ გაერთობი\* D] ევროპა მღერის D. **35** ნაღმებში ჩადეს] ნაღმები ჩასდეს D; ნაღმებში] ნაღმები G; ენამჭევრობა] [...] ევროპა D] ენამჭევრობა] იგრძნობს ევროპა G. **36** რომ] ის\* D; აფეთქდები] აფეთქდება D. **37** ბედის] მუშათა\* D] მადლა\* D] ბედთა D.

E წიგნიდან ამოტრილი, ავტორის მიერ ნასწორები ტექსტია: გადახაზულია 2-8 და 42-45 სტრიქონები, ასევე გადახაზულია 12-ე სტრიქონი და იქვე მიწერილია: მიდის, მიღელავს და კადნიერი. გადახაზულია 17 და 40 სტრიქონები და ორივეგან მიწერილია: შეუპოვარი, ლალი, ძლიერი. გარდა ამისა, ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **19** ადღერი] ადღერი\* E] და გპირი E. **20** შეუპოვარი] შეუპოვარი\* E] დაქანებული E.

**ფრიდრიხ ადღერი** (1879-1960) – ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გასული საუკუნის 10-20-იან წლებში, სოციალისტ მუშათა ინტერნაციონალის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

### \*\*\* როცა ბარშემო ღამე ბნელია (გვ. 45)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1911 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 113 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 164 (C); რჩეული, 1944, გვ. 317 (D).

**თარიღი:** 1916 AC.

B-ში 3-ე სტრიქონის ბოლოს სიტყვასთან „მოგვლიან“ მიწერილია „ველით“. **4** შენ] თქვენ\* B] ჩვენ B. **5** უცხო ასულთ] შორე პრინცესა\* B. **6** მარად] დენდი\* B. **7** მხოლოთ] მხოლოდ BCD. ამდენის მთმენი] მცირეოდენი\* B. **8** ოცნება ორად] სამშობლო ჩვენი\* B.

**პალადინი** – რაინდი უმაღლესი წრიდან, ერთგულების განსახიერება. მრგვალი მაგიდის ყველა რაინდი პალადინად იწოდებოდა.

ლექსი დაწერილია მოსაწვევ ბარათზე, რომელიც 1923 წლის თებერვლამდეა დაბეჭდილი.

### \*\*\* იყო ბურუსი ბაზრღვეველი (გვ. 45)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 864 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 456 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 43 (C); ლექსები, 1937, გვ. 22 (D); რჩეული, 1944, გვ. 104 (E); ლექსები, 1953, გვ. 91 (F); რჩეული, 1959, გვ. 53 (G).

**სათაური:** ტკბილად ეძინათ საქართველოში B; იყო CDEG; იყო ბურუსი F.

**თარიღი:** 1920 G.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია:

გარშემო იყო ტყეების წვიმა  
და ზარბაზნების იყო გრიადი.

2 ტყეისმფრქვეველი] ტყვიამფრქვეველი DF. 3-4 სტრიქონები ~\* B. 4 ქუჩებზე] ქუჩებში D. 8 როს... სხვა] ქალი [...] მე\* B] და იმედები სხვა B. 9 ეს] მე B. 10 თქვენთვის] მათთვის B. 10-11 სტრიქონები ~ B. 12 გეძინათ] ეძინათ B.

პრესის ცნობით (გ. „განათლების მუშაკი“, ქუთაისი, 1923, №1), ლიტერატურული მოღვაწეობის თხუთმეტი წლისადმი მიძღვნილ საღამოზე (1923, ივნისი) გალაკტიონს წაუკითხავს **ახალი ლექსი** – დამოწმებულია „იყო ბურუსი გაურღვეველი“. ამის საფუძველზე ტექსტი 1923 წლით დათარიღდა (თთ, ტ. II, გვ. 365).

### ცისფერი (გვ. 46)

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №9, 12 აგვისტო, გვ. 3.

**ხელმოწერა:** ზღვაზე, №№.

**დეციმა** – ათგაეპიანი სტროფი, ესპანური წარმომავლობის მყარი სალექსო ფორმა. პირველწყაროში არის „თდეცემა“, რაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს (ვ. ჯავახაძე, უცნობი, გვ. 745).

**დიონისე** – მცენარეულობის, მევენახეობის, მეღვინეობის დვთაე-ბა ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში, იგივე ბახუსი. დიონისეს ექსტატი-

ური კულტი განსაკუთრებით პოპულარული იყო დაბალ სოციალურ ფენებში.

### **ბრიზალი (გვ. 47)**

**ნაბეჭდი:** „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №9, 12 აგვისტო გვ. 1 (B); ლექსები, 1927, გვ. 457 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 12 (C).  
**თარიღი:** ბათომი 1923 (B).

15 სანავთე, კვარი] გრიალებს ქარი C. 49 რევოლუცია] რევოლუცია B. 69 ტბებად] ტბებათ C. 81 რევოლუცია] რევოლიუცია B.

**დეკადანსი** – ფრანგ. აქ: ჩასვლა, ჩასვენება.

**ღისონანსი** – მუსიკაში ბგერათა არაჰარმონიული ერთობა; პოეზიაში – არაზუსტი რითმის სახეობა.

**ვენერა** – იგულისხმება ქალღმერთ ვენერას ქანდაკება.

**ფორა** – იგივეა, რაც „ბის“ – გამეორების თხოვნა.

ლექსის შესახებ იხ.: მარსიანი, გალაკტიონი, კრ. „გალაკტიონოლოგია“, III, თბ., 2004, გვ. 94-96.

### **ჰორმბი (გვ. 51)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5333-34 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 104 (A).

**სათაური:** გარდაიცვალა სარა ბერნარი\* B; სარა ბერნარი B.

**ქვესათაური:** აქტრისა B.

**თარიღი:** 1916 A.

ავტოგრაფი წარმოადგენს ერთიან ტექსტს, რომელიც პირველი პუბლიკაციისას (1927) ორ დამოუკიდებელ ლექსად დაიბეჭდა: „ჰორმბი“ და „იხდება ფარდა“. ამის შემდეგ „იხდება ფარდა“ ერთხელ კიდევ გამოქვეყნდა – 1937 წელს გამოცემულ თხზულებათა პირველ ტომში.

B ვარიანტში ტექსტის დაწყებამდე გადახაზულია:

მე მინდა იყოს ამიდი მშვიდი  
მე მინდა იყოს ბაღები წუნარი  
მე მინდა გრძობდეს ვარდების რიდი  
გარდაიცვალა სარა ბერნარი.

4 პალატას] პალატის B; ფოიე] ალფე B. 6 მითების] ჭუჭყი და\* B] ემოციების B. 12 წინად... რიშპენი] ისევ გასცვალა დიდი რიშპენი\* B. 13 ესლა] მისთვის\* B; უყვარს] არის\* B; დამალი] ლამალი AB. 19 მიჰქრის] მიქრის B.

**ჟან რიშპენი** (1849-1926) – პოეტი და დრამატურგი, რომლის პიესებშიც თამაშობდა სარა ბერნარი.

**დამალი** – არისტიდ (ჟაკ) დამალი – სარა ბერნარის ქმარი, უღამაზესი მამაკაცი და სკანდალური პიროვნება, დიპლომატი, შემდეგ – არტისტი.

**ლეკოი** – ლეკიონი, დეკორატიული მცენარე მტევნისებური ყვავილებით.

„ჭორები“ და მომდევნო ლექსი „იხდება ფარდა“ დაიწერა სახელგანთქმული ფრანგი მსახიობის – სარა ბერნარის (1844-1923) გარდაცვალების გამო. თთ-ში ეს ორი ლექსი ავტოგრაფზე დაყრდნობით გაერთიანებულია ერთ მთლიან ნაწარმოებად სათაურით „გარდაიცვალა სარა ბერნარი“ იმ მიზეზით, თითქოს „დამოუკიდებელ ლექსებად მათი დაბეჭდვა, როგორც ეს ავტორმა განახორციელა, არღვევს ლექსის შინაარსს, მთლიანობას, ლოგიკურ-აზრობრივ კავშირს“ (ტ. II, გვ. 367). ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და, ავტორის ნების გათვალისწინებით, „ჭორები“ და „იხდება ფარდა“ ცალ-ცალკე იბეჭდება.

### იხლება ზარღა (გვ. 51)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5333-34 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 105 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 151 (C).

**სათაური:** გარდაიცვალა სარა ბერნარი\* B; სარა ბერნარი B.

**ქვესათაური:** აქტრისა B.

**თარიღი:** 1916 AC.

3 სკარპიის] კარპიის A] კასპიის B. 4 თვალეებში] თვალეებს B; იფ-



ეთქებს] იშლება B; ვარდათ] ვარდი B. **10** თვალთა] გრძობათ B; **10-11** სტრიქონებს შორის B-ში იკითხება: ხატავდა თითქო. **11** ათასნაირი... კანდელი] ისეთი როგორც მწვანე სურათებს B; „ისეთი“ გადახაზულია და მიწერილია: და ისე. **12** რიშიერა] რიბეირა B] რიგეირა C. **13** კორიანტელი] პალლადინები\* B. **14** პარმის] ჰარმის B. **16** სამუშად] ოცნება B. **20** ელეონორა] იქნება იგი\* B] იქნება მშვიდი B. **21** სარა ბერნარი] თუ უმშვიდესი სარა ბერნარი B; „უმშვიდესი“ გადახაზულია და მიწერილია „ანთებული“.

**სკარპია** – პერსონაჟი ფრანგი დრამატურგის ვიქტორენ სარდუს (1831-1908) პიესისა „ტოსკა“, რომელიც სპეციალურად სარა ბერნარისათვის დაიწერა. სარა განასახიერებდა მომღერალ ქალს – ფლორია ტოსკას, ვინც პოლიციის უფროსი სკარპია მოკლა.

**მარგარიტა** – ა. დიუმა-შვილის რომანისა და მის საფუძველზე დაწერილი პიესის – „ქალი კამელიებით“ მთავარი პერსონაჟი, რომელსაც სარა ბერნარი ასრულებდა.

**კლეოპატრა** – ეგვიპტის დედოფალი, შექსპირის ტრაგედიის „ანტონიუსი და კლეოპატრა“ მთავარი მოქმედი პირი. ამ როლს სარა ბერნარი წარმატებით ასრულებდა.

**დჟორდანო** – ლუკა ჯორდანო (1634-1705), იტალიელი მხატვარი. შესაძლოა, იგულისხმება იტალიელი საოპერო კომპოზიტორი უმბერტო ჯორდანო (1867-1948), ავტორი ოპერისა „ფედორა“, რომლის შექმნა მას ვ. სარდუს პიესაში სარა ბერნარის ხილვამ შთააგონა.

**რიშიერა/ რიბეირა/ რიგეირა** – შესაძლოა, იგულისხმება XVII საუკუნის ესპანელი მხატვარი ხუსეპე რიბეირა.

**შიპრი** – ფრანგული სუნამოს სახელწოდება.

**პარმა** – ქალაქი იტალიაში.

**ელეონორა** – ელეონორა დუხე (1858-1924) გამოჩენილი იტალიელი მსახიობი ქალი.

**ნინო (ნუცა) ჩხეიძე** (1881-1963) – ქართველი მსახიობი, მარგარიტა გოტიეს როლის შემსრულებელი ქართულ სცენაზე.

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „ჭორები“.

## სულ მალე (გვ. 52)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 209 (B); 294 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 377 (A).

**სათაური:** ქვესკნელის დემონებს იაპონიის მიწისძვრის გამო\* B;

– C.

**თარიღი:** 1916 B.

**B-ში ტექსტის დასაწყისში გადახაზულია:**

იმ წამში უთუოდ ტოკიოს ეგონა,  
ო, რა თქმა უნდა სტინესები და როკველლერი.  
ო, რა თქმა უნდა, თვით როკველლერს, სტინესს.

2 არის] იყო\* B. 2 სტრიქონის შემდეგ BC-ში იკითხება:

არც როკველლერი, არც სტინესი და არც მორგანი!  
თუნდ ყველას ერთად ოქროების ჰქონდესთ ოღარი.

B-ში ორივე სტრიქონი გადახაზულია, C-ში კი – მხოლოდ პირველი.

3 არის] თითო B] – C; სტერლინგი + მძიმე C. 3 სტრიქონის შემდეგ BC-ში იკითხება: ელვარე მზეზე ბრჭყვიალებდეს მათი დოლლარი. 4 გემებს იზიდავს] აჰ, ძლიერ გნებავთ B] ბევრს ძლიერ ნებავს C. 4 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

ძლიერ გწყურიათ, შეიძლება  
ან შეიძლება  
ანდა სპარსეთის ენატრება ვინმეს ბაზარი.

4-5 სტრიქონებს შორის C-ში იკითხება: ანდა სპარსეთის ენატრება ვინმეს ბაზარი. 7 ღიმილის... ზრდილობის] ზრდილობით და ღიმილით BC; მთელი ბაზარი] მყოფი დენდები B] სავსე დენდები C. 8 ელჩები... დენდები] ელჩების სიმამაძალდე\* B] ელჩების სისამაძალდე B] ელჩების სიმამაძალდე C. 9 ინგრევიან] გარდასული\* B. 11 კამარილიას] კამარილიებს\* B; დანდობილი] დანდობილი\* B] დანდობილა B. 11 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

აღბად ასეთი.  
ტოკიოს სწორედ ასეთ დროში ეწვია ბედი.

11 სტრიქონის შემდეგ C-ში გადახაზულია:

ტოკიოს მაინც ასეთ დროში ეწვია ნგრევა.  
აუტანელი ტკივილები და ცეცხლის რევა.

ამის შემდეგ C-ში იკითხება:

ვიქრობდა: დროა გავარდეს მეხი აშლილი თმებით.  
შევეგებები მე მეხის ტეხილს მჭექარე ხმებით.

**მორგანი, როკფელერი, სტინესი** – მსხვილი ოლიგარქები გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**კამარილია** – კარისკაცთა გაელენიანი ჯგუფი სასახლის კარზე, რომელიც მოქმედებს პირადი ინტერესებით.

ავტოგრაფში, გადაშლილ სათაურსა და ტექსტის დასაწყისში, მინიშნებულია მიწისძვრაზე იაპონიაში, რომელიც 1923 წელს მოხდა. ლექსი ამის შესაბამისად დათარიღდა.

### „ჩემო იარალი“ (გვ. 53)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 2710 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 40 (A); რჩეული, 1944, გვ. 280 (C); რჩეული, 1959, გვ. 385 (D).

**სათაური:** ნარიყალაზე B.

2 ასე ქადაგებდა] ვინ აძაგებდა\* B. 3 ყაბახის] ყაზახის D; მზგავსება] მსგავსება BD. 6 ტფილისი] თბილისი D. 9 გაყურებს] გაჰყურებს D. 10 ვდგევარ] ვდგავარ D. 13 ჩემო იარალი] – B. 13 სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება:

ის დრო წავიდა, მეგობარო,  
ის დრო წავიდა!

**იარალი** – იარალი შანშიაშვილი, უკანასკნელ ქართველ მეფეთა კარის მგოსანი, მომღერალი და თარზე დამკვრელი; მიმართვის ობიექტი გრიგოლ ორბელიანის (1804-1883) ლექსისა „იარალის“ (1832).

**ყაბახის გმირი** – იფულისხმება გრიგოლ ორბელიანი, ქართველი პოეტი-რომანტიკოსი და რუსული არმიის ინფანტერიის გენერალი.

**სალომე** – გრ. ორბელიანის ლექსის („დიმიტრი ონიკაშვილის

დარდები“) პერსონაჟი; იგულისხმება ალ. ჭავჭავაძის მეუღლე სალომე ორბელიანი.

პოეტის 1923 წლის დღიურში არის ორი ჩანაწერი (სგ. XIII, გვ. 170, 172), რომლებიც ლექსზე მუშაობას მიგვანიშნებს, ამიტომ „ჩემო იარაღი“ ამავე წლით დავათარიღეთ.

### **ღვინოს დაბრახებენ (გვ. 53)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 839 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 38 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 63 (C); რჩეული, 1944, გვ. 273 (D); რჩეული, 1959, გვ. 533 (E).

**სათაური:** ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრს B.

**თარიღი:** 1918 CE.

2 სადაც უნდა] როცა მთაზე\* B] როცა მარტო\* B; მივდიოდე] მიდიოდე\* B. 3 მარები] მარტო B. 4 უკანასკნელ] თან მომყვება\* B] გაიგონე \* B. 5 თან მომდევს] ღელაღდა\* B] თან მოგდევს B. 6 შევიარო] შეიარო B; 7 დამაძალებენ] დაგაძალებენ B. 8 დაფუარო] დაფარო B. 10-13 ო... მეკოცნება] – B. 11 გაჰქრა] გაქრა E.

ტექსტის ბოლო სტროფი ეხმიანება ბოლო კატრენს ლექსისა „რა დროს რომანსეროა“ (1923, გვ. 127-128) და ამავე წელს უნდა იყოს დაწერილი.

შენიშნულია ტექსტის კავშირი აკაკის ლექსთან „გაჰქრენ დრონი“:

გაჰქრენ ჟამნი ოცნების,  
რაც მწამდა, აღარ მჯერა!  
ბაგეთ არ ეკოცნების,  
აღარც გულის გაქვს ძგერა!

იხ.: ე. კვიციანიშვილი, აკაკი და გალაკტიონი, კრ. „გალაკტიონოლოგია“, IV, თბ., 2008, გვ. 109.

### **მთელი ღღე ვბრძნობდი (გვ. 54)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5608 (B).

**ნახეტი:** 1927, გვ. 213 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 276 (C); რჩეული, 1944, გვ. 376 (D); რჩეული, 1959, გვ. 491 (E).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** ლექსის B ვარიანტს ახლავს გალაკტიონის ავტობორტრეტი მისივე ხელმოწერით, სადაც მითითებულია თარიღი 1923.

3 და... გადაიხაროს] ტფილისის ქუჩებს ავდრებო მწარე\* B. 4 უსათუოთ] უსათუოდ BCE. 6 მეგონა] ვიცოდი\* B. 7 უეცრათ] უეცრად BCDE. 8 თქვენ... გამიგეთ] მხოლოდ ერთწამად\* B.

### **მღვრიე ქარი (გვ. 54)**

**ნახეტი:** ქ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 7 (B); ლექსები, 1927, გვ. 447 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 54 (C); ლექსები, 1937, გვ. 23 (D); რჩეული, 1944, გვ. 105 (E); რჩეული, 1954, გვ. 17 (F), რჩეული, 1959, გვ. 43 (G).

**თარიღი:** 1917 FG; 1924 B.

12 ჯვარი] ჯარი CDEF. 14 მღვრიე ქარი] – CDEF. 17 ცხენზედ] ცხენზე EF. 19 ქარი + მღვრიე ქარი B. 20 ქარი] ქნარი B. 23 ამიდი] ამინდი EF. 24 ისევ ქარი] – EF.

1924 წელს ქ. „მნათობში“ საერთო სათაურით „ქარი“ გამოქვეყნდა ლექსების ციკლი, რომელშიც შევიდა: „მღვრიე ქარი“, „ქარი არხვედა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში“, „ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი“, „ქარი ამწევი ფარდის“, „ქარი მოგონებათა“, „ქიმიურ საგნებთან“. თავის მხრივ, „ქარი მოგონებათა“ სამნაწილიანია და აერთიანებს ლექსებს: „ავგისტო თბილი, სამხრეთის ქარი“, „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“ და „არა ერთი და ორი“.

ამ ლექსებიდან „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“ 1922 წლით თარიღდება, დანარჩენ ტექსტებს კი პირველნახეტი მისელებით ვათარიღებთ.

**ნიაგარა** – იხ. კომენტარი ლექსისა „ეფემერა“ (გვ. 337)

### **ქარი არხვედა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში (გვ. 55)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი დ. 18, გვ. 65 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 8 (C); ლექსები, 1927, გვ. 448 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 48 (D); რჩეული, 1944, გვ. 246 (E); რჩეული, 1959, გვ. 41 (F).

**სათაური:** ფანტასტიური შობის ხე\* B; იტალიანური შობის ხე ტრიპოლისში B.

1 იტალიანურ] იტალიურ F. 7-14 ღამით... მხარე] – B. 9 პროპელდური] პროპელდური F. მიჰქრის] მიქრის C. 18 მახედ] მახზე F. 21 მშვიდლობიანი] ღამენათევი B. 25 მოდის] იყო B. 26 კანონდა] კანანდა C. 26-27 სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია: „დგანან ბავშების თავზე“. 27 მოდის... გრდემლი] იყო წითელი კრემლი B. 28 ცეცხლით] ცეცხლი B. 29 ვის... უგრძენია] ბავშს თვალზე ადგა B. 30 რხევით] რჩევით B. 31 მოიცო] მოიცვა F. 32 თოვლიც... თეთრი] თოვლი ათოვდა თეთრით B. 34 დგას] სდგას B. 35-50 სული... თებო] – B. 40 ძალათ] ძალად F. 45 ჰჩქეფს] სჩქეფს F. 49 გადაცილდა] გადასცილდა DEF.

თთ-ში (ტ. II, გვ. 311) პირველნაბეჭდ წყაროდ მითითებულია ქ. „სმარაგდი“, 1919, № 7, გვ. 3. გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ (თბ., 1947, გვ. 59) აღნიშნულია: „სმარაგდი“. 1919. [სალიტერატურო ჟურნალი]. რედ. – ვ. გორგაძე. ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება“. მოიძებნა ამ ჟურნალის მხოლოდ პირველი ნომერი, სადაც მოთავსებულია გალაკტიონის ლექსი „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“ (გვ. 3). სხვა ნომრების კვალი არ ჩანს.

გალაკტიონის დღიურში, რომელიც 1924 წლის სექტემბრით თარიღდება, არის ასეთი ჩანაწერი: „Итальянская елка в Триполи (პალმაზე ჩამოკიდებულია დაღრჩობილნი)“, ამავე დღიურშია მოთავსებული ავტოგრაფიც. 1924 წელს პოეტმა ლექსი შეიტანა ციკლში „ქარი“ (ქ. „მნათობი“, №2). ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნაწარმოები უფრო ოციან წლებში უნდა იყოს დაწერილი, რასაც მხარს უჭერს ტექსტის ლექსიკა და ვერსიფიკაცია.

ი. კენტოშვილი ლექსს უცნაურ, სიურრეალისტურ ტექსტად მიიხსენებს, რომლის სათაურს უშუალო კავშირი არა აქვს ნაწარმოებთან, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ „შესაძლოა, მისი შექმნის თავდაპირველი ბიძგი იტალიელთა მიერ დაპყრობილ ტრიპოლისთან დაკავშირებული რაიმე ფაქტი გახდა“ (იხ.: „გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში“, თბ., 1999, გვ. 125-127). გამორიცხული არაა, რომ ლექსში

შეფარულად იყოს გამოხატული პოეტის წუხილი იმ „სისხლისა და ცხედრების“ გამო, რაც რუსეთის რევოლუციას მოჰყვა.

**ტრიპოლისი** – ტრიპოლი, ლიბიის დედაქალაქი და ნავსადგური.

### **ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი (გვ. 57)**

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“ 1924, №2, გვ. 12 (B); ლექსები, 1927, გვ. 450 (A).

ლექსები: „ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი“, „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“, „სანატორია“, „მთელი საუკუნე მიდის“, „ცეცხლი“, „ტრანშეები“, „ცეცხლიან ფერფლით“, გარკვეული ცვლილებებით, შევიდა 30-იან წლებში გამოქვეყნებულ პოემაში „იგი – ომია“. პოემის ტექსტის ისტორია იხ. ჩვენი გამოცემის მეხუთე ტომში.

### **ქარი ამჟამი შარდის (გვ. 59)**

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 12 (B); ლექსები, 1927, გვ. 452 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 46 (C); რჩეული, 1944, გვ. 247 (D); რჩეული, 1959, გვ. 54 (E).

**სათაური:** ქარი B.

**თარიღი:** 1917 B.

36 მასის] მასის B.

**ისტოზავრი** – იქთიოზავრი, ზღვის გადაშენებული რეპტილია, დიდი ზომისა.

**სამუმი** – უდაბნოს ცხელი, მშრალი ქარი.

**ელიზიუმი** – ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ნეტარი სულების საცხოვრისი იმიერქვეყანაში.

იხ. კომენტარი ლექსისა „მღვრიე ქარი“ (გვ. 357).

### **ქარი მოზონებათა (გვ. 60)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 138 დ. გვ. 51 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 14 (C); ლექსები, 1927, გვ. 453 (A). თხზულებანი, I, 1937, გვ. 367 (D); რჩეული, 1959, გვ. 509 (E).

**სათაური:** სექსტინა\* B; უეცრად შემკრთალი ღამე\* B; უცებ შემკრთალი ღამე\* B; ზღვა იყო წყნარი B.

**თარიღი:** 1916 DE; 1918 C.

2 ქარი] ქარი\* B] დარი B. 3 კროდა] ჰქროდა E. B. 5 კრიალებდა] კრიალებდა\* B] მძინარებდა B. 6 უშორეს] წარსულთა B. 8 დაგუბდა] მოვიდა\* B. 12 და მოელოდა] გულს გადაკროდა\* B] და მძიმედ თრთოდა B. 13 მოსჩანდა] მოჩანდა E. 15-ე სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება:

ზღვა იყო წყნარი...

ახალ გრიგალებს არ მოელოდა...

იხ. კომენტარი ლექსისა „მღვრიე ქარი“ (გვ. 357)

### არა ერთი ღა ორი (გვ. 60)

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 15 (B); ლექსები, 1927, გვ. 455 (A).

**სათაური:** ქარი მოგონებათა B.

**თარიღი:** 1918 B.

**pollice verso** – (ლათ.) – „ცერი ქვემოთ“. ჟესტი, რომლითაც ძველ რომში ბრბო დამარცხებული გლადიატორის სიკვდილს მოითხოვდა.

იხ. კომენტარი ლექსისა „მღვრიე ქარი“ (გვ. 357)

### ძიშიურ საბნებთან (გვ. 61)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 8386, გვ. 45 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 16 (C); ლექსები, 1927, გვ. 454 (A). თხზულებანი, II, 1935, გვ. 45 (D).

**თარიღი:** 1924 C.

22 პროჟექტორი] პროჟექტორი C.



B ვარიანტი 1935 წლის თხზულებათა მეორე ტომიდან ამოჭრილი ტექსტია. მასში შეტანილია მხოლოდ ერთი ცვლილება: გადახაზულია 18-ე სტრიქონი.

**შპალერი** – გზის ორივე მხარეს ჩარიგებული ხეები ან ბუჩქები. იხ. კომენტარი ლექსისა „მღვრიე ქარი“ (გვ. 357)

### **უცვლად შემკრთალი ღამე (გვ. 62)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 846 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 382 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 430 (C); რჩეული, 1959, გვ. 417 (D).

**სათაური:** წერილები საზღვარგარეთიდან\* B.

**თარიღი:** 1915 CD.

3 ველებს... ნამი] ნამი, დუმილი, კამა B. 8-9 განწირულების... თუჯის] – B.

ლექსის „ქარი მოგონებათა“ („აგვისტო თბილი“) ავტოგრაფს (სგ, XIII, გვ. 212-213) ბოლოში მიწერილი აქვს: „გამე. უცვლად შემკრთალი ღამე. რამე. გალაკტიონ ტაბიძე. 1924. X. 21“. ამის საფუძველზე, ლექსი 1924 წლით დათარიღდა.

### **სად დასასრული იყო (გვ. 62)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 343 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 401 (B); რჩეული, 1944, გვ. 436 (C); რჩეული, 1959, გვ. 412 (D).

**თარიღი:** 1915 D.

6 ყრიდენ] ყრიდნენ BD. 8 იგონებდენ] იგონებდნენ BD. 15 სისხლის] სისხლი BD. 19 ანდენ] ანდეს D. 20 სჩანდა] ჩანდა D. 21 სჩანდენ] ჩანდნენ D.

ავტოგრაფი 3396-97, რომელიც მითითებულია სგ-ში, ლიტერატურის მუზეუმის გალაკტიონის ფონდში არ მოიძებნა.

შინაარსობრივად და ვერსიოეკაციულად ტექსტი ახლოსაა ლექსთან „უცვლად შემკრთალი ღამე“ (1924) და იგი, პირობითად, ამავე წლით დავათარიღეთ.

## დამშვიდლი, ძარო (გვ. 63)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 137-დ, გვ. 12 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1928, № 8-9, აგვისტო-სექტემბერი, გვ. 36 (C); „ეპოქა“, 1930, გვ. 165 (D); თხზულებანი, II, 1935 წ., გვ. 307 (A); რჩეული, 1944 წ., გვ. 146 (E);

**სათაური:** კავკასიონის მთების ბალადა B; – CD.

**2-3** სტრიქონები ~ CDE. 2 მთაზე] მთიდან DE. **13** ჩაჰკეტოს] ჩაკეტოს CDE. **16** მოგზაურით] მოგზაური E.

B-ში ეს ნაწარმოები ნაწილია ვრცელი ტექსტისა სათაურით „კავკასიონის მთების ბალადა“, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ლექსს შეესაბამება **1-4**, **9-13**, **17-21** და **37-40** სტრიქონები. ქვემოთ B ავტოგრაფის ტექსტი მოგვაქვს მთლიანად:

უდაბურ მთაზე, უდაბურ ტყეში,  
კოშკიდან ერთი ანთებს სანთელი,  
რა ცივად მოდის ქარი და თქეში,  
რა მწარედ ცივი კორიანტელი.  
მგზავრს კიდევბზე უსხლდება ფეხი.  
ათასი აღის კივის წუხილი.  
თვითონ ხევებზე ხრიალებს მეხი,  
ხევიდან ხევზე მიდის ქუხილი.

კოშკში კი მყუდრო ანთია კერა,  
ნაპერწკლებს ისვრის ყვითელი აღი.  
არ შესდგომიან საუზმეს ჯერა  
მთიელი ვინმე და მისი ქალი.  
მაგრამ რა მკაცრი ქარია გარედ,  
რა ძლიერ ისმის ხევის დუდილი,  
ხევიდან ხევზე ქარს უხარია,  
ხევიდან ხევზე მიდის ქუხილი.

დამშვიდლი ძარო, რა გემართება.  
ასეთი წვიმა, ნეტა რა არი?  
და ქალი სწრაფად მიემართება,  
რომ გრიგალისგან ჩაკეტოს კარი.  
აჰ, ქარი მაინც კარებს აწვება,

ისე, ვით წინად, როგორც წუხელი.  
გრიგალი ხევთან გადიხარხარებს  
და ხევით ხევზე მიდის ქუხილი.

ო, გულო, რამდენ ოცნებას მაღავე!  
მთებს სადამოის გადეკრა ბოლი.  
ვაჟი: – დაიცა, დაიცა ქალავ!  
ქალი: – აჩქარდი, დაგიბრმეს თოლი!  
დამდება. ფარამ აუკრა ფეხი,  
ღრუბლებმა შექმნეს, შექმნეს დუღილი,  
იელვა, უცებ გავარდა მეხი  
და ხევიდან ხევს მისცა ქუხილი.

მწკრივად მიდიან ცის წეროები  
და ველებიდან ქრის ნიავები,  
მიირხვეიან ჩალ-ღეროები,  
მთები იისფრად ნაიავები.

ყვითლდება ჩალა შესაკონელი  
და მეურმეებს ფეხქვეშ ედება,  
მზეც მთაზე ჩადის და საქონელი  
ხევსუგებიდან მიირეკება.

ხევიდან ხევზე გამოძახილი  
ხევიდან ხევებს ეხმაურება.  
ხევიდან ხევზე გადიგიალა.

მთებზე ნისლეზად არის ფენილი  
და მწუხარება თვითეულ სიმზე,  
სიზმრები ასე აუხდენელი  
და მწუხარება შენი, პირიმზე.  
აღელვებული კასპიის პირად  
მღვრიე ჟანგივით წითელი ფერის,  
ესტუმრებოდა სოფლელებს ხშირად  
რომ მოეტანა დღე მწარე წერის.

მაგრამ მოსწყინდა ერთსახეობა  
ლენქორანისა დღეების თბილის,  
გადმონგრია მტკვარის ხეობა  
და ეპარება თანდათან ტფილისს.

ტექსტი ნასწორებია, შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1 უდაბურ] ნისლიან\*. 2 ერთი ანთებს] ობლად მოდის\*. 3 ცივად] მწარედ\*. 4 ცივი] კენესის\*. 7 თვითონ... სრიალებს] იელვებს და როს\*. 8 სტრიქონის შემდეგ გადახაზულია:

კოშიდან ქალი უცქერის. ბნელა.  
შიგნით კი მყუდრო ანთია კერა.

19 ქალი] კარებისკენ\*. 25 გულო] მთაო\*. 28 აჩქარდი] გამეცა\*. 29 ღამდება. ფარამ] ღამდება. კიდევ\*.

1930 წლიდან („ეპოქა“, გვ. 165) ყველა გამოცემაში ლექსი იბეჭდებოდა ტექნიკური ხარვეზით – გადაადგილებული იყო 1-2 სტრიქონები, რაც არღვევს გამჭოლ ჯვარედინი გარითმვის სისტემას. პირველნაბეჭდსა და ავტოგრაფზე დაყრდნობით ჩვენ აღვადგინეთ სწორი თანამიმდევრობა: ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ – პირველი სტრიქონი.

თთ-ში ლექსი დათარიღებულია B ავტოგრაფზე მითითებით: 1924 წ. ტვილისი. (ტ. II, გვ. 146), თუმცა ავტოგრაფს თარიღი არ უზის. ლექსს ჩვენც 1924 წელს დაწერილად მივიჩნევთ, რადგან ავტოგრაფი ამ წლით დათარიღებულ დღიურშია მოთავსებული.

### აღმოსავლეთი (გვ. 64)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები: 346 (B); 856 (C); 8795 (D); დ-138, გვ. 66 (E);

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1924, №3, მარტი, გვ. 11 (F); ლექსები, 1927 წ., გვ. 488 (A); „ეპოქა“, 1930 წ., გვ. 23 (G); თხზულებანი, II, 1935 წ., გვ. 121 (H); ლექსები, 1953 წ., გვ. 54 (I); რჩეული, 1959 წ., გვ. 89 (J).

**სათაური:** ეფემერა B; – CEG.

**თარიღი:** 1924 AJ; 12 ივნისი F.

HIJ-ში ტექსტს პირველი სტრიქონის დასაწყისში ემატება სიტყვა „აღმოსავლეთში“.

7 ქარგავს] ჰქარგავს GHI. 34 შევენებად] მშვენებად GHIJ. 35 ისევ] ისევე I. 43 შენი] შენ GH. 105 მიისწრაფის] მიისწრაფვის GHI. 107 წყველა] წყვეა GHIJ.

B-ში მხოლოდ 93-100 სტრიქონების ვარიანტია წარმოდგენილი:

ოდეს ტყდებოდა ყვავილის ღერი  
და სილაჟვარდეს გრძნობდა ფერია...  
ვმღეროდი შენზე და ეხლაც ვმღერი  
როგორც არავის არ უმღერია.

ოდეს წვიმები მოვიდა ხშირი,  
ცა მოიდრუბლა და გადირია,  
ვტიროდი შენზე და ეხლაც ვტირი  
როგორც არავის არ უტირია.

ცეცხლის აღმური, ვით ტყდომა ღერის,  
თავისუფლების ნაზი ფერია  
და გაზაფხულის ველი მოლია,  
ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე,  
როგორც არავის არ უბრძოლია.

ეს ტექსტი ნასწორებია და შეტანილია შემდეგი ცვლილებები:  
1 ოდეს ტყდებოდა] ნელა ქანაობს\*. და] თუ\*. 8 სტრიქონის შემდეგ  
გადახაზულია: გამიგებს ვინმე?

C-ში **56-64** სტრიქონების ვარიანტია წარმოდგენილი. 64-ე  
სტრიქონის შემდეგ C-ში ტექსტს ემატება შვიდი სტრიქონი, რომელ-  
იც ვარიანტია ლექსისა „კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი“ (გვ. 191).

**56-57** მხარისკენ სადაც] მზე გადმოეშვა C. **58** კვამლი] ცეცხლი  
C. **59** სადაც სურვილი] თუ ნისლი ასე C. **60** და... არის] მასთან არ  
არის C. **61** ღრუბელთა წყება] ვარსკვლავთა წყობა C. **62** მთების]  
ღამის C. **63** ყინვამოსხმული] ბრეზენტმოსხმული C.

D-ში ტექსტი ასეა წარმოდგენილი:

მას არ აშინებს ცეცხლის ფანტელი  
და მუხლებამდე ქვიშა სადები,  
არც უდაბნოს კორიანტელი,  
არც გადავლილი ბარიკადები.  
ვითარ დასცხრება ის ტკივილები  
მიყენებული დაზიანებით,  
ახალ-ახალი სხივის გაბნევით,  
ამოხეთქილი შადრევანებით.

იხეტიალა ცეცხლის ამურმა,  
სიმხურვალეთი გადასძრა ძვრანი,  
მან მოიარა ყველა ქვეყნები  
და ინახულა აზერბაიჯანი.  
ვხედავ მას სიბრძნის მორევში გართულს  
ზღვის სიღურჯითა და გამწვანებით,  
ტკბილად მომღერალ ცამდე აღმართულ  
ასიმღერების შადრევანებით.

ცეცხლის ამური და ტალღა ლურჯი,  
თავისუფლების ნაზი ფერია,  
მღეროდა აქა და ახლაც მღერის,  
როგორც არავის არ უმღერია,  
ამაოდ მტერი იქადებოდა  
ქვეყნის დარბევა – გავერანებით,  
ახალ-ახალი აღმოსკდებოდა  
ჰანგ-სასურველი შადრევანებით.

მაგრამ გრიგალი მოვარდა ისევ,  
ოთხი ზაფხულის დღენი მოლია,  
ჩვენ სიცოცხლისთვის ვიბრძოდით ისე,  
როგორც არავის არ უბრძოლია.  
დაარტყა ქარმა და მეზღვაური  
ანძებზე მიდის ახმოვანებით,  
გაისმის ქვეყნის აურზაური,  
ამ დიდებული შადრევანების.

ჭაბურღილებზე მდგომს ეჩვენება,  
რომ სულ ახლოა ბედის ხომალდი.  
ის ამბობს: წყევა და შეჩვენება,  
მოვდივართ კიდევ ახალ ბრძოლამდე.  
ო, რა საამოდ სუფს ეფერება  
გემების ჩანგი – ახმოვანებით,  
ცეცხლით იწვევა ბედნიერება  
ჩვენი გულუხვი შადრევანებით.

E-ში **65-80** სტრიქონების ვარიანტია წარმოდგენილი, 65-ე სტრიქონამდე კი გადახაზულია:

გამოდოდა უამრავი გაზეთები  
განცხადებებით.

ამის შემდეგ იკითხება:

გაზეთი იყო როგორც ვენახი,  
განცხადებათა ესხა მტევნები,  
ნეტა არასდროს არ დამენახა  
ის ყალბი ბალი და შადრევნები.

**65** პატარა + ელვარე კბილებს **E. 68** მომთაბარე + რა საოცნებოთ  
**B. 69** რეკლამა + რა საოცნებოთ **E. 72** იფერენ] ფერავენ **E. 74** იღუმა-  
ლებით] საიდუმლო გზით **E. 75** აქ] ოჰ **E. 76** სიცილში... მოისმის]  
სიცილის ნაცვლად სხვა მოვა\* **E. 76-77** სტრიქონებს შორის **E-ში**  
იკითხება:

და იქ სადაც აწ ათი ათასი  
მუქთახორების ნებივრობს თვალი,  
სად დარბაზები უდიადესი  
განათებულან ფერადი ალით.

**77** მხოლოდ] სადაც **E. 78** აფარებენ] იფარებენ **E.**  
**II** ვარიანტებში **110** სტრიქონის შემდეგ ტექსტს ემატება:

და აი,  
იფეთქა რევოლიუციამ.  
აღმოსავლეთით და დასავლეთით  
ისმის ლოზუნგი:  
ომი ომს.  
აღმოსავლეთით და დასავლეთით  
ეომება ომს –  
საბრალო ჯარისკაცი.  
დაღალული ჯარისკაცი.

**იალონი** – (დიალექტ.) ალიონი.

**ჯონ როკველერი** (1839-1937) და **ჰუგო სტინესი** (1870-1924) – ამე-  
რიკელი და გერმანელი ოლიგარქები.

**კრეზი** – ლიდის ლეგენდარული, უმდიდრესი მეფე, დიდი სიმ-  
დიდრის სიმბოლო.

**მშენიერი ელენე** – ჰომეროსის „ილიადას“ პერსონაჟი, რომლის  
მოტაცება გახდა საბაბი ტროას ომისა.

**ასპაზია** – ათენელი ჰეტერა ჩვ.წ.-მდე **V** ს-ში, პერიკლეს მეუღლე;  
გონებით, განათლებით და სილამაზით განთქმული ქალი.

**მიტელენი** – მიტილენა ან მიტილინი, ძვ. ბერძენი პოეტი ქალის – საფოს მშობლიური ქალაქი კუნძულ ლესბოსზე.

**კლეოპატრა** – ეგვიპტის სახელგანთქმული დედოფალი.

**მესალინა** – რომის იმპერატორის – კლავდიუსის მეუღლე, ცნობილი ვერაგობით და გარყვნილებით.

**მენტენონი, ფრანსუაზა დ'ობინიე** (1635-1719) – საფრანგეთის მეფის – ლუდოვიკო XIV-ის ფავორიტი და მეუღლე.

**მენუეტი** – ძველებური ფრანგული ცეკვა.

**ლოლა მონტეზი** (1821-1861) – ირლანდიელი მსახიობი და მოცეკვავე, ბავარიის მეფის – ლუდვიგ I-ის ფავორიტი.

**ფანტაზმა** – ის. კომენტარი ლექსისა „აივანზე“ (გვ. 326).

**შანსონეტა** – რუსული ვარიანტი ფრანგული სიტყვისა „chansonnette“; კაფეში მომღერალი ქალი, რომელიც ასრულებს თამაში შინაარსის სიმღერებს (შანსონებს).

**ჰამლეტი** – შექსპირის ტრაგედიის – „ჰამლეტი“ მთავარი პერსონაჟი.

## მს ლექსი (გვ. 67)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 360 (B); 1110 (C); 3362 (D); 3887 (E); 5554 (F).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1924, №6, გვ. 7 (G); ლექსები, 1927, გვ. 445 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 51 (I).

**სათაური:** – BF; ეფემერა\* D; მსოფლიო ორკესტრი D; 1917 H.

**ეპიგრაფი:** ბრწყინვალე გამარჯვება... ძლევა-მოსილება... წელი მეტად მდიდარი ისტორიული ამბებით... გიგანტიური დაპყრობა... ნ. ლენინი.

**თარიღი:** 8 ოქტომბერი 1924 წ. H.

B-ში ტექსტის დასაწყისში გადახაზულია:

რევოლიუცია ემუქრება  
ამერიკისა და ინგლისის  
სუპერდრედნოუტებს.

ამის შემდეგ B-ში ეს სტრიქონებია, რომლებიც ვარიანტია ლექსისა „წარწერები“:



სხვებს უნდათ დიდება  
მოცარტის, [...]ტას,  
მე ვნატრობ სიყვარულს  
სულ ცოტას, სულ ცოტას.  
და ან ყალბ პოეტებს  
ვინმე ედავება.  
არ მინდა, ბატონო,  
თქვენი უკვდავება.  
ან ტომებს ბრიყვისას  
მე რა წამაკითხებს?  
ისედაც კარგად ვჭრი  
მსოფლიო საკითხებს:

ამას მოსდევს ძირითადი ტექსტის 56-63 სტრიქონების ვარიანტი:

რეველუცია ეშუქრება  
ამერიკისა და ინგლისის  
სუპერდრედნოუტებს.  
მაგრამ როდესაც ენერჯია  
გაერთიანებული  
რეჟიმი, რკინა –  
დიქტატურა...  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს...

C-ში 2-17 სტრიქონების ვარიანტია:

**4** როგორც] გრაფი\* C. **5** ლიდერი] ლენინი C. **7** მხარეს] ბანაკს  
C. **8** ჩვენ] ჩემს C; შორის + მეგობრებო\* C. **10** რაზეც] რაზე C;  
შევთანხმდეთ + იყო მდიდარი C. **10-11** სტრიქონებს შორის C-ში  
იკითხება:

გამონათება ბენიერ დარის  
და აღარ არის.

**11** კიდევ] ვხვდებით\* C. **13** ზოლად + წითლად და მწვანედ C. **14**  
ველი [შველისა] მოლი გველისა\* C. **16** ოჰ] ო C. **17** მოსაგონებლად]  
მოსაგონარად C. **17** სტრიქონის შემდეგ C-ში იკითხება:

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს,  
მოსაგონარად შევიკრიბოთ დღეს.

დღეს ყველა საქმე მივცეთ ნიავექარს  
ჰაიდაა!  
ყველა საქმეები წყას მივცეთ მდინარეს  
ჰაიდაა, ჰაიდა, ჰაიდაა!!!

D-ში წარმოდგენილია 45-54 სტრიქონების ვარიანტი. D-ს დასაწ-  
ყისში გადახაზულია:

მსოფლიოს წამებას, როგორც ზღვას კოვზით,  
ვერ ამოსწურავს ქარის ქნარება.  
სადღაცა თოვს და თოვს, ამ ნელი თოვსით,  
ემპირებში სულს ემთქნარება...  
მოჩვენებათა მწუხარე რიგი  
სულის წყვდიადში დაეხეტება.  
გაიძვერები შიგა და შიგი –  
სულებს ედება – როგორც ზარები.  
თითქო სოფლის გენიას კარი გადარაზოდეს.  
თითქო არ ანთებულა ქარი აქ არასოდეს.

ამის შემდეგ D-ში იკითხება:

დაიძრა მენი! მესხ ჩვენ შევხვდებით მჭეკარე ხმებით!  
სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე მწყურია,  
სიცოცხლე ბოდავს ომებით და შურისძიებით,  
მწყურია ნგრევა. მსურს აკივლდეს კაცობრიობა  
აუტანელი ტკივილებით.

დროა, დრო!

დროა, დრო!

დროა, დრო!

ქალაქთა ნაცვლად – სასაფლაონი,

მშვიდობიანი გახდა ჯალათი.

დროა, დრო! დროა, დრო!

უშიშრად სიკვდილს ეწირება გიმნი მრავალი,

გამოსავალი უნდა იქნას, გამოსავალი.

დროა, დრო!

დროა, დრო.

უცებ ავარდა გრიგალი მსოფლიო ორკესტრის  
დიდი ხნით ცეცხლმა იპოვა წამი.

ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს,

მოსაგონარად შევიკრიბოთ დღეს.

ამ ფრაგმენტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1 დაიდრა] გავარდეს\*; ჩვენ] მე\*. გადახაზულია **3, 9-11, 16-18** სტრიქონები.

E-ში **18-32** სტრიქონების ვარიანტია: გათავდა] დაუშთავრებელ\* E. **19** შფოთიანი] უბოლოო E. **20** ერთ... მეორესი] ერთი მხარე იქ მეორეს\* E. **21** რამე... სჯერა] აღარ ენდობა\* E. **22** გახეთები] პარლამენტი\* E; გამწარებული] მხოლოდ იმისთვის E. **24** მასის] მასის E; **25** დროშები] შტანდარტი E; დაიწყო ბრძოლა] სამოქალაქო დაიწყო ომი\* E. **27-28** სტრიქონებს შორის E- ში გადახაზულია:

დაიდრა სწრაფი კავალერია  
და ზღაზვნით მიყვა  
რახრახი მძიმე არტილერიის.

**32** ეს + მოსაგონარად შევიკრიბოთ დღეს.

რეჟიმი, რკინა –  
დიქტატურა...  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს.

F-ში **34-42** სტრიქონების ვარიანტია. ტექსტის დასაწყისში F-ში იკითხება: ქალაქს და სოფელს სახეზე აჩნდა. **34-35** სტრიქონებს შორის F-ში იკითხება: ძირს სიდარბაისლე ლუარსაბ თათქარიძის. **35** შეგვიძლია] შეგვიძლია F. **37** ჩქარა, ამხანაგო] მარცხნით, მეგობრებო F. **37-38** სტრიქონებს შორის F-ში გადახაზულია: ყოფნა გვაიძულებს ისევ აჩქარებას. **38** წუთის] წამის F. **39** ვინ... გადადება]

ბრძოლისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე  
სწრაფად გავექანოთ, ვინ სთქვა გადადება? F

**40-42** დროა... გადააბიჯო]

უნდა დავიწყოთ თავიდანვე, უნდა დავიწყოთ,  
აქ ხომ ვერ დაუდგებით სადიდხანოდ?  
დროა მოძრაობის და სიცოცხლის ნიშნის,  
უნდა დასცე ძირს, გადააჭუნო, წამოაჩოქო!  
უნდა გადააღაჯო სიცოცხლის ლეშს. F

ამ ფრაგმენტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **2** სადიდ-

ხანოლ] დიდი ხნით\*. 5 სტრიქონი გადახაზულია. ამის შემდეგ F-ში გადახაზულია:

უნდა დავაჩქაროთ, თორემ დაგვიანდა!  
დარჩეს დარბაისლად სული თათქარიძის,  
იგი საკმარისად გადანაგვიანდა.  
მაგრამ დაყოვნება წამმა აქ არ იცის.  
სწრაფად, რამდენათაც ძალას შეუძლია,  
სწრაფად, რამდენათაც დროა აჩქარების.  
ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდეა.

ქვემოთ ნაჩვენებია ნაბეჭდი ტექსტების მიმართება ძირითად ტექსტთან.

5 ლიდერი] ლენინი G. 34 აჩქარდე] ააჩქარო G. 48 ნგრევა] ნგრევა G. 55 სტრიქონის შემდეგ G-ში იკითხება:

გადავარდნილნი უფიქრებლად ქარის თამაშში,  
არვინ შიშობდა, რომ დაკარგავს გზას  
ათასი ხმიდან მხოლოდ ერთხელ,  
ათას სიტყვაში მხოლოდ ერთი, ოცნებას ბაძავს  
რაღაც კარგზე და მშვენიერზე  
ექებს ამ ერთ ხმას, ამ ერთ სიტყვას  
თავისუფლებას.  
ო, ვისაც გახსოვთ ყოველივე ეს.  
ევროპაში ამ დროს  
გადაკრავდენ რა პუნშსა და ხერესს  
თან იგონებდენ უბედნიერეს  
წარსულს.  
იყო ძახილი: მშვიდობა ერთა!  
ეს იყო მხოლოდ ხმა დამცინველი.  
უცებ შორიდან გაჩნდა მხედარი,  
ატყდა კივილი –  
ამერიკისა და ინგლისის  
სუპერდრედნოუტებს.

56 იმუქრება] ემუქრება G. 58 სტრიქონის შემდეგ G-ში იკითხება:

სადა ხართ, ვინაც ვიყავით ერთად,  
როცა იმარჯვებდა ოქტომბერი.

60, 62 ქარიშხალი] ოქტომბერი G. 64 მოსაგონრად] მოსაგონად I. 65 ნამდვილათ] ნამდვილად G. 66 ვინც] ოქტომბერში ვინც G. 67 სავსე... ამბებით] პროლეტარების რევოლიუცია G. 67-68 სტრიქონებს შორის G-ში იკითხება:

100 მილიონიან გლეხკაცობის საქმე.  
1917 წელი –  
სავსე ისტორიის ამბებით.  
აზღვავებული რიცხვი.  
ბრწყინვალე გამარჯვება,  
ძლევა-მოსილება,  
გიგანტიური დაპყრობა,  
ოქტომბერი.

55-56 სტრიქონებს შორის პირველნაბეჭდში წარმოდგენილი, ზემოთ მოტანილი ტექსტის 1-7 სტრიქონები გარკვეული ცვლილებებით მეორდება ლექსში „ო, გადავეშვათ უფიქრებლად“ (გვ. 143-144).

**ენსექსი** – ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე.  
**შტანდარტი** – საბრძოლო დროშა.

### უკანასკნელი თანამგზავრი (გვ. 69)

**ხელნაწერი:** 201-დ, გვ. 20 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 263 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 335 (C); რჩეული, 1944, გვ. 396 (D).

**თარიღი:** 1916 C.

5-6 სტრიქონებს შორის B-ში იკითხება: სიკვდილის უამად უნდა ვიდარდო. 8 იგი] მშვიდი\* B.

ავტოგრაფი დაწერილია ანასტასია ხოშტარია-ერისთავის საიუბილეო ბუკლეტზე, რომელიც დათარიღებულია 1924 წლის 9 მარტით. აქვეა პოეტის მინაწერი: „ჩვენ ვართ საქართველოს ახალი ნივილისტური საუკუნის უკანასკნელი თანამგზავრები“...

## დიდება იბი (გვ. 69)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 979 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 121 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 176 (C).

**სათაური:** – B; პოეტს C.

**თარიღი:** 1916 AC.

2 ო... გახდის] გულთამხილავო! ჩვენ ვაღიარებთ\* B; შენს გარეშე] მშვენიერო\* B] საუცხოვო\* B; ვერავის] ვერავინ B. 3 ბედი... მინაში] ძლიერებას და დიდებას შენსას\* B] ამ მშვენიერის აღის წინაშე B. 4 ვხრი] ვხრით B. 6 დიდება... არი] ეს ტახტი მადლა ამართულია\* B; იგი] შენთვის B. 7 მგმობელი] გარეშე\* B. 8 მარადის იგი] ირგვლივ მარადის B. 9 მარადის] პოეტის\* B; ცეცხლის] წმინდა B.

ლექსი ეძღვნება „ტახტის მპყრობელ“ პოეტს, რომლის წინაშე ავტორი მოწიწებით ხრის თავს. სავარაუდოდ, „დიდება იგი“ დაწერილია ვ. ბრიუსოვის საიუბილეოდ, რომელიც ფართო მასშტაბით აღინიშნა 1923 წლის დეკემბერში.

## უკანასკნელი დეკეშა (გვ. 70)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 115 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 471 (B).

**თარიღი:** 1917 B.

თთ-ში მითითებულ ავტოგრაფში (6717ა), რომელიც ამჟამად არ იძებნება, ლექსის სათაური ყოფილა „დეკეშა ცნობით ბრიუსოვის გარდაცვალებაზე“.

გალაკტიონმა ორი ლექსი უძღვნა რუსული სიმბოლიზმის მეთაურის – ვალერი ბრიუსოვის (1873-1924) გარდაცვალებას: „უკანასკნელი დეკეშა“ და „შავი სვეტები“. ამის საფუძველზე ეს ლექსები 1924 წლით დათარიღდა.

## შავი სვეტები (გვ. 70)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5686 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 116 (A).

**სათაური:** ვალერი ბრიუსოვის ხსოვნას B.

7 განათებული... ბრწყინვით] სიცივის ბრწყინვით განათებული  
AB. **13** განახლებული კუბო] როგორც სამარე ძველი B; „როგორც“  
გადახაზულია და მიწერილია: არის.

**რამზესი** – რამზეს დიდი, ეგვიპტის უდიდესი ფარაონი. ალუზიაა  
ვ. ბრიუსოვის ლექსზე „რამზესი“.

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „უკანასკნელი დეპეშა“.

### არწივებს ჩასძინებოდათ (გვ. 71)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 6743 (B); 8711 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 27 (A); რჩეული, 1944, გვ. 271 (D);  
რჩეული, 1954, გვ. 145 (E).

**სათაური:** – B; ჩასძინებოდათ არწივებს C.

**თარიღი:** 1916 ADE.

3 სოვლემდენ] სოვლემდენ D] თვლემდენ E. **5** მკივანი] მკივანა  
B. **7** ბედი... სოვლემდა] დამე სუნთქავდა B; სოვლემდა] თვლემდა E.  
**8** ალი] ცეცხლი\* B. **9** გორავდა] ავარდა\* B. **13** ხედავდენ] ხედავდენ  
DE. **14** ცეცხლი... დახალულს] ცეცხლმა ტყე სრულად დაფარა B. **16**  
დაღალულს] კაფარა B] დაღალულთ E. **19** შესძახეს] იკივლეს\* B. **20**  
მიდამოც გასწივის] მოესმათ ქარცივებს B. **21** ამბობს] კვნესდა B. **22**  
გაკიდებული] გამოეღვიძათ B. **23** ფრთებს... გადაეყარა] რა გვიან გა-  
მოეღვიძათ\* B. **25** შორით] ველარ\* B; გაფრინდენ] გაფრინდენ DE. **26**  
დაეცენ] დაეცნენ DE; სამზირად] და მწირად\* B. **27** გულს] ესლა\* B.

B-ში ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს სტროფი ვაჟა-ფშაველას  
ლექსისა „არწივი“:

ვაი, თქვენს დედას, ყოვებო,  
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,  
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს  
გაშლილს, დაფანტულს ველადა.

C-ში წარმოდგენილია ლექსის პროზაული მონახაზი:

ჩასძინებოდათ არწივებს მდინარის პირად  
ტყეს კი ცეცხლი მოჰკიდებოდა... ტყე იწოდა.  
უახლოვდებოდა ცეცხლი არწივებს.  
იწოდა ტყე, იწოდა.  
მიუახლოვდა ცეცხლი არწივებს.  
არწივები კი ხედავდნენ ამ დროს სიზმრებს:  
არწივებს დაეწოთ ფრთები...  
უფრთებოდ დადიან ისინი მდინარის პირად.

C-ში ტექსტის 4-ე სტრიქონი გადახაზულია.

ლექსი გამოძახილი უნდა იყოს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყა-  
შვილის რაზმის ტრაგიკული, მაგრამ ჰეროიკული ბრძოლისა „ჩე-  
კას“ რაზმების წინააღმდეგ და, სავარაუდოდ, 1924 წელს დაიწერა.

ტექსტის ბოლო სტროფი ციტატაა ვაჟა-ფშაველას ლექსიდან  
„არწივი“.

### ჩვენ, პოეტები საქართველოსი (გვ. 72)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3927 (B); 4236 (C); 137 დ. გვ. 13 (D);  
28897-50, გვ. 29 (E).

**ნაბეჭდი:** უ. „მნათობი“, 1924, № 7-8, გვ. 5 (F); ლექსები, 1927, გვ.  
518 (A); თხზულებანი, II, 1935, გვ. 10 (G); ლექსები, 1937, გვ. 17 (H);  
ღირიკა, 1940, გვ. 18 (I); „მამულო, სიცოცხლეო“, 1943, გვ. 47 (J);  
რჩეული, 1944, გვ. 73 (K); ლექსები, 1953, გვ. 86-87 (L); რჩეული, 1954,  
გვ. 323 (M); რჩეული, 1959, გვ. 69-70 (N).

**სათაური:** ლექსი მომავალ ქიმიურ ომს B; – C; სამუში მოდის D.

**თარიღი:** 1923 MN; 1924, 25 დეკემბერი F.

C ავტოგრაფში მხოლოდ ლექსის ბოლო სტროფია წარმოდ-  
გენილი. D ავტოგრაფია ნასწორებია. ცალკეული სტრიქონები არ  
იკითხება.

2 იმავე| იმავე\* D] ახალი D. 3 მოლოდინი| სიხარული D; დარეკა-  
ვს| იღვიძებს\* D. 6 აჰ| ჰაი B| ჰა I. 8 გოსპიტალების| ჰოსპიტალების  
CGHIJKLMN| ჰოსპიტალების\* E; ლპობა ჰოსპიტალების| სისხლის  
მდინარეები D. 9 ცრემლის| სისხლის\* B. 10-13 იქ... ქუხილი ~ 14-17  
სტრიქონებად\* B. 10 იქ... ლაბირინტებში| ნუ დაგისხდტება მალღ-  
იდან ფეხი\* D. 14 გიგანტიური| და გიგანტური MN; ტანკი| ტანკა



ABDEFGHIJKL. **15** და შეუწყვეტი შეუწყვეტელი MN. **16** პროექტორებმა პროექტორებმა GHIJKLMN; იგრძნეს იგრძნეს BEGH. **17** ჰაერობის აერობის MN. **18-19** წამოვა... მკაცრი წამოვა მღვრიე ცეცხლის [...]. რა დაუნდობი მოვა D. **20** გადიგრიანებს გადიგლის მძაფრი D. **21** ხევიდან ხევის ხევიდან ხევის\* D. **22** გააფორებული აღელვებული D. **23** ძველი მღვრიე D. **26-29** იქნებ... ტვილისს – HIJ; **26** იქნებ მოსწყინდეს აჰა, მოსწყინდა\* D. **29-30** სტრიქონებს შორის D-ში იკითხება:

მთებზე ნისლებად არის ფენილი და მწუხარება თვითეულ სიმზე, სიზმრები ასე აუხდენელი გამონათება შენი, პირიმზე<sup>1</sup>.  
ათასწლოვანი ადგილებიდან დაიძვრებიან სასახლეები.  
უპიძეს ტაძრებს, მიუვალ კლდეებს მიაქანებენ მძაფრი დღეები.

**29** ტვილისს თბილისს MN. **31** რომელთაც რომელსაც B. **32** ჩვენ ვიცით ჩვენთვის ერთია D; ესლავ ესლავ HIMN] ახლა J. **33** ჟამში ჟამი B. **34-37** დავდგეთ... საქართველოსი]

იმ დროს დუმილში ყოფნა არ არის არც სასახელო, არც სანაქებო.

ჩვენ პოეტები საქართველოსი, ვიქნებით ხალხთან, ამხანაგებო. D

**35** დგას სდგას EG; ანგელოსი ანგელოზი MN. **36** ვსწირავთ ვწირავთ BMN.

**ბოლ კლოდელი** (1868-1955) – ფრანგი პოეტი, დრამატურგი და ესეისტი.

**ფრანსის ჟამში** (1868-1923) – ფრანგი პოეტი-სიმბოლისტი.

**ანდრე სიუარესი** (1868–1948) – ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი.

არსებობს ამ ლექსის ავტოკომენტარი სათაურით „ომის ხანძარი მძვინვარებდა“ (სგ, XVII, გვ. 428).

ნაწარმოების **20-29** სტრიქონები გარკვეული ცვლილებებით გვხვდება ლექსის „\*\*\* ვეფხვი კასპიის პირად“ D ვარიანტში.

იხ. ვარიანტები ლექსისა „\*\*\* ვეფხვი კასპიის პირად“ (აქვე, გვ. 334).

<sup>1</sup> ეს სტრიქონები ვარიანტია ლექსის – „პირიმზეს“ – ბოლო სტროფისა (გვ. 128).

## ლენინი (გვ. 73)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 486 (B); 3363 (C); 3413 (D); 7724 (E); 7725 (F); 283 დ. გვ. 12 (G); 28897-50, გვ. 84 (H).

**ნაბეჭდი:** შ. „მნათობი“, 1925, №1, გვ. 14 (I); თხზულებანი, II, 1935, გვ. 98 (A); ლექსები, 1953, გვ. 12 (J); რჩეული, 1959, გვ. 71 (K).

**სათაური:** წითელი ზამბახი B; – CEFH; ეს არის გუგუნი მთელი ეპოხის I.

**თარიღი:** 1924 AK; 1925, 21 იანვარი H; 1925 I.

2 მღელვარება] მზე ძაღლივით\* B] ყინვა\* B] იანვარი\* BF. 4 უძრავ... მრისხანე] ბინდი ნოქტურნი ივრებს B. 5 სერავენ] სძრავენ IK. 6 დახურულ... გრიგალი] კაფე შანტანის კარს ქარი B] და ჩემი გულის კარს ქარი\* F. 7 მახსოვს... დღეთა] მაგონდებიან F; მახსოვს... ტოლნი] მაგონდებიან ძმანი B. 8 შფოთავს... შფოთავს] და დაუნდობლად ტირის\* B] ტირის, უნდობლად ტირის B. 10 ასეთ] ძველი B] ჩვენი F. 11 მსგავსი] სულს ამ F; მსგავსი... კრთომის] როცა ამქვეყნად დავრჩით ჩვენ ორნი B; დაბურულ კრთომის] სცემს ჟრუანტკელი F. 13 იქ ავლენილი] კვნესდა, საოცრად კვნესდა ვოლტორნი B. 14 ბორბტი] უნდობარ I. 14-15 ლენინი... ანთებულ] ოჰ, ყვაველები ელვარე ტყვიის, დაუნდობელი გზა ორი F. 14-33 ლენინი... ნგრევის] – B. 16 მძაფრი] მწარე\* F; რევოლუციის] რევოლიუციის I. 17 დროშა – ლენინი] – F. 18 დადგენ] ბრძოლის\* F] რკინის F] დადგენ K. 20 და... დროის] მთელი ეპოხის\* F. F-ში „ეპოხის“ გადახაზული არ არის. 21 პროლეტარიატი] – F. ეს... მთელი] სისხლში მოსვრილი დროშა\* F. 22 ეპოქის] ეპოხის HI. 23 ის ეძებს] იერთებს\* F] დაეძებს F. 25 სითბო მარადი] – F. 26 დახარეთ... დროშათ] ამ ხმაში ეძებს F. 27 აქ... გათავდა] ახალ ბრძოლების სასტიკი F. 28 სტოვებს] მოძმე, F] მხოლოდ\* H. 29 გაქრა] იყო F; მოკვდა] იყო F; დევიზზე] კვლავ ისვრის\* H. 30 გათავდა ომი] იყო ომები F. 30-31 სტრიქონებს შორის გადახაზულია: მწარე წამები ვით დააღაგო? 31 მაგრამ... დრო] და გამხნეების ხმა F. „გამხნეების“ ნაცვლად ჯერ იყო „მისტიური“. 32 მსოფლიო ნგრევის] – F.

CD-ში ლექსი ასეა წარმოდგენილი:

მე მახსოვს მასხა ოკტომბრის ხმაზე  
და ორატორი რომ იდგა ასე:

გრიგალი ღრღნიდა ქალაქის ქალას,  
 შემოდგომის დღე ჰკარგავდა ძალას,  
 მაგონდებიან ტოლნი და სწორნი,  
 სადღაც საოცრად სწუხდა ვოლტორნი  
 რომ მიძიმე იყო გზა ცეცხლის, ტყვიის  
 დაუნდობელი გზა ორი ომის  
 და სამი მძაფრი რევოლუციის.  
 აი, ლენინიც: ის იდგა – ასე  
 და მას უსმენდა მღვლევარე მასსა.  
 იგი ამბობდა: ფიქრს გლეხის ქოხის  
 გუგუნს ბრძოლებით სავსე ეპოხის,  
 ქარხნების გუგუნს, ველეების ფერებს,  
 ის იგონებდა დაჩაგრულ ერებს,  
 მარადის ცოცხალ ძალთა მოკრებას  
 ინტერნაციონალურ აბობოქრებას.  
 პასუხად ჰქუხდა მთელი ბანაკი,  
 მართაღს ამბობსო ხომ ამხანაგი,  
 დაე, მოვარდეს ახალი ვადა,  
 იყოს ომები სამოქალაქო  
 მხოლოდ გადარჩეს ერთი ლოზუნგი,  
 უკვდავი სიტყვა: წინ. ამხანაგო!  
 გრიგალი ღრღნიდა ქალაქის ქალას,  
 შემოდგომის დღე ჰკარგავდა ძალას,  
 მაგონდებოდა ტოლნი და სწორნი,  
 რადგან საოცრად ქუხდა ვოლტორნი.

E-ში ლექსი ასეა წარმოდგენილი:

რომ დაიფაროს მზე მღვრიე რომის  
 და ყვავილები ეღვარე ციის.  
 ვინ დაივიწყოს გზა მღვრიე ომის  
 გზა ორი ომის  
 და სამი მძაფრი რევოლუციის.  
 არ დაივიწყო შორი მედღინი –  
 აღმოსავლეთში დაკარგულ ქოხის  
 გზაჯვარედინი –  
 გზაჯვარედინი მთელი ეპოხის.  
 გახედავ მთებში არეულ შქერებს  
 გადუფარება ეღვარე ლუქი  
 დაჩაგრულ ერებს

აღმოსავლეთით ანათებს შუქი.  
 მარჯვნიდან დადგა მთელი ბანაკი  
 მაგრამ აღვიძებს როგორც ნიობისს  
 ის „ამხანაგი“ –  
 სიმბოლო ახალ კაცობრიობის.  
 მარქსი, ენგელსი, მარქსი, ბებელი!  
 მაგრამ ლენინის [...] მკობარი  
 მასწავლებელი –  
 მოძმე, ბელადი და მეგობარი.  
 მახსოვს, სადგურზე 10-წამიანი,  
 ლენინის სიტყვა. [...] ფარდები.  
 ადამიანი.  
 მასსა. მოძრავი მილიარდები.  
 მწარე წამების ახალი ვადა.  
 შიმშილის გრძნობით ვით დააღაგო?  
 იყო ბლოკადა,  
 იყო ომები სამოქალაქო,  
 ვოლგიდან რუსეთს გვაღვა აწვევა  
 და ძვლებიანი, თითებ-ხვეული.  
 კვნესდენ ნაძვები.  
 [...] სამოს-შემოსეული.

**„ლენინი – მსხვერპლი ბოროტი ტყვიის“** – იგულისხმება ესერი ქალის – ფ. კაპლანის თავდასხმა ბოლშევიკების ლიდერზე ლენინზე (1870-1924) – 1918 წლის აგვისტოში.

### \*\*\* ელვარე და ლომფერი (გვ. 74)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 867 (B); 5583 (C); 8591 (D).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 69 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 110 (E); რჩეული, 1944, გვ. 300 (F); რჩეული, 1954, გვ. 186 (G); რჩეული, 1959, გვ. 388 (H).

**სათაური:** 9 სიყვარული B; რიცხვი ცხრა D; ცხრათვალა G.

**თარიღი:** 1915 G.

2, 12 ოქტომბერი] ოქტომბერი EFGHI. 5 ო] ოჰ H;

B-ში ლექსი ასეა წარმოდგენილი:

ცხრა ჩემთვის მზიანია,  
 ელვარე და ლომფერი.  
 როცა მე დავიბადე  
 იყო ცხრა ოკტომბერი.  
 შემდეგ ნაზი დღეები  
 თვალმა ვეღარ დათვალა,  
 დღე ყოველთვის ცხრა იყო,  
 და მზე მუდამ – ცხრათვალა.  
 ოჰ, ტბილო საქართველო!  
 რომ არ გადავაცხარო,  
 ისევ მშვენიერია  
 ცხრა მუხა და ცხრაწყარო.  
 ცხრა არჩევის დღე იყო  
 პოეტების მეფეთა.  
 ცხრას – პირველი გრიგალი  
 გზაზე შემომეფეთა.  
 სიტყვაში: რუსთაველი  
 ცხრა ელვარე ხანია.  
 სახელი: გალაკტიონ –  
 ესეც ცხრა ანბანია.  
 მახსოვს ზამთრის დღეები  
 და სიბნელე გვიანი –  
 როგორ უცებ მშველოდა  
 ისევ ბუბნის ცხრიანი.  
 ოჰ, ოცნებაგ ყრმობისა,  
 ცრემლი იყო დვარული,  
 ცხრა კლდესაც გააღხობდა  
 ჩემი ცხრა სიყვარული.  
 ცხრა ჩემთვის მზიანია  
 ელვარე და ლომფერი  
 როცა მე დავიბადე  
 იყო ცხრა ოკტომბერი.

B-ში 1, 5, 13-16, 18, 21-25, 29-32 სტრიქონები გადახაზულია. ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 10 რომ... გადავაცხარო] სუნთქვა გაუმადლარო\*. 11 ისევ მშვენიერია] შენი სახელებია\*. 15 პოეტს სიტყვა „პირველი“ გადაუხაზავს და იქვე მიუწერია „ცხრა-ში“. 17 „სიტყვაში“ გადახაზულია; რუსთაველი + ხანია. 19 სახელი] სახელიც\*. 20 ესეც] მხოლოდ\*.

C-ში ლექსი ასეა წარმოდგენილი:

ხმა ოკტომბერი – როგორც მთავარი  
ცხრა ანბანიდან მდგარი თავველი  
და **გალაკტიონ** ცხრა ანბანია  
თანაბრად ისე – ვით **რუსთაველი**.  
ისევე ოკტომბერს...

როცა ვიყავი ბავში პატარა  
შემდეგში წლები მომემატა-რა,  
მუდამ, ყოველთვის ვფიქრობდი კარგზე,  
კაპიტალისტთვის მიყვარდა მარქსი,  
ო, მომავალო, სად არ მატარა.

ტექსტი ნასწორებია: **1** როგორც მთავარი] არის ყვაველი\*. **7** შემდეგში... მომემატა-რა] მოგონებებმა სად არ მატარა\*. **8** მუდამ] მაგრამ\*. **9** კაპიტალისტთვის მიყვარდა] მგონი ზეპირად ვიცოდი\*.

D-ში ვკითხულობთ:

ცხრა მთა, ცხრა წყარო და ცხრა ყვაველი  
ცხრა ქართულია და გავს დიონისს.  
ცხრა ანბანია ხმა: **რუსთაველი**.  
ცხრა ანბანია: **გალაკტიონი-ც**.

სიკვდილს გადავრჩი არა ცხრაჯერა  
ცხრაასჯერ მასაც შევებრძოლები.  
დღემდე ვერავინ ვერ დამაჯერა,  
რომ მე მჯობნიან ჩემი ტოლები.

ამ ფრაგმენტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **5** არა] თუმცა\*] მაინც\*.

პოეტის 1924 წლის დღიურში არის ამ ლექსთან დაკავშირებული გაურითმავი ვერსია (სგ, XIII, გვ. 211), აგრეთვე ახლოს მდგომი ტექსტი სათაურით „რიცხვი ცხრა“ – ჩვენი გამოცემის D ვარიანტი (სგ, XIII, გვ. 257). ამის შესაბამისად, ლექსი 1924 წლით დათარიღდა.

ლექსის ანალიზი იხ.: ა. ხინთიბიძე, ლომფერი შემოდგომა (მის წიგნში: „15 ლექსი და ერთი პოემა“, გვ. 72-77).

## მივაშუროთ! (გვ. 75)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 492 (B); 981 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 37 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 62 (D); რჩეული, 1944, გვ. 277 (E); რჩეული, 1959, გვ. 446 (F).

**სათაური:** – BC.

**თარიღი:** 1916 DF.

B-ში ლექსი წარმოდგენილია ათმარცვლედით:

ტკობათა მორევს ვცლიდით თასებით  
ძლიერ წყურვილთა გაათასებით.  
იმ სურვილთაგან ეხლაც აქ არი  
ცეცხლთა გრიგალი და ნიაგარი.  
ვსვათ ამომსკდარი ზღვა დარხეული  
დემონიური, ზამბახეული.

2 ჩანგებს] მორევს C. 3 გახელებათ] გახელებულ C] გახელებით DF. 5 საქართველოსთვის] სიცოცხლის წყარო C. 6-7 ვთქვათ... ქაღები] – C. 8, 10 ვთქვათ] ვსვათ C; ზღვა დარხეული] ზამბახთა თასი\* C. 9 დღის] ტყის C. 10 ვაგონი] გონება D. 11 ჩვენ ვთქვათ] შევსვათ C; ჩვენ... რენტგენი] ვთქვათ, ახალი დრო და ახალი DF; გამონაგონი] გამოგონება D. 12 მაგრამ ისინი] ვთქვათ სადღეგრძელო\* C. 13 მშვენიერნი] შვენიერი C; იყვნენ] იყვენ C; ქაღები + ვსთქვათ სადღეგრძელო C.

C ავტოგრაფში ტექსტის მარცხნივ მიწერილია „ვასილ ალექსო“, მარჯვნივ კი – „ვართ მოძრაობა და მატერია“.

„მივაშუროთ!“ ერთგვარი პოლემიკაა რეპრესირებული უკრაინელი პოეტის ვასილ ალექსოს (1889 – არაუადრეს 1942 წ.) უსათაურო ნაწარმოებთან („К жизни ключам...“), რომელიც რუსულად 1924 წელს ითარგმნა. ამდენად, ლექსი ამავე პერიოდში უნდა იყოს დაწერილი.

როგორც ფორმით, ისე შინაარსით „მივაშუროთ!“ სიხლოვეს ამჟღავნებს გალაკტიონის 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებთან „ო, გადავეშვათ უფიქრებლად“ (გვ. 143).

ლექსის ანალიზი იხ.: ნ. სიხარულიძე, წარსულისა და აწმყოს კოლიზია (გალაკტიონ ტაბიძის „მივაშუროთ!“), გელათის მეცნიერებათა აკადემიის შურნალი, 2015, №5-6, გვ. 18-27.

## ხვალემ იზრუნოს ხვალისა (გვ. 75)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 3 (B); 3434 (C); 5614 (D); 514-დ, გვ. 19 (E).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 35 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 58 (F); რჩეული, 1959, გვ. 442 (G).

**სათაური:** – BC; მწუხარების დროს\* D.

**თარიღი:** 1916 AFG.

**ხელმოწერა:** ივ. ივანიძე\* C; გ. ტ. C.

2-5 ხვალემ... წყალისა] – D. 6, 8 შეხედე] ჰაიდა\* D. 6-9 შეხედე... მიეზიდება] – FG. 14 გულმა... გულისა] ხვალემ იზრუნოს ხვალისა D. 15-16 სტრიქონებს შორის D-ში გადახაზულია:

სისხლი აღის და ლალისა  
დღე დღეა გაბედიოება,  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა,  
გულმა მიიღოს გულისა,  
წყალმა წაიღოს წყალისა.  
ასე არ არის?

C-ში ლექსის განსხვავებული რედაქციაა წარმოდგენილი:

თუ კაცი ქვეყნად კაცია  
მებრძოლი მომავალისა –  
მტერსაც არ უნდა აცალოს  
დახამხამება თვალისა.  
დღეს ბრძოლა არის საჭირო:  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ვაჟკაცი როგორ შეიქნას  
მსგავსი დიაცი ქალისა.  
დაჰკივლოს უნდა გარემოს,  
გამრდევვი მტერთა რკალისა.  
დღეს ბრძოლა არის საჭირო:  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ჩვენ მომდერლები ვიქნებით  
ქარის და ქარიშხალისა



თუ სადღეგრძელო იქნება  
იყოს ეგგენი დვალისა.  
დღეს ბრძოლა არის საჭირო:  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ამ ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 10 სტრიქონის  
შემდეგ გადახაზულია:

ამნაირებმა სიმღერამ  
მე გული გამიხალისა.

14 სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: „ღმერთმა აცოცხლო...“.  
ხელმოწერის შემდეგ იკითხება:

მთვარემ იზრუნოს მთვარის,  
ღამემ იზრუნოს ღამის.  
ხვალემ იზრუნოს ხვალის,  
გულმა იზრუნოს გულის.

ცას სილაჟვარდე ედებოდა ცივი და ნელი,  
და ლურჯდებოდა დედამიწა, როგორც ტაძარი.

შემდეგ შავი კლდე გაიბზარა: ავარდა რაში,  
შავი მირაჟი, შავ ფაფარით – შავი უნაგრიტ,  
შავი თვალებით გაედევნა შავ კამარაში,  
დაუშვით ფარდა, გზა ჩაკეტეთ, ცეცხლი ჩააქრეთ!  
მოახტა მერანს, გაიარა რა შავი შარა,  
აჰა, გამოჩნდა შავთა ზღვათა სხვა დანარჩენი,  
შუა გააპო მან შავი ზღვა და აჩქარა,  
ჩაჰყო მის გულში ღამისფერი ხის ყავარჯენი.  
შემდეგ სიცილით ამოიღო მან შავი გველი  
და შავსა ცაზე გააწვინა, ვით ბნელი ცქერა,  
იყო დუმილი ქვეყანაზე ცივი და ძველი;  
ეს იყო მხოლოდ მოჩვენება და ეფემერა.

ეს ტექსტი ნასწორებია, შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **3** ლურჯი რიურაჟი] როგორც მირაჟი\*; მინანქრით] შაქრით\*. **13** კლდე + შუა\*. **20** შავთა ზღვათა] შავი ზღვები\*. **22** ვით... ცქერა] უზარმაზარი\*.

ავტოგრაფები 4245 და 4192 ერთი მთლიანი ხელნაწერის ორი ნაწილია. პირველ მათგანში წარმოდგენილია ძირითადი ტექსტის ვა-

რიანტი და მომდევნო ფრაგმენტი („შემდეგ გაიპო ცისფერი კლდე“), ხოლო მეორეში – ტექსტის დასასრული („შემდეგ შავი კლდე“).

დადგენილია ლექსის კავშირი შელოცვის ჟანრის კონკრეტულ ტექსტთან (გ. ახვლედიანი, გალაკტიონი და ხალხური შემოქმედება, გვ. 20-21; ვ. ჯავახიძე, უცნობი, გვ. 731-732).

### ბალავიარეთ მრისხანე ზღვები (გვ. 151)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4089 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 116 (A); ლექსები, 1927, გვ. 500 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 353 (D),

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1916 D.

B-ში ლექსის დასაწყისში იკითხება:

ჰეი, ჰეი ჭრელთვალა,  
ჰეი, ჰეი ჭრელქუდა,  
ჰეი, ჰეი ჭრელთვალა,  
შენ გენაცვალე მუდამ.

ამის შემდეგ B-ში გადახაზულია:

გათენდა.  
მგონია ეს ქაშვეთია...

2 მტევნები... აღუბლებით] მზის აღუბლებით საგსე მტევნები AB. 3 გულში] სულში B. 5 და... მახარებს] მახარებს იგი მარად და B. 6 გადავიარეთ მრისხანე] გადაიარეთ, ცხენებო B. 7 ქარიშხლის] ქარიშხლისა B. 9-ე სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება:

ჰეი, ჰეი ჭრელთვალა,  
ჰეი, ჰეი ჭრელთვალა.

12 პალმა] ჩაღმა B. 13-ე სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

მზეო, აღერსად არ დაელიო  
მადალ დონეზე წითელბატონებს,  
სად ვერონეზე და კაელიო  
მიძინებისთვის რთავენ მადონებს.



**ბრიბალს, ძარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ (გვ. 152)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50, გვ. 159 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 116 (A); ლექსე-  
ბი, 1927, გვ. 498 (C).

**შემოღობის ყვაწილები (გვ. 152)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 6430 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 117 (A); ლექსე-  
ბი, 1927, გვ. 250 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 317 (D); რჩეული, 1944,  
გვ. 390 (E); რჩეული, 1959, გვ. 505 (F).

**სათაური:** – B.

**თარიღი:** 1916 DF.

2 წუხდა ქარივით ქარივით წუხდა AB] ნისლივით რეტი\* B; წუხ-  
და] სწუხდა F. 2 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია: ყველაზე  
მეტად მესმოდა ტაში; ამის შემდეგ კი იკითხება: „ამიტომ (?) ქუხდა  
ქაოსის ტაში“. 3 ამ] მჯეროდა B; იყო] – B. 4 დაუნა და] მრავალი\*  
B; მოქონდათ] მოქონდათ B. 4 სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება:  
„დაბურულ თვალებს მოქონდათ კვდომა“. 5 შემოდგომა... ვარდი] [...]  
ნდომა! მახსოვდა მხოლოდ\* B] ოჰ შემოდგომა, ოჰ, შემოდგომა\* B]  
ოჰ, შემოდგომა B. 6-9 მე... გადავისროლო]:

ისტორიული მიაქვთ ავიშა,  
ტალახად, ქვიშად გადიქცა გული.  
წვიმა ორგული, და ქარი შორით.  
მსუბუქ რესსორით მქროლავი ეტლი.  
ჰაერი ნედლი. სუნნელი ნაზი  
და შენს სუნთქვაზე დაღლილი სმენა  
რაც ჩაასვენა კუბოში დრომა.  
ოჰ, შემოდგომა... B

ამ ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1 მიაქვთ]  
მახსოვს\*. 2 ტალახად... გადიქცა] გადიქცა ქვიშად ქალაქის (?)\*. 8  
შემოდგომა + ოჰ, შემოდგომა\*.

## ბალახები (გვ. 152)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4057 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 117 (A); ლექსები, 1927, გვ. 51 (C); რჩეული, 1944, გვ. 286 (D).

B-ში ტექსტის დასაწყისში იკითხება:

როგორც ვერსალის ბადის ნისლის და კიდეების  
სულ სხვა ნაირად ირხეოდნენ რტოები წინად.  
ბილიკებს ერტყან სიხარული ორხიდეები  
და ლავანდები ქანაობდენ იავნანინად.  
ესლა სულ სხვაა. წინაპარნი ერთგულნი ოდეს  
ადარ არიან... თითქო შქერი ადარ ყვაოდეს.  
სძინავთ ერთგულებს სამარეში, ცივს სამარეში.  
წენარ გაზაფხულის მშვიდ საღამოს მზე აოქროვებს.

B-ში მეზუთე სტრიქონის შემდეგ იკითხება:

მე მეზმანება უკურნელი სული სნეულთა...  
ჩემო სამშობლო... ვაზი გახმა... გაგარეულდა.  
ვაზები გახმა. ადარ მოაქვს ნაყოფი ხეხილს,  
გადაუვლია აქაც ქარტეხილს  
ვერ ვხედავ ცოცხლებს, ვერც ბილიკებს უცხოდ დაგრეხილს,  
მხოლოდ ვაშლები, მუხები და ცაცხვის ხეები  
რაც ბერდებიან, ემატებათ ორბის სიახლე  
და ყველა ამას მოწყენილი თაფზე დაცქერის  
ჩემთა ბედნიერ წინაპართა ძველი სასახლე.  
დაღღვით ხეზე მიწოლილა მოხუცი რაში,  
ბრმა ქიმერები მიიშვერენ ეშვებს და დინგებს,  
განათდა, მთვარე საიდუმლოდ ჩასული ჭაში  
განცვიფრებული უყურადებს მიმაღულ ჭინკებს.

სგ-ში მითითებული ავტოგრაფი (4057), რომელიც აერთიანებს ლექსებს „ბალახები“, „მთვარე ჭაში“ და „მუხები“, ლიტერატურის მუზეუმის გალაკტიონის ფონდში არ მოიძებნა. ხელნაწერის ტექსტს ვიმოწმებთ სგ-დან (წ. III, გვ. 391).

### მთვარე ზაზი (გვ. 153)

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 117 (A); ლექსები, 1927, გვ. 54 (B); თხზულებანი, I, 1937, გვ. 87 (C); რჩეული, 1944, გვ. 292 (D); რჩეული, 1959, გვ. 352 (E).

იხ. კომენტარი ლექსისა „ბაღახები“ (გვ. 490).

### მუხეზი (გვ. 153)

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 117 (A); ლექსები, 1927, გვ. 51 (B); რჩეული, 1944, გვ. 290 (C).

იხ. კომენტარი ლექსისა „ბაღახები“ (გვ. 490).

### ძაჯეზი, ალეზი, ჭინკეზი და სხვ. (გვ. 153)

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 117 (A); ლექსები, 1927, გვ. 53 (B).

**სათაური:** ქაჯეზი, ალეზი, ჭინკეზი B.

2 გაქრა] გაპქრა B. 11 დაქრიან] დაპქრიან B.

**ფეშტამალი** – წინსაფარი.

**გაპქრა შაბაში** – იგულისხმება ე.წ. კუდიანთა შაბათობა.

### ცხორება ჩეზი (გვ. 154)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 4249 (B); 4309 (C).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 118 (A); ლექსები, 1927, გვ. 41 (D); რჩეული, 1944, გვ. 283 (E); რჩეული, 1953, გვ. 108 (F); რჩეული, 1959, გვ. 20 (G).

**სათაური:** – BC.

**თარიღი:** 13 თებერვალი. 1922 B.

C ავტოგრაფის ტექსტი მთლიანად გადახაზულია. B ავტოგრაფი მიღებულია C-ში შეტანილი ცვლილებების შედეგად. ნასწორებია თვითონ B ვარიანტიც.

2 ცხოვრება ჩემი] ცხოვრება ჩემი\* B] ეს ოკტომბერი\* B] თვე ვარდებისა B; ჩემი] ჩვენი\* C. 5 უკვდავებაც] ყველაფერიც\* C.

5-ე სტრიქონის შემდეგ BC-ში იკითხება:

იცოდეთ ძმებო: მე არავის წინ თავს არ ვიდრეკ,  
მე არ გიღიმიოთ თქვენ პიგმეებს: გზაა, მტვერია.  
ჩემგვარად, ვიცი, არც ერთ თქვენგანს არ უმღერია...  
გაფლანგულია უღვეველი ჩემი სიმდიდრე. B

ყველამ იცოდეს: მე არავის წინ თავს არ ვიდრეკ,  
მე არ გუღიმიო იმ პიგმეებს, რაც კი მტვერია.  
მე ვმღერი ისე, ვით არავის არ უმღერია,  
ასსონანსია სათაყვანო ჩემი სიმდიდრე.  
გზა დამიცადე! უსარგებლო ცრემლების დენა,  
უბრალო ყეფა [...] რომ [...]  
სასაცილოა პოეტისთვის ჩემო ფინია. C

თავის მხრივ, ნასწორებია ტექსტის ეს მონაკვეთებიც: B ვარიანტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1 იცოდეთ ძმებო] იცოდეს ყველამ\*. 2 გიღიმიოთ თქვენ] გიღიმი არც\*; გზაა] ბზეა\*. 3 ჩემგვარად... თქვენგანს] მე ვმღერი ისე ვით არავის\*. 4 გაფლანგულია უღვეველი] ასსონანსია სათაყვანო\*. C ვარიანტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1 ყველამ... მე] მე არ ვოცნებობ და\*. 2 მე... პიგმეებს] არ ღირს ღიმილად პიგმეების\*. 4 ასსონანსია] ჩემი მზე არის\*.

6 თეთრი დღეების] მე აქ მოვედი\* B] საქართველოში\* 2 C] მე აქ მოვედი C; ისევ ისე] მეგობრებო\* B] მაინც ისევ B] მე მოვედი C; მიმყვება დასი] უცნობი, ნაზი\* BC; მიმყვება] მიყვება DEF] მიჰყვება G. 7 ავსწიო] ავწიო BDEFG. 8 რომელთაც] რომელიც AD; მხოლოდ] ცეცხლის\* BC] კოლოს B. 8-9 სტრიქონებს შორის BC-ში გადახაზულია:

და შურიანი პოეტების გაბზული ყეფა,  
დღე ისმოდეს: რისთვისაა პოეტი მეფე  
უფრო ხმამაღლა დაიბახონ! არ მეშინია!

ნასწორებია ტექსტის ეს მონაკვეთიც – B-ში სტრიქონები გადახაზულია. B და C ვარიანტებში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი: **1** გაბმული] მარადი C] მარადი\* B. **2** დეე ისმოდეს] ისმოდეს მარად\*. C-ში გადახაზულია ამ სტრიქონის ვარიანტი: ატყდეს ყოველთვის სად სიტყვაა პოეტი – მეფე; ხოლო B-ში ამავე სტრიქონთან მიწერილია: მე თქვენი ვარ მაღალი მეფე. **3** დაიძახონ] პოეტებო\* C] აყიყინდნენ\* C.

**9** მე... წარსულის] ჩემს მაღალ წარსულს B]; არც... მეშინია] ვიგონებ და არ მეშინია\* B] თქვენი ყვევის არ ეშინია B.

### აუქმარა ცხენმა ბზაში (გვ. 155)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 3543 (B).

**ნაბეჭდი:** ქ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 118 (A); ლექსები, 1927, გვ. 102 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 149 (D); რჩეული, 1944, გვ. 316 (E); რჩეული, 1959, გვ. 462 (F).

**სათაური:** წარწერა ედგარის წიგნზე B; შეჩერებული მონუმენტი D.

B-ში ლექსი ასე იწყება:

მზის ისრით და მთვარის ნამით  
მოდარაჯე წამის წამით.  
მონასტრებით და აკლდამით,  
იქ, სადაც ქარს უცდის გემი  
მივდიოდი ერთხელ ღამით  
და მერანი სწუხდა ჩემი.

იქ სადაც გზა იყო შენი  
გაგაქანე ლურჯა ცხენი,  
მაგრამ თითქო მოსაწყენი  
იგრძნო სევდა და იარა,  
გადიარა ზღვა და ტყენი  
და ნანგრევთან გაიარა.

ეს მონაკვეთი ნასწორებია. მასში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: **1** მზის... მთვარის] ველი ფეთქდა მზით და\*. **3** მონასტრებით]

ბნელი გზებით\*. 4 ქარს] მგზავრს\*. 6 „მერანი“ გადახაზულია, მიწერილია „ოცნება“. 8 „გავაქანე ლურჯა“ გადახაზულია, მიწერილია „გააშურე თეთრი“. 11 გადიარა] მოსწყდა სიერცეს\*; ზღვა] მთა\*. 12 ნანგრევთან] წარსულთან\*.

B ვარიანტის დანარჩენი ორი სტროფის მიმართება A-სთან ნაჩვენებია ქვემოთ:

2 გზაში] მთაში\* B. 3 ქიმერებმა დაჰკრეს] როგორც შორი ხმა და\* B] ქიმერების ატყდა B. 4 დაიკივლა ელვამ] გაისმოდა ქარი\* B. 5 და... შეაჯერა]

რიდების იყო სროლა.  
და მიჰქროდა მძაფრი რაში  
და სასტიკი იყო ქროლა. B

ეს სტრიქონებიც ნასწორებია: 1 იყო] მძაფრი\*. 2 მძაფრი] ჩემი\*. 3 სასტიკი იყო] მათრობდა მისი\*.

6 აჰა] თითქო\* B; დაათავე] დავათავე\* B] დაათავე B] დაათავა CDEF. 7 ნაპოვნია... სათავე]

სადაც სული მოსადავე,  
იყო სული და სათავე  
იქ სამშობლო და საჩერე B.

8 დაუჭირე] დაუჭირე B; რაშს] ცხენს\* B] დაუჭირა CDEF. ხე-დავთ] და ის\* B] და ამაო\* B] მაგრამ B; იგი] ვეღარ B; შეაჩერე] შეეაჩერე\* B] შეაჩერა! CDEF.

ავტოგრაფზე, მარცხნივ მინაწერია:

ათჯერ რვეულს ანთებული  
ვში და ვხურავ... ოჰ, რა მწარედ  
მტკივა გული.

**ქიმერა** – ფანტასტიური არსება, ურჩხული; ფანტაზია, განუხორციელებელი ოცნება.

## ზამთრის მოტივებიდან (გვ. 155)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4056 (B).

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 118 (A); ლექსები, 1927, გვ. 137 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 68 (D); რჩეული, 1944, გვ. 327 (E).

**სათაური:** – B.

2 კვლავ მოდის] მას დააქვს B. 3 უთეთრესი] ცისფერიერ B. 6 უთეთრესს] უთეთრეს B. 8 ახალი] ოქროს(?) B; ყვავილების] ყვავილებით B; ცეცხლთა] სულის B. B-ში ლექსს ბოლოში ემატება:

ქვეყნად არ მოვა დაკარგულთა  
ფერთა ხსენება  
მათი ოსანა, მათი ნანა  
ქვეყნად არ არის –  
ამაოდ თვალი ფერით მათით  
დამეხსენება –  
რომ მოიგონოს დაკარგული  
ფერი კამარის.

5-ე სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა „თვალი“ იყო „მრავალი“.

## წიწამურში რომ მოკლეს ილია (გვ. 156)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 117 (B); 3545 (C); 3952 (D); 4299 (E);

**ნაბეჭდი:** ჟ. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 118 (A); ლექსები, 1927, გვ. 94 (F); თხზულებანი, I, 1937, გვ.137 (G); რჩეული, 1944, გვ.310 (H); რჩეული, 1959, გვ. 462 (I).

**სათაური:** – BCE; ანალოგიები D.

1, 2 მოკლეს] მოჰკლეს BG. 2-13 წიწამურში... დიდება] – E. 3 ეპოსა] ეპოქა FGHI. 6 მოქონდათ] მოჰქონდათ BFGHI; წინად] ნანად B] წინათ GHI. 8 ოხრავენ] ოხრავდნენ B. 12-13 სტრიქონები ~ 10-11 სტრიქონებად B-ში. 14 დადგა... ღანდი] მშვიდობით, ზღვაო შენ როგორც სჩანდი\* E; რვა] ცხრა B. 15 ჩემთვის] დროსთვის B; სიზმრებში] ბინდებში E. 16 ახალი] მოვიდა B] მოვიდა\* E] რომ მოდის

E. 17 და... წიგნის] ახალი მინდა ვპოვო\* E] და კრეისერად დადგა\* E; ხანა] ეპოსა\* E.

C ვარიანტში ლექსის მხოლოდ 2-5 სტრიქონებია წარმოდგენილი. ტექსტის ნაწილი არ იკითხება:

იყო ზაფხული და ცხრაას შვიდი  
წიწამურთან შეაკლეს [...] ილია  
[...]  
პიროვნებასთან ჩასვენდა მშვიდი  
ხანა: წალკოტი და იდილია.  
დრომ შესვენება არც იქ იცოდა  
არც იქ იცოდა, არც აქ არ იცის.

5-ე სტრიქონში შეტანილია შემდეგი ცვლილება: ხანა: წალკოტი] აღფრთოვანება\*.

D-ში ლექსი ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

### ანალოგიები

წიწამურში რომ მოჰკლეს ილია  
ამით ეპოქა გათავდა დიდი.  
გზა რეალური და იდილია.

ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი  
პირველად ჩემი გამოჩნდა ქნარი,  
ყრუ მე და ღამით გამონასყიდი.

აყუფდენ მტრები. ტიროდა ზარი.  
რამდენი მტრობა, გესლი, ღამურა.  
საშველი ჩემი მათგან არ არი.

ჯვარზე გაკრული ვიყო ურია,  
რომ რუსთველიდან ჩემამდე მხოლოდ  
ჯვარის გრძნობა და წიწამურია.

ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 4 გზა] გაქრა\*. 12 რომ... ჩემამდე] რუსთაველიდან თუ ამ\*.



პოეტის 1921 წლის დღიურში არსებობს ლექსთან დაკავშირებული საყურადღებო ჩანაწერი (სგ, XIII, გვ. 47).

ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა (1907) და საკუთარი დებიუტი პოეტურ ასპარეზზე (1908) გალაკტიონს მიაჩნდა ძველი, დიდი ეპოქის – XIX საუკუნის დასასრულად და ახალი ეპოქის – XX საუკუნის ნამდვილ დასაწყისად.

თთ-ში ლექსის დაწერის თარიღად, ავტოგრაფის (3992) დამოწმებით, მითითებულია „1920 წ. 1. II“, რეალურად კი ამ ავტოგრაფს თარიღი არა აქვს. პოეტის 1921 წლის მარტის დღიურში არის ჩვენთვის საინტერესო ლექსის ორი მონაკვეთი, რომლებიც ტექსტზე მუშაობის საწყის ეტაპს ასახავს და ტექსტოლოგიურად რთული აღსაწერია (სგ, XIII, გვ. 42). ამ ფაქტზე დაყრდნობით, ლექსი 1921 წლით დათარიღდა.

ლექსის შესახებ იხ.: რ. ჩხეიძე, კომიკოსი ტრაგედიაში, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 2012, გვ. 124-131.

**პასტორალი** – ბუნების წიაღში მშვიდი, იდილიური ცხოვრების ამსახველი ჟანრი ლიტერატურაში.

„Crane aux fleurs“ – „თავის ქალა ყვავილებით“, საწყისი სიტყვები გ. ტაბიძის მეორე კრებულის სათაურისა.

## აბერა! აჰანდე! დასასრული! (გვ. 156)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4060 (B).

**ნაბეჭდი:** ე. „მნათობი“, 1925, №10, ოქტომბერი, გვ. 119 (A); ლექსები, 1927, გვ. 57 (C); თხზულებანი, I, 1937, გვ. 93 (D); რჩეული, 1944, გვ. 292 (E); რჩეული, 1959, გვ. 386 (F).

**სათაური:** აგერა! აჰანდე! CDEF; – B.

2 აგერა! აჰანდე] ნაეკლესიარი\* B; აჰანდე + ნაეკლესიარი B. 3 დასასვენებელ... თავგადაკლული] თავგადაკლული ეძებს დასასვენებელ კუთხეს B. 4 შეიჭრას... შეანგრიოს] შეანგრიოს და შიგ შეიჭრას B. 4-5 სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია: თვალის მომჭრელი ზოლი. 5 თითისტარი + შესცეცებია (გაოცებით შეცქერის)\* B; ნაკვერცხლებმა] ნაკვერცხლებმა\* B] ნაკვერჩხლებმა B. 5-6 სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია: წაგვარა. ერთი მუჭა მტკვერი. 6-7 დაილოცა... აჰანდე] – C. 7 ქალაქი] – B; აგერა! აჰანდე] – B. 8

გრიანებს] გრიანება\* B; ისმის სიმღერა] სიმღერა ყარაბაღული.  
შემოსახეს ჩარგი\* B] – B. 11 ჰყავდეს] ყავდეს B.

B-ში ლექსს ბოლოში ემატება:

ჭიქების წკრიალი. ისმის ქარის ზუზუნი.  
ლურჯი, ღამაზი თვალები აგონდება გულს.

ამ ფრაგმენტის 2-ე სტრიქონში „აგონდება“ ნაცვლად იყო „შე-  
ყურება“.

## ლექსები

### დაწერილი 1921-1926 წლებს შორის

ამ განყოფილებაში შევიდა პოეტის მიერ ე. წ. ზარნიშიან წიგნში (1927) პირველად გამოქვეყნებული, თარიღის გარეშე დატოვებული, აგრეთვე ის თარიღიანი ლექსები, რომლებშიც აშკარაა ავტორისეული ქრონოლოგიური მისტიფიკაცია. ეს ნაწარმებები, ზოგადად, თავსდება ფართო დროით ლოკალში – 1921-1926 წლამდე. უშუალოდ ტექსტებთან, გასაგები მიზეზის გამო, ამ თარიღს აღარ მივუთითებთ.

### საღამო (გვ. 159)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 11 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 16 (B); რჩეული, 1944, გვ. 255 (C); რჩეული, 1959, გვ. 427 (D).

**თარიღი:** 1916 ABD.

2 ეხლა] ახლა BCD. 6 იდუმალათ] იდუმალად BCD. 8 მხოლოდ] ეხლა BC] ახლა D. 12, 13 ეხლა] ახლა D. 14 დაგიგდებთ] გიგდებთ C. 15 დაგიგდებთ] გიგდებდი C.

ლექსი მჭიდროდ უკავშირდება პროზაულ ესკიზს „მიმავალი საქართველო“ (სგ, XXIII, გვ. 435-436). ვ. ჯავახიძის მართებული დასკვნით, ესკიზიც და ლექსიც დაწერილია ოციანი წლების დასაწყისში (იხ.: „უცნობი“, გვ. 655).

ლექსის ანალიზი იხ.: ი. კენჭოშვილი, „ღამე ყაბახზედ“ და გალაკტიონის „საღამო“, კრ. „გალაკტიონოლოგია“, VI, გვ. 73-76.

### **ძრონიკა ერთი ღღის (გვ. 159)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 12 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 18 (B); რჩეული, 1944, გვ. 259 (C); რჩეული, 1959, გვ. 428 (D).  
**თარიღი:** 1916 BD

11 უდაბურება] უბედურება D. 12 გაყვა] გაჰყვა BD.

### **\*\*\*ღღუს მაისი უმრში ნაირ-ნაირშია (გვ. 160)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 409 (B).  
**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 13 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 22 (C); რჩეული, 1944, გვ. 264 (D); რჩეული, 1959, გვ. 430 (E).  
**თარიღი:** 1916 CE.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია:

და როგორც ქრისტემ გალილეა  
მე ავირჩიე ტფილისი.

2 შეფერი] შეჰფერი E. 3 და ვით] როგორც\* B. 4 ტფილისი] თბილისი CE. 4-ე სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება:

გზად მივდივარ უხმოდ და უქოლგოთა  
შხამსაც შევსვამ შენგნით მოწვდილ სასმითა.

5 მაგრამ... ხვდა] როგორც ქრისტემ აირჩია\* B; გოლგოთა... წილა-  
და] წილადა ხვდა გოლგოთა B. 6 მთაწმიდა] მთაწმინდა CE. 7 სჩანს]  
ჩანს CE; მანდილათა] მანდილადა CE. 7-8 მანდილი... სასმითა] – B.

**გალილეა** – ისტორიული ოლქი ისრაელის ჩრდილოეთში, იესო ქრისტეს მშობლიური კუთხე.

**გოლგოთა** – გორაკი იერუსალიმის მახლობლად, სადაც ჯვარს აცვეს მაცხოვარი.

**\*\*\* როცა დაეცა უური ბინდისა (გვ. 160)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 475 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 14 (A); რჩეული, 1944, გვ. 263 (C).

1 როცა დაეცა] რომ მახარებდეს\* B. 3 ამართულიყო ის] დამასაფლავეთ მე\* B. 4 სიკვდილის] აკაკის\* B. 4 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია: „იქიდან, ღამით“. 6 ველათ] ველად B. 7 უღვეველი] უკეთესი B. 8 მთესველათ] მთესველად B.

ნაწარმოების 5-8 სტრიქონები იმეორებს მეოთხე სტროფს ვ. ბრიუსოვის ლექსისა „ბალმონტს“, რომელიც გალაკტიონმა, სავარაუდოდ, 20-იან წლებში თარგმნა (სგ, VIII, გვ. 651).

**აკაკის ხე მთაწმინდაზე (გვ. 160)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 16 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 27 (B); რჩეული, 1944, გვ. 264 (C); რჩეული, 1959, გვ. 434 (D).

**თარიღი:** 1916 BD.

**\*\*\* სღბას ხეივანი (გვ. 161)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 18 (A); რჩეული, 1944, გვ. 263 (B).

**თარიღი:** 1919 A.

**ახალი მზე (გვ. 161)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 408 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 19 (A); რჩეული, 1944, გვ. 261 (C).

2 ვარდით] ვარდზე B. 4 ნათელზე ვოცნებობდი] ნანგრევებს ვიგონებდი\* B. 4 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

სად ირემზე ფიქრობ, როგორც ირემზე  
სად ოცნება [...]  
სად ანათებს მხურვალება – ხშირი მზე,  
შენი ნაზი განათება პირიმზე.

ამ ფრაგმენტის მეოთხე სტრიქონში „განათება“ გადახაზულია და მიწერილია „პოეზია“.

5 სადაც... ლოდები] სად ელლადის მოვა [...] ტოლი\* B. 6 მო-  
ჰფინოს... დაფნების] მიფინოს ტაძრის დაფნის B. 9 სტრიქონი – B.  
8-9 სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია:

სურნელება ექსოვება ნიავებს  
და ოცნება იით მოაიავებს  
სიავის ქარს, შხამით ნალოლიავებს.

გადახაზული ფრაგმენტი დაკავშირებულია დასაწყის სტრიქო-  
ნებთან ლექსისა „დაფნა“ (გვ. 188)

**ნიმფა** (ნიმფები) – ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ქალღმერთები,  
რომლებიც ბუნების ამა თუ იმ ძალას განასახიერებენ.

**ასფოდელი** – ასფოდელოსი, ყვავილი, რომელიც, ძველი ბერ-  
ძნების წარმოდგენით, იზრდებოდა მიწისქვეშა სამეფოში – ჰადესში.  
მოხსენიებულია ჰომეროსის „ოდისეაში“.

### იშლებიან მანები (გვ. 162)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 20 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 32  
(B); რჩეული, 1944, გვ. 226 (C); რჩეული, 1959, გვ. 353 (D).

11 მიყვება] მიჰყვება D.

### აი, რა მზის სიზმარია (გვ. 162)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 1427 (B); 1482 (C); 1918 (D); 6343 (E);  
6878 (F); 7701 (G).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 20 (A); რჩეული, 1944, გვ. 261 (H);  
რჩეული, 1959, გვ. 356 (I).

**სათაური:** პოლინდრომი C; ივერიადა F; – BDEG.

**თარიღი:** 1927 B.

3 აირვეი] აირვეა E; ივერია] ივერიარია F.

BFG-ში სტრიქონები ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი:  
2-5-4-3.

B-ში ტექსტს ემატება:

აღის დავა, ავად სილა  
აი, რად: დრო ორდარია  
ოდნავ ისევ ისე ვანდო?  
აი, რა მზის სიზმარია!

ამ ავტოგრაფში ორივე სტროფი გადახაზულია, თარიღის შემდეგ კი ეს სტრიქონებია მიწერილი:

სილა დავა – ჰავად დაღის  
აი რად: დრო ორდარია.  
ოდნავ ისევ ისე ვანდო?  
აი რა მზის სიზმარია.

C-ში სტრიქონების თანამიმდევრობა ამგვარია: 2-4-5-3. ძირითად ტექსტს აქ ემატება:

იმან ველად დაღვევ ნამი  
სათუთ ესვას სავსე თუთას  
არა, არა მაკამ არა სიმძიმეს  
არა მაკამარა, არა.

სათაურის მარჯვნივ C-ში მიწერილია: „აი რა მზის სიზმარია. ზმა“.

F-ში სათაურით „ივერიადა“ პოეტს ძირითადი ტექსტისთვის ახალი პალინდრომული სტროფის მიმატება გადაუწყვეტია, თუმცა განზრახვა პირველივე სტრიქონზე („სარკე რამე არ ეკრას“) მიუტოვებია, ავტოგრაფში არის პალინდრომულ სიტყვათა ძიების კვალი, თუმცა მისი ტექსტოლოგიური ასახვა შეუძლებელია.

ლექსი დაწერილია პალინდრომის ფორმით – ტექსტი მარცხნიდან მარჯვნივ და პირუკუ ერთნაირად იკითხება.

**სოლომონ აშორდია** – ცნობილი ავანტიურისტი XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

## მთა (გვ. 162)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 20.

თთ-ში, გაურკვეველი მიზეზით, ტექსტი 1917 წლით არის დათარიღებული. ლექსის მეშვიდე-მეცხრე ტაეპები („როგორც გველის სლიანი.../ მიდის დღე ნისლიანი“) გვხვდება პოეტის 20-იანი წლების დღიურში და, შესაბამისად, ლექსიც ოცდანი წლების უნდა იყოს.

ნაწარმოების 6-9 სტრიქონების ვარიანტი გვხვდება „მწარე იავნანას“ ავტოგრაფში. იხ. ვარიანტები ლექსისა „მწარე იავნანა“ (გვ. 564).

## ზღაპრებიდან (გვ. 163)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 21 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 35 (B); რჩეული, 1944, გვ. 267 (C); რჩეული, 1959, გვ. 376 (D).

**თარიღი:** 1915 BD.

4 ფერდათ] ფერდად D. 10 სდგას] დგას BD. მწფოთარე] მწფოთ-ვარე D. 16 განათლდება] განათდება BD. 46 ზოლო] ზოლი D. 50-51 სნეული... ვერხვი] – B.

ლექსი ყურადღებას იქცევს მითოლოგიური და ფოლკლორული მოტივების შემოტანით.

## ომნიბუსით (გვ. 164)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 28 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 47 (B); რჩეული, 1944, გვ. 272 (C); რჩეული, 1959, გვ. 436 (D).

**თარიღი:** 1916 ABCD.

6 ტვენით] მტვენით D. 14 ქრიან] ჰქრიან D.

**ომნიბუსი** – ცხენებშებმული მრავალადგილიანი ოთხთვალა ეტლი, რომელსაც გარკვეული მარშრუტით გადაჰყავდა მგზავრები.

**შარაგზა და გადაღმა** – გალაკტიონი: „ჩვენს ადგილს ერქვა ჯერ ეზო (სახლიდან მოშორებით), მერე შარა, შემდეგ გადაღმა“ (ფ. ნიშნიანიძე, გალაკტიონის ცხოვრებიდან, თბ., 1964, გვ. 20).

**მეფის ჭალა** – ჭალა რიონის გაღმა ნაპირზე, ჭყვიშში.

ლექსთან დაკავშირებით იხ. ჩანაწერი „გზა ავტომობილით“ (სგ, XXI, გვ. 220). ჭყვიშისადმი მიძღვნილი ლექსების შესახებ იხ. ნ. ტაბიძე, პოეტი და მშობლიური გარემო (მის წიგნში: წერილები, თბ., 1978, გვ. 51-70).

### **ჭარხალი (გვ. 165)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 29 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 49 (B); რჩეული, 1944, გვ. 271 (C); რჩეული, 1959, გვ. 437 (D).

**თარიღი:** 1916 A.

**3** ყვარდა] ჰყვარდა D. **4** სცურავდა] ცურავდა D. **12** მოყვება] მოჰყვება BD. **13** ჰკივის] კივის BD.

ლექსში უხვდაა გამოყენებული დიალექტური ფორმები:

**ბაო** – მოლი ეზოში; **ბობრი** – ქერა. **ჟოლა** – თუთის ხე; **ბირკვილი** – აივნის რიკული; **მოაჯირი**; **ბობორიკა** – ობობა; **ჟვერი** – ეკალ-ბარდის ბუჩქნარი; **ჟალტამი** – გაუკალი ბალახ-ბუღახი.

ლექსის უცნობი ვერსია იხ.: ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, გვ. 104-105.

ზოგი მკვლევარი ნაწარმოებს ფუტურისტულ ტრადიციას უკავშირებს (მ. კვესელავა, ი. კენჭოშვილი). ტექსტის ანალიზი იხ.: თ. დოიაშვილი, ლექსის ეფონია, თბ., 1981, გვ. 113-115).

### **წერილი სოფლიდან (გვ. 166)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 30 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 50 (B); რჩეული, 1944, გვ. 274 (C); რჩეული, 1959, გვ. 383 (D).

**თარიღი:** 1915 ABCD.

**2-3** მომინდა... რუტინა] – BD. **5, 11** მეღანქოლია] მეღანხოლია AC. **6** ჰქრება] ქრება D. **10** დარდათ] დარდად BD.



## მოდის ჯალეზის სული მცურავი (გვ. 167)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 34 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 56 (B); რჩეული, 1944, გვ. 279 (C); რჩეული, 1959, გვ. 441 (D).

**თარიღი:** 1916 ABD.

19 ჭალეზის] ქალეზის D. 21 მოუახლოვდა] მიუახლოვდა ABC.

ეს ლექსი, ისე როგორც „ომნიბუსით“ და „ჭარხალი“, დაკავშირებულია ბავშვობის მოგონებასთან. იხ. კომენტარი ლექსისა „ომნიბუსით“ (გვ. 504).

## ყვარული და ღვიძლი (გვ. 167)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 36 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 59 (B); რჩეული, 1959, გვ. 443 (C).

**თარიღი:** 1916 BC.

3 წყარო] წყაროვ BC. 6 მშვიდათ] მშვიდად BC.

ამ ლექსის შესახებ რ. თვარაძე წერს: „ეს არის ერთადერთი შემთხვევა, ერთადერთი გამონაკლისი გალაკტიონ ტაბიძის მთელ პოეზიაში, როდესაც მან... ხარკი მოუხადა თბილისელი კინტოს გულისამრევ, მართლაც შანთით ამოსაწვავ კულტს, რომელიც იმხანად ჯერაც ბოგინობდა ჩვენი მწერლობის მდარე ფენებში („ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა“, თბ., 2001, გვ. 149-150). განსხვავებული აზრისაა ი. კენჭოშვილი: „ამ ტიპაჟის ბოჰემური „ცხოვრების ფილოსოფია“, „ქეიფი, როგორც არტისტიზმი“ (გრ. რობაქიძე) კონსტრუქციულ ელემენტად შემოდის გ. ტაბიძის ლექსში „ყვავილები და ღვინო“ და ცხადყოფს მისი პოეტიკის გარკვეული პუნქტის ტიპოლოგიურ ერთობასა და გენეტიკურ კავშირს მუსიკასა და აღ. ჭავჭავაძის „მსუბუქ პოეზიასთან“ და ფიროსმანის სამყაროსთან“ („გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში“, გვ. 72-73).

**დაცარვა** – დაკნინება; ქსოვილის დაფხავება.

**კინტო** – თაბახით ხილის გამყიდველი, ფეხზედ მოვაჭრე ბაყალი (ი. გრიშაშვილი).

## აღის თასი (გვ. 168)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 7387 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 37 (A); რჩეული, 1944, გვ. 278 (C); რჩეული, 1959, გვ. 445 (D).

14 გიმნი] ჰიმნი CD.

## ღროა (გვ. 169)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 116-დ, გვ. 11 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 40 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 67 (C); რჩეული, 1944, გვ. 277 (D), რჩეული, 1959, გვ. 384 (E).

**სათაური:** – B.

## ტყე დაბურული (გვ. 169)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 46 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 72 (C); რჩეული, 1944, გვ. 284 (D).

**სათაური:** – B.

2 ტყე... შავი] მაისი ცხელი, ჩქარი\* B. ნაცვლად სიტყვისა „შავი“ იყო „ჩუმი“. 3 გარინდებულა] გარინდებულან\* B] გარინდებული B. 4 მთების გამოჩნდა] ჩნდებიან ბინდის\* B. რაა შემოთავაზებული ამ შესიტყვების ნაცვლად, არ იკითხება. 5 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია:

აჰა, დარეკა საღამოს ზარმა  
ჩრდილში ოცნებად მიწვა ყანები.  
დუმილებს ქარმა გამოდო სარმა  
გარეკა ქარში პავიანები.

ეს სტროფი ნასწორებია: 1 დარეკა] დაბერა\*; ზარმა] ქარმა\*. 4 პავიანები] ავლიანები\*.

6 ზინდის] ზინდისს C. 6-7 ჰოი... ეფემერიდის] – B. C ვარიანტში ლექსს ბოლოში ემატება:

გარინდებული ნაძვის სვეტები,  
მთების გამოჩნდა სილუეტები.

**მთაწმინდა** – სავარაუდოდ, იგულისხმება სოფ. ქვიშხეთის მთაწმინდა.

**ზინდისი** – ისტორიული სოფელი ქართლში, ამჟამად უბანი დაბა სურამში.

### **რობორც ვუხილი არაბვის კიდის (გვ. 170)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 676 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 47 (A); რჩეული, 1944, გვ. 284 (C).

**სათაური:** – B.

ავტოგრაფის დასაწყისში გადახაზულია: თანდათან მიდის ძველი თაობა. შემდეგ იკითხება: არის არაგვი, არის ფაზისი და მტკვარის ისმის. მომდევნო სტრიქონი – მაშინ მდებოდა აქ რუსთაველი – გადახაზულია. „მაშინ“ შეცვლილია სიტყვით „როცა“.

**2** როგორც] იყო\* B; კიდის] წყალთა\* B] ქარის\* B. **3** ზვირთები] ყვაილი\* B; ჩქარის] ველის\* B. **4** სტრიქონში შეტანილი ცვლილებები არ იკითხება. **5** არის] ელის\* B. **6** სანახაობაც] მოხუცთა კრება\* B] სანახაობა B; შეიცვლის] იცვლიდა\* B. **7** სტრიქონის შემდეგ B-ში იკითხება: მაგრამ სადღაა დღეთა მათ ფონი? **8-9** როგორც... ეფემერიდის] ვაღ დრონი, დრონი! B. ამის შემდეგ B-ში გადახაზულია: ვაღ დრონი, დრონი.

### **\*\*\* ბაბონღება თუ არა (გვ. 170)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 851 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები 1927, გვ. 50 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 79 (C); რჩეული, 1944, გვ. 289 (D); ლექსები 1953, გვ. 144 (E); რჩეული, 1959, გვ. 455 (F).

**თარიღი:** 1918\* B; 1916 CF.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია:

ნეტა ეხლა სადა ხარ,  
და რომელსა მხარესა?  
ვის მიყვები ქარდაქარ,  
ღანდი სიმწუხარისა  
რომელ სიმწუხარესა?

2 კარალეთის] ჩვენი ყრმობის\* B. 3 მთების] ზეცის\* B. 4 უცხო სამოთხეები] დაბურული ტყეები\* B. 7 გადაუარა] დაგისამარა\* B. 8 და... ალები] ყველა ინტერვალები\* B; ჩაუქრო] ჩააქრო B. 11 აწ... ვიცი] ნეტა ეხლა \* B.

**კარალეთი** – სოფელი ქართლში.

ტექსტის ბოლო ორი სტრიქონი თითქმის ზუსტი ციტატაა პოეტ ნინო ორბელიანის (1838-1919) ლექსისა „ნეტავ ეხლა სადა ხარ?“.

ლექსს აკავშირებენ აკაკის სატრფიალო ლირიკის ტრადიციასთან (ე. კვიციანი, აკაკი და გალაკტიონი, კრ. „გალაკტიონოლოგია“, IV, გვ. 108-109), აგრეთვე – ფოლკლორთან (რ. ბურჭულაძე, „მხოლოდ ინტერვალები“, გვ. 213-220).

## შს წინაღ იყო (გვ. 170)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 4656 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 52 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 84 (C); რჩეული, 1944, გვ. 289 (D); რჩეული, 1959, გვ. 351 (E).

**სათაური:** – B; ეს წინათ იყო CE.

2 წინაღ] წინათ CE.

B ვარიანტში ლექსის ბოლოს გადახაზულია:

მითხარით, ველნო, მითხარით, მთანო,  
ხელუხლებელნო ტყენო, მითხარით.  
თუ რიმაწელი დროს გაყვა თანა?  
მაშინ სამარე მეც გამითხარეთ.

## ცელი ჰპიჰის (გვ. 171)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 1913 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 54 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 88 (C); რჩეული, 1944, გვ. 290 (D); რჩეული, 1954, გვ. 216 (E); რჩეული, 1959, გვ. 352 (F).

**სათაური:** თივის მთიბველები B; ცელი კივის CEF.

**თარიღი:** 1926 E.

1, 2 ჰკივის] კივის CEF. 4 მთიბველები] მთიბველები BCDEF.

B-ში ერთმანეთის გვერდით ორი ტექსტია წარმოდგენილი: მარჯვნივ, უსათაურო, ორსტროფიანი ლექსია, რომელიც ძირითად ვარიანტთან მიმართებით მხოლოდ ერთ განსხვავებას ამჟღავნებს: 3 თივით] თივის\*.

ამავე ავტოგრაფში მარცხენა მხარეს ვრცელი, დაუმთავრებელი ტექსტია, სათაურით „თივის მთიბველები“, რომელიც მთლიანად გადახახულია:

ველი ჰკივის – ათას ხმებით,  
სურნელება დადგა თივის.  
თივას თიბვენ მთიბველები  
სულში მზეა აღმავივის.  
მწუბორად, როგორც რაზმი მთელი  
ფეხშიშველი, ტანშიშველი  
ჰაეროვანს და ტივტივას  
მთიბველები თიბვენ თივას.  
მივესალმე მე მათ რიგებს:  
– თქვენ ხომ იცით რაა გრძნობა,  
იცით ძმობა და ერთობა?  
იცით ბრძოლას ვინ მოიგებს?  
მწუბორად, როგორც რაზმი მშველი  
ფეხშიშველი, ტანშიშველი,  
ჰაეროვანს და ტივტივას  
მთიბველები თიბვენ თივას.  
ერთი დადგა როგორც ძალა  
და დაცინვით მომახალა.  
– ჩვენ...

ამ ტექსტში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 1 ველი] ცელი\*.  
5 მშველი] მთელი\*.

## აყვავილებულ ველვს სალამი (გვ. 171)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 55 (A); ჟ. „მნათობი“, 1928, №8-9, აგვისტო-სექტემბერი, გვ. 36 (B); „ეპოქა“, 1930, გვ. 116 (C); თხზულებანი, II, 1935, გვ. 309 (D); თხზულებანი, I, 1937, გვ. 89 (E); რჩეული, 1944, გვ. 290 (F); რჩეული, 1959, გვ. 353 (G) და გვ. 353 (H).

**სათაური:** – BC; მზის სალამი DG.

**2** აყვავილებულ ველვს] მზემ მდინარისპირს მისცა BCDG. **3** ჩრდილი] სახე BCDG. **4** ტბების] ფშნების BCDG; ფშნების] ტბების BCDG. **5** გულზე დასაქსოველი] გულში ჩასაქსოველი BCDG. **6-9** უფლება... მოედრუბლება] – E. **6** თვლიდენ] გთვლიდენ BC] გთვლიდენ DG] თვლიდენ H. **7** ჰქონდესთ] ჰქონდეთ GH. **8** მაშინ... ისევ] სანამ ყველაზე BCDG. **9** შუბლი... მოედრუბლება] მოედრუბლებათ DG.

თთ-ში, ციკლში „ეპოქა“, ამ ლექსის ვარიანტი სათაურით „მზის სალამი“ დაბეჭდილია, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები (ტ. III, გვ. 136).

## შენ რაღას იტყვი, მანა? (გვ. 171)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 55 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 90 (B); რჩეული, 1944, გვ. 289 (C); რჩეული, 1959, გვ. 356 (D).

**სათაური:** – BD.

**თარიღი:** 1914 BD.

**6** ახოთ] ახოდ D.

შენიშნულია განმეორებადი სტრიქონების („რისთვის გამზარდა დედამ, / რისთვის მეტყოდა ნანას“) შეხმიანება ხალხურ ამირანის ეპოსთან: „რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეტყოდა ნანასა?“ (ნ. ტაბიძე, გალაკტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია, გვ. 99).

## შორი მინული კავკასიონის (გვ. 172)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 8833 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 58 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 97 (C); რჩეული, 1944, გვ. 293 (D).

**სათაური:** – B.

2 გააფთრებული] გააფთრებული\* B] გაფორებული B; ქაფი რიონის] ქაფი რიონის\* B] ჩანამძივები B. 3 აცურდენ] აცურდნენ C. 4 შორი] და\* B. 6 გააფთრებული] გააფთრებული\* B] – B; მდინარე ყვირის + დაანგრევს კარბას B. 7 ელოდება] ელოდება\* B] ეომება B. 8 ნანგრევები] ნანგრევები\* B] ნანგრევთ შორის B; მარადისპირის] მარადის პირას ACD.

### ციხის ნანგრევებთან (გვ. 172)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 6450-6467 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 60 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 100 (C); რჩეული, 1944, გვ. 298 (D); რჩეული, 1954, გვ. 197 (E); რჩეული, 1959, გვ. 25 (F).

**თარიღი:** 1918 A; 1916 CF; 1915 E.

5 უსაზღვროთ] უსაზღვროდ CEF. 7 ბაგრატის] ციხის და CF. 10 შენ... მეტყვი] გემშვიდობები CF. 17 შეხარის] შეჰხარის EF. 22-33 სამშობლო... მოგონება] – DE.

ლექსის 16-21 და 24-29 სტრიქონები ძალიან ახლოსაა 1909 წელს ქ. „ფასკუნჯში“ (№17, გვ. 4) გამოქვეყნებული ლექსის „სასაფლაოზე“ (ტ. I, გვ. 30) სტრიქონებთან.

„ციხის ნანგრევებთან“ ეხმიანება ი. ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“ და სამშობლოსთან გამოთხოვების თემას. თთ-ში გამოთქმულია აზრი, რომ ნაწარმოები დაწერილია პოეტის მოსკოვში გამგზავრების წინ (1916). ჩვენი ვარაუდით, ლექსი წარმოადგენს ადრე განცდილი შთაბეჭდილების გვიანდელ რეპროდუცირებას ოციანი წლებში, რასაც მხარს უჭერს ახლებური პოეტური სტილი.

### \*\*\*ჩვენი ავაშენეთ (გვ. 174)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 6468-6469 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 62 (A); რჩეული, 1944, გვ. 298 (C); რჩეული, 1954, გვ. 66 (D).

**სათაური:** – B; მაღალი კოშკი D.

**თარიღი:** 1916 D.

**ოშკის ქიმერა** – ოშკი, X საუკუნის ქართული სამონასტრო ცენტრი ისტორიულ ტაოში, დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე, გამოირჩევა მდიდარი რელიეფებით.

### \*\*\* პარს ბაზუმბენ მას ჳინაპრეზი (გვ. 174)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 673 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 62 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 103 (C); რჩეული, 1944, გვ. 297 (D).

**სათაური:** ЧТО Я ЖИВУ КАК ГАЛЛ. B

ძირითადი ტექსტის **9-12** სტრიქონები B ვარიანტში ლექსის დასაწყისშია წარმოდგენილი. ვარიანტული სხვაობები ნაჩვენებია ქვემოთ, შესაბამის ადგილზე.

1 გაუღებენ მას] გამიღებენ მე B. 5 მიეგებება] მომეგებება B. 7 უსათუოდ] გალაკტიონ B. 9 ჩვენ... ამბები] მე თვითონ ვიცი ჩემი ამბავი B. 11 ნანგრევთა... დამბები] ჩემი ლექსები დაუსტამბავი B. 12 პოებენ] ჰპოებენ B. B-ში 8 სტრიქონის შემდეგ იკითხება:

შენ, ქვეყანაზე ბევრი იწვალე,  
საწყალო, რია.  
გარდაიცვალე, გარდაიცვალე,  
არაფერია.

### იცივალენ ღრონი (გვ. 174)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 676 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 63 (A); რჩეული, 1944, გვ. 295 (C); რჩეული, 1959, გვ. 14 (D).

**სათაური:** – B.



4 ვაზისი] რიონი B. 5 ამოლხვრა] ოხვრა დედაა B. 6 ძველია ჩარჩო] ზაფხულის ფარჩა\* B. 9-10 იცვალენ... დრონი] ვაი დრონი, დრონი B.

### სასახლე ძველი (გვ. 175)

ნაბეჭდი: ლექსები, 1927, გვ. 63 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 105 (B); რჩეული, 1944, გვ. 295 (C); რჩეული, 1959, გვ. 345 (D).

თარიღი: 1915 C.

5 ამიღია] ამინდია D. 6-9 ზის... იფანტებიან] – B.

### ღაბიზარაშენ (გვ. 175)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 5611 (B).

ნაბეჭდი: 1927, გვ. 64 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 106 (C); რჩეული, 1944, გვ. 296 (D); რჩეული, 1959, გვ. 345 (E).

სათაური: – B.

3 მოჰქრის] მოქრის B. 5 შუქი] ცრემლი\* B. 8 მწვერვალნი] მწვერვალნი B. 9 ვარსკვლავები] ვარსკვლავებისკენ B] ვარსკვლავები C; ცად] რომ B; გაგიშვიათ] მიგიშვიათ B.

### ბახსოვს? რა ღრო იქო ის ღრო? (გვ. 176)

ხელნაწერი: ავტოგრაფი 28897-50, გვ. 169 (B).

ნაბეჭდი: ლექსები, 1927, გვ. 64 (A); რჩეული, 1944, გვ. 300 (C); რჩეული, 1959, გვ. 346 (D).

4 მოასვენებს] მოასვენებს\* B] შეაჩერებს B. 5 მათზე] მათზე\* B] და ვერც B. 8-11 სტრიქონები B-ში გადასახულია.

### \*\*\* აქ მარმარილოს მაღალი სვეტი (გვ. 176)

ხელნაწერი: ავტოგრაფები 5687 (B); 6470-6477 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 65 (A); რჩეული, 1944, გვ. 296 (D).

**სათაური:** ბაღლადა დაწერილი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში  
B.

**თარიღი:** 1916 B.

1 აქ] სად\* B; მაღალი] მაღალი\* B] – B. 3 ეპოქის გედი] იქ მო-  
მაკვდავი ეპოქის გედი\* B; გედი + ნანგრევთა გედი D. 8, 16 ვად  
+ ვად\* B] და B. 9 ციხე... სჩქეფს] მახლობელ ციხეს რაც\* B. 12  
იგი... ჰკვდება] ქვეყანას გასცდა\* B; ჰკვდება] კვდება B. 13 ლაღლით]  
მტრედით\* B. 18 ურმობისა ჩემი] ჩემი ბავშობის\* B; ჩემი] ჩემის BC.  
19 თუ] თუ\* B] და B. 21 ახლაც] ეხლაც C; ანათებს ძველი] სადაა  
იმა\* B; მითებით] მითები C. 21-22 სტრიქონებს შორის B-ში იკითხ-  
ება: „შემობურული სივრცე და ფონი. „სივრცე და ფონის“ ნაცვლად  
იყო „გალაკტიონი“. 22 B-ში პოეტს ჯერ გადაუხაზავს და მიუწერ-  
ია „ვად დრონი, დრონი“, შემდეგ კი გადახაზული სტრიქონი ისევ  
აღუდგენია. 25 შევხვდი] შევხვდი\* B] შევხვდი B. 26 გესალმებოდა]  
ესალმებოდა\* B] ესალმებოდა C.

ტექსტში რეფრენად გამოყენებულია სათაური ალ. ჭავჭავაძის  
ლექსისა „ვაჰ, დრონი, დრონი“

### ავჰალას იქით (გვ. 177)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 66 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 108  
(B); რჩეული, 1944, გვ. 299 (C).

**სათაური:** ავჰალას იქით C.

2 ავჰალის] ავჰალას B.

„და აი, მწირთან“ – იხ. კომენტარი ლექსისა „დღე გაფითრდა  
იაგუნდის“ (გვ. 387).

თბილისიდან გორამდე გალაკტიონის მატარებლით მგზავრობა,  
რაც საფუძვლად დაედო ე.წ. მგზავრის წერილების შვიდი ლექსი-  
საგან შემდგარ ციკლს („ავჰალას იქით“, „ზაჰესთან“, „მცხეთამდე“,  
„მცხეთიდან“, „რა მშვენიერი მინდვრებია“, „გავცდით ხანდაკს“,  
„გორიდან“), ასახულია პოეტის დღიურში კონსპექტური, ძუნწი  
ჩანაწერებით (სგ, XXI, გვ. 511-514). ციკლის შესახებ იხ. თ. ბარბა-

ქაძე, გალაკტიონის „მგზავრის წერილები“, კრ. „გალაკტიონოლოგია“, I, თბ., 2002, გვ. 144-150.

### **ზაჰმსთან (გვ. 177)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 67.

**ზაჰესი** – ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, პირველი ჰესი საქართველოში.

**მარიამობა** – ღვთისმშობლის მიძინებასთან დაკავშირებული ქრისტიანული დღესასწაული, აღინიშნება 28 აგვისტოს.

**მწირი** – იხ. კომენტარი ლექსისა „დღე გაფითრდა იაგუნდის“ (გვ. 387).

იხ. კომენტარი წინა ლექსისა „ავჭალას იქით“.

### **მცხეთამღე (გვ. 178)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 66 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 107 (B); რჩეული, 1944, გვ. 300 (C); რჩეული, 1959, გვ. 346 (D).

4 ვარდათ] ვარდად D. 7 ბავშით] ბავშვით BCD; მოსჩანს] მოჩანს BD.

იხ. კომენტარი ლექსისა „ავჭალას იქით“ (გვ. 514-515).

### **მცხეთიდან (გვ. 178)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 67 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 109 (B); რჩეული, 1944, გვ. 294 (C); რჩეული, 1959, გვ. 347 (D).

6 ეხლა] ახლა D; გულმოდგინეთ] გულმოდგინედ BD. 9 მიყვება] მიჰყვება BD.

**სვეტიცხოველი, მცხეთობა** – მცხეთობა, იგივე სვეტიცხოველობა სადღესასწაულოდ აღინიშნება სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში

ახ. სტ. 14 ოქტომბერს „სადიდებლად კვართისა საუფლოსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“.

**გამოქვაბული ქალაქები** – იგულისხმება უფლისციხე, ქალაქი კლდეში.

**შიომღვიმე** – შუა საუკუნეების მონასტერი მცხეთის მახლობლად, დაარსებული VI საუკუნეში ასურელი მამის – შიოს მიერ. შიო მღვიმის ბაქანი – სოფ. ძეგვის ბაქანი.

იხ. კომენტარი ლექსისა „ავჭალას იქით“ (გვ. 514-515).

### **რბ მშვენიერი მინღვრებია (გვ. 179)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50, გვ. 160.

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 70; რჩეული, 1944, გვ. 301.

**მეტეხი, გრაკალი** – სოფლები ქართლში.

**უფლისციხე** – იხ. კომენტარი წინა ლექსისა „მცხეთიდან“.

იხ. კომენტარი ლექსისა „ავჭალას იქით“ (გვ. 514-515).

### **ბავსცლით ხანდაძს (გვ. 179)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 71 (A); რჩეული, 1944, გვ. 301 (C).

**8** მეგობარს] მეგობარს\* B] მეურნეს B; ნაცვლად] ნაცვლათ C.

**ხანდაკი, კავთისხევი** – სოფლები ქართლში.

**ქსნის კოშკი** – ქსნის ერისთავების ციხე-კოშკი სოფ. ქსანთან.

**კასპის კლდე** – კლდე, რომელშიც, ხალხურ „არსენას“ მიხედვით, კეთილშობილ ყაჩაღს – არსენა ოძელაშვილს ფული ჰქონდა გადანახული.

იხ. კომენტარი ლექსისა „ავჭალას იქით“ (გვ. 514-515).

### **ბორიღან (გვ. 179)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 28897-50 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 68 (A); რჩეული, 1944, გვ. 299 (C).

**სათაური:** გორიდან\* B; – B.

6 საზღვარგარეთ] საზღვარგარეთ\* B] გარედ B. 5-6 სამხრეთ...  
საზღვარგარეთ] – C. 10-11 სტრიქონები B-ში გადასახულია.

**ტირძნისი, ტყვიაგი** – სოფლები ქართლში.

**ტირიფონის ველი** – ტირიფონის ვაკე მდინარე ღიახვის ქვემო  
ღინების ორივე მხარეს, ცხინვალის ქვემოთ.

რ. თვარაძეს ლექსი პოლიტიკურ პამფლეტად მიიჩნდა, ბოლშე-  
ვიკური „ბრძნული ეროვნული პოლიტიკის“ სრულ გამასხრებად და  
დაგლეჯილ-განადგურებული საქართველოს სრულ გამოტირებადაც  
(რ. თვარაძე, ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა, თბ., 2001, გვ.  
277).

იხ. კომენტარი ლექსისა „ავჭალას იქით“ (გვ. 514-515).

### **ჰქროღენ სიონი (გვ. 180)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფები 366 (B); 28897-50, გვ. 160 (C).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 69 (A).

**სათაური:** – B.

C ვარიანტი არის 1927 წლის „რჩეულიდან“ ამოჭრილი ტექსტი,  
რომელშიც ავტორს მხოლოდ ერთი სტრიქონი გაუსწორებია: 2 ძვე-  
ლი სიონი] კავკასიონი C.

B-ში ლექსი ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

აი, ჩემს თვალწინ ძველი სიონი,  
გულდახსურული, დინჯი, ზვიადი,  
შორს მიუმართავს მზერა დიადი.  
აღმოსაველეთით ჰქრიან სიონი,  
მიწა ზურმუხტის, ზეცა იისა,  
ღმერთო, მკვლელი მას გადაარიდე,  
გადაუსახე იმედს ჯვარედი  
ოქროთი მქროლი ბიზანტიისა,  
გამოუვლინე ერს ანგელოსი,  
საუკეთესო მიეცი მშვიდი,  
რომ დაშთეს მისი დიდება დიდი,  
დიდება დიდი საქართველოსი.

ტექსტის 10 და 11 სტრიქონებში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: 10 მიეცი მშვიდი] იგი მფარველი\*. 11 დიდება დიდი] მარად განუქარველი\*

პოეტს ყოველი სტრიქონის დასაწყისი – ჩვენ მიერ გამუქებული სიტყვები გადაუხაზავს და ასე მიუღია საბოლოო ვარიანტი.

**ძველი სიონი** – სავარაუდოდ: ან ტაძარი იერუსალიმში, ან სიონის საპატრიარქო ტაძარი თბილისში.

**ბიზანტია** – აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელმაც XV საუკუნემდე იარსება (395-1453).

### **მხოლოდ ნანა (გვ. 180)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 968 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 70 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 111 (C); რჩეული, 1944, გვ. 295 (D); რჩეული, 1959, გვ. 388 (E).

**სათაური:** – B.

5 აუტანელ] – B. 9 გაუგზავნო] ვუგზავნო B] გავეუგზავნო E.

B-ში, ფურცლის თავში, გარდა მე-13 სტრიქონისა, ტექსტი გადახაზულია. სამაგიეროდ, გვერდის ბოლოს წარმოდგენილია მთლიანი ლექსი. სათაური არც ერთ მათგანს არა აქვს. ამ ორ ტექსტს შორის მოთავსებულია გალაკტიონის ორი სხვა ნაწარმოების („ანკარა ქარად გადიქცა ცქერა“ და „სადღეგრძელო იყოს მისი“) ვარიანტები.

### **თითქო არა აჰ (გვ. 180)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 71 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 112 (B); რჩეული, 1944, გვ. 302 (C).

**თარიღი:** 1916 B.

**ალექსანდრე მაკედონელი** – მაკედონის მეფე და სახელგანთქმული მხედართმთავარი (IV ს. ჩვ. წ.-მდე), რომელმაც შექმნა უდიდესი მსოფლიო იმპერია ძველ დროში. არსებობს გადმოცემა მისი მხედრობის შემოსვლის შესახებ საქართველოში.

ნაწარმოები დაკავშირებულია ლექსთან „წმ. გიორგი“ (ტ. II, გვ. 146) და წარმოადგენს თემის ახლებურ ინტერპრეტაციას.

### გვირაბებიანი (გვ. 181)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5609 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 72 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 113 (C); რჩეული, 1944, გვ. 303 (D).

**სათაური:** ჭიათურა B.

B-ში ლექსის დასაწყისში გადახაზულია: „ეშურებიან მუშები გვირაბს“. 2 ვით მიმპარავი ჩუმი და შავი\* B. 3 შავი] ჩრდილად\* B. 10 შავ... მხარე] მკლავს მწუხარება\* B. 13 შენზე... მიწას] შავქვას ეს მხარე. შენზე მკლავს დარდი\* B.

### სამხედრო გზაზე (გვ. 181)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 974 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 74 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 114 (C); რჩეული, 1944, გვ. 301 (D); ლექსები, 1954, გვ. 48 (E); რჩეული, 1959, გვ. 386 (F).

**სათაური:** ჰაეროპლანი\* B; პირი სოფლისაკენ\* B; ურემი\* B; საქართველოს სამხედრო გზაზე B; მაშინ ამდერდა E.

**თარიღი:** 1925 E.

3 მიეშურება ქალაქისკენ] მწკრივი ურემები\* B; მიეშურება... ურემები] ათამდე ურემს მიძმედ ათრევს ოცი კამეჩი\* B; მიეშურება] ეშურებიან B; ქალაქისკენ] ტფილისისკენ\* B. 4 კაკალი] ხორბალი\* B. 5 იგრისება] აჭრიალდა B. 5-6 სტრიქონებს შორის B-ში გადახაზულია: მაგრამ, საცაა. 6 წყალთ... სიმწვანე] მტკვრის ნაპირას მწვანენი B. 8 რამოტოლა] რამოდენა DEF. 8-9 ე... სახლი?] – C. 11 ჰკივის] კივის EF. 14 ესლა] ახლა EF. 16 ჩვენებაანთ] ჩვენებიანთ DEF.

7-ე სტრიქონის შემდეგ B ვარიანტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ძირითად ტექსტისაგან:

აჰა, ტფილისიცი...  
 ქალაქის სიო შარაგზაზე გადმოითესა.  
 მაშინ ამდერდა ჩვენებაანთ ბიჭი – ქიტესა.  
 ე, რამოტოლა სახლებია –  
 მღერის ქიტესა, –  
 ვინ ააშენა დუნიაზე ამთვენი სახლი,  
 ე, ქრიტე ძაღლი!  
 კვირობს ქიტესა.  
 ვერის ბაღებთან კამეჩები გამოსხნა ურემს –  
 შეყარა წყალში.  
 თვითონ ურმის ქვეშ მიეგდა და ფიქრებს მიეცა.  
 უცებ ქალაქის გზიდან მოქრის ავტომობილი  
 ჰკივის და ანჩხლობს.  
 ე კიდენ რაღა ეშმაკია –  
 ფიქრობს ქიტესა.  
 ავტომობილმა კამეჩები დააფრთხო წყალში.  
 ქიტესამ ისევ გადაყარა  
 წყალში შოლტებით...  
 უცებ მოესმა კვლავ ჰაერში მძლავრი ზუზუნნი.  
 ბიჭოს!  
 ჰაერში ფრინავს არა ჩიტი, არამედ სახლი.  
 ე ქრიტე ძაღლი!  
 ფიქრობს ქიტესა:  
 მაშასადამე კაცობრიობა  
 დაშორდა მიწას,  
 მოშორდა ურმებს და კამეჩებს  
 გაქეავებულთ  
 საუკუნეებით,  
 აეშვა მადლა და ჰაერში ზუზუნებს იგი.  
 დაეშვა ახლოს  
 ჰაეროპლანი.  
 მე გავეშურე სიმაღლეში ჰაეროპლანით,  
 მაშასადამე სამუდამოდ დავტოვე მიწა.  
 მოვშორდი ურმებს და კამეჩებს  
 გაქეავებულებს საუკუნეებში.  
 კაცობრიობა ჩემთანა ჰქრის,  
 როგორც ფანტომი.  
 თაებრუდამხვევი სიმაღლიდან  
 ვხედავ უშორეს სათიბებს.



ეს ტექსტი ნასწორებია, შეტანილია შემდეგი ცვლილებანი: 1-ლი სტრიქონი გადახაზულია. **5** მღერის] კვირობს\*. **11** სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: ბიჭო ქიტესა, გამოსძახა. **15** ფიქრობს] კვირობს\*. **15** სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: აი შენა და დარდუბადა. **19** კვლავ] მას\*. **23-29** სტრიქონები გადახაზულია. **31** სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: ჩემი შორეულ ფიქრის საგანი. **33** სამუდამოდ] დედამიწა\*.

### როცა აკტონი, ძე არისტეას (გვ. 182)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 82 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 121 (B); რჩეული, 1944, გვ. 308 (C); რჩეული, 1954, გვ. 239 (D); რჩეული, 1959, გვ. 456 (E).

**სათაური:** აკტონი ძე არისტეას D.

**თარიღი:** 1916 ABE; 1918 D.

**1, 2, 7, 10, 11, 13** აკტონი] აქტონი DE. **4** აფროდიტა] არტემიდა D. **7** დაებინდენ] დაებინდენ DE. **12** იმისსავეს] იმისსავე D. **13** გალაკტიონ] მომღერალო D. **15** დაწრვთნილები] დაწრვთნილები C] დაწვრთნილები DE. **16** ისევ... ძაღლებია] ისევე შენ მიმართ – ავი ის ძაღლები D.

**აკტონი ძე არისტეას** – ძველი ბერძნული მითის მიხედვით, მონადირე, რომელმაც დაინახა შიშველი არტემიდე, რის გამოც ქალღმერთმა იგი შვლად გადააქცია და მისსავე ძაღლებს დააგლეჯინა.

**აფროდიტა** – ლექსში, მითის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა იყოს არტემიდე.

**პართენონი** – ქალღმერთ ათენას ტაძარი ათენის აკროპოლში (ძვ. წ. V ს.).

ლექსის ანალიზი იხ.: გ. გაჩეჩილაძე, გალაკტიონის „როცა აკტონი, ძე არისტეას“, წიგნში: II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ (მასალები), ნაწ. I, თბ., 2009, გვ. 150-166.

## წელიწადები წავლიან კველნი (გვ. 183)

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 82 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 122 (B); რჩეული, 1944, გვ. 306 (C); რჩეული, 1959, გვ. 456 (D).

**თარიღი:** 1916 AB.

5 შთამომავლობა] შთამომავლობა A. 6 ძველი] ძველნი CD.

გალაკტიონთან საკუთარი პერსონის ერთადერთობის განცდა ღიად ჩნდება პოეტების მეფედ არჩევის შემდეგ (1921), ამიტომ ლექსი დაწერილია არა 1916 წელს, არამედ ოციან წლებში.

## ჩვენი ჟურნალი (გვ. 183)

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 411 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 83 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 124 (C).

**სათაური:** ჟურნალი\* B; წარწერა ჟურნალზე B.

**ქვესათაური:** რონდო B.

**თარიღი:** 1917 AC.

2, 10, 14 ჩვენი] ჩემი B. 3 ძველი... მწველი] ბარს ერთმეოდა გარდის\* B] მისდევდა ლექსებს მწარე B. 4 როგორც] არა\* B] ვერა B. 5 ისევე] ჟამად\* D; წყუროდა] სწყუროდა B; დანა] ნანა AC. 7 ვისი გულისაც] აჰ, ვისი გულის\* B. 8 გადაჰყვა] გადაყვა B. 11 მოვიდა წარსულ] რაა გარდასულ\* B. 13 ეს იყო] ისე ჩქევს\* B] გიგონებს\* B] მსურს იყვეს B; ტმინა] ტმინას\* B; მაიორანა] მაიორანას\* B.

A ვარიანტის მეხუთე სტრიქონში კორექტურა უნდა იყოს: ნაცვლად სიტყვისა „დანა“, როგორც ეს ავტოგრაფსა და C ნაბეჭდ ტექსტშია, წერია „ნანა“, რაც უხერხულ ტავტოლოგიას ქმნის (იხ. მეოთხე სტრიქონი). ძირითად ტექსტში იგი ჩასწორებულ იქნა.

შესაძლოა, ლექსში იგულისხმება 1922 წლიდან პოეტის რედაქტორობით გამოსული „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“.

**დიონისობა** – ძველ საბერძნეთში ღვთაება დიონისესადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული, რომელიც, როგორც წესი, ღრეობაში გადაიზრდებოდა.

**სატურნალი** – სახალხო დღესასწაული ძველ რომში, რომელიც ეწეობოდა ნაყოფიერების ღმერთის პატივსაცემად და ასევე ღრუბლად იქცეოდა.

**ტმინა** – ტმინი, მცენარე: კვლიავი, ზინაკი.

**მაიორანა** – მაიორანი, მცენარე. ტმინი და მაიორანი სურნელოვანი მცენარეებია.

### **პაფუში (გვ. 183)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 84 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 125 (B); რჩეული, 1959, გვ. 457 (C).

**თარიღი:** 1916 ABC.

**8** ძლივსძლივათ] ძლივსძლივად BC. **12** წინად] წინათ BC.

კაფეს თემა გალაკტიონის პოეზიაში ოციანი წლებიდან შემოდის (ი. კენჭოშვილი), ამიტომ ავტორისეული თარიღი – 1916 წელი სანდო არ არის.

### **ქუჩა 30-იან წლების (გვ. 184)**

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 85 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 126 (B); რჩეული, 1959, გვ. 458 (C).

**სათაური:** ქუჩა BC.

**თარიღი:** 1916 ABC.

**10-13** გაუგებარი... ნიჭი] – BC.

### **\*\*\*სხვები ჩხაშიან, რობორტ შვანგი (გვ. 185)**

**ხელნაწერი:** ავტოგრაფი 5605 (B).

**ნაბეჭდი:** ლექსები, 1927, გვ. 87 (A); თხზულებანი, I, 1937, გვ. 164 (C).

**თარიღი:** 1916 AC.

**4** ორი... ბაგეზე] გალაკტიონ ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე\* B.

**5** ფანტასტი] პოეტი\* B. **7** პოეტია] ლირიკა და კლარნეტი\* B. **8**

მეორე] მეორეში ტვინის\* B. 8 სტრიქონის შემდეგ B-ში გადახაზულია: უკუჩვენებელი მწუხარება სდევს გალაკტიონს. 9 ეზმანება... დიონისე] გრიგოლს ეზმანება ისევ დიონისე\* B. 10 მოჩვენება] პოეზია\* B; გალაკტიონისა] გალაქტიონისა C. 11 მას... სმენია] ორთავეს სმენიათ\* B. 12 მარადი] წარსულის\* B. 13 ქართლის] ქართული\* B.

**„პირველი პოეტი, მეორე – სპექტაკლები“** – იგულისხმებიან გალაკტიონი და გრიგოლ რობაქიძე (1882-1962), ქართული მოდერნიზმის თეორეტიკოსი, პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი.

ლექსი დაწერილი უნდა იყოს არა 1916 წელს, არამედ ოციან წლებში, როდესაც დიდი წარმატებით იღვებოდა სპექტაკლები გრ. რობაქიძის პიესების მიხედვით.

